

ჰუმანიტარულ და პედაგოგიურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი  
**Foundation For Development of Art and Pedagogical Sciences**

**ISSN 1987-7323**

**E- ISSN 2720-7900**



<https://doi.org/10.52340/lac>  
<https://journals.4science.ge/index.php/enadakultura>

# სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი ენა და კულტურა

**№26**

**Language and Culture**  
**Scientific Peer Reviewed Journal**

ქუთაისი 2021 Kutaisi



ჟურნალი ინდექსირებულია:

1. Google scholar-ის მონაცემთა ბაზებში;
2. იმფაქტფაქტორის ბაზაში:  
SJIF 2021: 6.505; 2020: 6.029; 2019: 6.406; 2018: 6.096; 2017: 6.336;
3. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკის „ივერიელის“ კოლექციაში;
4. ქართულ რეფერატულ ჟურნალში (ქრე) [www.techinformi.ge](http://www.techinformi.ge).

The journal is indexed in SJIFactor.com SJIF 2021: 6.505; 2020: 6.029; 2019: 6.406; 2018: 6.096; 2017: 6.336:

Google Scholar;

"Iverieli" digital library collection of the National Parliamentary Library of Georgia;

[Georgian Abstracts Journal \(GAJ\) www.techinformi.ge](http://www.techinformi.ge)

<https://enadakultura.com>;

[www.enadakultura.blogspot.com](http://www.enadakultura.blogspot.com);

<https://journals.4science.ge/index.php/enadakultura>

მთავარი რედაქტორი: მანანა მიქაძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პასუხისმგებელი რედაქტორი: თამარ ლომთაძე, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

**სარედაქციო კოლეგია:** ა. არაბული, ე. არუტუნიანი, ვ. ასათიანი ც. ახვლედიანი, მ. ახმადი, ა. ბერდიჩევსკი, ნ. გელდიაშვილი, რ. ენოხი, ნ. კაკაურიძე, თ. მახარობლიძე, ნ. ჟანპეისოვა, ა. ჟდანოვიჩი, გ. სანიკიძე, შ. ფაზიევი, მ. უგრეხელიძე, გ. ყუფარაძე, ტ. ხოლუმენკო.

მთარგმნელთა საბჭოს ხელმძღვანელი: ნ. კვირიკაძე

ჟურნალის სამუშაო ენებია: ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური

ავტორის პოზიცია შეიძლება არ დაემთხვეს სარედაქციო კოლეგიის მეცნიერულ აზრს.

Chief Editor: **Manana Mikadze**, Doctor of pedagogical sciences, full professor

Responsible Editor: **Tamar Lomtadze**, Doctor of Philology, full professor

#### **Editorial board:**

Arabuli A., Arutuniani E., Asatiani V., Akhvlediani Ts., Akhmadi M., Berdichevski A., Geldiashvili N., Enokhi R., Kakauridze N., Kuparadze G., Faziev Sh., Makharoblidze T., Janpeisova N., Jdanovich A., Sanikidze G., Ugrehelidze M., Kholumenko T.

**Head of the Board of Translators:** Kvirikadze N.

Languages of scientific journal: Georgian, Russian, English, German, Franch, Spanish.

Possition of authors may be out of the possition of Editorial Board.

**ჟურნალის სარედაქციო კოლეგია:**

- არაბული ავთანდილ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- არუტუნიანი ედუარდ** – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი.
- ასათიანი ვალერი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ახვლედიანი ციური** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ახმადი მამედი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ტ. მორადესის სახელობის თეირანის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეირანი, ირანი.
- ბერდიჩევსკი ალენ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბურგენლანდის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ინსტიტუტი, ავსტრია.
- გელდიაშვილი ნუნუ** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო.
- ენუქაშვილი რუბენ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, იერუსალიმისა და არიელის უნივერსიტეტების პროფესორი, იერუსალიმი, ისრაელი
- კაკაურიძე ნანული** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- ლომთაძე თამარ** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
- მახაროზიძე თამარ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- მიქაძე მანანა** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- ჟანპისოვა ნაზია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ს. ბაიშვილის სახელობის აკტიუბინსკის უნივერსიტეტი, ალმა-ატა, ყაზახეთი.
- ჟდანოვიჩი ანასტასია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.
- სანიკიძე გუბაზ** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.
- უგრეხელიძე მინდია** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტრასბურგი, ევროპის უნივერსიტეტი, საფრანგეთი.
- ვაზიევი შოხრუდ** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ტაშკენტი, უზბეკეთი
- ყუფარაძე გიორგი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ხოლუმენკო ტიმოთე** – ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხარკოვის საერო პედაგოგიური უნივერსიტეტი, უკრაინა.

**Editorial Board :**

- Arabuli Avtandil** - Doctor of Linguistics. Professor. Arn. Chikobava Institute of Linguistics. Georgia.
- Arutunian Eduard** - Doctor of Philisophy sciences. Professor. Yerevan State University. Armenia.
- Akhvlediani Tsiuri** - Doctor of Linguistics. Professor. Tbilisi Javakhishvili State University. Georgia.
- Akhmadi Mamed** - Doctor of Linguistics. Professor. Teiran T. Moradesi State University. Iran.
- Asatiani Valeri** - Doctor of Art. Professor. Tbilisi I.Jfvkhishvili State University.
- Berdichevsky Alen** - Doctor of Linguistics. Professor. Burgeland International Economic Institute. Austria.
- Geldiashvili Nunu** - Doctor of Linguistics. Professor. Telavi State University. Georgia.

- Enokhi Reuven** - Doctor of Linguistic. Ierushalaim and Arieli state universities, Izrail.
- Fayziev Shohrud** - Doctor of Science in Law. Associate Professor. Chief editor at Tadqiqot.uz., Tashkent, Uzbekistan
- Janpeisova Nazia** - Doctor of Art. Professor. S. Baishevi Actiubin National university. Kazakstan.
- Jdanovich Anastasia** - Doctor of Linguistics. Professor. Minsk State University. Belorussia.
- Kakauridze Nanuli** - Doctor of Art. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Kholumenko T.** - Doctor of Psychological sciences. Professor. Kharkov National Pedagogical University. Ukrain.
- Kuparardze Giorgi** - Doctor of Linguistics. Professor. Tbilisi Javakhishvili State University. Georgia.
- Lomtadze Tamar** - Doctor of Linguistics. Accot.- Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Makharoblidze Tamar** - Doctor of Linguistics. Professor. Iliia State University. Georgia.
- Mikadze Manana** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Sanikidze Gubazi** - Doctor of Historical sciences. Professor. Tbilisi. Georgia.
- Ugrekheldze Mindia** - Doctor of Law. Professor. Tbilisii. Georgia.

### ჟურნალის ექსპერტ-რეცენზენტთა საბჭო:

- ავანესიანი გრანტ** – ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ერევანი, სომხეთი.
- აიდუკოვიჩი იან** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბელგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სერბია.
- ანისიმოვა დარია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, მოსკოვის სლავისტიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სწავლული მდივანი, რუსეთი.
- არველაძე ანა** – ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- არსლან ხ.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტამბულის ოკანის უნივერსიტეტი, სტამბული, თურქეთი.
- აფანასიადი მარია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ფრაკის დემოკრიტეს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. კომოტინი, საბერძნეთი.
- ბალანჩივაძე რეზო** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ბარხალოვი გ.** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, ბაქოს სლავისტიკის უნივერსიტეტი, ბაქო, აზერბაიჯანი.
- ბახტაძე დალი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ბენიძე ვენედი** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო
- ბუნიაკოვა ე.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქ. ალბის სალენტოს უნივერსიტეტი, ალბა, იტალია.
- გაგრილინა მარია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საერო უნივერსიტეტი, ლატვია
- განკევიჩი ვიქტორ** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვ. ვერნადსკის სახელობის საერო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.
- გერსამია რუსუდან** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ილიაუნი, თბილისი, საქართველო
- გოგოლაშვილი გიორგი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- გომბეთელიანი ირინა** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.
- გუსევა ოლგა** – პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, სტამბულის ფატიხის უნივერსიტეტი, სტამბული, თურქეთი.
- დაცევიჩი ლუდმილა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბელასტოვის უნივერსიტეტი, პოლონეთი.

- დიომიდოვა ანა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვილნიუსის უნივერსიტეტი, ვილნიუსი, ლიტვა.
- დროზდოვა-დიესი ტ.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მადრიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მადრიდი, ესპანეთი.
- დუმბილოვი ევგენი** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, როსტოვი, რუსეთი.
- ეკშეზევა ლ.** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ალ ჰარაბის სახელობის საერო უნივერსიტეტი, ალმა-ატა, ყაზახეთი.
- ვასილევა ნელი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვარნის ნ. ვანცაროვის სახელობის სამხედრო-საზღვაო ინსტიტუტი, ვარნა, ბულგარეთი.
- ზვიადაძე ნათია** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- თავდგირიძე ლელა** – პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, შოთა რისთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.
- თუმანიშვილი ხათუნა** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- იზბულე ვ.** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რიგის პრაქტიკული ფსიქოლოგიის უმაღლესი სკოლა, რიგა, ლატვია.
- ატია იუსუფ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აშს, კოლუმბიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
- კაიცუნი რობერტ** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი, ერევნის ვ. ბრიუსოვის სახელობის სახელმწიფო ენათმეცნიერების უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი.
- კარტოზია ალექსანდრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- კვირიკაძე ნინო** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- კირვალიძე ნინო** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- კიროვა ლ.** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქ. ტირნის წმინდა კირილისა და მეთოდეს სახელობის უნივერსიტეტი, ტირნა, ბულგარეთი.
- კობეშავიძე მარინე** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- კოვტუნი ალექსანდრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვილნიუსის ვიტაუტას დიდის სახელობის უნივერსიტეტი, ვილნიუსი, ლიტვა.
- კორენოვსკა ლ.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კრაკოვის პედაგოგიური უნივერსიტეტი, კრაკოვი, პოლონეთი.
- კოროტკაია სვეტლანა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.
- კოჭლოშვილი ნინო** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო.
- ლევიცი ალექსანდრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კიევის ტ. შევჩენკოს სახელობის საერო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.
- ლეშაკი ოლეგ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ი. კონოვსკის სახელობის ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ქ. კელცე, პოლონეთი.
- ლორთქიფანიძე რუსუდან** – ხელოვნების დოქტორი, პროფესორი, სამუსიკო კოლეჯი ქუთაისი, საქართველო.
- მამადოვი აზად** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აზერბაიჯანის ენათმეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, აზერბაიჯანი.
- მარგველაშვილი ვლადიმერ** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი საქართველო.
- მალლაკელიძე ნათელა** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.

- მახმუდოვა გ.** – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ბაქოს სამუსიკო აკადემია, ბაქო, აზერბაიჯანი.
- მუჯირი სოფიო** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ნადარეიშვილი აკაკი** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.
- ნიკოლეიშვილი სოფიო** – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, მისური კოლუმბიის უნივერსიტეტი, აშშ; მადრიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ესპანეთი.
- პეტროსიანი ემმა** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ერევანი, სომხეთი.
- პილიშვილი ს.** – ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ხმელნიცკის სახელობის საერო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.
- ჟოლნეროვიჩი პეტრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.
- როვენკო ალექსანდრე** – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ოდესის სახელმწიფო კონსერვატორია, ოდესა, უკრაინა.
- სვანიძე რამაზ** - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- სიგუა სოსო** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- სიმიანი ტიგრან** – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი.
- სირბილაძე მარინა** – ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- სიჭინავა ნელი** - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- სტარიჩენოვი ვასილ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მ. ტანკას სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.
- სხირტლაძე რატი** - მონაცემთა ანალიზის ლაბორატორიის დამფუძნებელი და დირექტორი, ენის მოდელირების ასოციაციის თავმჯდომარე, ინტერნეტ საზოგადოების საქართველოს წარმომადგენლობის თავმჯდომარე.
- ტოკარევი გრიგოლ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ლ. ტოლსტოის სახელობის ტულის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, ტულა, უკრაინა.
- ფაღავა მამია** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.
- ქაცარავა მარინა** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
- ღარიბაშვილი მანანა** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო.
- შაიკენოვა ს.** – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ალმა-ატის კასპისპირეთის საზოგადოებრივი უნივერსიტეტი, ალმა-ატა, ყაზახეთი.
- შენგელია ვაჟა** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- შიოშვილი ირმა** - ფილოსოფიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო.
- ჩერნოვატი ლ.** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხარკოვის საერო უნივერსიტეტი, უკრაინა.
- ჩიხლაძე ნინო** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- ჭუმბურიძე იოსებ** - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.
- ხაჭაპურიძე რამაზ** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
- ხეჩინაშვილი გიორგი** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.
- ხეჩინაშვილი თამარ** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.

**Expert Review Board of the Journal:**

- Avanesian Grant** - Doctor of pshiqology. Professor. Yerevan. Armenia .
- Aidukovich Ian** - Doctor of Linguistics. Professor. Belgradi State University. Serbia.
- Anisimova Daria** - Doctor of Linguistics. Dositel. Moscow Academy of Sciences, Institute of Slavistic. Russia.
- Arveladze Ann** - Doctor of Art. access. - Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University.
- Arslan Kh.** - Doctor of Art. Professor. Stambuli State University. Turkey.
- Aphanasiadi Maria** - Doctor of Art. Professor. Frakia Democrite State University. Greece.
- Balanchivadze Rezo** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Tbilisi State University of Art. Georgia.
- Barkhalovi G.** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Baku State University of Slavistics. Azerbaidjan.
- Bakhtadze Dali** - Doctor of Linguistics. Professor. I.Chavchavadze State University. Tbilisi. Georgia
- Benidze Venedi** - Doctor of Law. Professor. Tbilisii. Georgia.
- Buniakova E.** - Doctor of Linguistics. Professor. Alba, Salento State University. Italy.
- Chernovati L.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Kharkovi National University. Ukrain.
- Chikhladze Nino** - Doctor of Law. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Chumburidze Josef** - Doctor of Art. Professor. Tbilisi. Georgia.
- Garibashvili Manana** - Doctor of Linguistics. Professor. Telavi State University. Georgia.
- Gavrilina Maria** - Doctor of Art. Professor. State University. Latvia.
- Gankevish Victor** - Doctor of Historical sciences. Vernadsky National University. Ukrain.
- Gersamia Rusudan** - Doctor of Linguistics. Accot.- Professor. Tbilisi. Georgia.
- Gogolasvili George** - Doctor of Linguistics. Professor. Arn. Chikobava Institute of Linguistics. Georgia.
- Goshkheteliani Iran** - Doctor of Linguistics. Professor. Batumi State University. Georgia.
- Guseva Olga** - Kandidat of Pedagogical sciences. Dotcent. Stambuli Fatikh University. Turkey.
- Datsevich Ludmila** - Doctor of Linguistics. Professor. Bellastok State University. Poland.
- Diomidova Ann** - Doctor of Linguistics. Professor. Vilnius State University. Litvua.
- Drozdova-Dies T.** - Doctor of Art. Professor. Madridi State University, Spain.
- Dumilovi Evgeni** - Doctor of Law. Professor. Russia.
- Ekshembeeva L.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Al Harabi National University. Kazakhstan.
- Vasilieva Neli** - Doctor of Linguistic sciences. Professor. Varna Vantsarova State Army and Flot Institute. Bulgaria.
- Izbule V.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Riga Psicological Institute. Latvia.
- Jolnerovich Petr** - Doctor of Art. Professor. Minsk State University. Belorussia.
- Kaitsuni Robert** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Yerevan Briusov State Linguistic University. Armenia.
- Kartozia Aleksandre** - Doctor of Art. Professor. Tbilisi Ivane Javakhishvili State University. Georgia.
- Katsarava Marina** - Doctor of Linguistics. full- Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Kvirikadze Nino** - Doctor of Art. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Kirvalidze Nino** - Doctor of Linguistics. Professor. Tbilisi. Illia State University. Georgia.
- Kirova L.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Tirna St. Kiril and Mefodi State University. Bulgaria.
- Khechinashvili George** - Doctor of medicine. Professor. Tbilisi. Georgia.
- Khechinashvili Tamar** - Doctor of medicine. Professor. Tbilisi. Georgia.
- Kobeshavidze Marine** - Doctor of Linguistics. Assist. Professor. Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Georgia.
- Kochloshvili Nino** - Doctor of Art. Professor. Telavi State University. Georgia.
- Kovtuni Aleksandr** - Doctor of Linguistics. Professor. Vilnius Vitautas Grait National University. Litva.
- Korenovska L.** - Doctor of Art. Professor. Krakov State Pedagogical University. Poland.
- Korotkaia Svetlana** - Doctor of Linguistics. Professor. Minsk State University. Belorussia.
- Levitsky Aleksandr** - Doctor of Art. Professor. Kievi T. Shevchenko National University. Ukrain.
- Leshak O.** - Doctor of Linguistics. Professor. Konovsky Humanitarian University. Keltse. Poland.
- Lortkipanidze Rusudan** - Doctor of Art. Professor. Kutaisi Musical college. Georgia.
- Margvelashvili Vladimer** - Doctor of medicine. Professor. Javakhishvili State University. Tbilisi. Georgia.
- Maglakelidze Natela** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Tbilisi Chavchavadze State University. Georgia.



- Makhmudova G.** - Doctor of Art. Baku musical academy. Azerbaidjan.
- Mudjiri Sophia** - Doctor of Linguistics. Assist.- Professor. Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Georgia.
- Nadareishvili Akaki** - Doctor of medicine. Professor. Tbilisi. Georgia.
- Nikoleishvili Sophia** - Doctor of Philosophy. Misuri-Columbia University. USA.
- Pagava Mamia** - Doctor of Linguistics. Professor. Shota Rustaveli State University. Batumi. Georgia.
- Petrosiani Emma** - Doctor of Historical sciences. Professor. Armenia.
- Pilishek S.** - Doctor of Psychology. Docent. Khmelnitsky National University. Ukrain.
- Rovenko Aleksandr** - Doctor of Art. Odessa State Conservatory. Ukrain.
- Sigua Soso** - Doctor of Art. Professor. Tbilisi Shota Rustaveli Institute of Literature. Georgia.
- Simiani Tigran** - Doctor of Art. Docent. Yerevan State University. Armenia.
- Sirbiladze Marina** - Doctor of Psychological sciences. Assos.- Professor. Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Sitchinava Neli** - Doctor of Linguistics. Assoc. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Skhirtladze Rati** – Founder and Director of Data Analysis Laboratory LTD, Chairman of Language Modeling Association, Chairman of Internet Society Georgia Chapter.
- Khachapuridze Ramaz** - Doctor of Linguistics. Associate Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Shaikenova S.** - Doctor of Law. Docent. Alma-ata University. Kazakstan.
- Shengelia Vaja** - Doctor of Linguistics. Professor. Arn. Chikobava Institute of Linguistics. Georgia.
- Shioshvili Irma** - Doctor of Philosophy. Professor. Telavi State University. Georgia.
- Starichenko Vasil** - Doctor of Art. Professor. Tanka State Pedagogical University. Minsk. Belorussia.
- Tavdgiridze Lela** - Doctor of Pedagogical Sciences. Professor. Shota Rustaveli State University. Batumi. Georgia.
- Tumanishvili Khatuna** - Doctor of Linguistics. Assoc.- Professor. Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Georgia.
- Attia Youseif** - Doctor of Linguistics. Assoc.- Professor. USA, Kolumbis University
- Zviadadze Natia** - Doctor of Linguistic. Assist.- Professor. Akaki Tsereteli State University. Georgia.

## ენათმეცნიერება Linguistic

# თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული სიტუაცია და კიპლინგის ნოველათა ციკლის კვლევის თეორიულ – მეთოდოლოგიური საფუძვლები

თამარ ალფაიძე, ლიანა ძოწენიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail:tamunaalpaidze@gmail.com

სტატია ეხება რადიკალ კიპლინგის მხატვრული შემოქმედების იმ სეგმენტს, რომელიც წარმოდგენილია მისი ნოველების ციკლით. არსებული ჰიპოთეზით კიპლინგის ნოველათა ციკლი წარმოადგენს ჟურნალისტური დისკურსის მხატვრულ დისკურსად ტრანსფორმირების შედეგს. კიპლინგის ნოველათა ციკლი ორი კულტურული სივრცის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის „შეხვედრა–შეჯახების“ თემას შეისწავლის. როგორც კიპლინგის შემოქმედებითი ბიოგრაფიისთვის, ისე მისი ნოველისტიკის პოეტიკისთვის აუცილებელი ხდება ორი კულტურული ფენომენის არა მხოლოდ ურთიერთდაკავშირება, არამედ ნოველათა გაანალიზების პროცესში შინაგანი კავშირის გათვალისწინებაც. ხსენებული ანალიზი კი არა მხოლოდ რეპორტაჟის როგორც ჟურნალისტური ჟანრის შინაგან (შეიძლება ითქვას ქვეტექსტურ) კვალს უნდა ხედავდეს ამ ნოველებში, არამედ იმასაც, რომ კიპლინგის რეპორტიორობა გარდუვალად ნიშნავს მისი როგორც დასავლური კულტურის წარმომადგენლის ადგილს და როლს. დასახელებული თემა კი აღიქმება პრობლემად იმ პარადიგმული ფაქტორის გათვალისწინებით, რომელსაც წარმოადგენს თვით საკვლევი ობიექტის

*მრავალგანზომილებიანობა, ანუ ის ფაქტი, რომ იგი ერთდროულად ეკუთვნის სინამდვილის სამ განზომილებას – ენობრივს, მხატვრულს და კულტურულს.*

**საკვანძო სიტყვები:** რ. კიპლინგი, ნოველები, ნოველისტიკის პოეტიკა

კიპლინგის ნოველათა ციკლი წარმოადგენს ჟურნალისტური დისკურსის მხატვრულ–ლიტერატურულ დისკურსად ტრანსფორმირების შედეგს. და რაში მდგომარეობს მოცემულ შემთხვევაში ჟურნალისტური დისკურსის მხატვრულ დისკურსად ტრანსფორმირების არსი და სტრუქტურა?

თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ განსხვავება ჟურნალისტურ და მხატვრულ დისკურსებს შორის. ეს საკითხი კი ჯერ კიდევ ღიად რჩება და ვერ ხერხდება იმის დადგენა, სად მთავრდება ერთი დისკურსი და იწყება მეორე [ფილიპსი, 2004:219].

დისკურსის თეორიისთვის ასეთ მნიშვნელოვან კითხვაზე პასუხის გაცემისას საბოლოო სიტყვა უნდა ეკუთვნოდეს ინტერდისციპლინარულ მეთოდოლოგიას. იმისთვის, რომ დადგინდეს მოცემული დისკურსის ტიპი, აუცილებელია იმის დაკონკრეტება თუ რა ადგილი უკავია მოცემულ დისკურსს მოცემული კულტურული სივრცის ფარგლებში. ყურადღება უნდა გავამახვილოთ ისეთ არაორდინალურ კულტურულ ფაქტთან, როგორცაა ჟურნალისტის მწერლად (ანუ მხატვრულ შემოქმედად) გარდაქმნა, და გავითვალისწინოთ იმ პიროვნების შემოქმედებითი ბიოგრაფია.

ნოველის ჟანრობრივი არსი და სტრუქტურა უკავშირდება ისეთ ჟურნალისტურ არსსა და სტრუქტურას, როგორცაა რეპორტაჟი. არსებული მოსაზრების მიხედვით კიპლინგისეული ნოველა წარმოადგენს სწორედ ჟურნალისტური ჟანრის - რეპორტაჟის - ტრანსფორმაციის შედეგს. და უფრო მეტიც, კიპლინგისეული ნოველა წარმოადგენს არა მხოლოდ რეპორტაჟის, არამედ ჟურნალისტურ ჟანრთა მთელი ერთობლიობის ტრანსფორმაციის შედეგს.

მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიის განხილვისას აუცილებელია გავითვალისწინოთ კულტუროლოგიური ასპექტი. როგორც ცნობილია, კიპლინგის მოღვაწეობის ორივე ეტაპი – როგორც ჟურნალისტური, ისე “მწერლური” – შინაგანად უკავშირდება ისეთ კულტუროლოგიურ პრობლემას, როგორცაა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთდაპირისპირება.

შეუძლებელია კიპლინგისეული ნოველისტიკის ადეკვატური ანალიზი იმ პრობლემის გათვალისწინების გარეშე, რომელსაც ზოგადად დასავლეთისა და აღმოსავლეთის შეპირისპირების პრობლემა ეწოდება. თანამედროვე კულტუროლოგიურ ლიტერატურაში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ კონცეპტუალური წყვილი დასავლეთი და აღმოსავლეთი წარმოადგენს იმ აზრობრივ კონსტრუქციას, რომელიც გამომუშავებული აქვს კაცობრიობის კულტუროლოგიურ აზროვნებას მსოფლიო კულტურის პირველადი ტიპოლოგიზაციის მიზნით. დასავლეთი და აღმოსავლეთი წარმოადგენს ისეთ კატეგორიას, რომელიც გვიჩვენებს მსოფლიო კულტურას როგორც პოლარიზებულ მთლიანს [კონდაკოვი, 2004:211-212].

კიპლინგისეული შემოქმედების ნაწილს წარმოადგენს მისი ნოველების ციკლი. ხოლო მთელი მისი შემოქმედება ეძღვნება დასავლეთის და აღმოსავლეთის როგორც კულტურულ სივრცეთა შეხვედრა-შეჯახების თემას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა იმის დანახვა და გააზრება, თუ როგორ ხდება კიპლინგის ნოველისტიკაში თანამედროვე სამყაროსთვის ისეთი გლობალური პრობლემის გამოხატვა, როგორცაა დასავლეთის და აღმოსავლეთის კულტუროლოგიური პრობლემა. პრინციპულად ხაზგასმულია დასავლეთის და აღმოსავლეთის ურთიერთმიმართების ორი შინაგანად ურთიერთდაკავშირებული ნიშანთვისება, რომლებიც ერთმანეთს გამორიცხავენ და ამავე დროს ერთმანეთს ავსებენ როგორც ანტინომიური პოლარული საწყისები.

ჩვენი ანალიზი უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ რეპორტაჟის როგორც ჟურნალისტური ჟანრის შინაგან (შეიძლება ითქვას ქვეტექსტურ) კვალს ამ ნოველებში, არამედ იმის მნიშვნელობასაც, რომ კიპლინგის რეპორტიორობა ნიშნავს მისი, როგორც დასავლური კულტურის წარმომადგენლის ადგილს და როლს.

ნოველათა ციკლი კიპლინგმა შექმნა სწორედ იმ დროს როცა იგი ინდოეთში ეწეოდა ჟურნალისტურ მოღვაწეობას. როგორც აღნიშნავენ, კიპლინგისეული ნოველები გამოჩნდა იმ პერიოდში, როცა მისი ყურადღების ცენტრში მოექცა დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა თანაარსებობისა და ურთიერთშემოქმედების პრობლემა ინდური სინამდვილის ფარგლებში. და კიპლინგი-რეპორტიორი იქცა (ტრანსფორმირდა) კიპლინგ-მწერლად;

ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის გამოყენება მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია არა მხოლოდ იმ ფაქტის გამო რომ ინტერდისციპლინარულობა იქცევა

დღეისთვის ნებისმიერი ჰუმანიტარული კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლად, არამედ იმის გამოც რომ ეს ის შემთხვევაა როცა „რეპორტაჟულობა იქცა ლიტერატურულ მეთოდად“ [კიპლინგი,1983:17].

დისკურსი გვაქვს ყველგან, სადაც გვაქვს ვერბალური კომუნიკაცია. მაგრამ, დისკურსის ზოგადჰუმანიტარული სტატუსი გულისხმობს იმასაც, რომ საქმე გვაქვს დისკურსის ტიპოლოგიასთანაც იმის გათვალისწინებით თუ სოციალური სინამდვილის რომელ სეგმენტში ხორციელდება დისკურსი. ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ რომ დისკურსის ნებისმიერი ტიპი ატარებს ინტერსუბიექტურ ხასიათს, რაც გულისხმობს ადრესანტისა და ადრესატის თანაარსებობას;

ამასთანავე, დისკურსი წარმოადგენს არა მხოლოდ ამა თუ იმ ენობრივი სისტემის აქტუალიზაციას, არამედ იმ კულტურის აქტუალიზაციასაც, რომლის მატარებლები (და სუბიექტები) არიან დისკურსით ნაგულისხმევი ადრესანტი და ადრესატი;

დისკურსის თანმხლებ ფენომენს ყოველთვის წარმოადგენს ტექსტი როგორც დისკურსის საკუთრივ ენობრივი განზომილება; ტექსტის ტიპს კი განსაზღვრავს დისკურსის ტიპი; კიპლინგისეული ნოველა გვაყენებს ისეთი პრობლემის წინაშე, რომელიც გულისხმობს დისკურსთა ერთი ტიპის მეორე ტიპად ტრანსფორმაციას რაც შესაბამისად გულისხმობს ტექსტის შესაბამის ტრანსფორმაციასაც.

კიპლინგის როგორც ჟურნალისტი–რეპორტიორის შემოქმედ–მწერლად ტრანსფორმირება ნიშნავს არა მხოლოდ რეპორტაჟის ნოველად ტრანსფორმირებას, არამედ მოცემულ შემთხვევაში ჟურნალისტური დისკურსის, როგორც ერთი მთლიანის, მხატვრულ დისკურსად ტრანსფორმირებას;

კიპლინგის ნოველაში ტრანსფორმირებული სახითაა მოცემული (სიღრმისეული ფენის როლში) ჟურნალისტური დისკურსის სამივე განზომილება – ინფორმაციულობა, ანალიტიკურობა და მხატვრული ნარკვევი.

კიპლინგისეული ნოველის ფარგლებში აღნიშნული სამი ჟურნალისტური განზომილება ტრანსფორმირებული სახით გამოიყურება შემდეგნაირად. რეპორტაჟულობისთვის დამახასიათებელი დროითი პარამეტრი ტრანსფორმირებულია ქრონოტოპად (ანუ ეპოქალურად გაგებულ დროთ). ანალიტიკური ჟანრისთვის დამახასიათებელი არგუმენტირებულობა–

ტრანსფორმირდება ნოველის პერსონაჟის ბიოგრაფიის შინაგან, ანუ ეგზისტენციალურ ასპექტთა ჩვენებით. რაც შეეხება ჟურნალისტურ მხატვრულ-პუბლიცისტურ ჟანრს, იგი ტრანსფორმირებულია ნოველის მთელი პოეტიკით; დისკურსის ამ ორ ტიპს შორის არსებული განსხვავება ასახულია კიპლინგისეული ნოველის როგორც ჟანრობრივ, ისე კომპოზიციურ სტრუქტურაში. მხატვრული დისკურსი ასახავს ადამიანურ ფენომენტთა იმ სპეციფიკურ მთლიანობას, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „მე სამყაროში“, ანდა თუ გამოვიყენებთ თანამედროვე ფილოსოფიის ენას-„ეგზისტენცია“. ეგზისტენცია მიუთითებს ადამიანის შინაგან ბირთვზე, მის იმ საბოლოო და უპირობო ცენტრზე რომელთან შედარებით ყოველი დანარჩენი მონაცემი გამოიყურება გარეგნულად [კონდაკოვი,1999: 35].

„ლისპეტი“ კულტურის აღმოსავლური სივრცე წარმოდგენილია თითქმის მის მთლიანობაში და მისი (ამ მთლიანობის) წარმოდგენა ხდება დასავლურ კულტურასთან შეხვედრა-შეჯახების გზით. შემდეგ ორ ნოველაში აღნიშნული სივრცე დაკონკრეტებულია შემდეგი ნიშნით:

1. ნოველაში – “The Gate of the Hundred sorrows” –წარმოდგენილია ტიპურად აღმოსავლური კულტურის ადამიანი, როგორც მოზრდილი მამაკაცი,

2 ნოველაში – “The Story of Muhammad Din” – იგივე რეალობა დაკონკრეტებულია აღმოსავლელი ბავშვის ქცევითი მოდელირების გზით.

“He dropped bazar-rum and took to the Black Smoke instead”.

მოყვანილი ფრაგმენტი, „ცენტრირებულია“ ოპიუმით და მისით გამოცემული შავი კვამლით. ამგვარი ექსპოზიცია – თუკი ნოველის სიუჟეტს პერსპექტივაში დავინახავთ – უკვე თითქოს და „აუქმებს“ სივრცისა და დროის იმ განსხვავება-დაპირისპირებას, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ეპიკურობის (განსაკუთრებით კი კიპლინგისეული ეპიკურობა) სიუჟეტურ დინამიზმს. მაგრამ, იგივე აბზაცში მთხრობელი აგრძელებს ოპიუმის მომხმარებლის და ამავე დროს ნოველის ძირითადი პროტაგონისტის ისეთ დახასიათებას, რომელიც ნათლად გვიჩვენებს კიპლინგისეული ეპოქის აღმოსავლეთის შინაგანად ორმაგ ბუნებას როგორც სიმდიდრისადმი გულგრილ დამოკიდებულებას (ეს ის პოზიციაა, რომელსაც ამჟღავნებს თავად მთხრობელი). ნოველაში „ლისპეტი“ აღმოსავლელი ქალის ეგზისტენციალური ტრაგედიის ჩვენებით, კიპლინგი გვიხატავს აღმოსავლეთისა და დასავლეთის არა მხოლოდ შეხვედრის,

არამედ ურთიერთშეჯახებას, ანუ მათი ურთიერთმიმართების შინაგან კონფლიქტურობას. ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ თითქმის ერთნაირი სიხშირით „ლისპეტში“ გამოიყენება აზნაოც და ფორიკაც.

თუმცა, ამავე დროს ვხედავთ მკვეთრ განსხვავებას „ლისპეტთან“ მიმართებაშიც: თუ „ლისპეტში“ აზნაოცისა და ფორიკის შერწყმა უზრუნველყოფდა რომანისა და ნოველის ჟანრთა შერწყმას, აქ, პირიქით, საქმე გვაქვს უკვე ისეთ „რომანულობასთან“, რომელიც თითქმის მთლიანად მოკლებულია დინამიურობას ამ ჟანრის დასავლური გაგებით. დასავლეთის და აღმოსავლეთის შეპირისპირება ხორციელდება სიმბოლური ნომინაციაზე დაყრდნობით. ოპიუმის კვამლი ისევე იქცევა აღმოსავლურ სიმბოლოდ, და შესაბამისად, სიმბოლურად ასახელებს აღმოსავლეთს, როგორც ფული – დასავლეთს.

ჩვენი კვლევითი მეთოდოლოგია ეფუძნება თანამედროვე აზროვნების ორ ისეთ ძირითად ტენდენციას, როგორცაა, ერთის მხრივ ინტერდისციპლინარულობა, მეორეს მხრივ კი, ინტერპარადიგმულობა.

რაც შეეხება ინტერპარადიგმულობას, იგი უნდა გულისხმობდეს მეცნიერული პარადიგმის როგორც მეთოდოლოგიური კონცეპტის ურთიერთმიმართებას ორ დონეზე – როგორც საკუთრივ ლინგვისტურ, ისე ზოგადჰუმანიტარულ დონეზე. ამგვარად გაგებული მეცნიერული პარადიგმის კატეგორია უნდა დაკონკრეტდეს ისეთ კონცეპტზე დაყრდნობით, როგორცაა პარადიგმული სიტუაცია.

თავად პარადიგმული სიტუაცია ორივე ხსენებულ დონეზე გულისხმობს ამა თუ იმ პარადიგმის დომინირებას. განსაზღვრული დომინანტური პარადიგმა ხსენებულ ორ დონეზე ასე გამოიყურება: თანამედროვე აზროვნების ზოგადჰუმანიტარულ დონეზე დომინირებს კულტუროცენტრიზმი, თანამედროვე ლინგვისტიკაში კი ლინგვოკულტუროლოგია.

კვლევითი მეთოდოლოგია წარმოადგენს ინტერდისციპლინარულობის და ინტერპარადიგმულობის ერთობრიობას. ინტერპარადიგმულობა დაკონკრეტებულია ისეთ ზოგადჰუმანიტარულ კვლევით პარადიგმებზე დაყრდნობით, როგორცაა ანთროპოცენტრიზმი და კულტუროცენტრიზმი. საბოლოო ანგარიშში კიპლინგვისეული ნოველები უნდა დავინახოთ როგორც ტექსტები, რაც შეუძლებელია ტექსტის თანამედროვე ლინგვისტური თეორიის (ანუ „ტექსტის ლინგვისტიკის“) გათვალისწინების გარეშე. ეს კი გულისხმობს, რომ ლინგვისტურად

გაგებული ნებისმიერი ტექსტის ცენტრალურ კატეგორიას წარმოადგენს კოჰეზიურობის კატეგორია, რაც ერთდროულად ორ შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ, მაგრამ ამავე დროს არათანხვედრ ამოცანას აყენებს:

ა) ყოველ გასაანალიზებელ კიპლინგისეულ ნოველაში – თუ, რა თქმა უნდა, ამ ნოველებს დავინახავთ როგორც ტექსტებს ლინგვისტური გაგებით და ამით განვახორციელებთ ამა თუ იმ ტექსტის კოჰეზიურ ანალიზს, მაშინ უნდა დადგინდეს შინაგანი კავშირი ამ ტექსტის კოჰეზიურ სტრუქტურასა და მის დისკურსულ და კულტურულ ასპექტებს შორის;

ბ) ამავე დროს, რაკი საქმე გვაქვს არა ერთ კიპლინგისეულ ნოველასთან, არამედ ნოველათა ციკლთან, ჩნდება იმის აუცილებლობა, რომ კვლევის ლინგვისტურად ცენტრირებულობა ნიშნავდეს, რომ ნოველათა ციკლი დანახულ უნდა იქნეს მეტათემატურად, ანუ ერთიანი თემატიკის ფარგლებში და ამავე დროს მეტაკოჰეზიურად, ანუ იმის გათვალისწინებით, როგორ უკავშირდება ერთმანეთს კიპლინგისეული ტექსტები საკუთარ კოჰეზიათა ურთიერთშეთანხმების გზით.

სტატიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ჟურნალისტური დისკურსის მხატვრულ დისკურსად ტრანსფორმირების ის ფაქტი, რომელიც უკავშირდება კიპლინგის შემოქმედებით ბიოგრაფიას. იგი გააზრებულ იქნა, ერთის მხრივ, **კულტუროცენტრისტულად** – თუ ვიგულისხმებთ პარადიგმულ სიტუაციას ზოგადჰუმანიტარულ დონეზე – და, მეორეს მხრივ, **ლინგვოკულტუროლოგიურად**, – თუ ვიგულისხმებთ ზოგადჰუმანიტარული კულტუროცენტრიზმის შიდა ლინგვისტურ გამოვლინებას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. კიპლინგი რ., - Short stories, Moscow, Raduga Publishers (1983)
2. კონდაკოვი კ., - Речептивная эстетика Западного Литературоведение XX Века Intrada, Москва(2004)
3. ლეხანიძე გ., - კულტუროლოგიის საფუძვლები, თბ., გამომცემლობა „ენა და კულტურა“.
4. ფილიპსი ს., - Дискурс-анализ. (Телория и метод. Харьков. 2004



**Tamar Alpaidze, Liana Dzotsenidze**

Akaki Tsereteli State University

**Short story poetics and theoretical and methodological bases of research into  
Kipling's short story cycle**

**Abstract**

According to the recent hypothesis, Kipling's short stories are considered to be the products of the transformation of journalistic discourse into a literary one. Kipling's short stories deal with the topic of "clashes" of Western and Eastern cultures. Linking these two cultural phenomena is an essential factor in his biography as well as poetics of his short stories and their internal connection needs to be considered in the analysis of the stories. This analysis should not only identify the traces of a report as a journalistic genre (even if at the level of subtext), but also confirm that Kipling's work as a reporter implies his role as a representative of the Western culture. The given topic can be perceived as a problem due to the paradigmatic factor represented by its multidimensional nature i.e. the fact that it belongs to three dimensions of reality – linguistic, fictional and cultural.

**Key words:** R. Kipling, short stories, the poetics of short stories

რეცენზენტი: პროფესორი ნ. კირვალიძე

## გენდერულ-ნეიტრალური ენა ინგლისურ და ფრანგულ სამეტყველო კულტურებში

ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე, ქეთევან გაბუნია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
email: [tsiuriakhvlediani@yahoo.com](mailto:tsiuriakhvlediani@yahoo.com); [kuparadze.george@gmail.com](mailto:kuparadze.george@gmail.com);

გენდერული ლინგვისტიკა დეტალურად შეისწავლის გენდერულ-ნეიტრალურ ასპექტს, რომელიც ვლინდება ენაში. ერთ-ერთი მისი დებულება გვაუწყებს, რომ ენა არა მარტო ისეთ თვისებას ფლობს, როგორცაა ანთროპოცენტრულობა (ადამიანზე ორიენტაციები), არამედ ანდროცენტრულობასაც, ანუ წარმოგვიდგენს სამყაროს სურათს, რომელიც ეფუძნება მამაკაცურ თვალსაზრისს, მამაკაცის სახით. ენაში ასეთი გენდერული ასიმეტრიის გამოვლენა იწვევს არათანაბარზომიერ წარმოდგენას სხვადასხვა სქესის პირებზე და განიხილება არატოლერან-ტულად, განსაკუთრებით უცხოენოვანი კულტურის წარმომადგენელთა შორის.

ჩვენ ნაშრომში განვიხილავთ გენდერულ-ნეიტრალური ენის თავისებურებებს ინგლისურ და ფრანგულ ლინგვოკულტურებში, განვსაზღვრავთ გენდერულ-ნეიტრალური ლექსიკის მსგავსება - განსხვავებებსა და მათი წარმოქმნის ხერხებს. აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ენობრივ პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტკორექტულობის მოთხოვნები, რომლებიც განპირობებულია არაენობრივი მიზეზებით.

ინგლისურ და ფრანგულ ლინგვოკულტურებში სხვადასხვა ხერხით ენიჭება პრიორიტეტი რეფერანტ - ქალთა აღნიშვნას პროფესიულ სფეროში. ინგლისური ენისათვის უფრო მეტად დამახასიათებელია (და ამის შედეგად, უფრო გავრცელებულია) ნეიტრალური ფორმები. ფრანგულ ენაში კი უპირატესობა ენიჭება ფორმებს ფლექსიათა ცვლილებებით ან სახელწოდებათა წარმოქმნის ანალიტიკურ ხერხებს. ასევე, ევროპულ საზოგადოებაში, ენობრივ პოლიტიკაზე და გენდერულ-ნეიტრალური ენის გამოყენებაზე დიდ გავლენას ახდენენ პოლიტკორექტულობის მოთხოვნები, განპირობებულნი ექსტრალინგვისტური მიზეზებით.

**საკვანძო სიტყვები:** გენდერულ-ნეიტრალური, პოლიტკორექტულობა, გენდერული ასიმეტრია, სოციოლინგვისტური პოლიტიკა, გენდერული მარკირებულობა.

გენდერული ლინგვისტიკა დეტალურად შეისწავლის გენდერულ-ნეიტრალურ ასპექტს, რომელიც ვლინდება ენაში. ერთ-ერთი მისი დებულება გვაუწყებს, რომ ენა არა მარტო ისეთ თვისებას ფლობს, როგორცაა ანთროპოცენტრულობა (ადამიანზე ორიენტაციები), არამედ ანდროცენტრულობასაც, ანუ წარმოგვიდგენს სამყაროს სურათს, რომელიც ეფუძნება მამაკაცურ თვალსაზრისს, მამაკაცის სახით. ენაში ასეთი გენდერული ასიმეტრიის გამოვლენა იწვევს არათანაბარზომიერ წარმოდგენას სხვადასხვა სქესის პირებზე და განიხილება არატოლერანტულად, განსაკუთრებით უცხოენოვანი კულტურის წარმომადგენელთა შორის. ასევე, სოციოლინგვისტურ პოლიტიკაზე, და შესაბამისად, გენდერულ-ნეიტრალური ენის გამოყენებაზე, ევროპულ საზოგადოებაში, დიდ გავლენას ახდენს პოლიტკორექტულობის ნორმატიული მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც, პიროვნებათა ჯგუფისადმი მიმართვისას, თავდაპირველად მიმართავენ ქალბატონებს, შემდეგ კი - მამაკაცებს (მაგალითად, **chères clientes et chers clients**). ყველა ენაში, რომელშიც არის სქესის კატეგორია, ნეიტრალიზაცია ხდება მამრობითი სქესის მიხედვით. მაგალითად, პროფესიული ნიშნის მიხედვით, ადამიანები იწოდებიან მხოლოდ ერთი სიტყვით, რომელიც ჩვეულებრივ, მამრობითი სქესისაა: **ministre, président, , médecin, professeur** ( ინგლისურ ენაში აღნიშნულს ლექსიკურ ერთეულებს პირდაპირ მამრობით სქესს ვერ მივაკუთვნებთ ერთი მარტივი მიზეზის გამო - ინგლისურ ენაში არ არსებობს გრამატიკული სქესის რაობა და, შესაბამისად, სიტყვების სქესთა კატეგორიებად დაყოფა არ ხდება) და სხვ. როდესაც ვლაპარაკობთ საერთოდ ადამიანზე, ასევე ვიყენებთ მამრობითი სქესის სიტყვას, კერძოდ, ნაცვალსახელს «**il**». ფრანგულ და ინგლისურ ენებში ხდება ცნებების «ადამიანისა» და «მამაკაცის» გაიგივება, რადგან მათ აღსანიშნად გამოიყენება ერთი და იგივე სიტყვა (**a man** ინგლისურში, **un homme** ფრანგულში). თუმცა, ბოლო დროს, ხშირად შეინიშნება ტენდენცია, რომ «ადამიანის» მნიშვნელობით, გამოყენებულ იქნეს ისეთი სიტყვები, როგორებიცაა «**a person**» ინგლისურენოვან და «**une personne**» ფრანგულენოვან ლინგვოკულტურებში. გენდერული ასიმეტრია თანდათანობით ქრება იმ ენებში, რომლებშიც ძლიერია გენდერული ლინგვისტიკის გავლენა. პირველ რიგში, ეს ეხება ინგლისურ ენას. მაგალითად, პროფესიათა აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებიც შეიცავენ სიტყვას «**man**», მონაცვლეობენ სიტყვით «**woman**» -ით (ქალბატონისადმი მიმართვის შემთხვევაში), ან ნეიტრალური სიტყვით «**person**». ასევე გვხვდება სიტყვა «**woman**» -ის იმგვარად შეცვლილი ფორმა, რომ არ ჩანდეს მისი წარმომავლობა სიტყვიდან «**man**»: «**womyn**». გენდერული მარკირების თავიდან აცილებისათვის, ასევე გამოიყენებენ ისეთ გრაფიკულ საშუალებებს, როგორცაა «**s/he**», მხოლოდბითი რიცხვის, მესამე პირის ნეიტრალურ ნაცვალსახელს, რომელიც აღნიშნავს ერთდროულად «**he**» და «**she**» -ს. ოფიციალურ დოკუმენტებში, ასევე დიდ ბრიტანეთში და აშშ-

ში გამოცემულ ინგლისური ენის სახელმძღვანელოებში, გვხვდება ვარიანტები «**he or she**», «**his or her**» და ა. შ. ამ გენდერულ-ნეიტრალური ლინგვისტური პოლიტიკის შესაბამისად, შემოთავაზებულია მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის გენდერულ-ნეიტრალური ნაცვალსახელი «**sie**», ნეიტრალური კუთვნილებითი ნაცვალსახელი «**hir**» და უკუქცევითი ნაცვალსახელი «**hirsself**». მსგავსი ცვლილებები დიდი რაოდენობითაა ენაში. ბუნებრივია, რომ შემოთავაზებული ყველა სიახლე ვერ აღწევს ენაში და ენის მატარებლები აფასებენ მათი გამოყენების ღირებულებას. ინგლისურში, უკვე არსებობს მრავალი მაგალითი სქესის მიხედვით პროფესიათა ძველი სახელწოდებების შეცვლისა ახალი პოლიტკორექტული სახელებით, მაგალითად, **airline steward, stewardess - flight attendant; barman, barmaid - barperson, bartender; cameraman, camerawoman - camera operator, chairman - chairperson; fireman - fire fighter; fisherman - fisher; hairdresser - hair stylist**.

**ფრანგულ ენაში** ორი სქესია - მამრობითი და მდედრობითი. ანთროპონიმთა ქვეკლასში განასხვავებენ მამრობითი სქესის (**un auteur, un ingénieur**), მდედრობითი სქესის (**une infirmière, une fille**) და საერთო სქესის (**un/une adversaire, un/une consierge, un/une élève**) სიტყვებს. თუმცა, ამათთან ერთად, ფუნქციონირებს სქესის სხვა მაჩვენებლებიც: მორფოლოგიური (**voisin-e**), სიტყვაწარმოებითი (**directeur, directrice**), სემანტიკური (**frère - sœur**), სინტაქსური (**mon petit garçon - ma petite fille**). ამავდროულად, ფრანგული ენის განმასხვავებლობითი თავისებურებაა სქესის ანალიტიკური გამოხატვის სიჭარბე, რადგანაც სქესის მარკერებში ძირითად როლს ასრულებენ არტიკლები, ნაცვალსახელოვანი ან კუთვნილებითი ზედსართავი სახელები. მდედრობითი სქესის არსებითი სახელები, როგორც წესი, წარმოებულნი არიან მამრობითი სქესის არსებითი სახელებისაგან (**étudiant - étudiante, ouvrier - ouvrière**), მამრობითი მნიშვნელობის გამოყენება ქალბატონის მიმართ, ამაღლებს მის სტატუსს (**maître**), ხოლო მამაკაცის გამოხატვა მდედრობითი სქესის ფორმით კი, პირიქით, დამამცირებელი კონოტაციის შემცველია. «ქალურობის» მნიშვნელობიან სუფიქსებს, ფრანგულ ენაში, არ გააჩნიათ რაიმე დამატებითი კონოტაცია; ლექსემები **la présidente, la ministre, la consule** არ ატარებენ ნეგატიურ კონოტაციას და შეიძლება იხმარებოდნენ მეტყველების ოფიციალურ რეგისტრში, მაგალითად, საზოგადოებრივ პოლიტიკურ დისკურსში. ფრანგულ ენაში, ასევე შეინიშნება გენდერული ასიმეტრიის არსებობა. ამგვარად, ფრანგულ ენაში, მდედრობითი სქესის პროფესიების სახელწოდებების შექმნისას, არსებული აფიქსალური დერივაციის განვითარებული სისტემა სრულ საშუალებას იძლევა, რომ გამოხატოს მოვლენა, რომლის დროსაც ქალბატონი იჭერს ტრადიციულ მამაკაცურ თანამდებობას (**une diplomate, une avocate, une ambassandrice**). ამ ორი ენის ენობრივი პოლიტიკა არსებითად განსხვავებულია. კერძოდ, ფრანგულ ენაში, შეინიშნება

ქალის როლის გაძლიერების ტენდენცია, ინგლისურ ენაში კი, მოხდა ნამდვილი «პოლიტკორექტული» რევოლუცია, რომლის შედეგადაც გაჩნდა ენის მაქსიმალური ნეიტრალიზაცია გენდერული მიმართულებით. ინგლისურ ენაში შეინიშნება პროფესიათა სახელწოდებების ნეიტრალიზაციისაკენ ტენდენცია სქესის ნიშნით. როდესაც აუცილებელია გენდერული კუთვნილების დაზუსტება, ინგლისურ ენაში ხშირად იყენებენ ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა **male, female, man, woman, boy, girl, lady**.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ინგლისურ და ფრანგულ ლინგვოკულტურებში სხვადასხვა ხერხით ენიჭება პრიორიტეტი რეფერანტ-ქალთა აღნიშვნას პროფესიულ სფეროში. ინგლისური ენისათვის უფრო მეტად დამახასიათებელია (და ამის შედეგად, უფრო გავრცელებულია) ნეიტრალური ფორმები (**flight attendant, chairperson**), ფრანგულ ენაში კი უპირატესობა ენიჭება ფორმებს ფლექსიათა ცვლილებებით ან სახელწოდებათა წარმოქმნის ანალიტიკურ ხერხებს. ასევე, ევროპულ საზოგადოებაში, ენობრივ პოლიტიკაზე და გენდერულ-ნეიტრალური ენის გამოყენებაზე დიდ გავლენას ახდენენ პოლიტკორექტულობის მოთხოვნები, განპირობებულნი ექსტრალინგვისტური მიზეზებით.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Fassin, Eric (September 2016). "Gender is/in French", *differences: A Journal of Feminist Cultural Studies*. 27 (2): 178–197. doi:10.1215/10407391-3621771
2. Greco L., (2014), *Les recherches linguistiques sur le genre*, Paris.
3. Wood, Julia T., (2013). *Gendered Lives: Communication, Gender, and Culture (10th ed.)*. Boston, MA: Wadsworth. ISBN 978-1-428-22995-2. Contents, Introduction, Ch. 1
4. Paveau M., (2002), *La féminisation des noms de métiers*, Paris.
5. Freed, Alice F.; Greenwood, Alice (March 1996). "Women, men, and type of talk: What makes the difference?". *Language in Society*. 25 (1): 1–26. doi:10.1017/S0047404500020418

Tsiuri Akhvlediani, Giorgi Kuparadze, Ketevan Gabunia**Gender-Neutral Language in English and French Linguo-Cultures****Abstract**

Gender linguistics studies the gender-neutral aspect in detail that is usually manifested in a language. One of its provisions tells us that language not only possesses such qualities as anthropocentrism (human orientations) is, but it also implies androcentrism, that is, that it presents a picture of the world based on a masculine viewpoint, in the form of a man (as a personality). The manifestation of such gender asymmetry in the language leads to unequal representation of persons of different sexes and is considered to be intolerant, especially among the members of a foreign language culture.

In our paper we deal with the peculiarities of gender-neutral language in English and French linguo-cultures, determine the similarities - the differences between gender-neutral lexis and try to show the cases in which they occur in the process of language interaction. It should be noted that the requirements of political correctness, which are due to non-linguistic reasons, play an important role in the language policy of any country.

In conclusion, it should be admitted that in English and French linguistics, the priority to the designation of women in the professional field is given in different ways. Neutral forms are more common (and therefore more widespread) in English whereas in French, however, the forms with inflectional changes or analytical structures of generating nouns are more preferable. Anyway, in European society, language policy and the use of gender-neutral language are greatly influenced by political correctness requirements due to extralinguistic reasons.

**Key words:** gender-neutral, political correctness, gender asymmetry, sociolinguistic policy, gender marking.

რეცენზენტი: პროფესორი მ. ღარიბაშვილი

## ანთროპონიმთა სემანტიკური თეორიების საკითხისათვის

### ნინო კვირიკაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
e-mail: ninokvirikadze@yahoo.com

*ნაშრომში წარმოდგენილი და გაანალიზებულია ანთროპონიმების სემანტიკური თეორიები და კვლევის ისტორია, ანთროპონიმების სინტაქსური მახასიათებლები, ანთროპონიმთა სემანტიკასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, ანთროპონიმის განსაზღვრულ და განუსაზღვრელ არტიკლთან პირველადი და მეორადი გამოყენების თავისებურებები. რაც შეეხება კვლევის ტრადიციას, ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ენათმეცნიერული მოსაზრებები და კონცეპციები, რომლებიც თეორიების სახით ჩამოყალიბდა. კერძოდ, სახელდების თეორია, ანთროპონიმთა დესკრიპციული თეორია და ანთროპონიმთა მეტალინგვისტური თეორია. მათი შესწავლის საგანს წარმოადგენს ანთროპონიმთა ლექსიკურ-აღწერითი მნიშვნელობა, ძირითადი რეფერენცია, კონტექსტზე დამოკიდებულება, ინფორმაციულ-კოგნიტიური შინაარსი, საკომუნიკაციო აქტის მონაწილეთა კონვენცია (ურთიერთშეთანხმება).*

ანთროპონიმების (საკუთარი სახელი, Nomen proprium) შესწავლა იმ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა გამოკვლევასა და განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ენათმეცნიერებაში. ანთროპონიმების კვლევა დაკავშირებულია სახელდებლასთან/ნომინაციასთან. აკადემიკოს თ.გამყრელიძის აზრით, „ნომინაციის თეორია პირველ რიგში აზროვნების ცნებითი ფორმების თანაფარდობას უკავშირდება, იმის მიხედვით, თუ როგორ იქმნება, ყალიბდება და ნაწილდება ობიექტური რეალობის ცალკეული ფრაგმენტების სახელწოდებები. ნომინაციის დროს, საგნისა თუ მოვლენის გამორჩევა ამა თუ იმ ნიშნით ხდება და სწორედ ეს ნიშანია სახელდების საფუძველი. ეს საგნის «შინაგანი ფორმა», ხოლო თავად სახელის შერქმევა ენის ლექსიკურ-გრამატიკული სელექციით განისაზღვრება. შინაგანი ფორმა აისახება ლექსიკურ ერთეულზე, ანუ ხდება საგნის სახელდება“ [გამყრელიძე 2008: 354].

თანამედროვე ლინგვისტური მოსაზრებების მიხედვით, საკუთარი სახელების პრობლემატიკა სცილდება ონომასტიკის ჩარჩოებს (რომელიც ძირითადად სახელთა

ეტიმოლოგიას იკვლევს) და მოიცავს სხვა ენათმეცნიერულ დონეებსაც (ფონეტიკა/ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი, სიტყვათწარმოება, ტექსტი, ორთოგრაფია, სინქრონული და დიაქრონული კვლევები). იგი განპირობებულია ანთროპონიმების რთული სემანტიკური ბუნებით. შესაბამისად, სულ უფრო მზარდია ლინგვისტთა დაინტერესება აღნიშნული საკითხით, რაც სხვადასხვა კვლევითი ინიცია-ტივებითა და კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებული პროექტებითა და კონფერენციებით გამოიხატება.

გერმანულ ენათმეცნიერებაში ანთროპონიმებთან დაკავშირებული კვლევები ეხება: რიცხვისა და სქესის კატეგორიის გამოხატვის თავისებურებებს, განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლის ხმარებას, გენტივურ ატრიბუტში საკუთარი სახელის ფუნქციებს და სხვ. განსაკუთრებით აქტუალურია საკუთარი სახელების სემანტიკურ-პრაგმატული მიმართებების შესწავლა. ამ მხრივ, ნაკლებადაა შესწავლილი ანთროპონიმების სემანტიკურ დონეზე კვლევა სახელად ფრაზაში, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს სტრუქტურულ თავისებურებებს და განაპირობებს განსხვავებულ ლინგვისტურ მახასიათებლებს.

რაც შეეხება კვლევის ტრადიციას, ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ენათმეცნიერული მოსაზრებები და კონცეპციები, რომლებიც თეორიების სახით ჩამოყალიბდა. კერძოდ, სახელდების თეორია, ანთროპონიმთა დესკრიპციული თეორია და ანთროპონიმთა მეტალინგვისტური თეორია.

მათი შესწავლის საგანს წარმოადგენს ანთროპონიმთა ლექსიკურ-აღწერითი მნიშვნელობა, ძირითადი რეფერენცია, კონტექსტზე დამოკიდებულება, ინფორმაციულ-კოგნიტიური შინაარსი, საკომუნიკაციო აქტის მონაწილეთა კონვენცია (ურთიერთშეთანხმება).

**სახელდების თეორიის** ფუძემდებელმა ჯონ სტიუარტ მილმა ერთმანეთისაგან განასხვავა ენობრივი ერთეულები დესკრიპციული მნიშვნელობით (პირველი ჯგუფი) და ენობრივი ერთეულები დესკრიპციული მნიშვნელობის გარეშე (მეორე ჯგუფი). ეს უკანასკნელი მნიშვნელობა, პირველისაგან განსხვავებით, რეფერენტებს რაიმე ნიშნის მიხედვით კი არ „აჯგუფებს“, არამედ – ასახელებს. მილმა მეორე ჯგუფს მიაკუთვნა საკუთარი სახელები, რადგან ისინი მხოლოდ რეფერენტის სახელდებას, ნომინაციას ახდენენ. მილის თეორიის მიხედვით, საკუთარი სახელი მხოლოდ მის მატარებელს აღნიშნავს.

**დესკრიპციული თეორია.** დესკრიპციული თეორიის მიხედვით (რასელი, ქვინი, ბურგე) საკუთარი სახელი წარმოადგენს დესკრიპციული შინაარსების კომპლექსურ გამოხატვას.

**მეტალინგვისტური თეორია.** ანთროპონიმთა მეტალინგვისტური თეორიის თანახმად (ფრეგე, რასელი, კარნაპი), საკუთარი სახელი ნომინაციის გარდა შეიცავს დამატებით ინფორმაციასაც, რომელიც სემანტიკურად კოდირებულია და რომლის იდენტიფიცირება და



პარაფრაზირება შესაძლებელია. რასელი უარყოფს საკუთარ სახელში დამატებით სემანტიკურ დონეს და აღნიშნავს, რომ ინფორმაცია კოდირებულია ექსტენსიონალური მნიშვნელობის დონეზე. მაგრამ, ამ შემთხვევაში, საკამათოა ის ფაქტი, თუ რომელი დესკრიპციული შინაარსი არის გამოხატული საკუთარ სახელში. მაგალითად, ანთროპონიმში **Wagner** წინადადებაში **Es ist kein Vergnügen Wagner zu sein** საკამათოა, თუ რომელი მნიშვნელობა დომინირებს: ინდივიდუალურ-სუბიექტური თუ ზოგადი, ანუ იგულისხმება ამ გვარის მატარებელი ცნობილი კომპოზიტორი თუ ვაგნერთა დინასტია.

შესაბამისად, ანთროპონიმებს დამატებით მოდალურ კონტექსტში ერთსა და იგივე რეფერენტთან განსხვავებული მნიშვნელობების წარმოდგენის უნარი აქვთ. ლოსევის მიხედვით, საკუთარი სახელი ყოველთვის გულისხმობს განსაზღვრული კონტექსტის რელევანტურ აღნიშვნას. ასევე, საკუთარი სახელის ერთ-ერთი ყველაზე სახასიათო ნიშანია ზემოქმედება მოახდინოს გრძნობაზე, ნება-სურვილზე, ადამიანის სულის ნებისმიერ ირაციონალურ უნარზე (Иоцев 1993: 815).

ანთროპონიმების გრამატიკული თავისებურება მათთან არტიკლის გამოყენებაში ვლინდება. მართალია, ზოგადად, ისინი არტიკლს არ მოითხოვენ, ამიტომ, გრამატიკაში გამონაკლისის ფორმულირება გვჭირდება არტიკლთან მიმართებაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია პეტერ გალმანის კვლევებიც „Funktionale Kategorien in Nominalphrase“, „Zur Morphosyntax der Eigennamen im Deutschen“ და სხვ., რომლებშიც საინტერესოაა წარმოდგენილი საკუთარ სახელთა პრობლემატიკა მორფოლოგიის და სინტაქსის დონეზე.

ჩვენი აზრით, საკამათოა ის მოსაზრება (მაიერი, ლერნერი), რომ ანთროპონიმები „სემანტიკურად რედუცირებულია“ და არ უკავშირდება ცნებას. საზოგადო და საკუთარ სახელებს გააჩნია ლექსიკური აბსტრაქციის განსხვავებული ხარისხი. ასევე, მნიშვნელოვანია ის საკითხი, რომ საკუთარ სახელს არ გააჩნია სიგნიფიკაციური ფუნქცია და ის წარმოადგენს „უბრალო ნიშანს, რომელიც ნაცნობ საგანზე, მოვლენაზე, სიტუაციასა და ა.შ. მიუთითებს“ (Ахманова 1948: 8).

განსაკუთრებით საინტერესოა ანთროპონიმებთან არტიკლით გამოხატული განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობის საკითხი, არტიკლის პირველადი და მეორადი გამოყენების თავისებურებები ანთროპონიმებთან. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი სახელების კვლევა წარმოადგენს თანამედროვე გერმანული ენის ერთ-ერთ საინტერესო საკითხს, დღემდე მაინც საკამათოდ რჩება და შესწავლის საგანს წარმოადგენს ანთროპონიმთან არტიკლით გამოხატული განსაზღვრულობა /განუსაზღვრელობის საკითხი. ამ მხრივ ჩვენ ვეყრდნობით

კლავს ფონ ჰოიზინგერის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც სტანდარტულად გამოყენებული ანთროპონიმი უნიკალურ, ინდივიდუალურ რეფერენტს შეიცავს, ხოლო განსაზღვრულ და განუსაზღვრელ არტიკლთან და კვანტორებთან ერთად წარმოდგენილი ანთროპონიმი, შინაარსობრივად პრედიკატს და ობიექტთა გარკვეულ ჯგუფს უკავშირდება (Heusinger 2010: 2). არამოდიფიცირებული მარტივი საკუთარი სახელი გერმანულ ენაში სხვადასხვაგვარად იხმარება: როგორც არტიკლის გარეშე, ასევე არტიკლით – განსაზღვრულით, განუსაზღვრელით, ასევე, ჩვენებითი ნაცვალსახელით არტიკლის როლში. ჩვეულებრივ კი ისინი არტიკლის გარეშე გამოიყენება. მაგალითად:

(1) a Selbst *Mozart* hätte das nicht viel besser machen können.

განსაზღვრული არტიკლი შესაძლოა იდგეს საკუთარი სახელის წინ, ამასთან მის მნიშვნელობას რაიმე ახალ ასპექტს არ უმატებს:

(1) b Selbst *der Mozart* hätte das nicht viel besser machen können.

ჩვენებითი ნაცვალსახელის გამოყენება არტიკლის როლში შესაძლებელია მხოლოდ ისეთ კონტექსტში, სადაც რეფერენტი კონტრასტულადაა წარმოდგენილი:

(1) c Selbst *dieser Mozart* hätte das nicht viel besser machen können.

საკუთარი სახელის წინ შეიძლება იდგეს ასევე განუსაზღვრელი არტიკლი. ამგვარი განუსაზღვრელი საკუთარი სახელები ავლენენ სხვადასხვა ინტერპრეტაციის მთელ რიგს:

(1) d Selbst *ein Mozart* hätte das nicht viel besser machen können.

იმ დროს, როდესაც მარტივი საკუთარი სახელი, მაგალითად, *Mozart*, გამოხატავს უშუალო ან პირდაპირ და უნიკალურ რეფერენტს და ამით გულისხმობს განსაზღვრულობას, განსაზღვრული არტიკლი *der Mozart*-ში გვიჩვენებს განსაზღვრულობას დამატებით აგრეთვე ლექსიკურადაც. ამიტომ განსაზღვრული არტიკლის გამოყენებას საკუთარ სახელთან არ შემოაქვს მნიშვნელობის რაიმე დამატებითი ასპექტი და ორივე ფორმა სემანტიკურად ეკვივალენტურია.

ჩვენებითი საკუთარი სახელი, ისეთი როგორც *dieser Mozart*, გამოხატავს არაუნიკალურობას და გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც რეფერენტული მიმართებულობის განსაზღვრისთვის მოცემულია დამატებითი კონტექსტუალური რელიეფურობა, მაგ., ჩვენებითი ფორმით, შესაბამისად რელიეფურობის ან ნაცნობობის მეშვეობით. განუსაზღვრელ საკუთარ სახელს *ein Mozart* გააჩნია მნიშვნელობის ორი ასპექტი: განუსაზღვრელი არტიკლის შესაბამისად მას აქვს ჩვენებითი ფუნქცია, არაუნიკალურობა და შემოჰყავს ახალი დისკურს-რეფერენტი, რომელიც სხვაგვარად, ვიდრე ჩვენებითი გამოყენების დროს, უცნობი და არა რელიეფურია (შესამჩნევია).

განუსაზღვრელი საკუთარი სახელების რეფერენტები საკუთარი სახელის მატარებლებთან სრულიად განსხვავებულ თანაფარდობაში იმყოფებიან. ენათმეცნიერულ ლიტერატურაში განიხილება საკუთარ სახელთა გამოყენების სხვადასხვა ფორმები ან ინტერპრეტაციის სახეები, რომლებსაც ჰოიზინგერი ხუთ ქვეჯგუფად ყოფს (Heusinger 2010: 2):

- ა) სახელადი ( აგრეთვე აპელატიური ვიწრო გაგებით ან დენომინატიური),
- ბ) მეტონიმიური,
- გ) მეტაფორული
- დ) ეტაპობრივი ინტერპრეტაცია
- ე) მანიფესტაციური ინტერპრეტაცია

აპელატიურ ინტერპრეტაციაში ხდება ახალი რეფერენტის შემოტანა, რომელიც სახელის მატარებელთან იმ მიმართებაშია, რომ იგივე სახელი დაასახელოს. მაგალითში

- (2) Das Schicksal, *ein Wagner* zu sein (...) Er verharmlost nichts, aber er eifert auch nicht. Er erzählt von einer Familie, deren Mitglieder über mehr als 150 Jahre eine bestimmende Rolle im künstlerischen Leben Deutschlands gespielt haben, durch Abkunft privilegiert, aber mehr noch belastet. Sich davon durch Carr erzählen zu lassen ist eine Freude. Kein Vergnügen aber ist es offenbar, *ein oder eine Wagner* zu sein.<sup>1</sup>

ერთვის დამატებითი კონტექსტუალური შეზღუდვა იმის გამო, რომ მიეკუთვნება ვაგნერების ოჯახს.

- (3) Weich und einlullend ist *ihr Mozart*, der behutsam zwischen Mezzoforte und Mezzopiano changiert. *Ein Mozart*, bei dem einem die Augen zufallen – hätte es vorher keinen Kaffee gegeben.<sup>2</sup>

მეტონიმიური ინტერპრეტაციის (3) დროს ახალი რეფერენტი დგას სახელის მატარებელთან „განსაზღვრულ მიმართებაში“, როგორც არის, მაგ.: მისგან შექმნილი (ხელოვანებთან ან ავტორებთან) ან კიდევ როგორც მატარებლის რეპრეზენტაცია (ცნობილ პიროვნებებთან). განუსაზღვრელი საკუთარი სახელების მეტაფორული ანუ ასოციაციური გამოყენებით ხდება რეფერენტების შემოტანა, რომლებიც განსაზღვრული თვალსაზრისით შეიძლება შევადაროთ (დავუპირისპიროთ) სახელის მატარებელს, ანუ რომლებიც ფლობენ მატარებლისათვის ტიპიურ ან რელიეფურ თვისებას.

ასე, მაგალითად, მოცარტის თვისება, რომელიც მოხსენიებულია მეოთხე (4) მაგალითში,

- (4) Der russische Pianist Jewgenij Kissin erobert das deutsche Publikum.

<sup>1</sup> <http://www.sueddeutsche.de/kultur/193/303188/text/4/> (25.1.2010).

<sup>2</sup> <http://magazin.klassik.com/konzerte/reviews.cfm?task=review&PID=2011> (25.1.2010).

Noch *eine Oktoberrevolution*: Am 10. Oktober 1971 kommt Jewgenij Kissin auf die Welt, *ein Mozart aus Moskau*. Innerhalb weniger Jahre katapultierte sich dieser Pianist an die Spitze der Weltklangliste.<sup>1</sup>

არის ის, რომ იგი ძალიან ნიჭიერი მუსიკოსია. ოქტომბრის რევოლუციის გამოყენება კი იქვე, პირიქით, მიუთითებს გამონათქვამის ორ პოტენციურ მნიშვნელობაზე: პირველი, კომპოზიციის ლექსიკურ და ტრანსპარენტულ მნიშვნელობაზე, რომ რევოლუცია ოქტომბერში იყო, და მეორე, საკუთარი სახელის მეტაფორულ გამოყენებაზე, რომ ეს იყო გადამწყვეტი და დრამატული ცვლილება (რუსეთში).

ჰოიზინგერს ზემოხსენებული მოსაზრება ბოლომდე არა აქვს გამოკვლეული.

აქტუალურად მიგვაჩნია ანთროპონიმების სემანტიკური თავისებურებების შესწავლა ამ მიმართულებით, რაც მათ სინტაქსურ-სტრუქტურულ თავისებურებებს განაპირობებს. ზოგადად, გერმანული ენის გრამატიკები საკუთარი სახელის სემანტიკასა და სინტაქსს სიღრმისეულად არ განიხილავენ. ასე, მაგალითად, ცოტას თუ ვაფიქსირებთ გერმანული ენის გრამატიკაში (Helbig & Buscha 1984) ამის შესახებ. აიზენბერგი (2006) მცირე მონაკვეთს უთმობს ამ საკითხის განხილვას. რაც შეეხება ვაინრიხის ტექსტის გრამატიკას (1993) და დუდენს [Dudenredaktion 2016], აქ ეს საკითხი უფრო ვრცლად არის გაშუქებული. მაგალითად:

Eigennamen sind „aus sich heraus“ definit: Sie stehen für eine besondere Person oder Sache und sind allgemein oder zumindest einem bestimmten Personenkreis bekannt. Der Artikel ist daher bei Eigennamen nicht wirklich wählbar – was nicht heißt, dass er immer vorhanden ist. Im Einzelnen kann man bei den Eigennamen vielmehr folgende Gebrauchsweisen des definiten Artikels unterscheiden: (i) primäre Artikellosigkeit, (ii) primärer Artikelgebrauch, (iii) sekundärer Artikelgebrauch, (iv) sekundäre Artikellosigkeit (Duden 2016: 307, § 396 ff.).

მაშინ, როცა არტიკლის გამოტოვება და არტიკლის გამოყენება ძირითადად დამოკიდებულია ამა თუ იმ საკუთარი სახელის ლექსიკურ თვისებებზე, დუდენთან მეორადი გამოყენება დამოკიდებულია მხოლოდ საკუთარი სახელის სინტაქსურ გარემოცვაზე. უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარი სახელების სემანტიკა ბევრად უფრო კომპლექსურია და იგი დღესაც დისკუსიის საგანია. სემანტიკური თეორიები მიუთითებენ საკუთარი სახელების მანიფესტაციებზე განსაზღვრულ სემანტიკურ-პრაგმატულ დონეებზე. ძირითადი მახასიათებლებია მინიმალური დესკრიპციული შინაარსი, მყარი რეფერენცია, კონტექსტუალური დამოკიდებულება, ინფორმაციული (კოგნიტიური) შინაარსი, რომელთა ასოცირება ხდება საკუთარ სახელთან და რომელთანაც შესაძლებელია მისი იდენტიფიკაცია.

<sup>1</sup> [http://www.focus.de/kultur/musik/musik-ein-mozart-aus-moskau\\_aid\\_156340.html](http://www.focus.de/kultur/musik/musik-ein-mozart-aus-moskau_aid_156340.html) (25.1.2010).

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამყრელიძე, თ., კიკნაძე, ზ., შადური, ი., შენგელაია, ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი: თსუ, 2008.
2. Duden. Hg. von der Dudenredaktion. Der Große Duden. Band 4. Die Grammatik. 9. völlig neu erarbeitete und erw. Auflage. Mannheim, Wien, Zürich: Dudenverlag 2005. § 396 ff. 307. 2016.
3. Glück, Helmut und Rödel, Michael (Hg.) Metzler Lexikon Sprache. 5., aktualisierte und überarbeitete Auflage. Stuttgart: J. B. Metzler Verlag GmbH 2016.
4. Heusinger, Klaus von, Zur Grammatik indefiniter Eigennamen. Zeitschrift für Germanistische Linguistik, Stuttgart, Januar 2010.
5. Heusinger, Klaus von, Salienz und Referenz. Der Epsilonoperator in der Semantik der Nominalphrase und anaphorischer Pronomen. Studia grammatica 43. Berlin: Akademie Verlag 1997.
6. Heusinger, Klaus von & Wespel, Johannes, Indefinite Proper Names and Quantification over Manifestations. In: E. Puig-Waldmüller (ed.). Proceedings of Sinn und Bedeutung 11. Barcelona: Universitat Pompeu Fabra 2007. 332-345.
7. Heusinger, Klaus von & Wespel, Johannes, Indefinite Eigennamen in generischen Sätzen. Quantifikation über Manifestationen von Individuen. Linguistische Berichte 217. 2009. 5-38.
8. Ronneberger-Sibold, Elke, Warennamen. In: A. Brendler & S. Brendler (eds.). Namenarten und ihre Erforschung. Ein Lehrbuch für das Studium der Onomastik. Hamburg: Baar 2004, 557-603.
9. Weinrich, Harald, Textgrammatik der deutschen Sprache. Mannheim: Dudenverlag 1993.
10. Ахманова, О.С., К вопросу о слове в языке и речи // Доклады и сообщения филологического факультета МГУ. Москва: МГУ, 1948.
11. Лосев, А.Ф., Бытие. Имя. Космос. Москва: Мысль, 1993.

**Nino Kvirikadze**

Akaki Tsereteli State University

**For the Question of the Semantic Theories of Antroponyms****Abstract**

The article presents and analyzes the semantic theories and the history of the study of anthroponyms, the syntactic characteristics of anthroponyms, issues related to the semantics of anthroponyms, as well as the features of the primary and secondary use of anthroponyms with a definite and indefinite article. As far as the tradition of research is concerned, linguistic considerations and concepts developed in the form of theories are especially important in this regard. In particular, the theory of names, the descriptive theory of anthroponyms, and the metallinguistic theory of anthroponyms. The subject of their research is the lexical and descriptive meaning of anthroponyms, the main reference, dependence on the context, information and cognitive content, convention (mutual agreement) of the participants in the communicative act.

რეცენზენტი: პროფესორი დ. ბახტაძე

## ინტერსუბიექტურობის პრინციპი მხატვრულ თარგმანში

თამარ მარდალეიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
e-mail:t.mardaleishvili gmail.com

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, განვსაზღვოთ მხატვრული თარგმანი, როგორც დისკურსის სრულიად განსაკუთრებული ტიპი და განვახორციელოთ ინ-ტერსუბიექტურობის, როგორც ზოგადდისკურსული პრინციპის, ისეთი ინტერპრე-ტაცია, რომელიც უკავშირდება მთარგმნელის როლსა და მნიშვნელობას („მთარგმნელის ხატს“) მხატვრული თარგმანის ფარგლებში.

მხატვრული თარგმანის შემოქმედებითი გაგება გამოხატული უნდა იქნეს ორი ისეთი კონცეპტის შინაგანი ერთიანობით, როგორცაა, ერთის მხრივ, „მთარგმნელის ხატი“, მეორეს მხრივ კი, ამ ხატის ისეთი არსებითი გამოვლენა, როგორცაა მისი სტილი. მთარგმნელობითი სტილი ემსახურება სწორედ „მთარგმნელის ხატის“ გამოვლენას. მთელი ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლად ვიღებთ რა ინტერდისციპლინარულობას, აუცილებლად მიგვაჩნია უფრო კონკრეტულად, ანუ უფრო მეტი კონცეპტუალური სიზუსტით, დავასახელოთ და განვსაზღვროთ მხატვ-რულ თარგმანთან, როგორც დისკურსულ ფენომენტთან, დაკავშირებული კვლევითი მომენტები - „მთარგმნელის ხატი“ და მთარგმნელობითი სტილი. იქედან გამომდინარე, რომ სწორედ დისკურსის ფენომენს (და, შესაბამისად დისკურსის კონცეპტს) ვანიჭებთ ფუძემდებელ როლს მხატვრული თარგმანისა და, შესაბამისად, მთარგმნე-ლობითი სტილის კვლევის კონტექსტში, აუცილებლად მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ იმ პრინციპს, რომელსაც ექვემდებარება დისკურსი. ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა, ინტერსუბიექტურობის პრინციპს, რომელიც განიმარტება როგორც ადრესანტსა და ადრესატს შორის არსებული კომუნიკაციური მიმართება. ამ შემთხვევაში ვეყრდნობით ი. ლევის მიერ შემოთავაზებულ ინტერსუბიექტურობის, როგორც ზოგად-დისკურსული პრინციპის, ისეთ ინტერპრეტაციას, რომელიც უკავშირდება მთარ-გმნელის როლსა და მნიშვნელობას („მთარგმნელის ხატს“) მხატვრული თარგმანის ფარგლებში. მხატვრული თარგმანი ის ფენომენია, რომელიც დისკურსის

სხვა ტიპებისაგან განსხვავებით ხასიათდება ინტერსუბიექტურობის პრინციპის რეალიზაციის შემდეგი თავისებურებით: მის ფარგლებში მთარგმნელი ასრულებს „შუამავ-ლის“ როლს „ავტორსა“ და „მკითხველს“ შორის, ანუ ადრესანტსა და ადრესატს შორის, ე.ი. თვითონვე ითავსებს ჯერ ადრესატის, შემდეგ კი ადრესანტის როლს.

დავასკვნით, რომ ა) მხატვრული თარგმანი განსხვავდება თარგმანის სხვა ტიპებისაგან მისი შემოქმედებითი ხასიათით; ბ) იქიდან გამომდინარე, რომ შემოქმედებითი აქტი გულისხმობს შემოქმედის ინდივიდუალურ სტილს, მხატვრული თარგმანიც ხასიათდება მთარგმნელის ინდივიდუალური შემოქმედებითი სტილით; გ) აუცილებელი გახდა მთარგმნელობითი სტილის, როგორც კონცეპტის, დაკავშირება „მთარგმნელის ხატის“ კონცეპტთან; დ) მხატვრული თარგმანი დისკურსის სხვა ტიპებისაგან განსხვავებით ხასიათდება ინტერსუბიექტურობის პრინციპის რეალიზაციის შემდეგი თავისებურებით: მის ფარგლებში მთარგმნელი ერთდროულად ასრულებს როგორც ადრესატის, ასევე ადრესანტის როლს.

**საკვანძო სიტყვები:** მხატვრული თარგმანი, დისკურსი, ადრესანტი, ადრესატი

წინამდებარე ნაშრომის მიზნია, განვსაზღვოთ მხატვრული თარგმანი, როგორც დისკურსის სრულიად განსაკუთრებული ტიპი და განვახორციელოთ ინტერსუბიექტურობის, როგორც ზოგადდისკურსული პრინციპის, ისეთი ინტერპრეტაცია, რომელიც უკავშირდება მთარგმნელის როლსა და მნიშვნელობას („მთარგმნელის ხატს“) მხატვრული თარგმანის ფარგლებში.

თარგმანი, როგორც ზოგადი ფენომენი, წარმოადგენს ამოსავალ ენაზე უკვე გატექსტებული სიტუაციის ისეთი ტრანსპოზიციას მეორე და განსხვავებულ ტექსტობრივ სივრცეს, სადაც ხდება ამოსავალი ტექსტის ტრანსფორმაცია, ანუ მისი გამოხატულების პლანის შეცვლა შინაარსის პლანის შენარჩუნების გზით, როცა თარგმნილი ტექსტი კომუნიკაციური თვალსაზრისით ეკვივალენტურია ამოსავალი ტექსტისა. რაც შეეხება უშუალოდ მხატვრულ თარგმანს, იგი თარგმანის ნებისმიერი სხვა სახეობისგან განსხვავებით, როგორც პროცესუალური, ისე შედეგობრივი თვალსაზრისით, წარმოადგენს შემოქმედებით ფენომენს. მხატვრული თარგმანის შემოქმედებითი გაგება გამოხატული უნდა იქნეს ორი ისეთი კონცეპტის შინაგანი ერთიანობით, როგორცაა, ერთის მხრივ, „მთარგმნელის ხატი“, მეორეს მხრივ კი, ამ ხატის ისეთი არსებითი გამოვლენა, როგორცაა მისი სტილი. მთარგმნელობითი სტილი ემსახურება სწორედ „მთარგმნელის ხატის“ გამოვლენას. ი. ლევისეული კონცეფციის თანახმად, „ნებისმიერი მხატვრული თარგმანი შეიძლება შეფასდეს სამი შემდეგი ასპექტის გათვალისწინებით: 1. დედნის წვდომა; 2. დედნის ინტერპრეტაცია; 3. დედნის ხელახლა



გამოხატვა“ [Левый, 1974: 49]. „დედნის ხელახალ გამოხატვაში“ იგულისხმება ის, როგორია მთარგმნელის „ინტერპრეტაციული პოზიცია“ ანუ „ორიგინალის სწორი ინტერპრეტაცია“. იქედან გამომდინარე, რომ, როგორც უკვე აღინიშნა მხატვრული თარგმანის შემოქმედებით ხასიათზე, აუცილებელია განვმარტოთ რა განსხვავება არსებობს თვით დედნის შემოქმედებით აღქმასა და ინტერპრეტაციას შორის. შემოქმედებითი მიდგომა არის დედნის მართებული ასახვა, რომლის დროსაც არ ირღვევა არაფერი, გარდა იმისა, რაც ობიექტურად შეიძლება მოხდეს ენათა განსხვავებულობის გამო. შემოქმედებითობა ნიშნავს დედნის სწორი გაგების შემდეგ მის გარდასახვას იმგვარად, რომ თარგმანი ახდენდეს იგივე შთაბეჭდილებას, რასაც დედანი. გარდასახვის პროცესში დედნის მხატვრულ ყველა კომპონენტს უნდა მოეძებნოს ეკვივალენტი, რაც ხდება კიდევ. შესაბამისად, მხოლოდ შემოქმედებითი თარგმანი არის დედნის ობიექტური ასახვა. ასეთ თარგმანი მთარგმნელის სუბიექტივიზმს არ გამორიცხავს, ოღონდ აქ სუბიექტურობა მთარგმნელის გარდასახვის უნარშია საძიებელი. მას შეუძლია მინიმუმამდე დაიყვანოს განსხვავებულობა ორიგინალსა და თარგმანს შორის.

ვრწმუნდებით, რომ მხატვრული თარგმანის შემთხვევაში გადამწყვეტი როლი და მნიშვნელობა ენიჭება *მთარგმნელს*. ეს როლი და მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ შეგვიძლია ვილაპარაკოთ „მთარგმნელის ხატზე“ კი. თეორიული თვალსაზრისით „მთარგმნელის ხატი“, როგორც კონცეპტი და კატეგორია, პირდაპირ მიუთითებს მთარგმნელობით სტილზე: როგორც ცნობილია „ავტორის ხატი“ გულისხმობს ამა თუ იმ ავტორისათვის დამახასიათებელ შემოქმედებით სტილს; და რაკი ეს ასეა, ზუსტად ასევე მხატვრული თარგმანის შემთხვევაში ფუნდამენტური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მთარგმნელობით სტილსაც. მაგრამ, ჩვენის აზრით, „მთარგმნელის ხატის“, როგორც კონცეპტისა და კატეგორიის, შემოტანას უნდა ჰქონდეს შემდეგი მეთოდოლოგიური მნიშვნელობაც: ყველა იმ შემთხვევაში, როცა ინტერდისციპლინარულად ვიკვლევთ თარგმნელ ტექსტს, აუცილებელი ხდება ორი „ხატის“ -ავტორისა და მთარგმნელისა - „სიღრმისეული დაკავშირება“. და რას უნდა ნიშნავდეს ამ შემთხვევაში ხსენებული ორი „ხატის“ „სიღრმისეული დაკავშირება“ მთარგმნელის როგორც შემოქმედის მთარგმნელობითი სტილის განსაზღვრის თვალსაზრისით?

სწორედ იმისთვის, რომ გაეცეს პასუხი ამ კითხვას, საჭიროდ მიგვაჩნია დავეყრდნოთ იმ მეთოდოლოგიას, რომელსაც გვთავაზობს თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ბოლო და დღეისთვის დომინანტური ეტაპი. სხვანაირად რომ ვთქვათ, უნდა დავეყრდნოთ ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმას, როგორც თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული დინამიკის ბოლო ეტაპს. ვფიქრობთ, აუცილებელია მივუთითოთ მისთვის (ანუ ამ პარადიგმისთვის) დამახასიათებელ ორ ნიშანზე – ა) ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა,

წინა ორი პარადიგმისგან განსხვავებით, გულისხმობს ლინგვისტური იმანენტიზმის, როგორც კვლევითი პრინციპის, გადალახვას: ენობრივ ფენომენტთა სტრუქტურა და ფუნქციონირება უკავშირდება სოციალურ ფენომენტთა, პირველ რიგში კი, კულტურულ ფენომენტთა სტრუქტურასა და ფუნქციონირებას; ბ) ლინგვისტური იმანენტიზმის გადალახვა კი თავისთავად და გარდუვალად წარმოადგენს იმ ახალი მეთოდოლოგიის დამკვიდრებას, რომელსაც „ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია“ ეწოდება. შესაბამისად, ხსენებულ ინტერდისციპლინარულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, დასმულ შეკითხვას შეიძლება ვუპასუხოთ შემდეგნაირად: მთარგმნელობითი სტილის ცნება უნდა წარმოადგენდეს სტილის ზოგადესთეტიკურ, ლიტერატურათმცოდნეობით, ლინგვისტურ და მთარგმნელობით-ტრანსფორმაციულ კონცეფციასა შეხვედრისა და სინთეზური ურთიერთშეღწევის შედეგს.

იქიდან გამომდინარე, რომ მთელი ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლად აღებული გვაქვს ინტერდისციპლინარულობა, აუცილებლად მიგვაჩნია უფრო კონკრეტულად, ანუ უფრო მეტი კონცეპტუალური სიზუსტით დავასახელოთ და განვსაზღვროთ მხატვრულ თარგმანთან, როგორც დისკურსულ ფენომენტთან, დაკავშირებული კვლევითი მომენტები.

მთელი ჩვენი აქამდე განხორციელებული მსჯელობიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური ასპექტი აუცილებლად გულისხმობს ორი შემდეგი დისკურსული ფენომენტის ურთიერთდაკავშირებას: პირველ ფენომენტად უნდა მივიჩნიოთ თარგმანი როგორც დისკურსის ტიპი ამ ტერმინის ზოგადი მნიშვნელობით, მეორე ფენომენტად კი – მხატვრული თარგმანი როგორც მხატვრული დისკურსის ერთ-ერთი და სრულიად განსაკუთრებული ქვეტიპი. შესაბამისად, როგორც ზოგადად თარგმანის, ისე მხატვრული თარგმანის განსაზღვრისას ვეყრდნობით დისკურსის თანამედროვე თეორიას.

იქიდან გამომდინარე, რომ სწორედ დისკურსის ფენომენტს (და, შესაბამისად დისკურსის კონცეპტს) ვანიჭებთ ფუძემდებელ როლს მხატვრული თარგმანისა და, შესაბამისად, მთარგმნელობითი სტილის კვლევის კონტექსტში, აუცილებლად მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ იმ პრინციპს, რომელსაც ექვემდებარება დისკურსი. ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა, *ინტერსუბიექტურობის* პრინციპს, რომელიც განიმარტება როგორც ადრესანტსა და ადრესატს შორის არსებული კომუნიკაციური მიმართება. ამ შემთხვევაში ვეყრდნობით ი. ლევის მიერ შემოთავაზებულ ინტერსუბიექტურობის, როგორც ზოგადდისკურსული პრინციპის, ისეთ ინტერპრეტაციას, რომელიც უკავშირდება მთარგმნელის როლსა და მნიშვნელობას („მთარგმნელის ხატს“) მხატვრული თარგმანის ფარგლებში. მხატვრულ თარგმანი ის ფენომენტია, რომელიც დისკურსის სხვა ტიპებისაგან განსხვავებით ხასიათდება ინტერსუბიექტურობის პრინციპის რეალიზაციის შემდეგი თავისებურებით: მის ფარგლებში მთარგმნელი ასრულებს

„შუამავლის“ როლს „ავტორსა“ და „მკითხველს“ შორის, ანუ ადრესანტსა და ადრესატს შორის, ე.ი. თვითონვე ითავსებს ჯერ ადრესატის, შემდეგ კი ადრესანტის როლს.

ვეყრდნობით მხატვრულ თარგმანთან დაკავშირებულ უკვე ციტირებული ავტორის (ი. ლევი) მონოგრაფიას - „თარგმნის ხელოვნება“, რომელიც ერთიან პრობლემურ ფოკუსში აქცევს ჩვენი კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ ასპექტებს. ხსენებულ მონოგრაფიაზე ჩვენი ყურადღების კონცენტრირება კი აიხსნება შემდეგი ორი გარემოებით: ა) ნაშრომის ავტორი – სანამ იგი უშუალოდ შეეხებოდა მხატვრულ თარგმანს – მსჯელობს მთარგმნელზე როგორც ზოგად ფენომენზე და ამ ზოგადი მსჯელობის ფარგლებში ხაზს უსვამს მთარგმნელის, როგორც „შუამავლის“, ფუნქციას. ჩვენი აზრით, ამით ავტორი ქმნის იმის პერსპექტივასა და შესაძლებლობას, რომ მხატვრულ თარგმანთან დაკავშირებული პრობლემატიკა თავიდანვე და პრინციპულად დანახულ იქნეს არა მხოლოდ ლინგვისტურ, არამედ ტრანსლინგვისტურ პერსპექტივაშიც. ბ) მაგრამ, ამავე დროს, აუცილებლად მიგვაჩნია იმის ხაზგასმა, რომ მხატვრული თარგმანის (და ზოგადად თარგმანის) ლევისეული კონცეფცია ექსპლიციტურად არ უკავშირდება – და ვერც დაუკავშირდებოდა – იმ თეორიულ და მეთოდოლოგიურ პრინციპებს, რომლებსაც ჩვენ საფუძვლად ვუდებთ მხატვრული თარგმანისა და მთარგმნელობითი სტილის კვლევას – თუმცა, იმპლიციტურად ამ ავტორის მონოგრაფია იძლევა ამ ორი მონაცემის, ანუ ჩვენი კვლევითი პრინციპებისა (ანუ თეორიული და მეთოდოლოგიური) და მხატვრული თარგმანის ლევისეული კონცეფციის, სინთეზის შესაძლებლობას. მაგრამ იმისათვის, რომ ხსენებული სინთეზი რეალურად შედგეს, უნდა ჩავუღრმავდეთ ხსენებულ მონოგრაფიას, რაც ამ სტატიის ფარგლებში ვერ იქნება შესაძლებელი.

დასარულს, გვსურს დავესესხოთ ვ. კუხარენკოს სტატიას „ტექსტის შინაარსის ექსპლიკაცია თარგმნის პროცესში“, სადაც საქმე გვაქვს მთარგმნელის როგორც „შუამავლის“ როლის ექსპლიკაციური სახით ხაზგასმასთან. როგორც ავტორი აღნიშნავს, „მთარგმნელმა, როგორც კომუნიკაციური პროცესის რგოლმა, ყურადღება მიიპყრო ბევრად უფრო გვიან (ავტორი გულისხმობს იმ ფაქტს, რომ „მხატვრული თარგმანის პრაქტიკამ გაუსწრო თეორიას“, თუმცა ხსენებული თეორიის ჩამოყალიბებისას დიდი ხნის განმავლობაში არ ექცეოდა სათანადო ყურადღება მთარგმნელის ფიგურას – თ. მ.). თუმცა, ამავე დროს, უნდა ითქვას: მის როლს კომუნიკაციურ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისთვის დამახასიათებელი ბიფუნქციონალურობის გამო“ [Кухаренко, 1988: 40]. ავტორი იძლევა ხსენებული ბიფუნქციონალურობის ასეთ განსაზღვრებას: „ბოლო რგოლებისაგან (ავტორისაგან და მკითხველისაგან) განსხვავებით მთარგმნელი გამოდის ერთდროულად როგორც შეტყობინების მიმღების, ისე გამომგზავნელის როლში, თუმცა ეს როლი სრულდება იმ თანმიმდევრობის

საპირისპიროდ, რომლის მიხედვით ასრულებენ თავიანთ როლებს ავტორი და მკითხველი“. ამოსავალი მოდელი „ავტორი → ტექსტი → მკითხველი“ გრძელდება, ტრანსფორმირდება და იღებს ასეთ სახეს: „ავტორი → ტექსტი1 → მკითხველი → მთარგმნელი → ტექსტი2 → მკითხველი“ (იქვე). როგორც ვხედავთ, სტატიის ავტორი არ იყენებს დისკურსის თეორიით ნაგულისხმევ ისეთ ტერმინებს, როგორცაა „ადრესანტი“ და „ადრესატი“, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნათლად გვიჩვენებს ნებისმიერი დისკურსისათვის აუცილებელი ინტერსუბიექტურობის პრინციპის იმ თავისებურ გამოხატვას, რომელსაც ეს პრინციპი პოულობს თარგმნის პროცესში.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ა) მხატვრული თარგმანი განსხვავდება თარგმანის სხვა ტიპებისაგან მისი შემოქმედებითი ხასიათით; ბ) იქიდან გამომდინარე, რომ შემოქმედებითი აქტი გულისხმობს შემოქმედის ინდივიდუალურ სტილს, მხატვრული თარგმანიც ხასიათდება მთარგმნელის *ინდივიდუალური შემოქმედებითი სტილით*; გ) აუცილებელი გახდა მთარგმნელობითი სტილის, როგორც კონცეპტის, დაკავშირება „მთარგმნელის ხატის“ კონცეპტთან; დ) მხატვრული თარგმანი დისკურსის სხვა ტიპებისგან განსხვავებით ხასიათდება ინტერსუბიექტურობის პრინციპის რეალიზაციის შემდეგი თავისებურებით: მის ფარგლებში მთარგმნელი ერთდროულად ასრულებს როგორც *ადრესატის*, ასევე *ადრესანტის* როლს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლებანიძე გ., კომუნიკაციური ლინგვისტიკა. ენა და კულტურა. თბილისი.2004
2. Барти Р., Лингвистика дискурса // Системы моды Статьи по семиотике культуры. Москва. 2003
3. Левый И., Искусства перевода. Прогресс. Москва. 1974
4. Кухаренко В. А., Экспликация содержания текста в процессе перевода // Текст И перевод . Наука. Москва. 1988

Tamar Mardaleishvili

Akaki Tsereteli State University

**Intersubjectivity in Artistic Translation****Abstract**

The present article deals with the problem of defining the essence of artistic translation as the specific type of discourse and conducting such interpretation of intersubjectivity as the principle of discourse theory refers to the translator's role and importance ('translator icon') within the scope of artistic translation. As the object of this study, artistic translation differs from the other types of translation by its creativeness. Creativeness of artistic translation should be considered as the interrelation of the concepts of '*translator icon*' as well as '*translation style*'. 'Translator icon' is believed to be precisely revealed in translation style. According to the fact, that the research is being conducted on the basis of interdisciplinary methodology, it is very important to determine more precisely the research aspects related to the artistic translation as discourse phenomenon. 'Translator icon' and translation style concepts are implied here, of course. While determining translation as well as artistic translation, the modern theory of discourse should be taken into account. Correspondingly, translation should be considered as the type of discourse and artistic translation as the sub-type of this latter one. Thus, in the research process, it is very necessary to highlight the discourse principle such as intersubjectivity that implies the communicative relation between the addresser (the sender of information) and the addressee (the recipient of the information).

In conclusion, it is possible to be said, that a) artistic translation differs from the other types of translation with its creativeness, b) according to the fact, that creative act implies the creator's individual style, artistic translation is characterized with its individual creative style as well, c) it was essential to connect the concept of translation style to the concept of 'translator icon'; d) artistic translation differs from the other types of discourse with its very peculiarity of specific realisation of the principle of intersubjectivity: within its frame the translator is at the same time the addresser and the addressee as well.

**Key words:** Artistic Translation, discourse, addresser and the addressee

რეცენზენტი: პროფესორი ი. გომხეთელიანი

## დერივანტების შესახებ

თამარ მახარობლიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

email: [tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge](mailto:tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge)

საკითხი დერივანტების შესახებ არაერთხელ წამოჭრილა ენის გრამატიკისა და ზოგადი ენათმეცნიერების სწავლების დროს. ეს გარემოება გახდა საფუძველი ამ მოკლე სტატიის შესაქმნელად. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სიტყვა შეიძლება იყოს ფორმაცვალებადი ან ფორმაუცვლელი და ეს მოცემულობა მეტყველების ნაწილების მიხედვით განისაზღვრება. ფორმაცვალებადი სიტყვები შეიძლება განიცდიდეს ორი ტიპის ცვლილებას: ფლექსიურსა და დერივაციულს. ფლექსიური ცვლილების დროს იცვლება სიტყვის ფორმა, მაგრამ არ იცვლება სიტყვის ლექსიკური და სემანტიკური მხარეები, ანუ არ იცვლება მისი აზრობრივი და შინაარსობრივი მოცემულობები. ამ ტიპის ცვლილების კლასიკური მაგალითია ბრუნება.

დერივაციის განსაზღვრება მარიამ ვებსტერის ლექსიკონის მიხედვით ასეთია: დერივაცია არის სიტყვის ფორმირება სხვა სიტყვისგან ან ძირისგან არაფლექსიური აფიქსებით [Webster access 09.09.2021]. ეს არის საკმაოდ ამომწურავი განსაზღვრება. თავის მხრივ, დერივაცია ორი ტიპის შეიძლება იყოს. პირველი არის ლექსიკური დერივაცია, რომლის დროსაც დერივანტი აფიქსი აწარმოებს განსხვავებული ლექსიკური შინაარსის მქონე სიტყვას. ნაწარმოები ფორმა შეიძლება იყოს სხვა მეტყველების ნაწილი ან იგივე, მაგრამ სხვა ლექსიკური შინაარსის მქონე ერთეული. მეორე ტიპის დერივაცია არის, უპირველეს ყოვლისა, გრამატიკული დერივაცია, როდესაც გრამატიკული კატეგორიები იწარმოება. გრამატიკული კატეგორია ზოგადად (და საერთოდ სიტყვაფორმა) მოიცავს ფორმისა (მორფოლოგიური) და აზრობრივი (სემანტიკური) მხარეების ერთანობას. ამიტომ აქ უპრიანია ტერმინი მორფოსემანტიკა. არ არსებობს ცალკე აღებული სემანტიკა მორფოლოგიის გარეშე. ნებისმიერი სემანტიკურ-აზრობრივი კატეგორია კონკრეტული ფორმით უნდა იყოს გადმოცემული, ამიტომაც მხოლოდ კონკრეტულ ფორმას აქვს კონკრეტული მორფოსემანტიკა, რომლის მაწარმოებლებიც გრამატიკული დერივანტებია.

ძირითადი სხვაობა ზემოთ აღნიშნული ორი ტიპის დერევაციას შორის (და შესაბამისად, ორი ტიპის დერივანტთა შორის) არის ენის იერარქიის დონეებზე. პირველი ტიპის აფიქსები მუშაობს ენის ლექსიკურ დონეზე, ხოლო მეორე ტიპის დერივანტები აწარმოებენ ფორმებს მორფოლოგიურ და სემანტიკურ დონეებზე. უფრო ზუსტი განსაზღვრებით, მეორე ტიპის დერივანტები დონეთაშორისი აფიქსებია, რადგანაც აქ ხდება გადაკვეთა ენის იერარქიის მორფოლოგიური და სემანტიკური დონეებისა. ნებისმიერი გრამატიკული კატეგორია მოიცავს კონკრეტულ მორფოსემანტიკურ საოპოზიციო ფორმებს. ამდენად, ფლექსიური აფიქსებისგან განსხვავებით, დანარჩენი მორფოლოგიური აფიქსები ყველა მეორე ტიპის დონეთაშორისი დერივანტებია. არის შემთხვევები, როდესაც ფლექსიური აფიქსი გამოდის პირველი ტიპის აფიქსის როლში (მაგრამ არა მეორე ტიპის აფიქსის როლში). აღსანიშნავია, რომ ზმნისწინი ქართველურ ენებში არის ერთადერთი ლინგვისტური ერთეული აფიქსის ყველა შესაძლო ფუნქციით.

**საძიებო სიტყვები:** მორფოლოგია, სემანტიკა, დერივაცია, დერივანტი, ფლექსია, აფიქსი

საკითხი დერივანტების შესახებ არაერთხელ წარმოჭრილა ენის გრამატიკისა და ზოგადი ენათმეცნიერების სწავლების დროს. ამ გარემოებათა გამო, მნიშვნელოვნად მივიჩნეო მკვლევ თეორიული მსჯელობის წარმოდგენა აღნიშნულ თემაზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სიტყვა შეიძლება იყოს ფორმაცვალებადი ან ფორმაუცვლელი და ეს მოცემულობა მეტყველების ნაწილების მიხედვით განისაზღვრება. ფორმაცვალებადი სიტყვები შეიძლება განიცდიდეს ორი ტიპის ცვლილებას: ფლექსიურსა და დერივაციულს. ფლექსიური ცვლილების დროს იცვლება სიტყვის ფორმა, მაგრამ არ იცვლება სიტყვის ლექსიკური და სემანტიკური მხარეები, ანუ არ იცვლება მისი აზრობრივი და შინაარსობრივი მოცემულობები. ამ ტიპის ცვლილების კლასიკური მაგალითია ბრუნება.

დერივაციის განსაზღვრება მარიამ ვებსტერის ლექსიკონის მიხედვით ასეთია: დერივაცია არის სიტყვის ფორმირება სხვა სიტყვისგან ან ძირისგან არაფლექსიური აფიქსებით [Webster access 09.09.2021]. ეს არის საკმაოდ ამომწურავი განსაზღვრება. თავის მხრივ, დერივაცია ორი ტიპის შეიძლება იყოს. პირველი არის ლექსიკური დერივაცია, რომლის დროსაც დერივანტი აფიქსი აწარმოებს განსხვავებული ლექსიკური შინაარსის მქონე სიტყვას. ნაწარმოები ფორმა შეიძლება იყოს სხვა მეტყველების ნაწილი ან იგივე, მაგრამ სხვა ლექსიკური შინაარსის მქონე ერთეული. მაგალითად, შევადართ ორი ფორმა *კაცი* და *კაცური*. აქ -ურ სუფიქსმა ზედსართავი აწარმოა არსებითიდან. ფორმები *კაცი* და *საკაცე* ორივე არსებითი სახელია, მაგრამ *სა-ე*

დანიშნულებითობის მაწარმოებელი დერივანტი ცირკუმფიქსი განხვავებული ლექსიკური შინაარსის მქონე სიტყვას აწარმოებს. ამ ორ ფორმას განსხვავებული ლექსემები აქვთ.

მეორე ტიპის დერივაცია არის, უპირველეს ყოვლისა, გრამატიკული დერივაცია, როდესაც გრამატიკული კატეგორიები იწარმოება. გრამატიკული კატეგორია ზოგადად (და საერთოდ სიტყვაფორმა) მოიცავს ფორმისა (მორფოლოგიური) და აზრობრივი (სემანტიკური) მხარეების ერთანობას. ამიტომ აქ უპრიანია ტერმინი *მორფოსემანტიკა*. არ არსებობს ცალკე აღებული სემანტიკა მორფოლოგიის გარეშე. ნებისმიერი სემანტიკურ-აზრობრივი კატეგორია კონკრეტული ფორმით უნდა იყოს გადმოცემული, ამიტომაც მხოლოდ კონკრეტულ ფორმას აქვს კონკრეტული მორფოსემანტიკა, რომლის მაწარმოებლებიც გრამატიკული (ან გნებავთ მორფო-სემანტიკური) დერივანტებია. მაგალითად, სხვაობა ორ ფორმას შორის *ვაშენებ* და *ვუშენებ* არის მორფოსემანტიკური, მაგრამ არა ლექსიკური. შესაბამისად, *ა-* და *ი-* დერივანტები განასხვავებს ფორმებს მორფოლოგიური და სემანტიკური, მაგრამ არა ლექსიკური თვალსაზრისით.

ამრიგად, ძირითადი სხვაობა ზემოთ აღნიშნული ორი ტიპის დერივაციას შორის (და შესაბამისად, ორი ტიპის დერივანტთა შორის) არის ენის იერარქიის დონეებზე. პირველი ტიპის აფიქსები მუშაობს ენის ლექსიკურ დონეზე, ხოლო მეორე ტიპის დერივანტები აწარმოებენ ფორმებს მორფოლოგიურ და სემანტიკურ დონეებზე. უფრო ზუსტი განსაზღვრებით, მეორე ტიპის დერივანტები დონეთაშორისი აფიქსებია, რადგანაც აქ ხდება გადაკვეთა ენის იერარქიის მორფოლოგიური და სემანტიკური დონეებისა. ნებისმიერი გრამატიკული კატეგორია მოიცავს კონკრეტულ მორფოსემანტიკურ საოპოზიციო ფორმებს. ამდენად, ფლექსიური აფიქსებისგან განსხვავებით, დანარჩენი მორფოლოგიური აფიქსები ყველა მეორე ტიპის დონეთაშორისი დერივანტებია. არის შემთხვევები, როდესაც ფლექსიური აფიქსი გამოდის პირველი ტიპის აფიქსის როლში (მაგრამ არა მეორე ტიპის აფიქსის როლში) მაგალითად, ვითარებითი ბრუნვის ნიშანი აწარმოებს ზედსართავებიდან ზმნიზედებს, რიგობითი რიცხვით სახელებიდან კი – წილობითი რიცხვითი სახელის ფორმებს, ასევე ამ ტიპის წარმოების მაგილითებია ე .წ. ნაგენეტივარი სახელები (თბილისი, დმანისი, ქუთაისი და სხვ.). აქ ადგილი აქვს ლექსიკურ დერივაციას.

ზოგჯერ ერთსა და იმავე დერივანტს შეუძლია სხვადასხვა ტიპის დერივაცია გვიჩვენოს. თუმცა ეს არ არის ხშირი მოვლენა. ქართულ ენაში მხოლოდ ზმნისწინია ასეთი დერივანტი. ზმნისწინი მრავალფუნქციური მორფოსემანტიკური დერივანტია, მას შეუძლია აწარმოოს ზმნის ფორმის პირის კლება-მატება, გეზი და ორიენტაცია, ასპექტი, ზმნის აქტანტთა როლებრივი ცლილებები და სხვ. ამასთან ერთად მას შეუძლია ლექსიკური დერივაციაც მოგვცეს რიგ



ფორმებთან (მაგალითად, *შეხვდა* და *მიხვდა*, *მოიგო* და *წააგო*). საყურადღებოა, რომ ზმნისწინი ფლექსიური აფიქსაცია, როგორც მწკრივის მაწარმოებელი.

ენას (როგორც ცოცხალი ორგანიზმს) შეუძლია ნებისმიერი ტიპის აფიქსთა ფუნქციური გადაფასებაც. მაგალითად, რაც შეეხება ირიბი ობიექტის ლოკალურ აქტანტად ცნობა-არცნობას ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში (სახელდობრ, მეგრულში), აქ უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. ზოგადად, ირიბი ობიექტის ერთ-ერთი ფუნქციაა ლოკალური აქტანტის გამოხატვა (ასევე ირიბი ობიექტი შეიძლება იყოს ბენეფიციარი, პოსესორი, ადრესატი, მალეფაქტივი, ეგზეკუტორი და სხვ.). თანამედროვე ქართულ ენაში ნათელია ლოკატორი აქტანტის ზმნიდან გასვლის ტენდენცია. თუ ძველ ქართულში იქნებოდა *სურათი ჰკიდია* (ის-ს მას-Oind.) *კედელს*, დღეს უფრო მისაღებია *სურათი (ჰ)კიდია (ის-ს) კედელზე*. ირიბმა ობიექტმა (როგორც ლოკატორმა აქტანტმა) მიიღო თანდებული და გავიდა ზმნიდან, თუმცა ფორმაში დატოვა თავისი ნიშანი (*ჰ*), რომელიც უკვე არალეგიტიმურია სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით, თუმცა ენა ისევ ინაჩუნებს ამ ნიშანს. ამ ტიპის ფორმები ზედაპირზე გვთავაზობს დიაქრონიულ სურათს. ამავე საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ მეგრულში გეზის აღმნიშვნელი ზმნისწინები, რომლებიც აღნიშნავენ მოქმედებას *რადაცის* გვერდით, ზედაპირზე, მახლობლად, გარშემო და ა.შ. აუცილებლად ითხოვენ ამ *რადაცის* არსებობას ზმნაში და თუ იგი არ არის, მაშინ ამ ზმნისწინებს შემოჰყავთ ასეთი აქტანტი. ეს შეიძლება იყოს ლოკალური აქტანტი – ირიბი ობიექტი, ან საგანი – ორიენტირი ირიბი ობიექტი (ანუ საგანი, რომლის მიმართაც სრულდება ზმნით გამოხატული მოძრაობა). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის საგანი – ზმნური ვექტორის ორიენტირი და ეს გახლავთ ზმნური აქტანტი – ირიბი ობიექტი. თუ ეს აქტანტი დაირთავს თანდებულს, ის გავა ზმნიდან და სავარაუდოდ, ზმნისწინიც შეიცვლება, რადგანაც თანდებული აიღებს გეზის გამოხატვის ფუნქციას. (თუმცა, ზოგ ფორმაში შეიძლება ზმნისწინი მაინც დარჩეს მიმართულების დასაზუსტებლად.) დიდი ალბათობით, ამ ტიპის ფორმები (ასეთი ზმნისწინებით) უნდა იყოს ორპირიანი გარდაუვალი ან სამპირიანი. ყველა შემთხვევაში, ზმნისწინი პოლიფუნქციური დერივანტია და ეს არის ერთადერთი ლინგვისტური ერთეული ქართულსა და მეგრულში აფიქსის ყველა შესაძლო ფუნქციით – ფლექსიური, ლექსიკურ-დერივაციული და გრამატიკულ-დერივაციული.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

Booij, Geert & Kemenade, Ans Van. 2003. Preverbs: An introduction. *Yearbook of Morphology 2003*. Edited by Booij & Jaap van Marle. Kluwer Academic Publishers. New York, Boston, Dordrecht, London, Moscow. 1-13

გამყრელიძე თამაზ 2008. ლინგვისტურ პარადიგმათა ცვლილება დროსა და სივრცეში კრებულში: „ენა, ენობრივი ნიშანი“. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. თბილისი

Makharoblidze Tamar. 2018. On Georgian Preverbs. Open Linguistics. De Gruyter. 2018; Vol. 4, Issue 1:163–183 Published Online: 2018-06-15 | DOI: <https://doi.org/10.1515/opli-2018-0009> <https://www.degruyter.com/view/j/opli.2018.4.issue-1/opli-2018-0009/opli-2018-0009.xml?format=INT>.

Open access.

მახარობლიძე თ. (2018) ლინგვისტური წერილები - IV წიგნის ფაბრიკა. თბილისი ISBN 978 9941-9-0044-3 317 გვ.

მახარობლიძე თ. 2016. ლინგვისტური წერილები - III. თსუ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი. ISBN 978-9941-13-511-8 446 გვ.

შანიძე აკაკი, 2073. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I, თსუ. თბილისი.

Merriem Webster. Dictionary. Since 1828. <https://www.merriam-webster.com/dictionary/derivation>

**Tamar Makharoblidze**

*Iliia State University*

### On derivatives

#### Abstract

The question of derivatives has been repeatedly raised in the teaching processes of language grammar and general linguistics. This circumstance became the basis for creating this short article. It is well known that a word-form can be changeable or unchangeable, and this fact is determined by the parts of speech. Form-changing words can undergo two types of change: inflectional and derivative. During the inflectional change, the form of the word changes, but the lexical and semantic aspects of the word do not change, i.e. its semantic and content data do not change. A classic example of this type of change is flexion of nouns.

Derivation is the formation of a word from another word by the addition of non-inflectional affixes. Derivation can be of two types. The first is lexical derivation, in which the derivative affix produces a word with a different lexical content. A word-form can be another part of speech or the same part of speech but with a different lexical content. The second type of derivation is, first of all, grammatical derivation, when grammatical categories are produced. The grammatical category in general (and a word-form in general as well) includes the unity of morphological and semantical aspects. There is no separate semantics without morphology. Any semantic category and/or content must be conveyed in a specific form, so only a specific form has a specific morphosemantics, which can be produced by the grammatical derivatives. The main difference between the two types of derivation mentioned above (and therefore between the two types of derivatives) is the levels of the language hierarchy. The first type of affixes works at the lexical level of the

language, while the second type derivatives produce forms at the morphological and semantic levels. The second type derivatives are inter-level affixes, because they act on two hierarchical levels. Any grammatical category includes specific morphosemantic oppositional forms. Thus, unlike inflectional affixes, the rest of the morphological affixes are all other types of inter-level derivatives. It should be noted that the preverb in Kartvelian languages is the only linguistic unit with all possible functions of affix.

**Keywords: Morphology, semantics, derivation, derivatives, flexion, affixes**

რეცენზენტი: აკადემიკოსი ვ. შენგელია

## კომპოზიტი როგორც გენტივური სტრუქტურის ალტერნატიული ფორმა და მისი ენობრივ-სტილისტური თავისებურებანი

დალი ნიქაბაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: [dalichurzidse@yahoo.de](mailto:dalichurzidse@yahoo.de)

სტატია ეხმარება ბოლო დროს გავრცელებულ მოსაზრებას გენტივის პოზიციის შესუსტების თაობაზე. ამ საკითხს მრავალი კვლევა მიეძღვნა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია გენტივი გარემოების ფუნქციით მართლაც უკან იხევს, თუმცა მტკიცე პოზიცია უჭირავს განსაზღვრების ფუნქციით.

გერმანული ენა მდიდარია ისეთი ენობრივ-სტილისტური ფორმებით, რომლებიც გენტივური ფორმის ალტერნატივად შეიძლება მოგვევლინოს. გენტივის ალტერნატიული ფორმები, როგორც გენტივური მნიშვნელობები, სხვადასხვა სიხშირით და ხარისხით ფუნქციონირებენ. მათ ერთ-ერთ სემანტიკურ ექვივალენტს წარმოადგენს კომპოზიტები.

კვლევა ეყრდნობა უახლეს ენათმეცნიერულ ლიტერატურას (პ. აიზენბერგი, პ. გალმანი, ლ.მ. აიხინგერი, ა. ჰერინგერი), ხოლო საილუსტრაციო მასალა მოხმობი-ლია ონლაინ გაზეთებიდან (როგორცაა Spiegel online, Zeit online, Frankfurter allgemeiner Zeitung, Süddeutsche Zeitung). რაც შეეხება საგაზეთო ჟანრს, კვლევის დროს გამოყენებულია კომენტარი, რეპორტაჟი, ინტერვიუ.

**საკვანძო სიტყვები:** გენტივი, ენობრივ-სტილისტური ფორმები

აღსანიშნავია, რომ გერმანული ენა მდიდარია ისეთი ენობრივ-სტილისტური ფორმებით, რომლებიც გენტივური ფორმის ალტერნატივად შეიძლება მოგვევლინოს. გენტივის ალტერნატიული ფორმები, როგორც გენტივური მნიშვნელო-ბები, სხვადასხვა სიხშირით და ხარისხით ფუნქციონირებენ. მათ ერთ-ერთ სემანტიკურ ექვივალენტს წარმოადგენს კომპოზიტები. სტატიაში წარმოდგენილი კვლევა ეყრდნობა უახლეს ენთიმეცნიერულ ლიტერატურას ( პ. აიხენბერგი, პ. გალმანი, ლ.მ. აიხინგერი, ა. ჰერინგერი), ხოლო საილუსტრაციო მასალა მოხმობილია ონლაინ გაზეთებიდან (როგორცაა Spiegel online, Zeit online, Frankfurter allgemeiner Zeitung, Süddeutsche Zeitung). რაც შეეხება საგაზეთო ჟანრს, კვლევის დროს გამოყენებულია კომენტარი, რეპორტაჟი, ინტერვიუ.

**კომპოზიცია** ლათინური წარმოშობის სიტყვაა (compositio) და ნიშნავს: შერწყმა, შედგენა, შეერთება, თხზვა. აქედან გამომდინარე, კომპოზიციის შემთხვევაში საუბარია სიტყვაწარმოების სახეობაზე, როდესაც ორი ან მეტი ელემენტი ერთმანეთს უკავშირდება. კომპოზიტი (თხზული სახელი, რთული სახელი) წარმოადგენს კომპოზიციის შედეგს, მაშასადამე სიტყვაწარმოების ერთ-ერთ ხერხს/მეთოდს/ საშუალებას, რომლის დროსაც ორი ან მეტი ელემენტი ერთმანეთს უკავშირდება. ასეთი სიტყვაწარმონაქმნის ბოლო შემადგენელი ნაწილი ჩვეულებრივ არის ძირითადი სიტყვა (დეტერმინანტი/საზღვრული), რომლის განმარტება ხდება პირველი წევრით, მსაზღვრელით.

შინაარსობრივი თვალსაზრისით, ზოგი კომპოზიტის მნიშვნელობა უდრის მისი შემადგენელი კომპონენტების ჯამს და ორ ან მეტ ცნებას მოიცავს. ზოგი კი სემანტიკურ მთლიანობად არის ქცეული, ანუ ერთცნებიანია. მისი მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს:

Allerdings wich Trump der Frage aus, ob er **das Wahlergebnis** als Verlierer anerkennen würde.[7]

Zuvor zeigte er dem feinen Washington seine Verachtung, indem er in kurzen, ausgebeulten Cargo-Hosen durch die **Hauptstadt** ging, unrasiert, zottelig.[4]

დუდენის მიხედვით, სუბსტანტიური კომპოზიტები, მიუხედავად მისი კომპლექსურობის დონისა, სტაბილურ ერთეულებს წარმოადგენს. სიტყვის შიგნით ისინი არ იცვლებიან და არც განვრცობა ხდება მათი: [Duden, 2005:720].

Am Montag hat Donald Trump seinen bisherigen **Wahlkampfmanager** Bannon, inzwischen politischer Chefstrategie im Weißen Haus, auch noch zum ständigen Mitglied im Nationalen Sicherheitsrat ernannt [4].

კომპოზიტი **Wahlkampfmanager** სამი სიტყვისაგან შედგება: **die Wahl, der Kampf** და **der Manager**, რომელთაგან **der Manager** ძირითად სიტყვას ანუ დეტერმინანტს წარმოადგენს, **der Wahlkampf** კი მისი მსაზღვრელია. როგორც გენტივური სტრუქტურის ალტერნატიული ფორმა, იგი შემდეგნაირად გამოიყურება: **der Manager des Wahlkampfs**. აქ საუბარია საარჩევნო კამპანიის მენეჯერზე.

ანალოგიურად შეიძლება კომპოზიტის ჩაშლა მომდევნო მაგალითში:

Ein weiteres Gesetz entzieht ihm die Schulaufsicht, reduziert die Verwaltungspositionen und macht die Ernennung von **Kabinettsmitgliedern** von der Zustimmung des (mehrheitlich republikanischen) Senats abhängig [6].

ემპირიულ მასალებში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც წინადადებაში რამოდენიმე კომპოზიტი გვხვდება:

Weil die beiden Fraktionen nur 20 Prozent der **Bundestagsabgeordneten** stellen, können sie kein **Normenkontrollverfahren** in Karlsruhe einleiten [7].

**Die Bundesregierung** hat ganz bewusst Artikel 24 als Grundlage für ihren **Mandatstext** genommen, weil sie nicht den **Verteidigungsfall** ausrufen wollte. .[7]

ამა თუ იმ კომპოზიტის ცალკეული კონსტიტუენტი ერთმანეთს უშუალოდ, ან მაკავშირებელი ელემენტით უკავშირდება. მაგალითად:

ა) კომპოზიტის შემადგენელი წევრების ცვლილებისა და მაკავშირებელი ელემენტის გარეშე:

Flankiert wurde er dabei von **Fabrikarbeitern** und sechs seiner sieben Kinder.[7]

Man dürfe das Thema Flüchtlinge allerdings nicht mit dem **Terrorismusthema** vermischen, sagte Obama.[7]

ბ) მაკავშირებელი ელემენტის გარეშე, მაგრამ კომპოზიტის პირველი წევრის შეკვეცით.

გ) მაკავშირებელი ელემენტით:

In der Bevölkerung aber genießt Merkel erstaunlich hohe **Zustimmungswerte**. [6]

Mit ihrer Mehrheit könnten sie dann die **Abstimmungsregeln** ändern.[4]

რაც შეეხება მაკავშირებელ ელემენტს, იგი საკმაოდ მრავალფეროვანია, რაც შემდეგ მაგალითებში აისახება:

(1) Offen ist noch, wie genau die **Zigarettenarten** künftig heißen müssen, um die Anforderungen zu erfüllen.[6]

(2) "Weder Sie noch irgendein **Bundesbeamter** können garantieren, dass syrische Flüchtlinge nicht Teil einer terroristischen Aktivität sein werden", schrieb der Gouverneur.[7]

(3) Den Tiefpunkt in der **Zufriedenheitsstatistik** hat Merkel nämlich nicht etwa mit der Flüchtlingsfrage erreicht.[6]

(4) Die Vizevorsitzende der Bayern-AfD und **Landtagsfraktionschefin** Katrin Ebner-Steiner sagte, die Verdächtigen hätten jedes Recht auf Weiterführung ihrer Asylverfahren verspielt.[5]

(5) Die Demokraten, die seit **Jahresbeginn** die Mehrheit im **Repräsentantenhaus** haben, bestreiten die Existenz einer solchen „Krise“ und bezeichnen die Mauer als überflüssig und unmoralisch.[5]

(6) Nachdem Markenlogos auf **Zigarettschachteln** bereits durch Fotos von **Raucherfüßen**, **Gebissruinen** und **Kindersärgen** verdrängt wurden, sollen demnächst auch alle irgendwie "attraktiv" oder "chic" klingenden **Markennamen** verschwinden.[4]

(1) კომპოზიტი წარმოდგენილია მაკავშირებელი ელემენტით -n;

(2) გამოყენებულია -es;

(3) ვხვდებით -s;

(4) კომპოზიტი შეიცავს ორმაგ -s-ს;

(5) ორი კომპოზიტია -es და -en მაკავშირებელი ელემენტებით;

(6) გამოყენებულია 5 კომპოზიტი -n, -er მაკავშირებელი ელემენტებით და მის გარეშე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპოზიტის პირველ წევრი შეიძლება იყოს როგორც საზოგადო ასევე საკუთარი სახელიც. ამასთან ხდება როგორც საკუთარი სახელის ასევე მთლიანად კომპოზიტის ლექსიკალიზება.

ემპირიულ მასალაში მრავლად მოიპოვება ე.წ. Ad-hoc-სიტყვათწარმონაქმნები, რაც იმას ნიშნავს, რომ ხდება კომპოზიტების წარმოქმნა გარკვეული მიზნით, გარკვეული

მოცემულობიდან გამომდინარე. ასეთი კომპოზიციის შემადგენელი ერთეულები ერთმანეთთან ტირეთი არის დაკავშირებული (Duden, 2016:540):

Das von Russland kritisierte **EU-Freihandelsabkommen**, das an Neujahr in Kraft trat, werde in der finanziell angeschlagenen Ukraine für Arbeitsplätze sorgen, meinte der prowestliche Staatschef.[5]

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სტატიაში განხილული პრობლემა კიდევ უფრო ღრმა კვლევას საჭიროებს, რაც, რა თქმა უნდა, ერთი სტატიის ფარგლებში ვერ მოხდება. ბოლო დროს განშირდა მკვლევართა სტატიები თუ სხვადასხვა ნაშრომები იმის თაობაზე, რომ გენტივი თანდათან კარგავს მოწინავე პოზიციას. ამიტომ აუცილებელი გახდა ამ პრობლემის მრავალმხრივი კვლევა. სწორედ ამ საკითხს ეხმაურება მოცემული სტატია, რომლის მიზანია გაარკვიოს, თუ რა დონეზე ხდება გენტივური სტრუქტურის ჩანაცვლება გერმანული ენის მდიდარი ენობრივ-სტილისტური ფორმებით. ერთ-ერთი სწორედ კომპოზიციებია. სტატია წარმოადგენს ერთგვარ მცდელობას, გაარკვიოს, თუ რამდენად ხდება გენტივური სტრუქტურის კომპოზიციით შეცვლა და რა თავისებურებები ახლავს თან ამ პროცესს.

ემპირიული მასალა მდიდარია განსაკუთრებული შემთხვევებით.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. DUDEN Die Grammatik, Bd. 4. Bibliographisches Institut & Brockhaus AG, Mannheim, 2005, S. 720, (Randnummer 1087)
2. DUDEN Die Grammatik, Bibliographisches Institut & Brockhaus AG, Mannheim, 2016, S. 540.
3. Eichinger L. M., Deutsche Wortbildung Eine Einführung. Gunter Narr Verlag Tübingen. 2000.  
წვდომის რეჟიმი: [https://api.pageplace.de/preview/DT0400.9783823359760\\_A30750552/preview-9783823359760\\_A30750552.pdf](https://api.pageplace.de/preview/DT0400.9783823359760_A30750552/preview-9783823359760_A30750552.pdf). - წვდომის თარიღი: 19.11.2019
4. <https://www.spiegel.de> წვდომის თარიღი: 17.05.2020
5. <https://www.faz.net> წვდომის თარიღი: 13.05.2020
6. <https://www.sueddeutsche.de> წვდომის თარიღი: 10.03.2020
7. <https://www.zeit.de> წვდომის თარიღი: 20.06.2020



**Dali Nikabadze**

Akaki Tsereteli State University

**Composite as an Alternative Form of Genitive Structure and its Linguistic-Stylistic Features**

## Abstract

The article responds to a recent statement on the weakening of the position of the genitive. Numerous studies have dealt with this question. It should be noted, however, that although the genitive actually retreats in relation to the object, it has a fixed position in relation to the attributive function.

The German language is rich in linguistic-stylistic forms that may appear as an alternative to the genitive form. Alternative forms of the genitive, as genitive values, function at different frequencies and degrees. One of their semantic equivalents is composites.

The research is based on the latest entomological literature (P. Eisenberg, P. Galman, L. M. Eichinger, A. Heringer), and the illustrated material is taken from online newspapers (such as Spiegel online, Zeit online, Frankfurter allgemeiner Zeitung, Süddeutsche Zeitung).

As for the newspaper genre, comments, reports, interviews were used during the research.

**Key words:** Genitive, Linguistic-stylistic forms

რეცენზენტი: პროფესორი ც. მოღებაძე

## ენობრივი კულტურა და პოლიტიკა საფრანგეთში

ნატალია რევიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
e-mail: [revishvilinatalia17@gmail.com](mailto:revishvilinatalia17@gmail.com)

*ფრანგული ეროვნული პოლიტიკა ევროპაში იზრდებოდა საფრანგეთის ძალაუფლებისა და ტერიტორიების ზრდასთან ერთად.*

*ლათინურიდან განსხვავებული ფრანგული ენის გაჩენის შესახებ პირველი მტკიცებულება არის 842 წლის სტრასბურგის ფიცის „ფრანგული“ ვერსიის ტექსტი. საფრანგეთი არის ნიმუში იმისა, თუ როგორ იქცევიან წარმოდგენები და მითები ენის შესახებ იდეოლოგიებად და როგორ წარმოადგენს იგი ენობრივი პოლიტიკის ნაწილს, ენობრივ დაგეგმარებასა და ენობრივ პრაქტიკებთან ერთად.*

*ფრანგული ენის დამკვიდრება ხდებოდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. XVII საუკუნიდან მზარდი ყურადღება ექცეოდა ამ საკითხს. განსაკუთრებით საინტერესოა ფრანგული მართლწერის მაღალ დონეზე დამკვიდრება, სოციალური ღირებულებების საგნად იქცა კარგი მართლწერის გამოვლენა ფრანგულ ენაზე. 1794 წლის 19 და 20 ოქტომბერს საზოგადოებრივი ინსტრუქციის კომიტეტმა შემოიღო ახალი პროექტი, რომ ყველასათვის ესწავლებინათ ფრანგული ენა. ფრანგული ვიდრე განათლებაში მოიკიდებდა ფეხს, მანამ მწერლობის ენა გახდა.*

*XVII და XVIII საუკუნე გახდა ფრანგული ენის დაკანონების პერიოდი. ამ დროის უდიდესმა ფილოსოფოსებმა და მწერლებმა პოეზიასა და ბელეტრისტიკაში დააკანონეს ფრანგული ენა. ამავე დროს იგი ხდება სამეცნიერო მწერლობის ენაც.*

*ბოლო ორი საუკუნის მანძილზე ფრანგული აკადემიისა და საფრანგეთის რევოლუციის მეშვეობით ფრანგულმა მიიღო ევროპაში ყველაზე ბრწყინვალე ენის სტატუსი. ეს იყო ახალი „კლასიკური“ ენა.*

**საკვანძო სიტყვები:** ფრანგული ენა, ენობრივი პოლიტიკა, „კლასიკური“ ენა

XX საუკუნის მიწურულიდან ფრანგული ენის პოლიტიკა მოიხსენიება მსოფლიოში ყველაზე მკაფიო და შემზღვეველ ენობრივ პოლიტიკად [შიფმანი 1996]. საფრანგეთი არის ყველაზე ნათლად გამოხატული შემთხვევა, როცა ერი სრულად იდენტიფიცირდება ერთ ენასთან - ფრანგულთან. დღეს თითქმის არავინ დავობს იმაზე, რომ საფრანგეთის მიერ დაკანონებული და წახალისებულია იდეოლოგია, რომ ერი/ნაცია განისაზღვრება მისი ტერიტორიითა და ენით, რაც ბევრი უმცირესობის ენისათვის დამლუპველი აღმოჩნდა [(იხ. სპოლსკი 2012; ჯონსონი, 2013]. როგორც ბალიზარი მიუთითებს, დღეს საფრანგეთი არის ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც 1794 წლიდან კანონი მოითხოვს ეროვნული ენის გამოყენებას საჯარო და კერძო სექტორსა და აქტებში, იქნება ეს კანონების შედგენა თუ კომერციული გარიგებები, თვით კერძო მოქალაქის უკანასკნელი ნება-სურვილი და ანდერძიც კი... ზოგიერთი საერთაშორისო

დამკვირვებელი მიიჩნევს, რომ ეს პოლიტიკა მცდარია კომპიუტერებისა და მასმედიის ეპოქაში, მაგრამ საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი მას არ ემთხვევა [ბალიბარი 1985:9]. ფრანგულენოვანებს აქვთ ძლიერი პოზიტიური დამოკიდებულება ფრანგული ენის მიმართ; ისინი ფიქრობენ, რომ მას ახასიათებს რაციონალურობა, გამჭვირვალობა, სიცხადე. მას უკავშირებენ ფრანგული კულტურის ასპექტებს, რომლებსაც ასე ძალიან აფასებენ. ამიტომაცაა, რომ შიფმანი თავისი შეხედულების დასაბუთებისას, რომ ენობრივი პოლიტიკები ენობრივ კულტურებშია ფესვადგმული, პირველ რიგში, საფრანგეთის მაგალითს მოიხმობს.

საფრანგეთი არის ნიმუში იმისა, თუ როგორ იქცევა წარმოდგენები და მითები ენის შესახებ იდეოლოგიებად და როგორ წარმოადგენს იგი ენობრივი პოლიტიკის ნაწილს ენობრივ დაგეგმარებასა და ენობრივ პრაქტიკებთან ერთად.

საფრანგეთის ისტორიას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ საფრანგეთის ძალაუფლება და ტერიტორია ევროპაში იზრდებოდა და ძლიერდებოდა ფრანგული ეროვნული პოლიტიკის ზრდასთან ერთად. სწორედ ფრანგულის გავრცელებით გახდა საფრანგეთის ნაწილი ის ტერიტორიებიც, რომელებსაც ადრე აკონტროლებდნენ ბურგუნდიის, ინგლისის ტახტის, ჰაბსბურგების (ელზასის) ჰერცოგები. ეს ტერიტორიები ნელ-ნელა ხდებოდა ფრანგულენოვანი. მაგალითად, ხალხი, რომელსაც იულიუს კეისარი შეხვდა გალიაში რომის იმპერიის გაფართოების დროს, იყვნენ კელტები. კეისარმა აქ შემოიტანა ლათინური ენა. კელტური წარმოშობის ზოგიერთი სიტყვა გვხვდება ფრანგულში დღესაც. ასევე ბრეტანი არის რეგიონი, სადაც საუბრობდნენ კელტურ ენაზე (ბრეტონული). ბრეტონულ ენაზე მოსაუბრებმა ბრიტანეთიდან დაიწყეს ჩამოსვლა IV საუკუნეში. ბრეტანი არ იყო გაერთიანებული საფრანგეთთან ჩარლზ VIII ქორწინებამდე ანა ბრეტანელთან (1491 წელს) და ანექსირებული იქნა ფრანსუა I-ის მიერ 1532 წელს. კიდევ ერთი არაფრანგულენოვანი ჯგუფი იყო ფრანკები, გერმანულენოვანი ტომი, რომლებიც გერმანიიდან დასავლეთით გადავიდნენ დაახლოებით V საუკუნეში, ანუ მეროვინგულ და კაროლინგურ პერიოდებში. კლოვისი, ფრანკთა მეროვინგი მეფე, მოინათლა 496 წელს რეიმსში, რამაც ხელი შეუწყო ქრისტიანობის გავრცელებას მის ხალხში და დასაბამი დაუდო ტრადიციას, რომ საფრანგეთის ნამდვილი კანონიერი მეფეების კორონიზაცია უნდა შემდგარიყო მხოლოდ რეიმსის საკათედრო ტაძარში. ორენოვნების კვალი ჩნდება მოგვიანებით. კერძოდ, გერმანულენოვანი კარლოს დიდის ერთ-ერთმა შვილიშვილმა, ჩარლზ მელოტმა (Charles the Bald), აირჩია საჯაროდ ლაპარაკი *lingua romana* (ძველ) ფრანგულ ენაზე, ხოლო მისი ძმა საუბრობდა *teudesca lingua*, (ძველი ამაღლებული) გერმანული ენით. როგორც ჩანს, ამ ეტაპზე მიმდინარეობდა ენის ცვლა და ლათინურის პირმშო დიალექტები, რომლებზეც ლაპარაკობდნენ საფრანგეთის მიწაზე, გადაადგილდებოდნენ აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით თავიანთი საწყისი სამშობლოდან, სამხრეთ-აღმოსავლეთ ბელგიაში ჩრდილოეთით, და ვოგეზების მთებში აღმოსავლეთით (და აქედან შვეიცარიაში), სადაც დღეს საფრანგეთის აღმოსავლეთი საზღვარი რჩება.

ლათინურიდან განსხვავებული ფრანგული ენის გაჩენის შესახებ პირველი მტკიცებულება არის 842 წლის სტრასბურგის ფიცის „ფრანგული“ ვერსიის ტექსტი, მიუხედავად იმისა, რომ მას კვლავ მოიხსენიებდნენ ტერმინით *lingua romana*, ნაცვლად ჯერ კიდევ სამომავლო ტერმინისა *Français* ან *la langue française*. ამ ენის შესახებ პირველი ცნობა და მისი პირველი ჩანაწერი (ფიცი) მოხდა სტრასბურგში, ქალაქში, რომლისთვისაც იზრდოდნენ საფრანგეთისა და გერმანიის მმართველები ათასწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში. ფრანგული ენა სასულიერო პირების მიერ კოდირებული იყო როგორც ადმინისტრაციული ენა, ხოლო 842 წლისთვის ღირებულად ჩათვალეს მისი გამოყენება ლათინურის ნაცვლად სტრასბურგის ფიცში. ფიცის დადების შესახებ

მოხსენება. თუმცა ჯერ კიდევ ლათინურ ენაზეა, მაგრამ ფიცის ტექსტები მოყვანილია ორ ხალხურ ენაზე [ფონ შტაინმაიერი 1963: 82]. ფაქტია, ფრანგულის პირველი დოკუმენტირებული გამოყენება იყო ორენოვნების პირობებში, ფაქტობრივად, იმდენად თანაბრად, რომ საფრანგეთის მეფე საუბრობდა გერმანულად, ხოლო გერმანიის მეფე ფრანგულად.

პირველი სერიოზული განაცხადი ფრანგულის ფუნქციონირების გამყარებაში უკავშირდება ფრანსუა I-ს, რომელმაც 1539 წელს სოფელ ვილე-კოტრეში, აისნეს რაიონში (*département of Aisne*) გამოსცა ამავე სახელწოდების ედიქტი, რომლითაც ბრძანებდა, რომ ფრანგული ენა გამოყენებულიყო სამართლიანობის აღსრულების, სამოქალაქო სახელმწიფოს შექმნისა და ნოტარიულად დამოწმებული კანონების შესადგენად. ამ განკარგულების მიზანი იყო აღნიშნული სფეროებიდან სამუდამოდ განედევნა როგორც ლათინური, ასევე სხვა ენები და დიალექტური ნაირსახეობები, რომლებიც იმდროინდელ საფრანგეთის ტერიტორიაზე გამოიყენებოდა.

1539 წლიდან საფრანგეთი ტერიტორიულად ჯერ კიდევ ფართოვდებოდა. ამიტომ ახალშემოერთებული რეგიონების მოსახლეობის უმეტესობა ფრანგულად ვერ საუბრობდა და არც ვილე-კოტრეს განკარგულების შესრულება ხდებოდა.

სტანდარტული ფრანგული ენის გამოყენების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ფრანგი პროტესტანტების მიგრაციები. კერძოდ, ნანტის ედიქტის (*Edict of Nantes*) გაუქმების შემდეგ (ნანტის ედიქტი გამოსცა ანრი IV-მ 1598 წელს, პროტესტანტების რელიგიური და პოლიტიკური უფლებების დაწესების მიზნით. თუმცა თანდათანობით ეს უფლებები უარყვეს და შემდეგ ლუი XIV-მ საბოლოოდ გააუქმა 1685 წელს, რამაც გამოიწვია ფრანგი პროტესტანტების ექსპატრიაცია, დევნილობაში ცნობილი როგორც ჰუგენოტები), ფრანგი პროტესტანტები იძულებულნი გახდნენ გაქცეოდნენ დევნას და გაიქცნენ ევროპის პროტესტანტულ ტერიტორიებზე (გერმანიაში, ნიდერლანდებში, ელზასსა და შვეიცარიაში, ასევე შიდა გადასახლებით საფრანგეთის ცენტრისა და სამხრეთით მდებარე იზოლირებულ ადგილებში). მათ თან მიჰქონდათ სტანდარტული ფრანგული. სადაც არ უნდა წასულიყვნენ ფრანგი პროტესტანტები, ისინი ხელს უწყობდნენ სტანდარტული ფრანგულის გავრცელებას. მაგალითად, ელზასში სწორედ ჰუგენოტების ჩამოსვლამ მოიტანა ფრანგულის პირველი ძირითადი გავრცელებები.

ძირითადი გარდატეხა ფრანგულის სტატუსისა და კორპუსის დაგეგმვაში განმანათლებლობის დროს მოხდა. მაშინ გახდა ფრანგული ენა დამოუკიდებელი და იგი მიიჩნიეს ყველაზე დახვეწილ, ელეგანტურ და ცივილიზებულ ენად. მიიღეს უცხოელებმა, როგორებიცაა პრუსიის ფრედერიკ დიდმა და მთელმა რუსულმა ცარისტულმა არისტოკრატებმა, რომლებიც მას საკუთარ მშობლიურ ენებსაც კი ამჯობინებდნენ. რენესანსის პერიოდში ფრანგი ინტელექტუალები შიშობდნენ, რომ ფრანგულს საფრთხე ემუქრებოდა, რომ მას გადაფარავდა იტალიური (და ესპანურსაც კი) და ძლიერი მხარდამჭერი ზომები გაატარეს. სწორედ ამ პერიოდის დამსახურებაა ფრანგული აკადემიის (*Académie française*) დაბადება (1635 წ.), თავდაპირველად, როგორც კერძო წამოწყება, მაგრამ საბოლოოდ გახდა რეჟიმის ორგანო, რადგანაც იგი დაკანონდა პარლამენტის მიერ 1637 წელს (რიშელიეს ზეწოლით). მან ხელი შეუწყო და წაახალისა ახალი ლექსიკის, სტანდარტიზებული გრამატიკისა და ორთოგრაფიული კონსენსუსის შემუშავება (ეს გახლდათ ძირითადად კორპუსის დაგეგმვა), ამიერიდან ფრანგული ახალი „კლასიკური“ ენა გახდა.

რევოლუციის წინა პერიოდში, 1787 წლის 25 ივნისის დებულებით, მუნიციპალურ მთავრობებს, საბჭოებს დაევალებათ ყველა სახის ჩანაწერის შენახვა (მხარეებთან საქმის მოგვარება, პეტიციებისა და თხოვნებზე პასუხის გაცემა, სკოლის მასწავლებლების დანიშვნა, გადასახადების

აკრეფა, ხელშეკრულების დადება, ანდერძის დაწერა, დაბადების, დაქორწინების ან სიკვდილის რეგისტრაცია) მხოლოდ ფრანგულ ენაზე. საბჭოებში არჩულ სოფლის მოსახლეებს სწრაფად უნდა ესწავლათ ფრანგული. საბოლოოდ ძალაში შევიდა ვილერ-კოტრეს განკარგულება, ბუნებრივია, ზეპირი დისკუსიები შეიძლება ყოფილიყო ადგილობრივ კილოკავებზე, მაგრამ ჩანაწერები მხოლოდ ფრანგულად. აღნიშნულმა სიტუაციამ მოითხოვა შექმნილიყო სკოლები კადრების მოსამზადებლად.

ამავდროულად ფრანგული ენის გავრცელებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა XVIII საუკუნის გზების მშენებლობამ: ახალი გზები შემოვიდა იქ, სადაც მანამდე არ იყო და ყველა მათგანი პარიზიდან მოემართებოდა, რაც ხელს უწყობდა ფრანგული ენის გავრცელებას.

ამდენად, ერთ-ერთი ეფექტური რამ, რაც მონარქიამ გააკეთა ადგილობრივი მეტყველების ფორმების დასათრგუნად, იყო ბრძანება, რომ ფრანგული ენა გამოეყენებინათ ადგილობრივი ადმინისტრაციისთვის და შეექმნათ გზების სისტემა, რომელიც პარიზიდან გამოემართებოდა და გაავრცელებდა ფრანგულს.

ფრანგულის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო მისი დანერგვა განათლების სფეროში, რომელშიც ლათინურს წამყვანი ადგილი ეჭირა საუკუნეების განმავლობაში. XVIII საუკუნის 20-იან წლებამდე საგანმანათლებლო დაწესებულებებში ყველა საგანი ჯერ კიდევ ლათინურზე ისწავლებოდა. როლინმა 1726 წელს გამოაქვეყნა საეტაპო გეგმა, რომელიც წარმოადგენდა ეროვნული ენის (*langue nationale*) შესწავლის პირველ გეგმას. ვოლტერი, დიდრო, ფილოსოფოსები და ა.შ. გმობდნენ ლათინურს, მაგრამ კოლეჯებში სწავლულთა იერარქია მისი ჩაშლის წინააღმდეგი იყო. მხოლოდ ბენედიქტელებმა დაიწყეს განათლება ლათინური ენის გარეშე.

1762 წელი ძველი პედაგოგიკისთვის გარდატეხის წელი იყო - პარლამენტმა დახურა იეზუიტური სკოლები, რასაც თან გაჰყვა ლათინურენოვანი განათლება.

რევოლუციის წინა 20 წლის განმავლობაში საგანმანათლებლო სისტემა არ იყო სათანა-დო დონეზე. იყო სურვილი ლათინურის მიტოვებისა, თუმცა არსებობდნენ შენარჩუნების მხარდამჭერებიც (სასულიერო პირები). იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მხარს უჭერდნენ ფრანგული და ლათინური ენების თანაბარ პოზიციებზე დგომას და ამტკიცებდნენ, რომ ფრანგული ენა იყო კლასიკური ენა, ისევე როგორც ლათინური. XVIII საუკუნის ფილოსოფოსები არ ემხრობოდნენ უნივერსალურ მასობრივ განათლებას: ისინი არ თვლიდნენ, რომ ეს გლეხებისთვის სასარგებლო იქნებოდა. დაწყებითი სკოლები უმოქმედონი იყვნენ ფრანგული ენის გასავრცელებლად, რადგან ისინი მასებისათვის არ არსებობდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდის დაწყებითმა განათლებამ ვერ ითამაშა დიდი როლი მთელ ქვეყანაში ფრანგული ენის გასავრცელებლად.

XVII საუკუნიდან მზარდი ყურადღება ექცეოდა ფრანგულის მართლწერას (ორთოგრაფია). კარგ ქცევებთან და აღზრდასთან ერთად სოციალური ღირებულების საგნად იქცა კარგი მართლწერის გამოვლენა, განსაკუთრებით ქალებისთვის. სწორი ორთოგრაფია გახდა სკოლის დამთავრებისა და კარგი მანერების ნიშანი. ლათინური სჭირდებოდათ მამაკაცებს ტრადიციული იურიდიული, სამედიცინო და ა.შ. კარიერისთვის. ამ პროფესიის მამაკაცებისთვის ფრანგული ენის ცოდნა არ იყო საჭირო. საბოლოოდ, ფრანგული ენის არცოდნა თანდათანობით გახდა ბარიერი და საფრთხე.

უნივერსიტეტები ჯერ კიდევ ძირითადად ლათინურად მუშაობდნენ, თუმცა მეცნიერება და ხელოვნება უკვე ფრანგულ ენაზე ისწავლებოდა. 1790-იანი წლებიდან ლათინურზე

თავდასხმა დაიწყო კოლეჯებსა და უნივერსიტეტებშიც. არსებულ უნივერსიტეტებში ლათინური ენის შესუსტების უცნაური გზა აირჩიეს - მათი დახურვა და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსება.

1794 წლის 27 იანვრიდან ძალაში შევიდა 8 პლუვიოზის განკარგულება. მალევე აღმოაჩინეს, რომ არ არსებობდნენ ორენოვანი მასწავლებლები, გამოსავალი იყო მასწავლებელთა მოსამზადებელი ინსტიტუტის დაწესება. ეს იქნებოდა ერთგვარი „სასწრაფო კურსი“, რომელიც პარიზში ჩატარდებოდა და შემდეგ მსმენელები გაიგზავნებოდნენ პროვინციებში სხვების გადასამზადებლად. მსურველი არცთუ ბევრი აღმოჩნდა. ამიტომ არსებული ძველი სკოლების უმეტესობა დაიხურა. საბოლოოდ ყველაფერი ძველ რეჟიმს დაუბრუნდა - ორივე ენა თანაბრად გამოიყენებოდა. გაგრძელდა თარგმანის პრაქტიკაც.

ერთი რამ, რაც 8 პლუვიოზის განკარგულებამ გააკეთა, იყო ლათინური ენის სამუდამოდ აღმოფხვრა: 1793 წლის 22 თებერვლის ბრძანებულებით გადაწყდა, რომ ლათინური აღარ იქნებოდა საშუალო განათლების ენა. ზოგან იგი გახდა სწავლების საგანი და არა სწავლების ენა. ამ პერიოდში უნივერსიტეტებისა და კოლეჯების დახურვა კვლავ გრძელდება. ბევრი მათგანი მრავალი წლის განმავლობაში აღარ გახსნილა. 1795 წლის 13 ივლისს გამოიცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც საფრანგეთის კოლეჯს ფუნქციონირების უფლება მისცეს; სტრასბურგის უნივერსიტეტი (გერმა-ნულოზის კერა) დაიხურა და აღარ გახსნილა 1871 წლამდე.

1794 წლის 19 და 20 ოქტომბერს საზოგადოებრივი ინსტრუქციის კომიტეტმა მიიღო ახალი პროექტი, რომ ყველასთვის ესწავლებინათ ფრანგული, რაც მოიცავდა ზრდასრულთა განათლებას. განსაკუთრებული იდიომის მქონე ქვეყნის ნაწილებში, III მუხლის თანახმად, ორ ენაზე ასწავლიდნენ, რათა ფრანგული ენა საბოლოოდ ცნობილი გამხდარიყო ყველასთვის რესპუბლიკაში. ორენოვანი განათლება ნებადართული იყო მხოლოდ როგორც გარდამავალი ღონისძიება. მალე III შეასწორეს, სწავლება უნდა მოხ-დეს ფრანგულ ენაზე და იდიომები გამოყენებული იქნეს მხოლოდ როგორც დამხმარე ენა. ფრანგულმა დაიკავა წამყვანი ადგილი უმაღლეს და საშუალო განათლებაში.

ფრანგული უფრო ადრე გახდა მწერლობის ენა, ვიდრე განათლებაში მოიკიდებ-და ფეხს. XVII და XVIII საუკუნეებში ფრანგი ინტელიგენცია და მწერლები იბრძოდნენ ფრანგულის, როგორც სალიტერატურო ენის, შემოქმედებითი მწერლობისა და მეცნი-ერების ენის ჩამოსაყალიბებლად. ლათინური აღარ იყო ის ენა, რომელსაც ინტელექ-ტუალები ეყრდნობოდნენ რაიმე რეალური მიზნებისთვის, მაგრამ ის მაინც გამოიყენე-ბოდა თითქმის ყველა სფეროში. განსაკუთრებით, რელიგიასა და განათლებაში - დაწყე-ბითი სკოლიდან დაწყებული უნივერსიტეტით დამთავრებული.

ამ პერიოდის უდიდესი ფილოსოფოსებისა და მწერლების (მონტესკიე, ვოლტერი, დიდრო, დეკარტი, რასინე, მოლიერი და სხვები) უდიდეს გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს, რომ მათ დააკანონეს ფრანგული პოეზიასა და ბელეტრისტიკაში. შეიძლება ითქვას, რომ მწერლობის სფეროში ლათინურმა შეწყვიტა ფუნქციონირება.

ამავე დროს, ფრანგული ხდება სამეცნიერო მწერლობის ენაც. XVII საუკუნის ბოლოს ზოგი ნაწარმოები კვლავ იწერება ლათინურად, მაგრამ უფრო მეტად - ფრანგულად. მეცნიერებაც ლათინურიდან გადადის ფრანგულზე. ამიტომ ლათინური ენა გაქრა თანდათანობით ჯერ ბელეტრისტიკაში, შემდეგ მეცნიერებებში.

ფრანგულს ყველაზე მეტად გაუჭირდა ლათინურთან ბრძოლა რელიგიის მიმართულებით. შეიძლება ითქვას, რომ ლათინურმა ყველაზე ბოლოს სწორედ რელი-გია

დატოვა. ლათინურის ბატონობისას ქადაგებებში მაინც გამოიყენებოდა დიალექტები, რადგან გლეხებს არ ესმოდათ არც ლათინური და არც ფრანგული. თუმცა ზოგიერთი სასულიერო პირი არ იყო დაბადებული იმ რეგიონში, სადაც მსახურობდა და შესაბამისად არც იმ კუთხის დიალექტს ფლობდა. ამიტომ ეკლესიას სურდა გამოეყენებინა ნებისმიერი ენა, რომელიც საუკეთესოდ ემსახურებოდა მათ მიზნებს, ლათინური კი შენარჩუნდა მხოლოდ მასობრივი და გარკვეული ლიტურგიკული გამოყენებისთვის. ბრძოლა, რომელიც გაგრძელდა და გაჭიანურდა მაშინაც კი, როდესაც ძირითადი ენობრივი კანონმდებლობა უკვე მიღებული იყო, გახლდათ ბრძოლა კათო-ლიკური მესის ენისთვის. რევოლუციის დროს გრეგორის იდეა იყო, რომ ხალხს ელოცა ფრანგულ ენაზე. მისი აზრით, მღვდლები რევოლუციის წინააღმდეგ ქადაგებდნენ და ხალხს უცოდინრად ტოვებდნენ ლათინურის ან დიალექტების გამოყენებით.

საფრანგეთის ენობრივი პოლიტიკის ისტორიაში ფრანგულ აკადემიასა და საფრანგეთის რევოლუციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საფრანგეთის რევოლუციამდე ფრანგულს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მონოპოლია. მართალია სხვადასხვა კანონები და ბრძანებულებები მიზნად ისახავდნენ ფრანგულის დაკანონებას ადმინისტრაციასა და სამართალში, განათლებასა და რელიგიაში, მაგრამ მრავალენობრივი მოსახლეობის ერთი ენის ქვეშ გაერთიანება მაინც ვერ ხერხდებოდა. გარდამტეხი ამ მხრივ ფრანგული აკადემია და საფრანგეთის რევოლუცია აღმოჩნდა ენობრივი პოლიტიკით. მათ შორის მარგინალურ ტერიტორიებზეც, სადაც ფაქტობრივად, ძალიან ცოტა ადამიანი იცოდა ფრანგული.

რევოლუციის დრო იყო ქაოსის და დიდი არეულობის პერიოდი, მაგრამ სწორედ ამ პერიოდში 1790 წელს პროტესტანტები იღებენ პოლიტიკურ უფლებებს, ებრაელები მოქალაქეები ხდებიან. პროვინციული ქალაქების სკოლებში ფრანგული ენის წერა-კითხვის შესწავლას მართალია, პირველ პერიოდში არ მიუღია საკანონმდებლო სახე, თუმცა 1791 წლიდან უკვე დაიწყო ამაზე საუბარი საკანონმდებლო ასამბლეაში. 1793 წლის ოქტომბერში გამოდის ბრძანებულება სახელმწიფო სკოლების შექმნის შესახებ, რომლებიც ბავშვებს ასწავლიან ფრანგულ ენაზე საუბარს, კითხვას და წერას. 1794 წლის 27 იანვარს ძალაში შევიდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომიტეტის წარდგინება (რომელიც 8 pluviöse an II სახელითაა ცნობილი). 1794 წლის 20 ივლისიდან კი 8 პლუვიოზის დადგენილება უფრო გამძლიერდა: დაწესდა სანქციები ფრანგული ენის გამოყენებლობის გამო.

რევოლუციის პირველ პერიოდში არ მომხდარა სიახლის შემცველი აქტების გამოცემა ენასთან დაკავშირებით, გრძელდებოდა ორენოვნება და ფუნქციონირებდა თარგმანის კანონი. მაგრამ თარგმანი არ უწყობდა ხელს ფრანგულის გავრცელებას. რევოლუციის პირველმა ეტაპმა აშკარად აჩვენა თარგმანის მიტოვებისა და ფრანგულის გავრცელების აუცილებლობა.

ფრანგული ენის პოლიტიკის სურათი (რევოლუციიდან მოყოლებული - არ აქვს მნიშვნელობა რომელი რეჟიმია, მონარქი, იმპერია, თუ რესპუბლიკა) მკაცრად შეესაბამება იმ მოსაზრებას, რომ სტანდარტული ფრანგული გამოხატავს თავისუფლებას, თანასწორობას, ძმობას. როგორც გორდონი აღნიშნავს, მონარქიულ ენობრივ პოლიტიკასა და რევოლუციურ ენობრივ პოლიტიკას შორის არანაირი განსხვავება არ არსებობდა: რევოლუციამ რეალურად მიაღწია იმას, რაც ძველი რეჟიმის დროს დაიწყო.

XIX საუკუნიდან ახალი ეტაპი იწყება ფრანგულ ენობრივ კულტურაში. საფრანგეთის რევოლუციამ დაამკვიდრა მოსაზრება, რომ ენა ქმნის ერს. ენა გახდა დამაკავშირებელი ქსოვილი, რომელმაც გააერთიანა სხვადასხვა ენისა და კუთხის ფრანგები. ამ თვალსაზრისით,

საფრანგეთის რევოლუცია მართლაც იყო რევოლუცია ენასთან დაკავშირებით. იდეა, რომ „თითოეულ ერს უნდა ჰქონდეს ერთი გავრცელებული ევროპაში და საუკუნის შემდეგ (1918 წლიდან) კვლავ საფუძვლად დაედო ახალ ნაციონალურ სახელმწიფოებს. ეს იდეოლოგია უმეტესად გასული საუკუნის ბოლოდან (70-იანი წლებიდან) გახდა მსჯელობისა და კრიტიკის საგანი.

აღსანიშნავია, რომ მითები და წარმოდგენები ფრანგული ენის შესახებ დღესაც აქტიურად მოქმედებს ფრანგულენოვან სამყაროში, რისი ერთ-ერთი დადასტურებაცაა ორთოგრაფიულ რეფორმებთან დაკავშირებული სირთულეები. ფრანგული ორთოგრაფიის მოდერნიზაციისა და გამარტივების მცდელობა მრავალჯერ დადგა დღის წესრიგში ფრანგული აკადემიის დაარსებიდან დღემდე. ფაქტობრივად, ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ფრანგული მართლწერის რეფორმის უმეტესმა მცდელობამ გამოიწვია პროტესტი და მრავალი მცდელობა ჩაიშალა (1901 წლის, 1939–40 წლების, 1953 წლის). ერთ-ერთი ბოლოდროინდელი მცდელობა რეფორმისა იყო 1989–90 წლებში. მწვავე კამათების დროს დრუონი გამოვიდა სიტყვით, რომელშიც კარგად ჩანს ის მითები და წარმოდგენები ფრანგულის შესახებ, რომლებიც იქმნებოდა საუკუნე-ების განმავლობაში: ფრანგულ ენას ახასიათებს სიმართლე, სიციხადე, სიზუსტე, სიწმინდე, ეს ის თვისებებია, რაც ჩვენს ენას უზენაეს ხდის ეთიკის, სამართლის, საერთაშორისო დიპლომატიური შეთანხმებებისა და მოლაპარაკებების, ექსპოზიციისა და ხელოვნების სფეროებში. თუ მან ეს მახასიათებლები დაკარგა, რაც მას უნივერსალურს ხდის, ჩვენი ენა დაკარგავს მიმდევრებს და მსოფლიოში მისი გამოყენება შემცირდება [დრუონი 1990: 36]. 1989–90 წლების წინადადება შეიცავდა ინფორმაციული რევოლუციის მოთხოვნებს, მას „მართლწერის შემოწმების“ რეფორმაც კი უწოდეს, რადგან იგი შეიქმნა იმისთვის, რომ დაეხმაროს ფრანგულ მეცნიერებას და ფრანგულ ინფორმატიკას კონკურენცია გაუწიოს მსოფლიოში დომინირებულ ინგლისურენოვან კომპიუტერებს.

საფრანგეთი წინააღმდეგია და დღემდე აქტიურად იბრძვის საფრანგეთში ინგლისურის გავრცელებისა და ფრანგულის სიწმინდის შენარჩუნებაზე (მიუხედავად ამისა, ანგლიზირებული ფრანგული, რომელიც ცნობილია *ფრანგლას* სახელით მაინც გავრცელებულია საფრანგეთის ზოგ მხარეში). ფრანგები მთავრობისაგან მოითხოვენ ფრანგული ენის დაცვას და შეიძლება ითქვას, რომ ამ სფეროში ერთსულოვნება ყველა პოლიტიკურ სპექტრში მიღწეულია. 1972 წელს შეიქმნა ტერმინოლოგიური კომისია სხვადასხვა სამინისტროში, რომელიც ხელს უწყობს ლექსიკის მომზადებას და სხვა ენებზე დამოკიდებულების თავიდან აცილებას.

1975 წლის კანონს (No 75-1349), რომელსაც ახლა *Bas-Lauriol* –ის კანონს უწოდებენ, ხელი მოაწერა პრეზიდენტმა ჯისკარ დესტანმა. ეს კანონი შეიცავდა სანქციებს ბიზნესის სფეროში დაბინძურებული ფრანგულის გამოყენების გამო. 1984 წელს პრეზიდენტმა მიტერანმა ჩამოაყალიბა ფრანგული ენის მრჩეველთა კომიტეტი. მათი მიზანია ფრანგული ენის გავრცელებასთან და დაცვასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების წახალისება, კოორდინაცია და გავრცელება. მიტერანმა ასევე შექმნა სპეციალური ორგანიზაცია (*Haut conseil de la francophonie*), რათა ამ მხრივ დაეხმაროს სხვა ფრანგულენოვან ქვეყნებსაც. მიუხედავად იმისა, რომ გასული საუკუნის დასასრულს საფრანგეთის ლინგვისტური სიტუაციის მიხედვით ფრანგულს საკმაოდ მყარი ფუნქციები ჰქონდა, გლობალიზაციის გამოწვევების დასაძლევად, საფრანგეთმა კვლავ მძლავრი ნაბიჯები გადადგა ფრანგულის გაძლიერებისა და დაცვისათვის.

როგორც ც. ახვლედიანი მიუთითებს, 1992 წლის 25 ივნისს ფრანგული ენა ოფიციალურად გამოცხადდა საფრანგეთის სახელმწიფო ენად („La langue de la république est le Français“) და ჩაიწერა რესპუბლიკის კონტიტუციაში. რაც შეეხება ეთნიკური უმცირესობებისა და ემიგრანტთა



მნიშვნელოვანი ჯგუფების ენებს - ასეთია სულ 25 იდიომი - ისინი განიხილება, როგორც ნაციონალური სიმდიდრე (საგანმშობრი). საფრანგეთი ითვლება მულტიკულტურულ, მაგრამ ერთენოვან ქვეყნად. 1994 წლის 4 აგვისტოს მიღებულ იქნა ე.წ. ტუბონის კანონი „ფრანგული ენის გამოყენების შესახებ“, რომელიც არ კრძალავს იმ უცხოური სიტყვების გამოყენებას, რომელიც დამკვიდრებულია ფრანგული ენის სტრუქტურაში. იგი სავალდებულოს ხდის სახელმწიფო ენის გამოყენებას ისეთ სფეროებში, როგორცაა: განათლება, საქმიანი ურთიერთობები, რეკლამა და ვაჭრობა. ეს კანონი ითვალისწინებს ჯარიმებს და მისი დარღვევისათვის ძალიან ბევრი სასამართლო პროცესი შედგა. ფრანგული ენის განვითარებაზე ზრუნავს „ფრანგული ენის გენერალური დელეგაცია“. სახელმწიფო სტრუქტურის საქმიანობა წარმატებით ხორციელდება ორი მიმართულებით: ტერმინოლოგიური ნეოლოგია და ფემინიზაცია. 1999 წელს საფრანგეთში სხვადასხვა სამინისტროს ბაზაზე ტერმინოლოგიისა და ნეოლოგიის 16 სპეციალური კომისია დაფუძნდა, რომელთა მიერ უკვე შექმნილია 4000 ახალი ტერმინი.

საფრანგეთის მთავრობა ვალდებულია (ტუბონის კანონი, მუხლი 22) ყოველწლიურად, 15 სექტემბრამდე პარლამენტს წარუდგინოს ანგარიში ტუბონის კანონის შესრულების თაობაზე, ასევე იმ საერთაშორისო კონვენციებისა და შეთანხმებებისა, რომელიც ფრანგული ენის გამოყენებას ეხება. საფრანგეთის ერთენოვან მცხოვრებთა 95% ლაპარაკობს ფრანგულად. ფრანგული ენა ოფიციალური სწავლების, ურთიერთობების, სახელმწიფო დაწესებულებებისა და ქვეყნის საგარეო ურთიერთობებისთვის ერთადერთ-თი ენაა, თუმცა არსებობს ენობრივი განსხვავებანი, რომლებიც სხვადასხვა პრობლემებს წარმოშობენ. საფრანგეთისთვის მნიშვნელოვანია ენობრივი სიტუაციის შემდეგი ასპექტები: 1. ფრანგულ ენასა და ეროვნულ უმცირესობათა ენებს შორის ურთიერთობა: 2. ფრანგული სალიტერატურო ენის ურთიერთობა მის ტერიტორიულ, ფუნქციონალურ სოციალურ მოდიფიკაციებთან: 3. ურთიერთობა ფრანგულ ენასა და უცხოურ ენებს შორის საფრანგეთის ტერიტორიაზე.

ეთნიკურ უმცირესობათა ენები ფრანგულ ლიტერატურაში მოიხსენიება როგორც რეგიონული ენები, უმცირესობათა ენები, "დაქვემდებარებული" ენები და ა.შ. [ახვლედიანი ც., 2006 წელი: 21].

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის ენობრივი პოლიტიკა მის ლინგვისტურ კულტურაშია ფეხადგმული და ფრანგული ენობრივი კულტურის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს, რომელსაც მართლაც საუკუნეობრივი ისტორია აქვს, გარდამტეხი მნიშვნელობა ამ მიმართულებით ფრანგული აკადემიის ჩამოყალიბებამ და საფრანგეთის რევოლუციამ ითამაშა. სწორედ მათი მეშვეობითა და ძალისხმევით მიიღო ფრანგულმა ევროპაში ყველაზე ბრწყინვალე ენის სტატუსი. როგორც აცხადებდნენ, ეს იყო ახალი, „კლასიკური“ ენა. ფრანგული აკადემიის მთავარი დამსახურება იყო კორპუსის დაგეგმვა, ხოლო საფრანგეთის რევოლუცია, თავის მხრივ, გამარჯვება იყო სტატუსის დაგეგმვისთვის საფრანგეთში, რომელმაც მტკიცედ დაამკვიდრა ფრანგული როგორც ყოველგვარი განათლების, ადმინისტრაციის, ჟურნალისტიკის, კომერციის და ა.შ. ენა. ასევე საფრანგეთის რევოლუციამ მოახდინა გარკვეული მითების დალაგება და ლეგიტიმაცია, რომელიც ფესვებს შორეული წარსულიდან იღებდა და რომელიც აქტუალურია დღევანდელ საფრანგეთშიც.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- ახვლედიანი ც. 2006; - საენათმეცნიერო ძიებანი XXIV, თბილისი
- ბალიბარი 1985; 9 -Balibar, Renée (1985) L’Institution du français: Essai sur le colinguisme des Carolingiens a la république. Presses Universitaires de France, Paris
- სპოლსკი ბ. 2012; -The Cambridge Handbook of Language Policy, Edited by Bernard Spolsky, First published (2012), Camb
- შიფმანი ჰ. 1996; -Harold F. Schiffman (1996). Linguistic Culture and Language Policy, London and NY: Routledge
- ჯონსონი დ.კ. 2013; -David Cassels Johnson (2013). Language policy, Washington State university, Palgrave macmillan

Natalia Revishvili

**Linguistic culture and politics in France**

## Abstract

The rise of the French national politics was taking place simultaneously with the rise of the French power and territories in Europe. The first evidence of the emergence of the French language distinguished from Latin is the text of the “French” version of the 842-nd Strasbourg Oath. France is an example of how ideas and myths about a language become ideologies and how it forms a part of a language policy, along with language planning and language practices.

The French language was being established over a long period of time. From the 17th century onwards, increasing attention was paid to this issue. It is especially interesting to establish a high level of French spelling, the expression of good spelling in the French language has become an object of social values. On October 19 and 20, 1794, the Public Instruction Committee introduced a new project to teach French to all. French became the language of writing before it set foot in education.

The 17-th and 18-th centuries became a period of legalization of the French language. The greatest philosophers and writers of this time legalized the French language in poetry and fiction. At the same time, it became the language of scientific writing. French gained the status of the most brilliant language in Europe over the last two centuries through the French Academy and the French Revolution. It was a new “classical“ language.

**Key words:** Franch, linguistic policy; “classical“ language.

რეცენზენტი: პროფესორი ც. ახვლედიანი

## Zur Analyse von zwei Konzepten

**Ramaz Svanidze**

Staatliche Akaki-Tsereteli-Universität

E-Mail: ramaz.svanidze@atsu.edu.ge

In der Pandemiezeit stellte sich noch einmal heraus, dass die europäische und weltweite Zusammenarbeit sehr wichtig ist. Bei der Bewältigung solcher globalen Herausforderungen sind gegenseitige Hilfe, Solidarität und Zusammenhalt unverzichtbar. Der Klimawandel mit seinen Horrorszenarien konnte den Lebensstil der Menschheit bis jetzt nicht schlagartig ändern. Die unvernünftige Ressourcenverschwendung, durch unbedachtes Handeln ausgelöste ökologische Probleme gehen unaufhaltsam weiter. Ein unsichtbares Virus veränderte das gesellschaftliche Leben hingegen in Windeseile. Die Todeszahlen und schreckliche Bilder von Leichentransporten, die um die Welt gingen, versetzten alle in den Schock. Die Menschen leben im Dauerstress, dessen Ende nicht bekannt ist. Das Virus beraubte der Menschheit teilweise ihr kostbarstes Gut, ihre Grundrechte, sowie Gemütsruhe und Sicherheit. Es spaltete die Gesellschaft in zwei unversöhnliche Lager: Impfgegner/innen und Impfbefürworter/innen. Trotzdem bleibt die Hoffnung, dass mit Empathie und Rücksichtnahme die Sicherheit der Vor-Corona-Zeit zurückgewonnen werden kann.

In dieser Lage ist die geopolitische Positionierung der EU bedeutungsvoll. Es wäre wünschenswert, wenn sie trotz innerer Herausforderungen als Vermittler zwischen West und Ost agiert. Die Idee der „Dritten Kraft“ ist immer noch aktuell, denn die Stärke Europas besteht darin, dass es integriert und nicht ausschließt [Vgl. Pfetsch 1997: 20f.]. Wie sich die EU entwickelt, ist besonders wichtig für solche Länder, die in der europäischen Peripherie sind und den Anschluss an die europäische Gemeinschaft anstreben. Durch hochqualitative Bildung und Zukunftsmöglichkeiten für alle Bürger/innen können sie den Transformationsprozess erfolgreich bewältigen. Die europäische Rolle im deutschsprachigen Pandemie-Diskurs wird anhand der qualitativen und quantitativen Methode analysiert. Hinsichtlich des thematischen Interesses werden zwei Konzepte priorisiert: *Europa* und *Solidarität*, denn es wäre begrüßenswert, wenn die EU anderen Staaten in dieser schwierigen Pandemiezeit ein Beispiel gelebter Solidarität geben würde. Aufgrund der *Token*-, *Type*- und *Lemma*-Suchabfragen [Hass-Zumkehr 2002: 47-50] konnten wertvolle Daten in den deutschsprachigen Korpora *OWIDplusLIVE* und *DWDS-Spezialkorpus* „Politische Reden“ gewonnen werden, die unten vorgestellt werden. Darüber hinaus werden auch korpusanalytische Betrachtungen angestellt.

In erster Linie stellt sich die Frage, was Europa für Georgier/innen ist. Die Antwort ist klar: *Europäische Werte* und *offene Gesellschaft*, die die Grundlage der EU bilden, schaffen Anreize für den europäischen Kurs. Die Bürger/innen in Georgien streben nach *Frieden*, *Sicherheit* und *Freiheit* in „vereinigte[n] Staaten von Europa“, wofür viele prominente Politiker/innen seit je plädierten [Adenauer 1946; Churchill 1946: 1]. Assmann ist der Meinung, dass „aus der verheerenden Geschichte nach dem zweiten Weltkrieg tatsächlich auch Lehren gezogen wurden und die EU als Produkt dieses Lernprozesses zu verstehen ist“ [Assmann 2018: 12]. Vier Lehren, die schrittweise errungen wurden und immer wieder neu realisiert werden mussten, lauten folgenderweise: *das Friedens- und Demokratisierungsprojekt (nach 1945/1989)*, *die Erinnerungskultur und Menschenrechte (nach 1989)* [Ebenda: 21]. Das sind die Grundpfeiler der europäischen Erfolgsgeschichte.

Im aktuellen Korpus *OWIDplusLIVE* wird der Akzent überwiegend auf den absoluten und relativen Wert gelegt. Darüber hinaus wird auch die intensive Zeitperiode der Verwendung unter die Lupe genommen.<sup>1</sup> Durch die Lemma-Suchabfrage *Solidarität* ergaben sich alle Wortkombinationen, in denen die Wortform *Solidarität* vorkommt. Hier sind die Wörter vorgestellt, die an der Spitze der Liste durch den absoluten und relativen Wert in pro Millionen Token vorkommen (von 11 bis 2059/ von 0.2 bis 43.60857): *Solidarität*, *SolidaritÄtszuschlag*, *SolidaritÄtsaktion*, *SolidaritÄtskundgebung(en)*, *SolidaritÄtsbekundung(en)*, *VolkssolidaritÄt*, *SolidaritÄtswelle*. Die meisten Ergebnisse finden sich im März/Anfang April und im Mai/Juni 2020 sowie im Mai 2021. Die Gebrauchshäufigkeit des Lemmas *Solidarität* hängt mit der Corona-Pandemie und dadurch verursachten Herausforderungen (*Grenzschißung und -öffnung in Europa*, *Maskenversorgung*, *Corona-Bons* usw.) zusammen. Die häufigsten Adjektive, die in Kombination mit der Wortform *Solidarität* vorkommen, sehen folgenderweise aus: *europÄisch* (48/1.07663), *mangelnd* (30/0.67289), *international* (20/0.44859), *groß*, *fehlend*, *verpflichtend*, *neu*, *echt*, *praktisch*, *finanziell*, *weltweit*. Die Wortform *Europa* zeichnet sich auch durch hohe Werte im Februar/März 2020 aus (17204/352.21250). Diese Werte bleiben bis Mitte August 2020 relativ stabil. Von Mitte April bis Mitte August 2021 liegen die Werte in der Mitte der Häufigkeitsskala. Die häufigsten Adjektive, die in Kombination mit der Wortform *Europa* vorkommen, sehen folgenderweise aus: *halb* (35/0.78504), *stark* (10/0.22430), *geeint*, *schwarz*, *neu* (je 5/0.11215). Die Wortform *Grenze* (5005/102.46591) wurde auch von Ende Februar bis Mitte März 2020 sehr häufig gebraucht, danach sank die Anzahl. Die Wortform *Grenzschißung* wurde Mitte März 2020 sehr intensiv verwendet, von Anfang bis Mitte 2021 erreichte sie den Mittelwert (149/3.03721). Den Vorteil dieses Korpus bilden folgende Aspekte aus: Aktualität sprachlicher Daten, Annotationen und eine dadurch ermöglichte vielschichtige gezielte Suchanfrage. Der Mangel dieses Korpus besteht darin, dass der Kontext nicht spezifiziert werden kann. Die Wortformen können nicht in der sprachlichen Umgebung ihres Vorkommens untersucht werden.

Im DWDS-Spezialkorpus *Politische Reden* konnten folgende Ergebnisse erzielt werden: Bei der Eingabe der Wörter *solidarisch* / *Solidarität* in das Suchfeld erscheinen alle flektierten Wortformen (1117/4144 Tokens). Die unterschiedliche Anzahl der Types kann damit erklärt werden, dass *solidarisch* als

<sup>1</sup> Die unten angegebenen Daten von sprachlichen Einheiten sind der Webseite <https://www.owid.de/plus/live-2021/> entnommen, letzter Zugriff am 10.08.2021.

Adjektiv mehr Variationsmöglichkeiten hat (466 Types für *solidarisch*, 4141 Types für *Solidarität*). Laut der kontextuellen Analyse jeder Aussage hat sich herausgestellt, dass *Solidarität* seit Januar 2020 häufiger im Zusammenhang mit der pandemischen Situation vorkommt. Aufgrund der spezifizierten Suchanfrage wurden die Sätze, in denen X und /Europa (nicht) vorkommen, herausgefiltert: 305 Treffer für *Solidarität* und *Europa*, 90 Treffer für *Nationalismus* und *Europa*, keine Treffer für *Grenzschießung* und *Europa* bzw. *Impfnationalismus* und *Europa*. *Europa* wird immer positiv verwendet, *Nationalismus* wird hingegen in allen Beispielen negativ konnotiert: „Ein geeintes, friedliches Europa – das ist die Lehre, die wir Europäer aus übersteigertem Nationalismus und Rassismus, aus Krieg und Zerstörung gezogen haben.“ (Rede von Frank-Walter Steinmeier, 16.12.2019) Aufgrund der differenzierten Suchanfrage *Solidarität/Europa* nach Parteien konnte festgestellt werden, dass die großen Volksparteien mehr mit den Konzepten *Europa* und *Solidarität* arbeiten. Durch die Part-of-Speech-Analyse wurden die Adjektive (3725 Treffer), die vor dem Substantiv *Europa* auftreten, herausgefunden. Danach wurden die einzelnen Aussagen von 2019 bis 2020 genauer untersucht und die Häufigkeit der einzelnen Adjektive ermittelt. Hier werden nur die häufigsten Adjektive präsentiert: *vereint* (549), *geeint* (415), *gemeinsam* (287), *neu* (216), *stark* (184), *friedlich* (105), *demokratisch* (86), *frei* (79), *handlungsfähig* (70), *sozial* (57), *alt* (56), *gut/besser* (50), *solidarisch* (29), *offen* (25), *souverän* (21), *freiheitlich* (18), *wettbewerbsfähig* (16), *stabil* (14), *sicher* (14), *gerecht* (12), *klein* (10). Gleich wurde mit dem Wort *Solidarität* umgegangen (800 Adjektiv-Treffer). Nach der Analyse der Daten von 2015 bis 2020 wurde die Häufigkeit der Adjektive ermittelt. Die häufigsten Adjektive, die das Konzept *Solidarität* bilden, sehen folgenderweise aus: *europäisch* (127), *gelebt* (84), *international* (49), *gesellschaftlich* (23), *praktisch* (19), *weltweit* (17), *groß* (15), *menschlich* (14), *gegenseitig* (12), *uneingeschränkt* (11).<sup>1</sup> Nach dem Online-Duden gehören zum Konzept *Solidarität* folgende Adjektive: *uneingeschränkt*, *europäisch*, *international*, *gesellschaftlich*, *weiblich*, *kritisch*, *national*, *praktisch*.

Die Daten des OWIDplusLIVE- und DWDS-Korpus stimmen überwiegend überein. Im DWDS-Korpus kommt eine breite Palette an Adjektiven vor, die die Konzepte *Europa* und *Solidarität* vielseitiger beschreiben. Hierbei muss auch erwähnt werden, dass einzelne Herausforderungen der Korpora durch einen komplexen Umgang überwinden werden können. Die tieferen Einblicke in themabezogene Aussagen und deren Erklärung aus der Perspektive des gesamtgesellschaftlichen Kontextes im kontrastiven Vergleich können eine neue interessante Analyseperspektive eröffnen.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Assmann, Aleida: Der europäische Traum. Vier Lehren aus der Geschichte. München: Beck, 2018.
2. Adenauer, Konrad: Rede über den NWDR am 6.3.1946. Abgerufen am 14.10.2021 unter dem Link

<https://www.konrad-adenauer.de/quellen/zitate/europa>

<sup>1</sup> [https://www.dwds.de/d/korpora/politische\\_reden](https://www.dwds.de/d/korpora/politische_reden), letzter Zugriff am 14.10.2021.

3. Churchill, Winston: Zürcher Rede. Universität Zürich, 19.09.1946. Abgerufen am 14.10.2021 unter dem Link [https://www.churchill-in-zurich.ch/site/assets/files/1807/rede\\_winston\\_churchill\\_deutsch.pdf](https://www.churchill-in-zurich.ch/site/assets/files/1807/rede_winston_churchill_deutsch.pdf)
4. Hass-Zumkehr, Ulrike: Das Wort in der Korpuslinguistik. Chancen und Probleme empirischer Lexikologie. In: Ágel, Vilmos/ Gardt, Andreas/ Hass-Zumkehr, Ulrike/Roelcke, Thorsten (Hrsg.): Das Wort. Seine strukturelle und kulturelle Dimension. Tübingen: Niemeyer, 2002, S.45-70.
5. Pfetsch, Frank R.: Die europäische Union. München: Fink, 1997.

## რამაზ სვანიძე

### ორი კონცეპტის ანალიზის საკითხისათვის

#### რეზიუმე

პანდემიისას გამოვლინდა, რომ ევროპული და მსოფლიო თანამშრომლობა მეტად მნიშვნელოვანია. ვირუსმა კაცობრიობას ნაწილობრივ წაართვა ძირითადი უფლებები, ასევე სიმშვიდე და უსაფრთხოება. ამ მდგომარეობაში მნიშვნელოვანია ევროკავშირის გეოპოლიტიკური პოზიციონირება. მიუხედავად შიგა გამოწვევებისა სასურველია, ევროპამ იმოქმედოს როგორც შუამავალმა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ევროკავშირის მომავალი განსაკუთრებით საყურადღებოა იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ევროპის პერიფერიაში მდებარეობენ და ევროპული ერთობისაკენ მიისწრაფვიან. განათლებითა და მომავლის შესაძლებლობების შექმნით ტრანსფორმაციის ეს პროცესი შესაძლებელია წარმატებით დაიდლოს. ევროპის როლი გერმანულენოვან დისკურსში გაანალიზებულია თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების საშუალებით. OWIDplusLIVE-ისა და DWDS-ის კორპუსების მონაცემები ერთმანეთს ჰკავს. DWDS-ის კორპუსში ზედსართავების ფართო პალიტრა გვხვდება, რომლებიც კონცეპტებს *ევროპასა* და *სოლიდარობას* უფრო მრავალმხრივად აღწერენ. აღსანიშნავია, რომ ევროპა მუდამ პოზიტიურად მოიხსენიება. კონტექსტუალური ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ სოლიდარობა უფრო ხშირად გამოიყენება პანდემიურ სიტუაციასთან კავშირში. სოლიდარობის/ევროპის დიფერენცირებულმა ანალიზმა პარტიების კონტექსტში გამოავლინა, რომ სახალხო პარტიები უფრო მეტად მიმართავენ ამ კონცეპტებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კორპუსების ცალკეული გამოწვევები კომპლექსური მიდგომით უნდა იქნას დაძლეული. თემატური გამონათქვამების უფრო სიღრმისეული განხილვა და მათი საერთო საზოგადოებრივი კონტექსტის გათვალისწინებით კონტრასტულ ჭრილში ახსნა წარმოადგენს მომავალ საინტერესო საანალიზო პერსპექტივას.

**Ramaz Svanidze****About the issue of analyzing two concepts****Abstract**

During the pandemic it turned out once again that European and worldwide cooperation is very important. The virus partially robbed the mankind of their basic rights, as well as peace of mind and security. In this situation, the geopolitical positioning of the EU is meaningful. It would be desirable if Europe acted as a mediator between West and East despite internal challenges. How the EU develops is particularly important for those countries that are on the European periphery and are striving to join the European community. This transformation process can be successfully mastered through education and future opportunities. The European role in the German-speaking discourse is analyzed using the qualitative and quantitative method. The data of the OWIDplusLIVE and DWDS corpora are alike. The DWDS corpus contains a wide range of adjectives that describe the concepts of *Europe* and *solidarity* in a more varied way. It is noteworthy that Europe is always referred to positively. According to the contextual analysis, it turned out that solidarity has been used more frequently in connection with the pandemic situation. Due to the differentiated analysis of Solidarity / Europe in the context of parties, it was found that people's parties are increasingly using these concepts. It must also be mentioned here that individual challenges of the corpora can be overcome through complex approach. Deeper insights into topic-related statements and their explanation from the perspective of the overall social context in a contrastive comparison can open up a new, interesting analytical perspective.

რეცენზენტი: პროფესორი ე. ბუნიაკოვა

## წინდებულების პრობლემატიკის ზოგიერთი საკითხი (თანამედროვე გერმანული ენის მასალაზე)

ელისო ქორიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
e-mail: elisso.koridze@gmail.com

თანამედროვე გერმანული ენის წინდებულების კლასი არ წარმოადგენს დახურულ სისტემას. მასში განუწყვეტლივ ქრება ძველი ენობრივი ერთეულები და წარმოიქმნება ახალი. მეტყველების ნაწილების რიგში წინდებული წარმოდგენილია სხვა, დამხმარე და ფორმაუცვლელ სიტყვათა კლასების გვერდით. მათგან განსხვავებით წინდებულს გააჩნია მართვის უნარი. წინდებულების პოლისემიურობა განაპირობებს მათი მნიშვნელობების და ფუნქციონირების მრავალფეროვნებას. განსაკუთრებით საინტერესოა აღნიშნული საკითხი სინტაქსის დონეზე. წინდებული არ წარმოადგენს დამოუკიდებელ წევრს, მაგრამ ყოველთვის შედის წინადადების რომელიმე წევრის შემადგენლობაში. იგი შეიძლება გამოჩნდეს როგორც დამატებასთან, ასევე განსაზღვრებასა და გარემოებასთან. მაგრამ ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ის ფაქტორი, მიეკუთვნება წინდებული ძველ, პირველად თუ ახალ, ნასახელარ ერთეულს. წინდებულის მართვა განპირობებულია არა ბრუნვით, არამედ თვით წინდებულით, რაც უშუალო კავშირშია დისტრიბუციასთან. ამ შემთხვევაში იგი უკავშირდება როგორც ავტოსემანტიკურ, ასევე - სინსემანტიკურ სიტყვებს, მაგრამ წინდებულის აქტუალიზაციაზე ძირითადად გავლენას ახდენს სრულმნიშვნელოვანი სიტყვა - ზმნა.

**საკვანძო სიტყვები:** წინდებულები, დახურული სისტემა, ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილი

ტრადიციული გრამატიკების მიხედვით, წინდებული არის ფორმაუცვლელი, მაგრამ მართვის უნარის მქონე სიტყვა. ამით ის განსხვავდება სხვა არასრულმნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილებისაგან (ზმნიზედა, კავშირი, ნაწილაკი). ამ ორი ნიშნის მიხედვით, წინდებულს ერთგვარად შუალედური ადგილი უჭირავს სრულმნიშვნელოვან და არასრულმნიშვნელოვან სიტყვებს შორის.



ჰ.ბრინკმანი, წინდებულებს სემანტიკური ნიშნის მიხედვით, ერთ კატეგორიად გამოჰყოფს და მათ მიმართების აღმნიშვნელ სიტყვებს (Beziehungswörter) უწოდებს. ჰ.გლინცი მეტყველების ნაწილებს აღწერს სემანტიკური პრინციპის მიხედვით და თვლის, რომ ზმნიზედები, კავშირები და წინდებულები გამოხატავენ სხვადასხვა დამოკიდებულებებს (მდგომარეობა, ხდომილება დროში, სივრცეში და სხვ.), აერთიანებს მათ ერთ დიდ კლასად - ნაწილაკებად და იქვე იძლევა მათ დიფერენციაციას ფუნქციების მიხედვით. რაც შეეხება წინდებულებს, მათ განიხილავს, არა როგორც ჩამოყალიბებულ მეტყველების ნაწილს, არამედ, როგორც სიტყვების ფუნქციონალურ კლასს. (Brinkmann, 1962: 110).

წარმოდგენილი მოსაზრება ერთგვარად საკამათოა, რადგან, თუმცა წინდებულებს აქვთ გარკვეული ფუნქციები, რომელთა შესრულება სხვა მეტყველების ნაწილებსაც შეუძლია, მაგრამ ყოველთვის არ ხერხდება მათი შეცვლა სხვა ენობრივი ერთეულით. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ მართალია წინდებული დამხმარე სიტყვაა, მაგრამ ის არ არის ლექსიკური მნიშვნელობისაგან დაცლილი და აღნიშნავს გარკვეულ დამოკიდებულებებს საგნებსა და მოვლენებს შორის.

რაც შეეხება წინდებულის ფორმას, იგი წარმოადგენს მყარ სტრუქტურას, რომელმაც ზოგ შემთხვევაში შეიძლება განიცადოს ცვლილება. მაგალითად, წინდებულის და არტიკლის შერწყმული ფორმა. რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია მათი შეცვლა წინდებულის და არტიკლის დამოუკიდებელი ფორმებით, თუმცა იშვიათად შერწყმული ფორმა არსებით სახელთან ერთად წარმოადგენს მყარ სემანტიკურ კონსტრუქციას და აღარ ექვემდებარება კომუტაციას.

განასხვავებენ ძველ, პირველად და ახალ, ნასახელარ წინდებულებს. ძირითადად, წინდებულების ფორმა მყარია. მასში შეუძლებელია რომელიმე ელემენტის ჩასმა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი წარმოადგენს ნაწარმოებ სიტყვას. მაგალითად, mittels, jenseits, hinsichtlich, bezüglich, ან კომპოზიტს außerhalb, einschließlich, zufolge, unterhalb.

რაც შეეხება თანამედროვე გერმანული ენის ახალ, ნასახელარ წინდებულებს, ითვლება, რომ ისინი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში არიან. მიუხედავად ამისა, ისინი მყარ კონსტრუქციებს წარმოადგენენ და არ ხერხდება მოცემულ ენობრივ ფორმებში განსაზღვრული არტიკლის ჩასმა. მაგალითად, In Anbetracht - in dem Anbetracht, in Betreff - in dem Betreff და სხვ. ზოგჯერ აღნიშნულ სტრუქტურებში შენარჩუნებულია ბრუნვის ნიშანი. მაგალითად, im Laufe ყოველთვის წარმოდგენილია დატივის ფლექსიით, მაგრამ Im Fall(e) გვხვდება როგორც ბრუნვის ნიშნით, ისე უმისოდაც. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მსგავს „საეჭვო“ კონსტრუქციებში შეიმჩნევა ერთ ფორმად ჩამოყალიბების ტენდენცია.

წინდებულები მიეკუთვნებიან პოლისემურ სიტყვებს, რაც ასევე განსაზღვრავს მათი ფუნქციონირების მრავალფეროვნებას. ენობრივ კომუნიკაციაში წინდებული შეიძლება

წარმოჩინდეს სხვა მეტყველების ნაწილად და, პირიქით, სხვა ენობრივმა ერთეულმა შეიძლება შეასრულოს წინდებულის ფუნქცია. მაგალითად, როდესაც ზმნიზება გადადის წინდებულის კლასში, იგი პირველ რიგში იცვლის სინტაქსურ ფუნქციებს. კერძოდ, კარგავს უნარს დაუკავშირდეს ზმნას, განსაზღვროს იგი, და, საპირისპიროდ ამისა, ითვისება წინდებულის ფუნქციას, დაუკავშირდეს არსებით სახელს. ამ ნიშნების მიხედვით, იოლია განვასხვაოთ წინდებული გენეტიკურად მონათესავე ზმნიზებისაგან. მაგალითად, etwas **gelegentlich** kaufen და **gelegentlich** der Feier. იგივე ითქმის მიმდებარედან ნაწარმოებ წინდებულებზე. მიუხედავად იმისა, რომ რომ ისინი მიეკუთვნებიან წინდებულების კლასს და უკავშირდებიან არსებით სახელს, მაინც ინარჩუნებენ ზმნურ თვისებებს და ამით განსხვავდებიან ისეთი წინდებულებისაგან, როგორებიცაა während, unbeschadet, ungeachtet, რომლებსაც მთლიანად დაკარგული აქვთ ზმნური თვისებები. სიტყვებს mitten და rings შეუძლია უშუალოდ დაუკავშირდნენ სახელებს, მაგრამ ამისთვის მათ სჭირდებათ სხვა წინდებულის დახმარება. მაგალითად, **mitten im** Zimmer, **mitten auf** der Strasse, **rings um** die Stadt. ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი მათ ზმნიზებების კლასს აკუთვნებს.

თუ გავიხსენებთ ლ.ვიტგენშტაინის ცნობილ გამოთქმას „სიტყვის მნიშვნელობა არის მისი გამოყენება,“ დავინახავთ, რომ წინდებული ტექსტში გამოდის სხვადასხვა მნიშვნელობით და ფუნქციით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წინდებული არასოდეს არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სინტაქსურ წევრს, მაგრამ იგი ყოველთვის შედის რომელიმე წევრის შემადგენლობაში. ტექსტში წინდებული არსებით სახელთან ერთად შეიძლება იყოს წინდებულიანი დამატება Er bezog sich in seinem Vortrag **auf die Aussage** seines Vorredners, განსაზღვრება **Das Haus im Wald** wird verkauft. ზოგჯერ ძნელია საზღვრის დადგენა განსაზღვრებასა და ადგილის გარემოებას შორის Sie schickten uns freundliche **Grüsse aus Moskau**. წინდებულიანი შესიტყვება შეიძლება მიმართული იყოს როგორც ზმნაზე, ასევე, არსებით სახელზე. დუდენის გრამატიკა ასეთ შესიტყვებებს უწოდებს **თავისუფალ განსაზღვრებებს** (Freie Attribute). (Duden, 2013: 617).

დროთა განმავლობაში წინდებულიანი დამატება ითავსებს ახალ წინდებულებს, ბრუნვების ფუნქციების შეზღუდვა მიმდინარეობს წინდებულების ფუნქციების გაფართოების ხარჯზე. ძველი წინდებულების გვერდით ახალი წინდებულების გაჩენა რამდენადმე მოტივირებულია. მაგალითად, ზმნა hoffen შუა ზემოგერმანულში მართავდა მხოლოდ გენტივის, დღეს კი მხოლოდ auf+Akk. -ს. ამ ზმნასთან auf წინდებულის გამოჩენა არ არის შემთხვევითი. იგი განპირობებულია თვით ზმნის ლექსიკური მნიშვნელობით. წარმოდგენილი წინდებული უკვე ადრე უკავშირდებოდა სემანტიკურად მსგავს ზმნებს basieren, gründen, stützen (sich).

ვ.შმიდტი მიუთითებს, რომ წინდებულებიანი შესიტყვებები უფრო თვალსაჩინოდ წარმოადგენს საგნებსა და მოვლენებს შორის დამოკიდებულებებს, ვიდრე თვით ბრუნების სისტემა: „Offensichtlich vermögen die präpositionalen Fügungen schon aufgrund der grossen Zahl von Präpositionen, die mannigfaltigen Beziehungen zwischen den Dingen und Erscheinungen deutlicher und differenzierter zu bezeichnen, als das mit Hilfe des in der Zahl sehr beschränkten Systems der reinen Kasus möglich ist.“ (Schmidt, 1963: 124).

ეს მოსაზრება გაზიარებულია ბევრ უახლეს გრამატიკაშიც, რაც ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს წინდებულებიანი კონსტრუქციებში ვხვდებით კონკურენციას, ერთი მხრივ, ანალიზურ და სინთეზურ ფორმებსა და, მეორე მხრივ, აბსოლუტურ ბრუნვებს შორის, და ხდება ანალიზური კონსტრუქციების მიერ ბრუნვების „განდევნა“ იმ შემთხვევაში, როდესაც აბსოლუტური ბრუნვები ვერ აკმაყოფილებენ სემანტიკურ მოთხოვნებს. (Breindl, 2013: 217).

ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ამ მხრივ დამატებაა. წინდებულებიანი დამატების ხშირად გამოყენება, რა თქმა უნდა, უფრო აფართოებს ენობრივ გამოხატულებათა შესაძლებლობებს, ვიდრე აბსოლუტური ბრუნვები, მაგრამ ეს არ არის დამოკიდებული ახალი ან უახლესი წინდებულების რაოდენობის ზრდაზე, რადგან არც ერთ მათგანს არ შეუძლია არსებით სახელთან ერთად იყოს წინდებულებიანი დამატება. გერმანულ ენაში არ არის ზმნა, რომლის მართვაშიც წარმოდგენილი იქნებოდა რომელიმე ახალი ან უახლესი წინდებულები. ამ უკანასკნელთა ფუნქციები შემოიფარგლება მხოლოდ განსაზღვრებებით და გარემოებებით.

ეს ფაქტი, შეიძლება აიხსნას იმით, რომ ახალი წინდებულების, როგორც ლექსიკური ერთეულების სტატუსი მყარია. დამატებაში წინდებულის მნიშვნელობა ერთგვარად ბუნდოვანია, როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ. მაგალითად, Er denkt **an** das Heiraten წინადადებაში გაურკვეველია, გამოხატავს წინდებულებიანი მიმართებას წინადადებასა და სახელს შორის, თუ ზმნასა და სახელს შორის. ერთი მხრივ, ზმნის მართვა მნიშვნელოვანი სინტაქსური ფაქტორია, ხოლო მეორე მხრივ, საქმე ეხება სემანტიკას. ფორმალური სემანტიკიდან გამომდინარე, დასაშვებია ჩანს კომპლექსური პრედიკატის არსებობა (Denken an), რომელშიც წინ არის წამოწეული წინდებულის ლექსიკური კომპონენტი.

გარემოებებთან და განსაზღვრებებთან ვითარება არაერთგვაროვანია. მაგალითად, წინდებულის ლექსიკური მნიშვნელობა მიჩქმალულია კონსტრუქციებში: unter Umständen, auf Geheiß, mit Billigung. ასევე, ძნელია გარკვევა, უნდა ჩაითვალოს ეს კონსტრუქციები მყარ წარმონაქმნებად, თუ სახელადი ვალენტობის ჩარჩოებად. იქ, სადაც სახელადი ვალენტობა მიმართულია ზმნურ ვალენტობაზე, წინდებულის მნიშვნელობა თითქმის იკარგება. მაგალითად, განსაზღვრებებში der Gedanke an, das Vertrauen auf და სხვ. ასეთ კონსტრუქციებში

მხოლოდ ძველი წინდებულება წარმოდგენილი. რაც შეეხება ახალ, ნასახელარ წინდებულებს, ისინი ყოველთვის უკავშირდება გარემოებებს და განსაზღვრებით მიმართებებს ამყარებს სახელებს შორის.

რაც შეეხება წინდებულების კლასსა და ვალენტობას შორის მიმართებებს, იმისთვის, რომ წინდებულმა ლოგიკურ-სემანტიკური ვალენტობა გამოხატოს, საჭიროა, მან ერთმანეთთან სინტაქსურად დააკავშიროს საგნებისა და მოვლენების გამომხატველი სულ მცირე, ორი სიტყვა. მაგრამ, მთავარი ამ შემთხვევაში არის ის, რომ წინდებულმა ტექსტში შეავსოს ცარიელი ადგილი. ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როცა წინდებული და მასთან დაკავშირებული სიტყვა წარმოადგენს დამოუკიდებელ სინტაქსურ წევრს. ასეთი გამოყენება ხშირად გვხვდება საგაზეთო სტატიების სათაურებში: *Nach dem Orkan, Im Mittelmeer, Auf dem Strömen* და სხვ.

წინდებულის დაკავშირებაში დატივთან, აკუზატივთან თუ გენიტივთან, გადამწყვეტ როლს ასრულებს არა ბრუნვა, არამედ, თვით წინდებული. ეს იმით აიხსნება, რომ არსებითი სახელების ბრუნვები შეიძლება დაუკავშირდეს წინდებულებს, რომლებიც გამოხატავენ სრულიად სხვადასხვა, ხანდახან ურთიერთ საწინააღმდეგო დამოკიდებულებებს. მაგალითად, დატივი შეიძლება დაუკავშირდეს წინდებულებს, რომლებიც გამოხატავენ, როგორც მოქმედების საწყის პუნქტს, ასევე მიზანსაც: *aus, von, nach, zu*. ამ წინდებულებთან დატივის გამოყენებისას გადამწყვეტია ის ფაქტორი, რომ გარკვეულ შემთხვევებში ხდება მათი მნიშვნელობების მიხედვით დაახლოება, რადგან, გადაადგილების გამოხატვისას ლოგიკურია აღნიშნული წინდებულების ერთად გამოყენება: *Eine Reise von Köln nach Berlin*.

ამგვარად, წინდებულის მართვა განპირობებულია არა ბრუნვით, არამედ თვით წინდებულთ. ჰ. ბრინკმანის მიხედვით, წინდებულის მეშვეობით, ბრუნვის მართვა დაკავშირებულია დისტრიბუციასთან. (Brinkmann, 1962: 115). თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც დატივი და აკუზატივი ინარჩუნებენ თავის უძველეს ლოკალურ მნიშვნელობას ორმაგი მართვის წინდებულებთან (*auf, an, in ...*). (Breindl, 2013: 217). უფრო მართებულად მიგვაჩნია ის აზრი, რომ ისინი ახდენენ მხოლოდ დამოკიდებულებების დიფერენციაციას. ბრუნვების განაწილებით აიხსნება აგრეთვე დატივის გამოყენება ყველა იმ წინდებულთან, რომლებიც გამოხატავენ კავშირს ან კონტაქტს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Brinkmann H., - Die Wortarten im Deutschen. In: Das Ringen um eine neue deutsche Grammatik. Wiss.Buchfestschrift. Darmstadt. 1962. S.101-125.
2. Breindl, E; Klosa, A., - Funktionswörter/Buch/Forschung. Zur lexikographischen Darstellung von Partikeln, Konnektoren, Präpositionen und anderen Funktionswörtern. Georg Olms Verlag. Hildesheim. 2013. S.217.
3. Duden., - Die Grammatik. Unentbehrlich für richtiges Deutsch. Dudenverlag. Berlin. 2016. S. 617.
4. Gagel, S., - Frühneuhochdeutsche Konnektoren. In: Studia Linguistica Germanica. Band 131. De Gruyter. Berlin. 2017.
5. Müller, W., - Das Wörterbuch deutscher Präpositionen die Verwendung als Anschluss an Verben, Substantive, Adjektive und Adverbien / Band 1, A-L. De Gruyter. Berlin. 2012.
6. Schmidt W., - Lexikalische und aktuelle Bedeutung: ein Beitrag zur Theorie der Wortbedeutung. Akademie Verlag. Berlin. 1963.

Eliso Koridze

**Some issues of prepositional problems (on modern German language material)****Abstract**

The class of modern German prepositions is not a closed system. In it the old linguistic units are constantly disappearing and new ones are emerging. The preposition in the row of speech parts is presented next to other, auxiliary and unchangable word classes. Unlike them, the preposition has the ability to manage. The polysemity of prepositions determines the diversity of their meaning and functioning. This issue is especially interesting at the syntax level. The preposition is not an independent member, but is always part of any member of the proposal. It can appear with object, attribute and adverbial modifier. But in this case the decisive role is played by the factor belonging to the pre-existing old, new named unit. The management of the prepositions is conditioned not only by the turnover but by the preposition itself, which is directly related to the distribution. In this case it is related to both autosemantic and synsemantic words, but the actualization of the preposition is mainly influenced by the full-meaning word – verb.

**Key words:** preposition, closed system, unchangable part of speech

რეცენზენტი: პროფესორი ს. მუჯირი

## ფუნქციურზმნიანი შესიტყვებები გერმანული ენის განვითარების ისტორიულ კონტექსტში

სალომე შავგულიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: [salomeshavgulidze@yahoo.de](mailto:salomeshavgulidze@yahoo.de)

ფუნქციურზმნიანი შესიტყვებების არსებობას მეცნიერები გერმანული ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ადასტურებენ. მოვლენა, რომლის საწყისები ენის განვითარების ადრეულ პერიოდებში ფიქსირდება, არ არის მხოლოდ გერმანული ენისათვის დამახასიათებელი. ის ფაქტი, რომ შესიტყვებათა რაოდენობა გერმანულში საუკუნეთა მანძილზე მატულობს, ადასტურებს მისი განვითარების ტენდენციას სინქრონიულიდან ანალიზური აგებულებისაკენ.

ენის დიაქრონიული განვითარების პროცესში იკვეთება გარკვეული პერიოდები, როდესაც ნომინალიზაციის და შესიტყვებათა გამოყენების ტენდენცია უფრო მეტად გამოიხატება, ვიდრე სხვა მონაკვეთებში. ფუნქციურზმნიანი შესიტყვებების სისტემურ მოვლენად ჩამოყალიბა კი ივარაუდება XVIII საუკუნეში. ისინი ფიქსირდება სამეცნიერო ლიტერატურაში და მმართველობის ენაში, ასევე მხატვრულ ლიტერატურაში. XVII-XVIII საუკუნეებში განსაკუთრებით მომძლავრდა ამ შესიტყვებათა გამოყენება, რაც ამ დროისათვის გერმანულ და ევროპულ აზროვნებაში მომხდარი ცვლილებების, ფილოსოფიისა და მეცნიერების განვითარების, ბიუროკრატიული აპარატის ჩამოყალიბების და სავაჭრო ურთიერთობების ცვლილებების კვალდაკვალ წარმოქმნილ ენობრივი გამოხატვის საჭიროებებს უკავშირდება. მოხდა გერმანული ენის შინაგანი პოტენციალის და ანალიზური აგებულებისაკენ მიდრეკილების განვითარება შეცვლილი ცხოვრებისეული პირობების გათვალისწინებით.

თანამედროვე გერმანულ ენაში ფუნქციურზმნიანი შესიტყვებების ფართოდ გამოყენებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ისინი გვხვდება თითქმის ყველა ფუნქციურ სტილში: უმეტესად ოფიციალურ, სამეცნიერო და პრესის ენაში, ასევე მხატვრულ ლიტერატურაში.

**საკვანძო სიტყვები:** ფუნქციურზმნიანი შესიტყვებები, გერმანული ენა, ოფიციალური, სამეცნიერო და პრესის ენები

ფუნქციურზმნიანი შესიტყვებები წარმოადგენენ ზმნური შინაარსის მქონე არსებითი სახელისა და ზმნისგან შემდგარ, ერთიანი შინაარსის მქონე, სემანტიკურად და ფუნქციურად ზმნის შესაბამის ერთეულს. მაგალითად, zum Ausdruck kommen, in Besitz nehmen, Hilfe leisten. გერმანულ ენათმეცნიერებაში გავრცელებული მოსაზრებით, სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში ფუნქციურზმნიანი შესიტყვებების ხშირი გამოყენება თანამედროვე გერმანული ენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას, მის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს [შდრ.: Polenz 1963; Heringer 1968, Relleke 1974; Helbig 1979, Jie 1986]. ლინგვისტთა ნაშრომებში ფუნქციურზმნიანი შესიტყვებები უმეტესად სინქრონიულ პლანში განიხილება, რამაც შეიძლება მთაბეჭდილება შექმნას, რომ ეს ენობრივი ფორმები მხოლოდ თანამედროვე გერმანულ ენაში

გამოიყენება. თუმცა, როგორც მეცნიერები ადასტურებენ, ფუნქციური ზმნები და ფუნქციურზმნიანი შესიტყვებები არ არის ახალი ენობრივი მოვლენა და მათი არსებობა და გამოყენება გერმანული ენის ისტორიის საკმაოდ ადრეულ ეტაპებზე ფიქსირდება.

სხვადასხვა მეცნიერი შესიტყვებათა გამოჩენის თარიღად გერმანულ ენაში სხვადასხვა დროს ასახელებს. ასევე განსხვავებულია მოსაზრებები მათი წარმოშობის მიზეზებისა და ფუნქციების შესახებ ადრეულ თუ თანამედროვე გერმანულში.

ჰონგ ტიანფუ ფუნქციურზმნიანი შესიტყვებების წარმოშობის პერიოდად ადრეულ ახალ ზემოგერმანულს (1350–1650 წწ.) თვლის. ამ მოსაზრების თანახმად, გერმანული ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ისინი თავისუფალი შესიტყვებების სახით არსებობდნენ და მხოლოდ მე-14-16 საუკუნეებში თანდათან გადაიქცნენ მყარ შესიტყვებად: „Die Funktionsverbgefüge waren im Verlauf der Entwicklung der deutschen Sprache zunächst freie Wortgruppen. Erst zwischen dem 14. und 16. Jh., nämlich im Frühhochdeutschen, gingen sie allmählich in feste Wortgruppen über“ [შდრ: Jie, 1986: 15, 288]. მკვლევართა ერთი ნაწილი ფუნქციურზმნიან შესიტყვებებს გერმანული ენის განვითარების უფრო ადრეულ ეტაპზე, საშუალო ზემოგერმანულში (1050–1350) პოულობს. ერთ–ერთ წყაროდ სახელდება ჰართმან ფონ აუეს პოემა „გრეგორიუსი“, სადაც შესამჩნევია, რომ შესიტყვებები დიდ როლს თამაშობენ, მათი სემანტიკური ფუნქციიდან გამომდინარე. სხვა საშუალო ზემოგერმანული ტექსტური წყაროებიც იძლევა მსგავსი დასკვნების გაკეთების საშუალებას. აღნიშნულ შესიტყვებებთან მიმართებაში გამოითქმება მოსაზრება მათი მთავარი ფუნქციის, კერძოდ, აქციონალობის დიფერენცირების შესახებ [შდრ.: Jie, 1986: 16–17].

კარლა გუთმახერის აზრითაც ზმნური და სახელადი კომპონენტებისაგან შემდგარი შესიტყვებები წარმოდგენილია XIII საუკუნის გერმანული სამართლის ერთ–ერთი უძველესი წერილობით წყაროსა და საშუალო ქვემოგერმანულ ენაზე დაწერილ პროზაულ ნაწარმოებში „Sachsenspiegel“ (1220–1235 წწ.). ძეგლი ცხადყოფს, რომ შესიტყვებები ძირითადად საკანცელარიო და სავაჭრო ენაში იყო გავრცელებული [Guttmacher, 1980: 9].

პეტერ ფონ პოლენცი ფუნქციურზმნიანი შესიტყვებების სისტემურ მოვლენად ჩამოყალიბების პერიოდად ასახელებს XVIII საუკუნეს, ხოლო გავრცელების სფეროდ – სამეცნიერო ლიტერატურას და ოფიციალურ (მმართველობის) ენას, ასევე მხატვრულ ლიტერატურას. საინტერესოა, რომ ამ ენობრივი ფენომენის საწყისებს მეცნიერი ხედავს გერმანული ენის განვითარების გაცილებით ადრეულ საფეხურზე, კერძოდ, კი ძველ ზემოგერმანულ სამართლის ენაში (750–1050 წწ.): „die Formeln in Gebrauch nehmen / setzen / kommen / sein / haben kommen im 18. Jahrhundert häufig vor, ... lassen sich aber zum Teil schon in der althochdeutschen Rechtssprache nachweisen“ [Polenz, 1963: 35].

ვალპურგა რელეკეს ცნობით, ძველი ზემოგერმანული ენისადმი მიძღვნილ კვლევებში მკვლევრები ზოგჯერ მართლაც ამახვილებენ ყურადღებას არსებითი სახელისა და ზმნისგან შემდგარ შესიტყვებებზე, რომლებიც თავიანთი გრამატიკული, სინტაქსური ან სემანტიკური სტრუქტურის გამო ვერ აღიწერებიან სხვა საკვლევი საკითხების კონტექსტში. ძველი ზემოგერმანულის ცნობილ გრამატიკებში ასევე არ არის მითითებები ამ შესიტყვებების შესახებ. ამის მიზეზს მეცნიერი შემდეგნაირად ხსნის: ენობრივი მოვლენების სინტაქსური აღწერა, რომელსაც შეუძლია ამ შესიტყვებათა განსაკუთრებულ ფუნქციაზე მინიშნება და მათი ადეკვატური კვალიფიცირება, მაშინდელ გრამატიკებში არ გვხვდება. ფონეტიკის და მორფოლოგიის ასპექტით კი ფუნქციურზმნიანი შესიტყვებები არ არის გასაგები, რადგან ამ სფეროში ისინი არ განსხვავდება სხვა სიტყვებისა და სიტყვათა ჯგუფებისგან [Relleke, 1974: 14].

იუან იე ქრონოლოგიურად უფრო შორს მიდის და შესიტყვებებს გუთურს უკავშირებს. მაგალითად, ეპისკოპოს ვულფილასეულ ბიბლიის გუთურ თარგმანში (IV საუკუნე) მეცნიერი პოულობს შესიტყვებას, ყურადღებას ამახვილებს ბერძნულ ნიმუშზე და ასკვნის, რომ ისეთი ფორმები, როგორცაა *Und bringe uns nicht in Versuchung...* ბერძნული...*briggais ... in fraistubnuiai ...*-ის მიბაძვითაა შექმნილი [(Jie, 1986: 15)].

საინტერესოა, ფუნქციურზმნიან შესიტყვებათა გამოყენების სიხშირისა და ინტენსივობის რა ტენდენცია შეიმჩნევა გერმანულში. მეცნიერთა დაკვირვებით საშუალო ზემოგერმანულში ფუნქციურზმნიან შესიტყვებათა უფრო დიდი რაოდენობა ფიქსირდება, ვიდრე ძველ ზემოგერმანულში, ხოლო ადრეულ ახალ ზემოგერმანულში ეს მოვლენა უფრო ვითარდება და შესიტყვებებიც უფრო ხშირია. ეს ტენდენცია თავსდება გერმანული ენის ანალიზურ ენად ჩამოყალიბების ზოგად კონტექსტში. საინტერესო ფაქტს აფიქსირებს იე: მიუხედავად იმისა, რომ ლუთერი გამოდიოდა აზრის შეიტყვების მეშვეობით ფორმულირების წინააღმდეგ, როგორცაა ვერ უვლიდა გვერდს ენის განვითარების ტენდენციას და მაინც იყენებდა მის მიერვე დაწუნებულ ფორმებს: „Obwohl Luther selbst gegen Formulierungen wie *“die Verlierung der Salben ist geschehen“* war, schrieb auch er solche Sätze wie *“... das ist ihre lehre in ein zweifel brechte“*, *“wie thu ich, das ich die Wittemberger ins Geschrei bringe“* [შდრ: Jie, 1986: 16–17].

ფუნქციურზმნიან შესიტყვებებზე დიაქრონიული თვალსაზრისით მსჯელობისას ერთი ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ: ეს მოვლენა არ არის მხოლოდ გერმანულის-თვის დამახასიათებელი. ამიტომაც ისმება კითხვა: შესიტყვებებთან მიმართებაში ევრო-პულ ენებში მრავალრიცხოვანი დამთხვევების არსებობა პირდაპირი ზეგავლენის შედეგია, თუ წარმოქმნისათვის მსგავსი პირობების არსებობაა სავარაუდო.

ჰანს-იურგენ ჰერინგერის აზრით, სავარაუდოა ლათინურის გავლენა გერმანულზე ამ მიმართულებით. ეს გავლენა შესაძლებელია ორი გზით განხორციელებულიყო: ლათინური ენის მსგავსი შესიტყვებების თარგმნით ან ლათინური რიტორიკის წესებით. მკვლევარი XIV-XVI საუკუნეებში ფუნქციურზმნიანი შესიტყვებების მოჭარბებას განიხილავს როგორც გერმანულ ენაზე ლათინური ენის და რიტორიკის ზეგავლენის შედეგს [Heringer, 1968: 119].

XVI-XVIII საუკუნეებში გერმანულ ენაში ფუნქციურზმნიანი შესიტყვებების ხშირი გამოყენების ერთ-ერთ შესაძლო მიზეზად ჰერინგერი ფრანგული ენის გავლენას ასახელებს. რასაც ადასტურებს ისიც, რომ ხშირად უცხო სიტყვები გვხვდება შესიტყვებათა სახელად კომპონენტად, რაც კალკირებაზე მეტყველებს. თუმცა მეცნიერი იქვე დასძენს, რომ მოსაზრება, რომ ამ კალკებმა დაუდო საფუძველი შესიტყვებათა შემდგომ ანალოგიურ წარმოებას, არ არის გამართლებული, რადგან შესიტყვებების წარმოების შესაძლებლობა ბევრად უფრო ძველია, ვიდრე ენის განვითარების რომელიმე პერიოდში შესიტყვებათა გამოყენების ტენდენცია და გარე გავლენები. ჰერინგერი ასკვნის, რომ გერმანულ ენაში ამ შესიტყვებათა წარმოშობის უკვე არსებულ შესაძლებლობებს და ტენდენციებს ძლიერ შეუწყო ხელი ლათინური და ფრანგული ენების გავლენამ [(Heringer 1968: 119–120)].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლენცის აზრით, ფუნქციურზმნიანი შესიტყვებები სისტემურ ენობრივ მოვლენად XVIII საუკუნეში ჩამოყალიბდა. მეცნიერი ამ ფაქტს გერმანული ენის სტრუქტურული განვითარების ტენდენციას უკავშირებს სინთეზურიდან ანალიზური წყობისაკენ, რომლის წინა პლანზე წამოწევა და გააქტიურება დროის გარკვეულ მონაკვეთში სოციალურმა ცვლილებებმა გამოიწვია. ფუნქციურზმნიანი შესიტყვებები გვხვდება ოფიციალურ (მმართველობის) ენაში. პოლენცის აზრით, „ქაღალდის ეპოქის“ აბსტრაქტულად მოაზროვნე ადამიანი თავის საქმიანობას და სურვილებს გარესამყაროსთან მიმართებაში



არსებითი სახელებით უკეთ გამოხატავს ვიდრე ზმნებით. ის უარს ამბობს ზმნის დინამიურობაზე და არსებითი სახელის სტატიკურობას იყენებს: „Der abstrakt denkende Mensch des Papierzeitalters formuliert offenbar sein Tun und Wollen und sein Wissen von der Umwelt lieber mit Substantiven als mit Verben. Er meidet die dynamische Begrifflichkeit des Verbums und hält sich möglichst an die statische des Substantivs“ [Polenz 1963: 11].

ფუნქციურზმნიანი შესიტყვებები არა მხოლოდ საკანცელარიო ენაში ჩამოყალიბდა, არამედ XVII-XVIII საუკუნეების აკადემიურ სტილშიც მომრავლდა. ამის მიზეზად, ხშირად, სამეცნიერო სტილზე ოფიციალური ენის ზეგავლენა ითვლებოდა. ადმინისტრაციული, იურიდიული და კომერციული სფეროების ენობრივი ტრადიციების ზეგავლენა ახალი ზემოგერმანულის წერილობით ენაზე აშკარაა, მაგრამ აკადემიურ სტილში შესიტყვებათა მოჭარბებაზე მხოლოდ ოფიციალური სტილისადმი პასუხისმგებლობის დაკისრება პოლენცისათვის გადაჭარბებულია. მეცნიერი ამ ორ სფეროში შესიტყვებათა პარალელურ განვითარებაზე საუბრობს. ნაზმნარი აბსტრაქტული სახელები კარგად თავსდებოდა სამეცნიერო ტერმინოლოგიის ფარგლებში. შესიტყვებებით შესაძლებელია დაკვირვების, გაგების, გააზრების პროცესის გამოხატვა. მათი უმრავლესობა ემსახურება ქმედებებისა და პროცესების აქციონალურ დიფერენცირებას, რაც სამეცნიერო სამეცნიერო-ანალიზურ აზროვნებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული [Polenz, 1963: 36]. სტილის კრიტიკოსებმა და ენის სიწმინდის დამცველებმა XIX საუკუნის ბოლოდან გაამახვილეს ყურადღება გერმანული ენის განვითარების ერთ მნიშვნელოვან ტენდენციაზე, რომელიც აღინიშნება როგორც „სუბსტანტივიზაცია“ (Substantivierung), „ნომინალიზაცია“ (Nominalisierung). გერმანული ენის განვითარების ამ ტენდენციაზე მსჯელობისას მეცნიერებს მხედველობაში ჰქონდათ ის ენობრივი ერთეულებიც, რომლებიც დღეს ფუნქციურზმნიანი შესიტყვებების სახელწოდებით არის ცნობილი.

გერმანულ ენათმეცნიერებაში ფუნქციურზმნიანი შესიტყვებებით დაინტერესების პირველი ეტაპი სტილისტური ნიშნით შეფასების პერიოდია და ხაზი ესმება შესიტყვებებს, როგორც ბიუროკრატიული სტილის, ე. წ. „მმართველი სამყაროს ენის“ (Sprache der verwalteten Welt) გამოხატულებას. სტილის კრიტიკოსები და ენის სიწმინდის დამცველები შესიტყვებებს უარყოფით მოვლენად აფასებდნენ, რომელიც საფრთხეს უქმნიდა გერმანული ენის განვითარებას და იძლეოდნენ რეკომენდაციებს, არ გამოეყენებინათ ისინი. ამ დროისათვის ნაკლებად გვხვდება შესიტყვებათა შესწავლა გრამატიკულ ასპექტში, მათი სინტაქსური და სემანტიკური თავისებურებების კვლევა. ეს პერიოდი გრძელდება XX საუკუნის 60-იან წლებამდე. ამის შემდგომ მოხდა შესიტყვებათა კვლევის თანდათანობით გადატანა სტილისტიკის კვლევის სფეროდან გრამატიკის სფეროში. ამ მხრივ აღსანიშნავია პეტერ ფონ პოლენც, ჰერბერტ კოლბი და კარლჰაინც დანიელსი, რომლებმაც გარდატეხა მოახდინეს შესიტყვებათა კვლევაში, აღმოაჩინეს შესიტყვებათა დამოუკიდებელი სემანტიკური ღირებულება და სინტაქსური ფუნქციები და გაამართლეს მათი არსებობა ენაში იმ თვისებების გათვალისწინებით, რასაც შესიტყვებები ავლენენ შესაბამისი მარტივი ზმნებისაგან განსხვავებით.

თანამედროვე გერმანულ ენაში ფუნქციურზმნიანი შესიტყვებები გვხვდება თითქმის ყველა ფუნქციურ სტილში: უმეტესად ოფიციალურ, სამეცნიერო და პრესის ენაში, ასევე მხატვრულ ლიტერატურაში. სხვადასხვა სფეროში განსახვავებულია მათი გამოყენების სიხშირე.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Guttmacher K., – Die Stellung der Funktionsverbgefüge im deutschen Verbsystem. Dissertation zur Erlangung des akademischen Grades eines Doktors des Wissenschaftszweiges an der Gesellschaftswissenschaftlichen Fakultät des wissenschaftlichen Rates der Friedrich-schiller-Universität Jena. Vorgelegt von Karla Guttmacher. Geboren am 16.7.1942 in Jena. Tag der Verleihung des Doktorgrades: 15.12.80.
2. Daniels K.,– Substantivierungstendenzen in der deutschen Gegenwartssprache. Nominaler Ausbau des verbalen Denkkreises. Sprache und Gemeinschaft. Studien / Band III. Pädagogischer Verlag Schwann. Düsseldorf .1963.
3. Helbig G., – Probleme der Beschreibung von Funktionsverbgefügen im Deutschen. In: Deutsch als Fremdsprache 16, 1979. S. 273-285
4. Heringer H. J., – Die Opposition von „kommen“ und „bringen“ als Funktionsverben. Untersuchungen zur grammatischen Wertigkeit und Aktionsart. Sprache der Gegenwart, Schriften des Instituts für deutsche Sprache in Mannheim. Band III. Pädagogischer Verlag Schwann. Düsseldorf. 1968.
5. Jie Y., – Funktionsverbgefüge im heutigen Deutsch. Eine Analyse und Kontrastierung mit ihren chinesischen Entsprechungen. Julius Groos Verlag. Heidelberg. 1986.
6. Polenz P. Funktionsverben im heutigen Deutsch. Sprache in der rationalisierten Welt. Beihefte zur Zeitschrift „Wirkendes Wort“. Pädagogischer Verlag Schwann. Düsseldorf. 1963.
7. Relleke W. Funktionsverbgefüge in der althochdeutschen Literatur. Rodopi N. V.. Amsterdam. 1974.

**Salome Shavgulidze**

Akaki Tsereteli State University

**Lexical Units with Functionalverbs for German Language Development in a Historical Context**

**Abstract**

The existance of functionalverbs is confirmed by scientists at different stages of German language development. An event whose origins are recorded in the early stages of language development is not uniwue to the German language. The fact, that the number of words in the German languagr has been increasing over the centuries confirms the tendency of its development from a synchronic to an analytic structure.

In the process of diachronic language development, there are certain periods when the tendency of nominalization and use of words is more pronounced than in other sections.

The development of functionalverbs into a systemic phenomenon is thought to have taken place in the XVIIIth century. They are recorded in the scientific literature and the language of governance, as well in the fiction.

There was a development of the German language's internal potential and analytical structure in the face of changed living conditions.

Many factors contribute to the widespread use of functional expressions in Modern German. They are found is almost all functional styles: mostly in pfficial, scientific and press languages, as well as in fiction.

**Key words:** lexical units with functionalverbs, German language, official, scientific and press languages

## ნაწილაკის როგორც დამხმარე სიტყვის პრობლემატიკა თანამედროვე გერმანულ ენაში

მაია ჩიქოვანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: [chikivani.m@yahoo.com](mailto:chikivani.m@yahoo.com)

ფორმაუცვლელი სიტყვების კვლევა და შესწავლა განსაკუთრებით საინტერესოა თანამედროვე გერმანული ენათმეცნიერებისათვის. ნაწილაკები, სხვა დამხმარე სიტყვებთან ერთად (ზმნიზედა, კავშირი, წინდებული), ქმნიან სიტყვათა კლასს, რომელთა პრობ-ლემატიკა დღესაც აქტიურად განიხილება, რასაც განაპირობებს მათი პოლისემიურობა და ფუნქციითა მრავალფეროვნება. ამ მხრივ, საინტერესოა შეფერილობითი ნაწილაკები, რომლებიც განსაკუთრებულ შუქ-ჩრდილებს სძენენ წინადადებაში წარმოდგენილ მნიშვნელობას. ნაწილაკების სემანტიკის კვლევა ომონიმურ ერთეულებთან შედარებით, იძლევა საინტერესო დასკვნების შესაძლებლობას. საინტერესოა, ასევე ნაწილაკების წინადადების სტრუქტურაში წარმოდგენის უნარი. მათ აქვთ გარკვეული და განსაზღვ-რული ადგილი წინადადებაში, რაც ასევე ხაზს უსვამს მათი ფუნქციონირების თავისებურებებს.

**საკვანძო სიტყვები:** ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები, ნაწილაკი, შეფერილობითი ნაწილაკები

თანამედროვე გერმანული ენათმეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ნაწილაკის, როგორც დამხმარე სიტყვის პრობლემატიკის კვლევა. ამ საკითხს მიემდვნა არაერთი სტატია და მონოგრაფია. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა ჰარალდ ვაიტის ნაშრომი „გერმანული მოდალური სიტყვების და მათი ფრანგული შესატყვისების შესახებ“ (Die deutschen Modalwörter und ihre französischen Entsprechungen), რომელმაც ენათმეცნიერთა დიდი დაინტერესება გამოიწვია [Weydt, 1981].

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა გრამატიკა განსხვავებულად წარმოადგენს ნაწილაკების კლასის დეფინიციას. დუდენის გრამატიკის ადრეულ გამოცემებში (Duden Grammatik,

1966,1974,1984) ტერმინ **ნაწილაკის** (Partikel) ჯგუფში გაერთიანებულია ყველა ის სიტყვა, რომელიც არ იულლება და არ იბრუნვის.

ჰელბიგისა და ბუშას მოსაზრებით, ნაწილაკების საკომუნიკაციო-პრაგმატული ფუნქციები განსხვავდება ენის ძირითადი გრამატიკული ფუნქციებისგან [Helbig/Buscha, 1986: 479]. ასევე საინტერესოა გელჰაუსის მოსაზრება, სადაც ხაზგასმულია, რომ ნაწილაკებს წინდებულებისა და კავშირებისგან განსხვავებით, გრამატიკული ფუნქცია არ გააჩნია და აუცილებელია მათი გრამატიკული სტატუსის განსაზღვრა [Gelhaus, 1995:369].

ქართულ სივრცეში არსებული უახლესი გერმანული ენის გრამატიკის მიხედვით ნაწილაკები შემდეგ ფუნქციურ-სემანტიკურ ჯგუფებად იყოფა:

- 1) Antwortpartikeln (მიგებითი ნაწილაკები)
- 2) Fokuspartikeln (ხაზგასმის ნაწილაკები)
- 3) Abtönungspartikel (შეფერილობითი ნაწილაკები)
- 4) Intensivpartikel/Intensitätspartikel ( ინტენსივობის ნაწილაკები)
- 5) Negationspartikeln (უკუთქმითი ნაწილაკები) [ანდრაზაშვილი, 2009: 912].

განსაკუთრებით აღსანიშნავია და მკვლევართა ყურადღების ცენტრში ხშირად ექცევა **შეფერილობითი ნაწილაკი**. მას ასევე **მოდალურ ნაწილაკადაც** მოიხსენიებენ. იგი დაერთვის მთელ წინადადებას, გარკვეულწილად უცვლის მას შეფერილობას. გადმოცემული შინაარსი არის სათუო, სავარაუდო, საექვო, რაც მოსაუბრისთვის ან მსმენელისთვის სასურველი, ხელსაყრელი ან მიუღებელი. შეფერილობითი ნაწილაკები წინადადებაში დგანან ზმნის შემდგომ. იშვიათ ჩნდებიან თავკიდურ პოზიციაში. მას არ გააჩნია თავისუფლად გადაადგილების უნარი, მაგრამ მისი გამოტოვება წინადადებას ემოციურ ფონს უკარგავს.

უნდა აღინიშნოს, რომ შეფერილობითი ნაწილაკების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ წინადადებების განსაზღვრულ სახეობებში. გელჰაუსის თანახმად, ნაწილაკები eben, halt, ja გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ თხრობით წინადადებებში, schon გვხვდება თხრობით და ბრძანებით წინადადებებში, denn, eigentlich, wohl მხოლოდ კითხვით წინადადებებში, ხოლო bloß, nur, vielleicht ნატერისა და ძახილების გამოხატვის დროს [Gelhaus,1995:372].

ნაწილაკებს ახასიათებს პოლისემიური ფუნქცია. მაგალითად, aber ზოგ შემთხვევაში ნაწილაკია (1), ზოგ შემთხვევაში კი კავშირი (2). ანალოგიურად schon არის ნაწილაკიც (3), და დროის ზმნიზედაც (4).

ნაწილაკი aber ზოგადად დგას ძახილის წინადადებაში, რომელსაც ახლავს მთქმელის დიდი გრძნობა: გაკვირვება–განცვიფრება, აღტაცება, ნატვრა, დანანება, მწუხარება და სხვა:

- (1) Das ist **aber** ein ungemütlicher Ort. (9)

Er kannte **aber** das Zusammenspiel seiner Eltern, wenn es um ihn ging. (9)

**aber** გვხვდება დამოუკიდებელ წინადადებაში მაერთებელი კავშირის როლში. ის თანაბარი რანგის სინტაქსურ ერთეულებს აკავშირებს მათ მორფოლოგიურ ფორმასთან და წინადადების სიტყვათწყობაზე ზეგავლენას არ ახდენს:

(2) Das ist möglich, **aber** es gibt auch ganz andere Gründe dafür. (9)

Man sah die schon breite Mondsichel, **aber** hinterm Horizont im Osten schien erstes

Sonnenlicht auf, ließ einen pinkfarbigen Hauch über die Blätter des Kletterweins schimmern. (9)

Schon, როგორც სხვა შეფერილობითი ნაწილაკი დაერთვის მთელ წინადადებას და გარკვეულწილად უცვლის მას შეფერილობას. შესაბამისად წინადადება აღიქმება, როგორც სათუო, სავარაუდო, უქველი, მიუღებელი და ა.შ. იგი უმეტესად გვხვდება ასერტიულ, ელიპსურ და ბრძანებით წინადადებებში.

(3) Wir werden **schon** was finden«, entgegnet Janosch. (9)

Komm **schon**, mach dich nicht so wichtig! (9)

(4) **Schon** beim Abschied, zwei Tage darauf, mußte sie im Rollstuhl ins Flugzeug geschafft werden, und heute geht es ihr eher schlechter als vor ihrer in der Familie so genannten »Pardauz-Heilung«. (9)

ამ თვისებების გამო ზოგიერთი მკვლევარი მოდალურ ნაწილაკებს მიაკუთვნებს ზმნიზედებს ან სხვა ფომრაუცვლელ მეტყველების ნაწილებს (წინდებული, კავშირი). თუმცა ჰელბიგისა და ბუმას მოსაზრებით, მიუხედავად მათი ომონიმური მნიშვნელობებისა, ნაწილაკები წარმოადგენს დაახლოებით 40 სიტყვისგან შემდგარ შედარებით ჩაკეტილ სიტყვათა კლასს (Helbig/Buscha 1986:481).

ღსანიშნავია, რომ ზმნიზედებსა და მოდალურ სიტყვებისგან განსხვავებით, შეფერილობითი ნაწილაკები შეიძლება მხოლოდ წინადადების შუა ნაწილში განთავსდეს. კერძოდ, ზმნის უღლებადი ფორმის შემდეგ და ზმნის საწყისი ფორმის წინ. წინადადების გარდაქმნის ეს თვისება განასხვავებს მათ სხვა ნაწილაკებისგან, როგორცაა, მაგალითად, *sehr* და *sogar*, რომლებიც წინადადების ცალკეულ ნაწილებს ემოციურად აძლიერებს ან წინა პლანზე წამოწევს (Gelhaus 1995:370ff.).

(5) Äußerlich war er wohl ziemlich unattraktiv, aber er hat sie dann doch **sehr** positiv überrascht.

(9)

(6) **Sogar** der Alte hielt sich in jener Nacht dort auf, was selten vorkam. (9)

Alle lachten, **sogar** Annette, ihrem Liebling Andy einmal übers Haar streichend. (9)

შეფერილობითი ნაწილაკების სემანტიკური სიზუსტე, ომონიმებთან შედარებით მცირდება: ზედსართავი სახელები *bloß* და *eben* გამოხატავს კონკრეტულ ლექსიკურ შინაარსს,

ხოლო მათგან განსხვავებით, შესაბამის ნაწილაკებს აქვს მხოლოდ მცირეოდენ აბსტრაქტულ-სემანტიკური ნიშანი.

კვლევებმა აჩვენა, რომ ნაწილაკებთან მიმართებაში გრამატიკალიზაციის პროცესი განსაკუთრებით აქტიურია. პარადიგმატულობა ხაზს უსვამს მოსალოდნელ განსხვავებას უფრო ძლიერ გრამატიკალიზებულ ნაწილაკებსა და მათ ომონიმებს შორის. მოდალური ნაწილაკები ქმნიან შედარებით დახურულ ჯგუფს, რომელიც ასრულებს გრამატიკულ ფუნქციას, ხოლო მათი ომონიმური ზედსართავი სახელები და ზმნიზედები (არა კავშირები) მიეკუთვნება ღია, მარტივად აგებულ სიტყვათა ჯგუფებს. მაგალითად, eben ქმნის შინაარსობრივად მონათესავე სიტყვათა ჯგუფს ისეთ ზედსართავ სახელებთან ერთად, როგორებიცაა horizontal, glatt, gerade და ანტონიმებთან schräg და სხვ.

შეფერილობითი ნაწილაკი მისი ომონიმების მსგავსად თავისუფალი მორფემაა, რომელსაც სიტყვის წარმოება შეუძლია. მას ასევე შეუძლია გამოხატოს თანხმობა, უარი თავშეკავება, გაოცება თუ ინტერესი.

ჰელბიგისა და ბუშას მიხედვით, მოდალური ნაწილაკების მიზანია გამოკვეთოს მოსაუბრის აზრი სამეტყველო სიტუაციებში, რათა სასაუბრო აქტი სასურველი მიმართულებით წარმართოს ან ზოგადად რომ ითქვას, დააკავშიროს აზრი და სასაუბრო აქტი მოცემულ ინტერაქციასთან [Helbig/Buscha, 1986: 481].

მოდალური ნაწილაკების ფუნქცია არც წინადადების გამოხატვითი ფუნქციის სფეროს წარმოადგენს და არც წინადადებების ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირების სფეროს. ამდენად, მოდალური ნაწილაკები ვერ ახდენს წინადადების წევრებსა თუ წინადადებების ნაწილებს შორის სინტაქსური ურთიერთმიმართების გაშიფვრას.

მოდალური ნაწილაკების ფუნქცია უფრო მეტად იმაში მდგომარეობს, რომ დააკავშიროს კონკრეტული მოსაზრება პრაგმატული პრეტექსტის ელემენტთან და ეს კავშირი გარკვეულწილად აიყვანოს ხარისხის რანგში, ანუ მინიჭოს მას სემანტიკური სპეციფიკა. ცნებამ „პრაგმატული პრეტექსტი“ ცხადად უნდა აჩვენოს, რომ წინაპირობა, რომელსაც ნაწილაკი ემყარება, ტიპური თვალსაზრისით ვერბალიზებული არაა (შესაბამისად პრაგმატულია), თუმცა მისი ვერბალიზება შესაძლებელია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანდრაზაშვილი მ. გერმანული ენის გრამატიკა 4 წიგნად. წიგნი II-მორფოლოგია II. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2009. 909-931 გვ.

2. Duden. Die Grammatik. Band 4. Dudenverlag. Berlin. 1966
3. Duden. Die Grammatik. Band 4. Dudenverlag. Berlin. 1974
4. Duden. Die Grammatik. Band 4. Dudenverlag. Berlin. 1984
5. Gelhaus, Hermann (1995): Die Wortarten. In: Duden: Grammatik der deutschen Gegenwartssprache. 5., völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage. Hg. u. bearbeitet von Gnter Drosdowski [u. a.]. Mannheim usw.: Dudenverlag. 85-398. (Duden 4):372)
6. Helbig, Gerhard und Joachim Buscha: Deutsche Grammatik: Ein Handbuch für den Ausländerunterricht. - Leipzig: Enzyklopadie 1986
7. Diewald, Gabriele, Eine Einführung in Sein und Werden grammatischer Formen, Max Niemeyer Verlag Tübingen 1997. 73-100
8. Weydt, Harald: "Methoden und Fragestellungen der Partikelforschung". In: Weydt, Harald (ed.): Partikeln und Deutschunterricht. Abtönungspartikeln für Lerner des Deutschen. Heidelberg. 1981. 45-63
9. WWW. DWDS. de (abgerufen: 30.10.10.2021)

**Maia Chikovani**

Akaki Tsereteli State University

### **Problems of Particle as an Unchangable part of speech in German Language**

#### Abstract

Search of unchangable parts of speech in German linguistic is most interesting. Particles, along with other auxiliary words (adverb, conjunction, preposition) form a class of words whose problems are still the subject of active discussion today, due to their polisemy and variety of functions. Of particular interest in this regard are the colored particles, which gave special light-shadows to the meaning presented in the sentence.

The search of particle semantics in comparison with homonymous units provides the possibility of interesting conclusions. The ability to represent particles in a sentence structure is also special. They have a definite place in the sentence, which also emphasizes the peculiarities of their functioning.

**Key words:** Unchangable parts of speech, Particles, Colored particles

რეცენზენტი: პროფესორი ს. მუჯირი

## მიღმიერი სამყაროს ენობრივი სურათი ჯონ ფაულზის „ებანოზის კოშკის“ მიხედვით

ნინო დამუკაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
e-mail: [nino.dzamukashvili@tesau.edu.ge](mailto:nino.dzamukashvili@tesau.edu.ge)

ჩვენი სტატიის კვლევის მიზანი „ტექსტი ტექსტში“-ის ენობრივი მოცემულობების კვლევაა. იმ ლინგვისტური მახასიათებლების გამოვლენა, რასაც მწერალი ჯონ ფაულზი იყენებს ამ მიღმიერი, უხილავი სამყაროს აღწერისთვის. მივიღეთ საინტერესო, მრავალფეროვანი ენობრივი მასალა, რომლითაც გადმოცემულია ტრანსცენდენტალური სამყარო ნოველაში. ეს მეტად მნიშვნელოვანი ენობრივი მოტივია, ვინაიდან სწორედ ეს ხაზი აძლევს ნაწარმოებს მის უნიკალურ ქლერადობას და დატვირთვას.

**საკვანძო სიტყვები:** ტრანსცენდენტალური, სულიერი, „ტექსტი-ტექსტში“, მოტივი, ენობრივი.

ცნობილი ინგლისელი მწერალი ჯონ ფაულზი (John Fowles, 1926-2005) იმ ავტორთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც ხელეწიფებათ როგორც ორიგინალური სიუჟეტის შეთხზვა, ასევე ენობრივი ოსტატობით მკითხველთა ფართო მასების გაოცება. ჩვენი აზრით, ერთ-ერთი გამჭოლი მოტივი რაც ახლავს მის ცნობილ ნაწარმოებებს (*The Collector*, *The Magus*, *The French Lieutenant's Woman*) არის ორმაგი რეალობის ასახვა, ორმაგი მოცემულობებით თამაში, მთელი სიუჟეტის როგორც დიდი ანტითეზის წარმოდგენა. გამონაკლისი არც ნოველა „ებანოზის კოშკი“ (*The Ebony Tower*, 1974). ტექსტი სავსეა დიქოტომიათა მთელი წყებით: რეალიზმი და აბსტრაქციონიზმი, რეალური და მითოლოგიური დრო, კონფორმიზმი და ამბოხი, ახალგაზრდობა და სიბერე, ხელოვნება და ცხოვრება, გამბედაობა და სიმხდალე. თავად ნოველის სათაურიც „ებანოზის კოშკი“ ანტითეზაა „სპილოს ძვლის კოშკთან“ მიმართებით, რომელსაც ჯერ კიდევ ბიბლიურ „ქებათა ქებაში“ ვხვდებით; სოლომონ მეფე



მიჯნურის ყელს სპილოს ძვლის კოშკს ადარებს (ქებათა-ქება სოლომონისა, 7:5, 2013:489). თუმცა, ფაულზის ნოველისეული „ებანოზის კოშკი“ კიდევ უფრო მეტად მე-20 ს-ის დასაწყისის შარლ ბოვესეულ რეალური ცხოვრებიდან გაქცეულ, მეოცნებე ადამიანის სამფლობელოს ანტითეზად გვევლინება ([https://en.wikipedia.org/wiki/Ivory\\_tower](https://en.wikipedia.org/wiki/Ivory_tower)).

ნაწარმოებში ასახული რეალური სამყარო და რეალური დრო უპირისპირდება გარდასულ სამყაროს, მითოლოგიური, ფოლკლორული თქმულებების და ლეგენდების დროს. ჩვენი სტატიის კვლევის მიზანი სწორედ ტექსტის ამ მიღმიერი, პარალელური, უხილავი, მაგრამ ხშირად უადრესად სულიერი და შეგრძნებადი სამყაროს ენობრივ დონეზე კვლევაა. ჩვენს ამოცანას კი წარმოადგენს იმ ენობრივ მოცემულობათა წარმოჩენა, რითაც ვლინდება მწერლის ლინგვისტური არჩევანი, როდესაც ამ ტრანსცენდენტურ სამყაროს ამეტყველებს; რომელი ლექსიკური მახასიათებლებით თუ სტილისტური ხერხებით აღწერს მას.

ორი სიტყვით სიუჟეტზე: ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილი ფერმწერ-აბსტრაქციონისტი დევიდ უილიამსი ლონდონიდან მიემართება საფრანგეთის ჩრდილოეთით, ბრეტანში, რათა გაესაუბროს სახელგანთქმულ მხატვარ-ლეგენდას ჰენრი ბრესლის. ჰენრის, რომელიც უკვე მრავალი წელია ნებაყოფლობით ემიგრაციაში იმყოფება, ბინა ქალქგარეთ, ტყეში ჩაფლულ მამულში დაუდვია. დევიდის სტუმრობის მიზანი მასალის შეგროვება და მასპინძელთან ინტერვიუა, ვინაიდან წინასიტყვაობის დაწერა შეუკვეთეს წიგნისთვის, რომელიც ჰენრის ეძღვნება. ჰენრი იმდენად ვერ იტანს აბსტრაქციონისტ და ყველა იმ –ისტ ხელოვანს, რომელმაც რეალურ, ჭეშმარიტ ხელოვნებას ზურგი აქცია, რომ დევიდს ეშინია კიდევ, ვაითუ თავისი ხუმტურებით ცნობილმა ჰენრიმ გულახდილ ინტერვიუზე უარი მითხრასო.

ახლა რაც შეეხება ნაწარმოების ენობრივ ქსოვილს. მწერალი დიდი ოსტატობით იყენებს მხატვრულ გამომსახველობით ენას, მაშინაც, როცა იგი ჩვეულებრივ, ამქვეყნიურ ყოველდღიურ რუტინაზე მოგვითხრობს (ძირითადად ეპიური სიდინჯით, ხანაც მშრალი ინფორმაციული ან ირონიული ტონით, უხვია სკაბრეზული და ჟარგონული ფრაზებიც). თუმცა, ყველაფერი იცვლება, როდესაც ავტორს მეორე მოტივი შემოაქვს, როგორც მკრთალი სხივი ნახატზე – ეს ხაზი არ გვაბრმავეებს, არამედ დაგვაფიქრებს და მრავალ კითხვას გაგვიჩენს. ფაულზის ნოველა ზოგ კითხვაზე პირდაპირ გვცემს პასუხს, ზოგზე უბრალოდ მიგვანიშნებს (მაგრამ ამაზე სხვა დროს, სხვა სტატიაში). ეს მეორე მოტივი აღწერს იმ მიღმიერ, გარდასულ, მითოლოგიურ სამყაროს, რომელიც შეიძლება არსებობდა და შეიძლებოდა არც არსებობდა; სამყარო, რომელიც ძველი კულტური თქმულებებით და ლეგენდებით არის ნასაზრდოები. ახლად ჩასახული გრძნობა, ის, რაც ვერ განვითარდა და

ვერ მოხდა, როგორც ამბავი, ნოველაში თითქოს გაგრძელებაა ამ რაინდული ეპოსის, რომელთაგან მრავალი სწორედ ჰენრის სამყოფელის გარშემო იღებდა სათავეს. მწერალი ამ გამორჩეულ ენას პერსონაჟების თავს დატეხილი გრძნობის აღწერისთვის იყენებს, რითაც მათ ძველი ეპოსების გმირებთან აახლოებს. თუმცა საინტერესოა ის მომენტი, რომ ამას არა მარტო ჩვენ ანუ მკითხველს გვაგრძნობინებს მწერალი, არამედ ამას გრძნობენ ნოველის თანამედროვე პროტაგონისტები. ისინი თავგზააბნეულები არიან ამ ახალი განცდით და ასევე თითქოს იქაური ფოლკლორის, „ადგილის სულის“ გამოღვიძებით.

ამ სამყაროს გადმოცემას ფაულზი ახერხებს მრავალი ხერხის მოხმობით სხვადასხვა ლინგვისტურ დონეზე: იქნება ეს ალიტერაცია თუ კონსონანსი, გამეორება, გრადაცია თუ პარალელური სტრუქტურები, მეტაფორა თუ სიმბოლო, სინონიმური თუ ანტონიმური წყვილები. ყველაფერი ეს – უხვად განფენილი ტექსტის ამ ფრაგმენტებში, ქმნის მართლაც უცნაურად მიმზიდველ ენობრივ ატმოსფეროს, მკვეთრად გამორჩეულს დანარჩენი ნოველიდან.

შემდეგ ნიმუშებში ფაულზი ზოგჯერ პირდაპირ, ავტორის მეტყველებაში მიგვანიშნებს, რომ აქ, ამ მითოლოგიური, ტრანსცენდენტალური სამყაროს სული ტრიალებს. ზოგჯერ კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხილულს ხდის იმ ფაქტს, რომ ამას პერსონაჟებიც აშკარად განიცდიან და გრძნობენ: “*Coët was in another universe; one and an eternal day's drive away*” (Fowles, 1980:129), („კოტმინე სხვა სამყაროში იყო; ერთი და მარადიული დღის სავალი გზა“ (ფაულზი, 1989:82). სახეზეა კონსონანსი [n] და ასონანსი [ei], ასევე ანტითეზა.

ორიგინალური მეტაფორები და პარალელური სტრუქტურები გვხვდება შემდეგ ფრაგმენტში: “*Once more he had that uncanny sense of melted time and normal process; of an impulsion that was indeed spell-like and legendary. One kept finding oneself ahead of where one was; where one should have been*” (Fowles, 1980:115), „ისევ ის უცნაური რამ იგრძნო. თითქოს დრო ქრებოდა და ყველა საზღვარი იშლებოდა; თითქოს ჯადოსნურსა და ზღაპრულ სამყაროში იმყოფებოდა“ (ფაულზი, 1989:71).

დიდი ოსტატობით ქმნის ფაულზი შემდეგ ფრაგმენტს: მეტაფორებით, შედარებებით გადმოცემული ლეგენდების და თქმულებების ექო ისევ ისმის, დევიდი და დაიანა თითქოს მოჯადოებულები არიან, იმდენად ძლიერია „ადგილის დედის“ ძალა. თითქოს მათ ზურგს უკან ტრისტანი და იზოლდა დგანან: “*In the background, the black wall of the forest. The dew was heavy and pearled. But it was warm, very still, a last summer night. The ghostly apple trees, drained of colour; a cheeping of crickets. David glanced secretly at the girl beside him;... It was here, now, the unsaid. He knew it in every nerve and premonitory fibre*” (Fowles, 1980:114), „შორით ტყის ბნელი კედელი ჩანდა.

ბალახზე ნამი მარგალიტივით კიაფობდა, მაგრამ თბილოდა და ჰაერი არ იძვროდა, ზაფხულის მიწურულის ღამე იყო: აჩრდილებივით იდგნენ ვაშლის ხეები, უფეროები; ჭრიჭინები გაბმით ჭრიჭინებდნენ. დევიდმა მალულად შეხედა ქალიშვილს... აქ იყო ახლას სიმართლე, წედან უთქმელი. იცოდა და მთელი არსებით გრძნობდა ამას" (ფაულზი, 1989:70).

ერთი და იმავე ბგერის [s] ალიტერაციით და კონსონანსით სავსეა შემდეგი მაგალითი: *“Once or twice he patted her back gently; and stared into the night and the trees; saw himself standing there, someone else, in another life”* (Fowles, 1980:116), „ერთხელ თუ ორჯერ ზურგზე ნაზად მიეფერა და ღამესა და ხეებს გახედა; მოეჩვენა დევიდს, რომ ახლას თვითონ კი არა, სხვა იდგას ახლას აქ და თვითონ შორიდან უყურებდა საკუთარ თავს, თუ იმ ვიღაც სხვას" (ფაულზი, 1980:72).

სხვა, ტრანსცენდენტალური, მიღმიერი სამყაროს აღწერისთვის მწერალი იყენებს ემოციურ ლექსიკას, შესანიშნავ მეტაფორებს, პარალელურ სტრუქტურებს: *“There was a **deep nocturnal silence**, both inside the house and out; as if they were alone in it, and in the world. He felt he had travelled much further than he expected, into the haunted and unpredicted; and yet in some strange way it seemed always immanent. It had had to come, it had had causes, too small, too manifold to have been detected in the past or to be analysed now”* (Fowles, 1980:109), „ღამის მდუმარება იდგას, შინათაც და გარეთაც, მთელ სამყაროში, და გეგონება, მარტოკა იყვნენ იმ სამყაროში. დევიდი ხვდებოდა, რომ უფრო შორს წავიდა, ვიდრე ეგონა, რაღაც იდუმალსა და მანამდე მისთვის უცნობ მხარეში, და მაინც, საკვირველად ბუნებრივი ეჩვენებოდა ყველაფერი. ეს უნდა მომხდარიყო, მიზეზები იყო ამისთვის, ოღონდ მცირე, რომ ადრევე სცოდნოდათ და ახლას გაერკვიათ" (ფაულზი, 1989:66).

და კიდევ, **ტყე**, როგორც სიმბოლო, როგორც ადგილი რომლის შუაგულშიც რაინდების სანუკვარი წმინდა გრაალის თასია დაცული, ხშირად გვხვდება ნოველაში: *“And more silence, as if they were quite literally in the **forest**; the way hidden birds sing, spasmodically, secretly shifting position between utterances”* (Fowles, 1980:110), „ისევ სიჩუმე, თითქოსდა ტყეში იყო ორთავე და უხილავი ჩიტების ჭიკჭიკი ესმოდათ, იმათი უჩინარი გადაფრენა" (ფაულზი, 1989:67).

ისევ ორიგინალური მეტაფორები, ჰიპერბოლა, ალიტერაცია მოხუცებული მხატვრის ჰენრი ბრესლის მიღმიერ, უჩინარ სამყაროსთანაც მუდმივი კავშირის შესახებ. ამასთან, ჰენრი არა მარტო რეალისტური მხატვრობის, არამედ ნამდვილი ცხოვრების, ბუნებასთან ჰარმონიაში ყოფნის მხარეზეა: *“Perhaps it constituted the old man's **real stroke of genius**, to take an old need to escape from the city, for a mysterious remoteness, and to see its **ancient solution, the Celtic green source**, was still viable; fortunate old man, to stay both perceptive and profoundly amoral, to buy this last **warm solitude and dry affection with his fame**”* (Fowles, 1980:95), „მოხუცი კაცის გენიალობა ისიც

არის, რომ ქალაქს გაექცა, მივარდნილ და იდუმალ ადგილს შეეფარა და კელტების ამ ძველ, მწვანე მხარეში მაცოცხლებელი ძალა შეიმატა; ბედნიერი ბერიკაცი, ათვისების, აღქმის უნარი არ დაუკარგავს და ღრმად ამორალურაც არის თანაც, სახელისა და დიდების წყალობით ცხოვრებაში საბოლოო მყუდრო თავშესაფარი გამონახა და მშრალ სიყვარულს იღებს იმათგან" (ფაულზი, 1989:55).

ერთი შერწყმული წინადადების საშუალებით ფაულზი აკეთებს უმნიშვნელოვანეს დასკვნას დევიდის მარცხის შესახებ. ანტონიმური წყვილით გამოხატული ანტითეზა დევიდის განაჩენივით ისმის; ჰენრის სახლისკენ მიმავალი დევიდი შეიძლება შუა საუკუნეების მერყევ რაინდს წაგავდეს, თუმცა: "*He had failed both in the contemporary and the medieval sense*" (Fowles, 1980:124), „არ გაამართლა დევიდმა, არც როგორ თანამედროვე მამაკაცმა, არც როგორ შუასაუკუნეების რაინდმა" (ფაულზი, 1989:78).

შემდეგ მაგალითში მწერალი ბგერა [e]-ის ასონანსითა და დიფთონგების კეთილხმოვნებით [ai] [ou] [oi] გაჯერებული ჩამონათვლით და „ტყის" ხსენებით მიგვანიშნებს, რომ ამ ჯადოსნური, იდუმალი სამყაროს კიდევ ერთი წახნაგი დაკავშირებულია ხანდაზმულ მხატვართან: "*The silence, the forest, the old man's voice*" (Fowles, 1980:129); დიახ, ჰენრი გაიგივებულია გარდასულ მაგრამ მაინც მეტად „ნამდვილ, ხილულ და ხმოვან" სამყაროსთან. კი, ის შეიძლება ამორალურადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ იგი ემსგავსება წმინდანს, ქურუმს, როდესაც ის ქმნის შედევრებს ან აღტაცებით შესცქერის სხვათა შედევრებს.

პარალელურ სტრუქტურებს და ალიტერაციას უხვად იყენებს მწერალი, სულიერად განადგურებული დევიდის განცდების გადმოსაცემად, როდესაც ის ტოვებს ჰენრის სახლს. ჰენრის სახლის დატოვება ერთგვარად ნიშნავს იმ ტრანცენდენტური, იდუმალი სამყაროდან განდევნას: "*He felt drowned in disillusion, intolerably depressed and shaken*" (Fowles, 1980:123), „გუნება დაუმძიმდა, გულგატეხილი და შეპრული იყო" (ფაულზი, 1989:77); "*Coët had been a mirror, and the existence he was returning to sat mercilessly reflected and dissected in its surface... and how shabby it now looked, how insipid and anodyne, how safe... One killed all risk, one refused all challenge, and so one became an artificial man*" (Fowles, 1980:125), „კოტმინე სარკე იყო და ის ცხოვრება, რომელსაც იგი უბრუნდებოდა, სარკეში იყო ასახული და იკვეთებოდა უმოწყალოდ...და საცოდავი ჩანდა ახლა ეს ცხოვრება, უფერული, უშფოთველი, უსაფრთხო... როცა ასე ჩაკლავ რისკს და ყველა შანსზე და გამოწვევაზე უარს ამბობ, კაცი კი არა, რობოტი ხარ" (ფაულზი, 1989:79).

და ბოლოს, კიდევ ერთი საინტერესო მაგალითი. მწერალი აღწერს დაიანას ფანჯარას ღამით, რომელიც გარედან სინათლის მოყვარული ღამის პეპლებითაა დაფარული. იქნებ, სიმბოლურად ისინი იმათ სულებს გამოხატავენ, ვინც მიღმიერი სამყაროს გარეთ დარჩა?

ვინ იცის? ერთი რამ კი ცხადია: ეს წინადადებაც, სხვა მოძიებული მაგალითების დარად, დიდი ენობრივი ოსტატობით გადმოცემს მწერლის სათქმელს. ულამაზესი მეტაფორის გარდა, ნიმუში გამოირჩევა ევფონიით, რაც მიიღწევა სონორული ბგერა [l]-ის კონსონანსით: *“There were others loosely constellated on the glass outside the window over her worktable, pale fawn specks of delicate, foolish organism yearning for the impossible. Psyches. ” (Fowles, 1980:111); „გარედანაც მოეკვრნენ სარკმელს სხვა პეპლები, მოყვითალო-მოყავისფრო ნაზი ლაქები, შეუძლებელის სწრაფვა რომ ეწადათ. ფსიქეები“ (ფაულზი, 1989:68).*

ამრიგად, ჩვენი კვლევის შედეგად გამოვავლინეთ ის ენობრივი მახასიათებლები, რომლებსაც მწერალი იყენებს ნოველაში მიღმიერი, სულიერი სამყაროს გადმოსაცემად. მოძიებულმა მასალამ კიდევ ერთხელ აჩვენა როგორც ფონეტიკური, ასევე ლექსიკური და სტილისტური საშუალებების დიდი პოტენციალი, რითაც ფაულზმა შექმნა „ტექსტი ტექსტში“. ჩვენი აზრით, სწორედ ეს ენობრივი ხაზი აძლევს ნოველის მთლიან ლინგვისტურ ქსოვილს განსაკუთრებულ, მომხიბვლელ ობერტონებს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბლია. თბილისი. გამომცემლობა „პალიტრა L“. 2013.
2. ფაულზი ჯ., – „ებანოზის კოშკი“. ლიტერატურული ჟურნალი „საუნჯე“, № 3, გვ. 3-83. თბილისი.1989. (მალიკო ხელაშვილის თარგმანი).
3. ჭაბაშვილი მ., – უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბილისი. გამომცემლობა „განათლება“. 1989.
4. Fowles J., – The Ebony Tower. Moscow. Progress Publishers. 1980.
5. [https://en.wikipedia.org/wiki/Ivory\\_tower-](https://en.wikipedia.org/wiki/Ivory_tower-) მოძიებულია 4. 11. 2021.
6. <http://www.thefreedictionary.com/dictionary.htm>
7. <http://dictionary.cambridge.org/>
8. <https://en.oxforddictionaries.com>
9. <http://www.collinsdictionary.com>

**Linguistic Portrait of Transcendental World Based on *The Ebony Tower* by John Fowles  
Abstract**

Our article deals with the linguistic devices that convey the hidden, parallel, transcendental world in the novella *The Ebony Tower*. As expected, our study yielded in rich and diverse language material through which the author builds up the elusive domain of myths and legends within the main setting of the novella. It looks like a text in a text. This proves to be a very essential and meaningful linguistic leitmotif. Since it is this overtone that imbues the whole piece of writing with exceptional and unique sound and meaning.

**Key words:** transcendental, spiritual, text-in-text, leitmotif, linguistic.

რეცენზენტი: პროფესორი გ. ყუფარაძე

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

Literature and Literary Theory

1956 წლის 9 მარტის მოვლენების „ჟამთააღმწერელი“ ლენტო  
(ოთარ ჩხეიძის „გამოცხადების“ მიხედვით)

ნონა ამბოკაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: [namboka@gmail.com](mailto:namboka@gmail.com)

1956 წლის 9 მარტი დღემდე სადავო საკითხად რჩება ქართულ ისტორიოგრაფიაში, რადგან საპროტესტო აქცია, თავისი შინაარსითა და წამოყენებული მოთხოვნებით, ამბივალენტური ხასიათისა იყო. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ყველანი თანხმდებიან, რომ ეს იყო პირველი ანტისაბჭოთა პოლიტიკური აქცია სსრკ-ს სივრცეში. ერთი მხრივ, მიტინგებზე გამომსვლელნი, შეურაცხყოფილნი ნიკიტა ხრუშჩოვის მოხსენებით სკკპ მე-20 ყრილობაზე „პიროვნების კულტის“ შესახებ, განადიდებდნენ სტალინს, ხოლო მეორე მხრივ, ემიჯნებოდნენ სსრკ-ს და მოითხოვდნენ ეროვნულ დამოუკიდებლობას. საბჭოთა კავშირში (ცხადია, საბჭოთა საქართველოშიც) ამ თემაზე საუბარს ათწლეულების განმავლობაში გაუბოძდნენ; მას არ ჰქონია ფართო გამოხმაურება საზოგადოებრივ დისკურსში. აღნიშნული ტრაგედიის შესახებ ლაშა ბერულავა სტატიაში „1956 წლის 9 მარტი - „მაოხრებელი მკვდრის“ კიდევ ერთი სისხლის კალო“ შემდეგ აზრს გამოთქვამს: „სტალინმა თავისი გარდაცვალებით „მაოხრებელი მკვდრის“ ფუნქცია შეასრულა და ხოცვა-ჟლეტა „მოუწყო“ ქართველი ხალხის დედაქალაქს. ეს იყო 1956 წლის 9 მარტი, სადაც ქართველებმა გააპროტესტეს სტალინის კულტი; სწორედ იმ სტალინისა, რომელიც რუსის ჯარით გარშემორტყმულ თბილისთან მდგომ ორჯონიკიძეს სწერდა: „ახლავე შეუტიე, აიღე ქალაქი, გიბრძანებ!“ [ბერულავა, 2011:09].

ზემონახსენებიდან გამომდინარე შევეცდებით წინამდებარე სტატიაში მოკლედ განვიხილოთ 1956 წლის 9 მარტის მოვლენები, რომლებიც სოფლიდან ჩამოსული ბიჭის, ლენტოს ცხოვრების ფონზე მიმდინარეობს. ლენტო, როგორც შორიდან „მაცქერალი“ მოვლენების „მემატიანე“, კამერით ხელში ცდილობს „კადრების“ დამახსოვრებას. ლენტო არც ბელადის აპოლოგეტად გვევლინება, მაგრამ უბედურება მაინც ეხება და საკუთარ და-ძმას ჰკარგავს ამ „დუნდგლო“ ხალხში.

**საკვანძო სიტყვები:** 1956. წ 9 მარტი, ბელადი, ძეგლი, პროტესტი, დასჯა

1956 წლის 9 მარტის ტრავმა, ფაქტების განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობის მიუხედავად, ერის ინდივიდუალურ და კოლექტიურ მეხსიერებაში მყარად აღიბეჭდა და გარკვეული ფსიქოლოგიური გარდაქმნა გამოიწვია მოსკოვის, როგორც მეტროპოლიის მიმართ. ქართველებმა მიიღეს სასტიკი გაკვეთილი, რომემაც თვალი აუხილა, უჩვენა, რომ სსრკ/რუსეთი ტოტალიტარულ სახელმწიფოდ რჩებოდა, რომლის სივრცეში საქართველო მოიაზრებოდა არა ერთ-ერთ თავისუფალ რესპუბლიკად, არამედ ერთ-ერთ რიგით კოლონიად.

**ოთარ ჩხეიძის** რომანში - „**გამოცხადება**“ - 1956 წლის 9 მარტის მოვლენებია ასახული. ეს ნაწარმოები 1973 წელს დაწერა მწერალმა, მაგრამ მხოლოდ 1989 წელს გამოსცა. ნაწარმოებში თანმიმდევრულად არის გაშუქებული 1956 წლის 9 მარტის ყველა დეტალი; სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ რომანის მთვარი გმირის, ლენ-ტოს პერსონაჟზე, რომელიც მონაწილეა ყველა იმ მოვლენისა, რომელიც 1956 წლის 9 მარტს მოხდა. გმირის სახელი მის პროფესიას უკავშირდება; იგი ოპერატორია (რუსულად лента - ფირი) და მის მიერ გადაღებულ კადრებს უნდა შემოენახა 9 მარტის ტრაგიკული დეტალები, თუმცა, ასე არ მოხდა.

დედაქალაქში სოფლიდან ჩამოსული ტლუ ბიჭი რეჟისორობაზე ოცნებობდა; 9 მარტის ამბები რომ დაიწყო, კამერით ხელში წავიდა მიტინგზე და გადაღებას შეუდგა, მაგრამ მილიციელებმა კამერა წართვეს და არავინ უწყის, რა ბედი ეწია ფირებს (კამე-რის წართმევა მეტაფორულად მიგვანიშნებს იმპერიის მიერ თავისუფალი სიტყვის ჩახშობაზე). მართალია, ხელისუფლებამ დოკუმენტური მასალა გაანადგურა, მაგრამ ტრავმული მეხსიერება ვერ წაშალა; იგი სამუდამოდ აღიბეჭდა ლენტოსა და მისი თაო-ბის მეხსიერებაში.

როგორც აღვნიშნეთ, რომანის სიუჟეტური ღერძი ლენტოს თბილისური ცხოვრების გარშემო ვითარდება. სოფლელ ბიჭს არაფერი გაეგება ქალაქური ცხოვრებისა; ჩამოვიდა



„კუნძულზე“, რომელზეც მასპინძლად მხოლოდ ნაცნობი ძეგლი დახვდა; არც *კუნძულის* შესახებ იცოდა რაიმე, არც კუნძულზე გამავალი *წყლისა* და არც ზედ გადებული *ხიდისა*. სამივე ტოპოსს რომანში მეტაფორული დატვირთვა აქვს; *კუნძუ-ლი*, როგორც ჩაკეტილი სივრცე, მეტაფორულად, კოლონიადქცეულ საქართველოს მიემართება; *წყლის სივრცე* - რუსეთის იმპერიის სიმბოლოა, ხოლო *ხიდი* - ჩაკეტილი სივრციდან თავდახსნის ერთადერთი გზაა, რომელიც უნდა იპოვო და მასზე ბოლომდე გაიარო.

ლენტოს სახით, ავტორს გამოყვანილი ჰყავს საბჭოელი მოქალაქეები, რომლებიც სტალინის (ან ზოგადად, კომპარტიის ლიდერთა) და კომპარტიის პროპაგანდისტთა ნარატივით გაბრუებულნი, მიუყვებიან „*ბედნიერ ცხოვრებას*“, და ვერ აცნობიერებენ, რომ მათი მომავალი განწირულია. ამ ტიპის ადამიანებში ძალზედ ნელი ტემპით მიმდინარეობს მენტალური ცვლილებები (ან შესაძლოა, სულაც არ მოხდეს). რომანში პირველი ვარიანტია გადმოცემული; კერძოდ, კუნძულზე ყოფნისას ლენტო აღმოაჩენს, რომ სტალინის ძეგლი *ნაძალადევა*დ გამოძერწილს ჰყავს (მსგავსად იმ საზოგადოებისა, რომელიც ნაძალადევად იყო გაერთიანებული მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით). ლენტოს არაფერი გაეგებოდა ხელოვნებისა და არც მოვლენათა გაცნობიერების უნარით გამოირჩეოდა, მაგრამ ისიც კი, აცნობიერებდა სტალინის ძეგლის სიმახინჯეს. ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ლენტო და მისი თაობა მოკლე-ბუნნი არიან ინტელექტუალურ აზროვნებას, რადგან საამისოდ განათლება არ ჰყოფნით. ამ თაობას მხოლოდ გაუნელებელი ჩიჩინით აკეთებინებდნენ ყველაფერს; ხელოვნებაც კი, „ჩიჩინად“ გადააქციეს. ავტორის შენიშვნით, ლენტოს თუ არაფერი გაეგებოდა, „ვინც აღმართული იყო“, იმან ხომ კარგად იცოდა, რომ „იმულებაში ხელოვნებაც გამოდგებოდა“; ასევე კარგად იცოდა, მხოლოდ მას რომ ადიდებდნენ და „...სხვა კერპებს ანგრევდნენ და ამას უგებდნენ, აზრსა და გონებასა უხშობდნენ, უშრო-ბდნენ აზრსა, ხელოვნება კი მერედა მოვაო, შთაგონებაც მერე მოვაო, - თუ მოვიდოდა რა თქმა უნდა, ან თუ მანამდე არ დალეწდნენ ამ კერპსაცა, ამა ძეგლსაცა...“ [ჩხეიძე, 1989:05].

მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ბედკრულ ქვეყანაში მხოლოდ ბუნების სილამაზე თუ გაგიტაცებდა. ეს ერთგვარი მინიშნებაა, რომ ღვთისმშობლის წილ-ხვედრ ქვეყანაში მხოლოდ ბუნება მოგხიბლავს, თორემ მის გვირგვინად შექმნილ ადა-მის მოდგმას უკვე მირთმეული აქვს „აკრძალული ხილი“, რომლის ნაყოფითაც ტკბება და არც მონანიება-აღსარებისთვის არის მზად. ლენტო იმასაც კი ვერ ხვდება, რომ ნგრევის ჟამია მოსული. იგი ფეხმოუცვლელად დგას, თითქოს

ეს ადგილი „ქმნილიყო ადგილად აღსასრულისა“. რომანში ოთარ ჩხეიძე წარმოაჩენს, რომ ლენტოს მსგავსად, ყველა - დიდი თუ მცირე - უძრაობაშია; თითქოს, ქალაქიც სტაგნაციის მდგომა-რეობაშია. მკითხველს ისეთი განცდა ეუფლება, თითქოს უიდეო, გამოფიტულ არსებათა ქვეყანაში მოხვდა, სადაც ყველას ერთი სახე აქვს, ერთი შეგრძნება გააჩნია და ყველა კმაყოფილია იმით, რაც აბადია.

რომანის სიუჟეტის თანახმად, ლენტო „დუნდგოში“<sup>1</sup>, გაფიცულთა მსგავსად, პროტესტის ნიშნად არ მისულა; უბრალოდ, როგორც ოპერატორს, მას დაავალეს მიტინგის გადაღება. ის, რომ ლენტომ ვერ შეაღწია ხალხში და გარეთ დარჩა - მწერ-ლური ხერხია; ავტორმა „გარედან“ მაყურებლის როლი მოარგო მთავარ გმირს. რომანში ნათლად ჩანს, რომ საზოგადოება, პირობითად, სამ ნაწილად არის დაყოფილი: უმოქმედონი (გაქვავებული დუნდგო), გაცნობიერებულნი (მცირე ნაწილი, ვინც იცის, რა ხდება და ხმას ვერ იღებს) და „ლენტოები“ (შორიდან მაყურებლები, რომლებმაც არც იციან, რა აკეთონ). საზოგადოების სამივე ნაწილს „ძეგლი“ აერთიანებს: „...გამგონე არავინ იყო, მთქმელი უამრავი, თავმომყრელი არავინ, ისევ ძეგლი თუ იყო თავისმომ-ყრელი. თქმა არ შეეძლო ძეგლსა, არცრა ამოსახოდა, გამომეტყველებაც არაფრისა ჰქონდა, არცა ტკივილისა, არცა სიხარულისა, არაფრისა არა რაისა“ [ჩხეიძე, 2009:83].

სავარაუდოდ, პროტესტის გრძნობა 9 მარტამდეც, ქვეცნობიერად, არსებობდა ქართველ ხალხში და როდესაც საბაზი მიეცათ, გამოეხატათ დაგროვილი ემოციები, ქუჩაში გამოვიდნენ და თვითონაც აღარ იცოდნენ (გაცნობიერებულად) რას აპროტესტებდნენ. ერთი კი იყო, რომ ყველა „კერპს“ მისჩერებოდა. ავტორის კომენტარით, შექმნილი სიტუაცია „სასაცილო იყო, სატირალი რომ არ ყოფილიყო“ [ჩხეიძე, 2009:132].

ლენტო „დამკვირებლის“ თვალთ უყურებს ყველაფერს. იგი ტრაგიკული მოვლენების „...პასიური მოწმეა და ასევე პასიური ფიქსატორი. მას არა აქვს ცნობიერი დამოკიდებულება სინამდვილისადმი“ [წიფურია, 2016:207]. თუმცა, ნაწარმოების ბო-ლოს ვიგებთ, რომ ლენტოსაც შეეხო ეს ტრაგედია და თავისი ორი პატარა ძმა დაკარ-გა. იგი გამწარებული უვლიდა გარშემო კუკიის სასაფლაოს, ხან მტკვარში ეძებდა, მაგრამ ძმების კვალს ვერსად მიაგნო. ეს დეტალი ნიშანდობლივია; მწერალმა დაგვა-ნახა, რომ ისტორიული ტრავმები უშუალო მონაწილეების გარდა, შორიდან მაყურებელ და გულგრილ ადამიანებსაც არ აუვლის გვერდს.

<sup>1</sup> დუნდგო (დუნდლო) - ბრბო, მასა, ერთმანეთში არეული [გიორგი ზედგინიძე, 2014: 45]

1956 წლის 9 მარტის ტრაგედია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცენტრალურმა ხელისუფლებამ არ გაახმაურა; ამდენად, საბჭოთა სინამდვილეში მომხდარი პირველი საპროტესტო აქცია, ცნობადობის თვალსაზრისით, ლოკალური დონის ფაქტად დარჩა გარკვეულ პერიოდამდე. საქართველომ და ქართველებმა მტკივნეული ალიყური მიიღეს ცენტრალური ხელისუფლებისგან, თანაც ისეთი, რომლის გახსენება აღარც სურდათ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე აკაკი. მწერლობის მოთვინიერება; თბ.: „სარანგი“, 1990, 226გვ.
2. კვარაცხელია ზვიად. მაინც გვიკრიფეს მიზეზი. 04.04.2016. ელექტრონული რესურსი: <http://mastsavlebeli.ge/?p=9780>
3. რატიანი ნესტან. სათადარილო(დ) ნაწერები. 9 მარტი. 15.04.2019. ელექტრონული რესურსი: <http://mastsavlebeli.ge/?p=21295>
4. ჩხეიძე ოთარ. გამოცხადებაი. თბ.: „მერანი“, 1989, 255გვ.
5. [ქართული ენციკლოპედია](#), ტ. 6, თბ., 1983. — გვ. 190.
5. წიფურია ბელა. ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/პოსტმოდერნულ კონტექსტში. თბ.: „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2016, 577გვ.

**Nona Ambokadze**

Sokhumi State University

**Lento, a “chronicler” of the events of March 9, 1956**

**(According to Otar Chkheidze’s novel “Revelation”**

### Abstract

March 9, 1956 remains a controversial issue in Georgian historiography to this day, as the protest was ambivalent in its content and demands. Despite differences of opinion, everyone agrees, that this was the first anti-Soviet political rally in the Soviet Union. On the one hand, the demonstrators, insulted by Nikita Khrushov’s report on “The cult of personality” at the 20<sup>th</sup> congress of the CPSU, praised Stalin, and on the other hand, distanced themselves from the Soviet Union and demanded national independence. In the Soviet Union (obviously in Soviet Georgia) this topic has been avoided for decades; It did not have a

wide response in public discourse. Lasha Berulava comments on the tragedy in the article “March 9, 1956 – Another Boon Drop of the dead Man” the following opinion is expressed: “Stalin, with his death, acted as a “dead body” and “organized the massacre of the capital of the Georgian people. This was March 9, 1956, when Georgians protested against the cult of Stalin; It was Stalin who wrote to Orjonikidze standing near Tbilisi surrounded by Russian troops:”Attack now, take the city, I will command you!” {Berulava, 2011:09}.

In this article we will try to briefly discuss the events of March 9, 1956, which take place against the background of the life of a boy from the village, Lento. Lento, as a “chronicler” of “Looker” events from afar, tries to remember the “shots” which camera in his hand. Lento does not appear to be the leader’s apologist either, but he still has trouble and loses his brother and sister in these “dumb” people.

**Key words:** March 9, 1956, ballad, monument, protest, punishment

რეცენზენტი: პროფესორი ხ. არსლანი

## ლიტერატურული პროცესები 50-იანი წლების ამერიკაში

ნანა გაგუა

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail:nanagagua95@yahoo.com

სტატია აღწერს ლიტერატურული პროცესების განვითარების მსვლელობას ამერიკის შეერთებულ შტატებში მეოცე საუკუნის დასაწყისში. სტატიაში განხილულია ამერიკული პოეზიის უმნიშვნელოვანესი ფიგურის ედგარ ალან პოს მნიშვნელობა ზოგადად ქვეყანაში და მსოფლიო მასშტაბით. მის უდიდეს გავლენაზე სახელოვნო სივრცეში. ედგარ ალან პოს პოეზია გამოირჩევა სასტიკი სიმართლით ადამიანების შესახებ, მათი ბნელი მხარის ჩვენებით. რა თქმა უნდა მისი შემოქმედება ადამიანებისადმი თანაგრძნობით და სიყვარულითაა გამსჭვალული. ედგარ პო დღემდე უამრავი მწერლის და პოეტის ინსპირაციის წყაროა მათ შორის თანამედროვე მწერლის სტივენ კინგის შემოქმედება მის გავლენას განიცდის. ზოგადად ედგარ პოს შემოქმედება ბევრს სხვადასხვა ჟანრს მოიცავს, მაგრამ საბოლოო ჯამში ის არის გენიარული, გულწრფელი და ჰუმანური შემოქმედი რომელსაც ადამიანთა მდგომარეობა აშფოთებს.

**საკვანძო სიტყვები:** ამერიკული პოეზია, ედგარ ალან პო, ლიტერატურული პროცესები

XX საუკუნის დასაწყისის ამერიკული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი იყო განვითარების სწრაფი ტემპი, დინამიკა, ლიტერატურული მიმდინარეობებისა და ტენდენციების ცვლა. კუპერის, ირვინგის, ედგარ პოს, ლონგფელოს, მელვილისა და სხვა რომანტიკოსების კვალდაკვალ, ასპარეზზე გამოდიან ამერიკელი რეალისტი მწერლები: უოლტ უიტმანი, მარკ ტვენი, ჯეკ ლონდონი, თეოდორ დრაიზერი. მათი შემოქმედება განსაზღვრავს ამერიკული მწერლობის მაგისტრალურ ხაზს. სწორედ ამ ამერიკელი ავტორების ლიტერატურულ მემკვიდრეობას ეცნობა ძირითადად მსოფლიო მკითხველი (История зарубежной литературы, Л.Г. Андреева, Р.М.Самарина, М. 1968, 470). ამავე პერიოდში გამოდის ასპარეზზე ო'ჰენრი -

ამერიკული ნოველის დიდოსტატი, მან განსაკუთრებული როლი შეასრულა ამერიკული ლიტერატურის ტრადიციული ჟანრის - მცირე მოცულობის მოთხრობის განვითარებაში. ო'ჰენრიმ მწვერვალამდე აიყვანა მძაფრსიუჟეტისანი ნოველა, გამოავლინა ფაბულის აგებისა და მოქმედების განვითარების საოცარი უნარი! ო'ჰენრისთვის მთავარია ინტრიგა, რომელიც ბიძგს აძლევს მოქმედების განვითარებას.

XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა ედგარ პო. იგი უფრო ინგლისური რომანტიზმის იმ ტრადიციებს აგრძელებდა, რომელიც სულ უფრო შორდებოდა „კარგი ტონისა“ და მაღალი გემოვნების მოთხოვნებს, გატაცებული იყო მისტიკური „გოთიკური“ სიუჟეტებით, ვნებათა ღელვისა და გაუთვალისწინებელი მოვლენების ასახვით, რომლებიც ტრაგიკულად სრულდებოდა. ყველა ეს ნიშანი ჰქონდა კოლრიჯის, ბაირონისა და შელის პოეზიას, მაგრამ მათთან ეს სიუჟეტები არ იყო ერთადერთი, პოსაგან განსხვავებით. ამ პოზიციით პო უპირისპირდებოდა ამერიკული აზროვნებასა და ლიტერატურაში გამეფებულ მიმდინარეობას - ტრანსცენდენტალიზმს, რომლის სულისჩამდგმელიც იყო შესანიშნავი პუბლიცისტი და კრიტიკოსი რაღფ უოლდო ემერსონი. ტრანსცენდენტალიზმის მთავარი მისწრაფება იყო ადამიანის „მეს“ პოტენციალის გახსნა, რაც სულიერების ერთგვარი გასაღებად, სამყაროსა და ადამიანთან ჰარმონიული ურთიერთობის დამყარების საშუალებად მოიაზრებოდა! ედგარ ალან პოს ამგვარი მიდგომა სრულ აბსურდად ეჩვენებოდა, მისთვის ადამიანი დაუნდობელი და ყველაფერზე წამსვლელი არსება იყო, რომელიც სულაც არ ესწრაფოდა ჰარმონიას!

თავის ესეში „შემოქმედების ფილოსოფია“ პო წერდა, რომ პოეზისთვის ყველაზე მომგებიანი თემაა საყვარელი ქალის სიკვდილი. როგორც ევროპელი რომანტიკოსების, ასევე მათი თანამედროვე ამერიკელი პოეტებისათვის, ეს ფრაზა პარადიულად ჟღერდა: რადგან ტანჯვა მათ პოეზიაში იმალებოდა სენტიმენტალური ირონიის ნიღბის ქვეშ, მისი პირდაპირი ჩვენება მიუღებელი იყო. პო ერთმანეთში ურევდა რომანტიზმის სხვადასხვა იდეასა და აღმოჩენას, ის ქმნიდა ფანტასტიკური ხილვებისა და გოთიკური რომანის მიქსს, კიდევ უფრო აძლიერებდა და აღრმავებდა რომანტიკულ მოტივებს. ამასთანავე ის პედანტურად იცავდა ლექსის ფორმალურ მხარეებს: ყოველი სიტყვა, ყოველი მარცვალი, ყველა რიტმული ფიგურა მაქსიმალური სიზუსტით ჰქონდა გათვლილი. ემერსონის სიტყვებით, ეს სიზუსტე მოგაგონებდათ ადამიანს ბეჭდით ყველა თითზე. პოსთვის მნიშვნელოვანი იყო გაეგო, რა ემართება ცნობიერს ექსტრემალურ სიტუაციებში, ზოგადად რას ნიშნავს ადამიანური?! სწორედ ამით უნდა აიხსნას ედგარ პოს შემოქმედების ჟანრობრივი მრავალფეროვნება: დეტექტივი („მკვლელობა მორგის ქუჩაზე“), ფანტასტიკური ნოველა, რაც საფუძვლად დაედო ევროპულ მოდერნიზმს, რომელიც

თავიდანვე „კარგი ტონის“ წინააღმდეგ მიდიოდა. ლიტერატურას სჭირდებოდა ძლიერი საშუალებები, რომ ყოველდღიურობისა და ყოფის შთაბეჭდილებებზე ამაღლებილიყო.

არსებობს მოსაზრება, რომ პომ ევროპელ მწერლებზე უფრო იმოქმედა, ვიდრე ამერიკელებზე. ყველაზე გავლენიანი ამერიკელი კრიტიკოსები, ემერსონიდან ჰაროლდ ბლუმამდე, მიიჩნევდნენ, რომ ყველაფერი, რაც პომ შექმნა, იყო საშინელება. ამერიკის ფარგლებს გარეთ შარლ ბოდლერი იყო პირველი, ვინც განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ედგარ პოს შემოქმედებაზე და დაიწყო მის თარგმნა ფრანგულ ენაზე! ამერიკელი მწერლის ღრმა მელანქოლიასა და უსაზღვრო დემონიზმში ბოდლერმა ამოიცნო ახალი პოეტური ენა, რომელსაც არაფერი აკავშირებდა ძველი ლიტერატურის „მაღალ გემოვნებასთან“. მსოფლიო მოდერნიზმი ვალშია პოს წინაშე! რუსულ ლიტერატურაში ვალერი ბრიუსოვი და კონსტანტინე ბალმონტი ვერ გაექცნენ მის ზეგავლენას, ალექსანდრ ბლოკმა ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი მიუძღვნა („...შემოდგომის საღამო იყო“); პო გახდა ლათინოამერიკული მაგიური რეალიზმის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, მისი ლექსებით იყვნენ შთაგონებული ხორხე ლუის ბორხესი და ხულიო კორტასარი. ძნელია პოს ზეგავლენა არ განეცადა მეოცე საუკუნის ჟანრულ ლიტერატურას – დეტექტივს, ჰორორს, ფანტასტიკას. მისი მოთხრობებით აღფრთოვანებულები იყვნენ: კონან დოილი და ჰოვარდ ფილიპ ლავკრაფტი, მას აღმერთებდა სტივენ კინგი! რა თქმა უნდა, ედგარ პოს პოეზიამ ზეგავლენა მოახდინა მეოცე საუკუნის ამერიკულ ლიტერატურაზე, განსაკუთრებით პოეზიაზე!

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Dickle Margaret , Sylvia Plath's Narrative Strategies by The Iowa Review.
2. Hardwick Elisabeth, On Sylvia Plath. The New York Book Review. 1971, Aug.12
3. Libby Anthony, God's Lioness and the Priest of Sycorax: Plath and Hughes. University of Wisconsin Press/ Journals Division.
4. Plath Sylvia, The Colossus and other poems, Vintage International. New York.
5. Plath Sylvia, Letters home, Correspondence 1950-1963, selected and edited with commentary by Auralia Schober Plath. HarperPerennial. 1992
6. Rosenblatt Jon, Sylvia Plath: The Drama of Initiation, Duke University Press, 1975 Spring issue.
7. Stevenson Anne, Bitter Fame. Houghton Mifflin Company. Boston 1989.
8. Wagner, W. Linda, Critical Essays on Sylvia Plath. G.K.Hall & Company. Boston.
9. <https://arzamas.academy/materials/1605/>
10. (История зарубежной литературы, Л.Г. Андреева, Р.М.Самарина, М. 1968, 470).

Nana Gagua

**Literary Processes In America in the 50s of the XXth Century**

Iv.Javakhishvili Tbilisi State University

**Abstract**

Above mentioned article describes development of literary process in the United States at the beginning of the 20<sup>th</sup> century. The article discusses the most influential figure of American Poetry Edgar Allan Poe. His immersive influence on art field. Generally his poetry is distinguished with expressing bitter truth about dark side of human nature. His works definitely express sympathy and love toward humans. Edgar Allen Poe is an inspiration for many modern writers, among them is Steven King. Generally Edgar Allen Poe's works contain different genres, in the end he is genius, honest and human artist who worries about human's condition.

**Key words:** American poetry, Edgar Allan Poe, literary processes

რეცენზენტი: პროფესორი მ. გავრილინა



## ფრანგული სიმბოლიზმის რეცეფცია ქართულ ლიტერატურაში

ნანა გუნცაძე, ილია გასვიანი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: [nana\\_guntsadze@yahoo.fr](mailto:nana_guntsadze@yahoo.fr)

*ქართული მოდერნისტული პოეზიის კომპარატიული კვლევა ფრანგული პოეზიის კონტექსტში ცხადყოფს, რომ XX ს-ის დასაწყისის ქართული პოეზია არ წარმოადგენს ევროპული პოეზიის ეპიგონურ დანამატს ან პერიფერიას. იგი ქმნის მის ორიგინალურ ინვარიანტს, რომელიც ერთგვარად აფართოებს და განავრცობს ფრანგული პოეზიის მითოგრაფიულ დისკურსსა და მითოსურ სახისმეტყველებას, ქრონოტოპებს, კულტურულ და ლანდშაფტურ სივრცეებს.*

*XX ს-ის 20-იან წლებში ცისფერყანწელები თავის აღტაცებას ვერ მალავდნენ ფრანგი სიმბოლისტების შემოქმედებით, რაც მათი მხრიდან მიიჩნეოდა იმის მტკიცებულებად, რომ ქართული ლიტერატურის გეზი ევროპულისკენ იყო მიმართული. მათ ჰყავდათ სათაყვანებელი პოეტები: ედგარ პო, ბოდლერი, რემბო, ვერლენი... თუმცა ვფიქრობ, ცისფერყანწელების გამოცხადება ქართველ სიმბოლისტებად ძალზე სადავოა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანად მიმაჩნია ფრანგული სიმბოლიზმის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება და შესაბამისად მისი დაკავშირება XX ს-ის ქართველ პოეტებთან, კერძოდ გალაკტიონის პოეზიასთან.*

**საკვანძო სიტყვები:** ქართული მოდერნისტული პოეზია, კომპარატიული კვლევა

ქართულ პოეზიაზე ფრანგი პოეტების შემოქმედების გავლენა შეიძლება განისაზღვროს, როგორც შემოქმედებითი სტიმული, რომელიც მათ ბოდლერის, ვერლენის, რემ-ბოს პოეზიის გაცნობის შედეგად განცდილმა აღმაფრენამ მისცა. ფრანგული სიმბოლის-ტური პოეზიის

ასპექტთა კვლევა და ქართულ პოეზიაში მათ გამოვლინებათა შესწავლა, მოიცავს როგორც წმინდად ლიტერატურათმცოდნეობით და კომპარატივულ, ასევე კულტუროლოგიურ ასპექტებსაც, რაც ერთი მხრივ ხელს შეუწყობს ფრანგი სიმბოლისტების ინტერნაციონალური ბედის შესწავლას, ხოლო მეორე მხრივ, გაააქტიურებს ქართული კულტურის ინტეგრაციას ევროპულ კულტურულ სივრცეში.

ქართული მოდერნისტული პოეზიის კომპარატიული კვლევა ფრანგული პოეზიის კონტექსტში ცხადყოფს, რომ XX ს-ის დასაწყისის ქართული პოეზია არ წარმოადგენს ევროპული პოეზიის ეპიგონურ დანამატს ან პერიფერიას. იგი ქმნის მის ორიგინალურ ინვარიანტს, რომელიც ერთგვარად აფართოებს და განავრცობს ფრანგული პოეზიის მითოგრაფიულ დისკურსსა და მითოსურ სახისმეტყველებას, ქრონოტოპებს, კულტურულ და ლანდშაფტურ სივრცეებს.

როგორც ცნობილი კომპარატიტი და ფრანგული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი პ. ბრიუნელი აღნიშნავს, გარდა იმისა, რომ მწერალს გააჩნია უნარი „შემოქმედებითი სტიმული“ მიიღოს აღტაცებისაგან, რომელსაც ის განიცდის მეორე მწერლის მიმართ. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია პერსონალური სიახლოვე, რომელიც მას გააჩნია მეორე მწერალთან, თუნდაც გარდაცვლილთან. ამ გრძნობამ შესაძლოა ის შეიპყროს მყისიერად, ელვისებურად, ან ხანგრძლივი ნაცნობობის შედეგად. როცა ახალგაზრდა მწერალი შეპყრობილია ასეთი სახის პირველი გატაცებით, იგი შესაძლოა გარდაიქმნას სხვა პიროვნებად. ეს გატაცება შეიძლება იყოს წარმავალი, მაგრამ წარუშლელი... ამ შემთხვევაში ეს არ არის მიბადვა, რადგან საქმე გვაქვს შეცვლილ პიროვნებასთან, რომლის მიერ შექმნილი ტექსტი არის გარდაქმნილი ადამიანის ტექსტი, ეს გარდაქმნილი ტექსტი არ არის ვინმესგან ნასესხები, არამედ იმ მწერლის მიერ შექმნილი, რომელიც ყოველივე ამის შემდეგ გახდა ტრადიციის მატარებელი. ეზრა პაუნდი, თავის მნიშვნელოვან წერილში რენე ტოპენისადმი (1928 წ.) არ უარყოფს იმ გავლენებს, რომელიც მასზე მოახდინეს. უნდა ითქვას, რომ ეს ხდება არა მარტო ახალგაზრდობისას, არამედ ნებისმიერ ასაკში. შექსპირმა თარგმანში წაიკითხა მონტენის „ესეები“, რომლის კვალიც შეიმჩნევა „ქარიშხალში.“ არიან მკვლევრები, რომლებიც ნაწარმოებს ადამიანის ფსიქიზ-მით, სულიერი ბიოგრაფიით, იმ წაკითხული ლიტერატურით ხსნის, რომელიც მის შემოქმედებით წარმოსახვას ასაზრდოებს. შემოქმედთა გავლენებზე სხვადასხვაგვარად წერდნენ. მაგალითად, ზოგ მკვლევარს მიაჩნდა, რომ მანე ბაძავდა გოიას, ბოდლერი, რომელიც იცავდა მანეს, წერდა: „ეჭვი

გეპარებათ იმაში, რასაც გეუბნებით? ეჭვი გეპარებათ, რომ ასეთი საოცარი პარალელიზმები შეიძლება, ბუნებაში არსებობდეს? კეთილი! მე ბრალს მდებენ, რომ ვბამავ ედგარ პოს! იცით, რატომ ვთარგმნე ასე გატაცებით პო? იმიტომ, რომ მე მგავს. პირველად, როდესაც მისი წიგნი გადავშალე, დავინახე ძრწოლ-ვით და აღფრთოვანებით, არა მარტო ჩემს მიერ ნაოცნებარი სუბიექტები, არამედ ჩემს მიერ ნაფიქრალი ფრაზები, რაც მან ოცი წლით ადრე დაწერა.“ ასე განსაზღვრა თავად ბოდლერმა გავლენა, რომელიც ამერიკელმა მწერალმა მოახდინა „ბოროტების ყვავი-ლების ავტორზე.“

როგორც პ. ბრიუნელი აღნიშნავს, არსებობს სხვადასხვა ტიპის გავლენები:

1. გავლენა მთლიან შემოქმედებაზე;
2. იზოლირებული ნაწარმოების გავლენა ერთ რომელიმე ლიტერატურაზე;
3. ლიტერატურული ჟანრის გავლენა;
4. გავლენა ვერსიფიკაციის ფორმით;
5. ტექნიკური გავლენა;
6. სტილის გავლენა.

გავლენას ვუწოდებთ ამას, თუ წვლილს, არცერთი ლიტერატურა არ იქნებოდა ის რაც არის, თუკი ანგარიში არ გაეწეოდა იმ მოვლენებს, რაც უცხოეთში თუ თვით მის ქვეყანაში ხდებოდა. ცხადია ეს ეხება ქართულ ლიტერატურასაც.

XX ს-ის 20-იან წლებში ცისფერყანწელები თავის აღტაცებას ვერ მალავდნენ ფრანგი სიმბოლისტების შემოქმედებით, რაც მათი მხრიდან მიიჩნეოდა იმის მტკიცებულებად, რომ ქართული ლიტერატურის გეზი ევროპულისკენ იყო მიმართული. მათ ჰყავდათ სათაყვანებელი პოეტები: ედგარ პო, ბოდლერი, რემბო, ვერლენი ... თუმცა ვფიქრობ, ცისფერყანწელების გამოცხადება ქართველ სიმბოლისტებად ძალზე სადავოა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იქნება, გავცნოთ ფრანგული სიმბოლიზმის ძირითად პრინციპებს და ვცადოთ ამ პრინციპების XX ს-ის ქართველ პოეტებთან, კერძოდ, გალაკტიონის პოეზიასთან დაკავშირება.

მაინც რა არის ფრანგული სიმბოლიზმი ფრანგი მკვლევარების განმარტებით?

ფრანგ მკვლევართა ერთი ნაწილისათვის, სიმბოლიზმი ეს არის პოეტური მოძრაობა, რომელიც იწყება 1886 წლის 18 სექტემბერს „ფიგაროში“ ჟან მორეასის „ლიტერატურული მანიფესტის“ გამოქვეყნებით, რომლის მიხედვითაც, სიმბოლიზმი *stricto sensu*, მხოლოდ ათიოდ წელს გრძელდება და მისი ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები ჟან მორეასთან ერთად იყვნენ

გიუსტავ კანი, რენე გილი, ანრი დე რენიე, ფრანსის ვიელე-გრიფენი, შარლ მორისი. უნდა ითქვას, რომ ასე გაგებული სიმბოლიზმი მხოლოდ ერუდიტების ცნობისმოყვარეობას იწვევს.

ამ მოვლენის ასეთი აღქმის გვერდით არის გაფართოებული სიმბოლიზმი, რომელიც ბოდლერიდან და ნერვალიდან იწყება და კულმინაციას აღწევს მალარმესთან, ვერ-ლენთან, რემბოსთან და მთავრდება კლოდელით და ვალერიით. ამ სიმბოლიზმს შეიძლება ეწოდოს პოეტური მოდერნი, რომელიც თავსდება რომანტიზმსა და სიურეალიზმს შორის.

სიმბოლიზმის აღიარებული მკვლევარის მარშალის აზრით, სიმბოლისტური ტექსტი უფრო ხშირად ორი დამატებითი რეგისტრით მოქმედებს: სულიერი რეგისტრით ან ფილოსოფიურით და წმინდად ლიტერატურულით ანუ პოეტურით.

სიმბოლისტური რიტორიკის ერთ-ერთი ყველაზე მყარი თვისებაა ახალი პოეტური მოძრაობის წარმოდგენა, როგორც გონების და სულის პროტესტისა, თანამედროვე მატერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ლიტერატურაში არსებითად განხორციელებულია ზოლას ნატურალიზმში. ანტიმატერიალიზმი და ანტინატურალიზმი არის ორი სახე ერთიდაიგივე რეაქციისა იდეალის სახელით. სიმბოლისტურ მეტყველებაში, სიტყვა სიმბოლოს ძირითადი ფუნქციაა მოგვაგონოს, რომ რეალობა არ დაიყვანება ნატურალისტური დისკურსის უხეშ რეალობაზე, მან უნდა შთაგვაგონოს რეალობა რეალობის მიღმა. სიმბოლიზმი უპირველეს ყოვლისა ესაა იდეალიზმი, რომელიც აერთიანებს ხან კანტის, ჰეგელის, შოპენჰაუერის დიდ ფილოსოფიურ დებულებებს, ხან კი განიცდის რელიგიურ, განსაკუთრებით კათოლიკურ ნოსტალგიას; რეალობა კი ნამდვილი მტერია, ხოლო ფილოსოფიური თუ რელიგიური უცხო მხარე, ყოველგვარი მიღმიერი კარგია, მისაღებია, ვინაიდან ესაა უცხო მხარე. რაც შეეხება სიმბოლიზმის სუსტ რელიგიურ მისწრაფებებს, თუკი საუკუნის ბოლო აღინიშნება რამდენიმე პიროვნების მოქცევით (იგულისხმება რწმენისაკენ დაბრუნება) ეს ნეოკათოლიციზმი უფრო ლიტერატურული კათოლიციზმი-მია; როგორც ცნობილია ბოდლერი „ბოროტების ყვავილებში“ ხშირად იყენებდა თეოლოგიურ და საეკლესიო ტერმინებს, მისი შემდგომი პოეტები კი ერთმანეთში ურევენ მუშკს და საკმეველს. ასე რომ რელიგიური მისტიციზმი, თუნდაც დამახინჯებული, გახდა მოდური მოვლენა და ესთეტიკის ყველაზე დახვეწილი ფორმა.

ნატურალიზმის საპირისპიროდ (რომელიც წარმოადგენს ლიტერატურის ანექსიას მეცნიერების მიერ), სიმბოლისტური დისკურსი ბოდლერისა და პოს ფეხდაფეხ, მოითხოვს ლიტერატურული ფაქტის ავტონომიას და განსაკუთრებით პოეზიისას, რომელიც მხოლოდ

მშვენიერების სამსახურში უნდა იყოს. შარლ მორისი ასე განმარტავს სიმბოლისტურ კრედოს: „პოეზიას არ გააჩნია სხვა ძირითადი და ბუნებრივი საგანი, გარდა მშვენიერებისა“.

ამგვარად მშვენიერება ხდება აბსოლუტური ფასეულობა, ჭეშმარიტებისა და სიკეთისაგან განსხვავებული, როგორც ამას ბოდლერი მოითხოვდა.

ლიტერატურის ავტონომია ეს ანტიმატერიალისტური რეაქცია ნაწილობრივ ანტი-დემოკრატიული რეაქციაცაა, სიმბოლისტებმა გადაწყვიტეს ელიტარული გახადონ ლიტერატურა. ეს სულით არისტოკრატები პოეზიაში ჰპოვებენ კეთილშობილ სულთა უკანასკნელ თავშესაფარს და მხოლოდ, განდობილთათვის მისაღებ ეზოთერული რელიგიის ტაძარს.

სიმბოლისტური პოეტური დისკურსის ძირითადი ლიტერატურული რეგისტრებია:

1. სულიერი/ფილოსოფიური/ რეგისტრი:

ა) ანტიმატერიალიზმი, რომელიც გამოხატავს პროტესტს ზოლას ნატურალიზმისა და პარნასელთა რეალიზმის წინააღმდეგ;

ბ) ელიტიზმი და ეზოთერიზმი: სალაპარაკო ენისგან სრულიად განსხვავებული პოეტური ენის მოთხოვნილება; ელიტარულ მკითხველზე გათვლილი განსხვავებული პოეზია.

2. ლიტერატურული რეგისტრი:

ა) ლიტერატურული განზომილების კონცენტრირება წმინდად პოეტურ მიზანზე - ვერლიბრზე. ტრადიციული პოეტური ფორმების განახლება; პოეტური პროზა; სიმბოლიზმი და მითოლოგია;

ასეთია ფრანგული სიმბოლიზმის ძირითადი პრინციპები, რომელსაც აყალიბებს ცნობილი ფრანგი მკვლევარი მარშალი.

ფრანგული პოეზიის გავლენა ცისფერყანწელებზე მეტად გალაკტიონის პოეზიაში შეიმჩნევა; 1914 წლის ლექსებში გალაკტიონის პოეზიაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, ერთის მხრივ, ევროპული რომანტიკული პოეზიისათვის დამახასიათებელი სულიერი მარტოობის პრობლემა და ამ მდგომარეობით გამოწვეული ღრმა სევდა, ბოდლერისეულ სპლინი და გარემოსადმი შეურიგებლობა, მეორეს მხრივ, რაღაც დაკარგულის გამო სასოწარკვეთა და დაკარგულის გამუდმებული, მტკივნეული ძიება და მიუწვდომლის წვდომის დაუკებელი სურვილი.

„არტისტულ ყვავილებში“ გალაკტიონმა მიაგნო თავის ენას. 1919 წელს გამოქვეყნებული გალაკტიონის ამ პოეტური შედეგის სათაურს ბოდლერის „ბოროტების ყვა-ვილების“

სახელწოდებამ მისცა ინსპირაცია. უნდა ითქვას, რომ ბოდლერმა როგორც თავისი ცხოვრების წესით, ასევე თავისი პოეზიით, განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა გალაკტიონზე. „ბოროტების ყვავილების ავტორს, ბოროტების წინაშე უძღურების და შიშის დასაძლევად ცხოვრება მტკივნეულ და უაზრო გამოსავალს სთავაზობდა (იქნება ეს ღვინით თრობა თუ ოპიუმი, ჰაშიში). ბოდლერის მსგავსად „არტისტული ყვავილების ავტორიც“ მუდმივი ექსისტენციალური შიშის დასაძლევად, ღვინით თრობაში ეძებდა შიშის დაძლევის საშუალებას. მარტოსული გალაკტიონი გვიან ღვინით, ან სისხამ დილით ღვინის სარდაფს მიაკითხავდა, შემდეგ კი „ღამენათევი და ნამთვრალევი“ ქუჩაში დახეტიალობდა. თუმცა ბოდლერმა თავისი შემოქმედებით, გაცილებით მეტი სტიმული მისცა გალაკტიონს. მისი „არტისტული ყვავილების“ სახელწოდებაც ხომ, როგორც აღვნიშნეთ, ამ აღიარებული ფრანგი პოეტის წიგნის სათაურის შთაგონებითაა ნაკარნახევი. პოეტური კრებულის სათაური „ბოროტების ყვავილები“, ორი სიტყვის სრულიად მოულოდნელ კავშირს ქმნის. თუკი თავდაპირველად ფილოსოფიურ ჭრილში გავიაზრებთ. ყვავილი მხოლოდ სილამაზეს როდი გულისხმობს, ის ამავდროულად შეიძლება იყოს „კულტურა, დამუშავება (მცენარე)“. ბოროტება კი გულისხმობს ცოდვას და ცოდვის ჩადენით გამოწვეულ ტანჯვას. ეს უკანასკნელი კი ფილოსოფიურ პლანში ორ სახეს იღებს: ტანჯვის ველზე დაკრეფილი ყვავილები, ან ცოდვის სიკეთე, რაკი ის ესთეტიკურად ნაყოფიერია. რაც შეეხება შარლ ბოდლერის ამ სახელწოდებით შთაგონებულ გალაკტიონის წიგნს, მისი სრული სათაურია „Crâne aux fleurs artistiques“ („არსისტული ყვავილებით შემკული თავის ქალა“) - სათაური ეხმიანება რა ბოდლერის წიგნის სახელწოდებას, ამავდროულად ხაზს უსვამს კავშირს, რომელიც იკვეთება „ბოროტების ყვავილების“ ავტორის ერთ-ერთ პოეტურ შედევრთან „L'amour et le crâne“ („სიყვარული და თავის ქალა“)

L'Amour est assis sur le crâne

De l'Humanité,

Et sur ce trône le profane,

Au rire effronté.

Souffle gaiement des bulles rondes

Qui montent dans l'air,

Comme pour rejoindre les mondes

Au fond de l'éther.

Le globe lumineux et frêle

Prend un grand essor,

Crève et crache son âme grêle

Comme un songe d'or.

J'entends le crâne à chaque bulle

Prier et gémir:

- " Ce jeu féroce et ridicule,

Quand doit-il finir ?

Car ce que ta bouche cruelle

Eparpille en l'air,

Monstre assassin, c'est ma cervelle,

Mon sang et ma chair ! ". {Ch. Beaudelare, 2019 : P. 35 }

1919 წლის გამოცემას წინასიტყვაობა არ უძღვის და წიგნი ავტორმა ფრანგულ სათაურს და ოთხი ფრანგი პოეტის ეპიგრაფს მიანდო. ამ ფრანგულმა სათაურმა და ტექსტებმა იმაზე მეტი თქვეს, ვიდრე ეს რომელიმე წინასიტყვაობას შეეძლო. ეს ეპიგრაფებია: „ვარდისფერი და შავი სამკაულის მოულოდნელი მომხიბვლელობა“ - შარლ ბოდლერი, „ცისფერი ქალწული ნაკადულის გრილ ნაპირებზე“ თეოფილ გოტიე, „ჩამავალ მზეთა მელანქოლია“ პოლ ვერლენი, და „მეტად ტანმალალი ვარდები“ ანრი დე რენიე. წიგნის სათაურში სიკვდილი ხელოვნების თემად არის წარმოჩენილი; პოეტი აქ ერთმანეთს უხამებს სიკვდილს (თავის ქალის სახით) და ხელოვნებას (ყვავილის სახით). ჩნდება პოზიტიური მხარე, რომელიც არ ჩანს მის 1914 წლის ლექსებში. სიკვდილი შეიმკო ხელოვნების ნიშნებით-ყვავილებით, ახალი სიცოცხლით. ეს ჩანს ვერლენის სტრიქონში; ვერლენის ეს სიტყვები პოეტს ეპიგრაფად აქვს წამდვარებული „La melancolie des soleils couchants, „ჩამავალ მზეთა მელანქოლია“, გალაკტიონის თარგმანში ის გამძაფრებულად ჟღერს „ჩამავალ მზეთა მგლოვიარება“. შემდეგ იგივე განწყობა თავს იჩენს

„მთაწმინდის მთვარეში“: „და მეც მოვკვდე სიბერეში ტბის სევდიან გედათ“ , „თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვაფერებს“, „სიკვდილის გზა არ-რა არის, ვარდისფერ გზის გარდა,“ „რომ აჩრდილნო მე თქვენს ახლოს სიკვდილს ვეგებები ,“ და ბოლოს: „ რომ მეფე ვარ მგოსანი და სიმღერით ვკვდები .“

სიკვდილის თემას აგრეთვე ვხვდებით სხვა ლექსებშიც: „ლურჯა ცხენები“, „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“, „საუბარი ედგარზე“, „პოეტი ბრბოში“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, „მგლოვიარე სერაფიმები“ და სხვა მრავალი. სიკვდილი დომინირებს როგორც მუზის თანმდევი და შთამაგონებელი, როგორც სიცოცხლის მეორე იდუმალი მხარე. მისი პოეტური კრედიო ვლინდება ამ კრებულში დომინანტი კონცეპტუალური სიტყვებისა და ცნებების არსებობით. ეს მას ანათესავებს ვერლენთან, რომელიც ერთადერთხელ ახსენა, არა როგორც პოეტი, არამედ როგორც „დაღუპული მამა“ .

ამკარაა, რომ ვერლენის, ბოდლერის, რემბოს პოეზიით განცდილი „პოეტური კომოციო“, გალაკტიონისათვის სტიმული იყო ახალი პოეზიის შექმნის გზაზე დადგო-მისათვის. თუმცა თუ გავითვალისწინებთ ცნობილი მკვლევრის შასლის მოსაზრებას, ეს სტიმული არაფრით არ აკნინებს გალაკტიონის ლექსებს. „ყველა ხალხი სხვა ხალხებთან ინტელექტუალური ვაჭრობის გარეშე არის მხოლოდ დიდი ჯაჭვისგან მოწყვეტილი რგოლი“ [გვ. 19]. შასლი. „განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია, კრებულის პირველი ლექსი „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“მამათა სავანეში; ამ პირველივე ლექსში ვხვდებით ყველა იმ სახე-სიმბოლოს, რომელიც კრებულშია გაბნეული ხოლო „დომინო“ (ბოლო ლექსი) შეაჯამებს ამ ყველაფერს - ეს ორი გასაღებია ამ შესანიშნავი კრებულისა. პირველივე ლექსით იგი გვიხსნის კარებს, გვანახებს თუ როგორ უნდა წავიკითხოთ კრებული. პირველ ლექსს „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“მამათა სავანეში“ გადავყავართ უდაბნოს გარემოცვაში. პირველივე სიტყვიდან ვხვდებით სახე-სიმბოლოებს.

„ამ მაისს, ამ ივნისს, ამ ივლისს [ტაბიძე , 2005: გვ. 25]

გადირეკს ნოემბრის ბაღები.

მხურვალე ვნებები გამივლის,

სასახლის ჩაქრება ჭაღები...“

შემოდგომა სწორედ ის სეზონია, როდესაც ყველაფერი წყვეტს არსებობას, კვდება და ასრულებს. ყველაფერი რაც დაიბადება გაზაფხულზე კვდება შემოდგომის მიწუ-რულს. მაისი,



იენისი, ივლისი, ნოემბერი, სასახლე, ჭაღები - ეს ყველა სიტყვა სიმბოლური დატვირთვისაა. ის რაც იბადება მაისში, ვითარდება იენისში, სიცოცხლეს წყვეტს ნოემბერში ... „სასახლე“ პოეზიის და სიცოცხლის სიმბოლოა - „სასახლის ჩაქრება ჭაღები“- სიცოცხლე შეწყდება, პოეზია შეწყდება. პოეზია კი არის სიყვარული, როგორც სიცოცხლის ნიშანწყალი. „სასახლე“ სიმბოლური სახე ამ კრებულში არაერთხელ გვხვდება. გ. ბუაჩიძის აზრით, ლექსის ორკესტრირებაში პირველი და მეთექვსმეტე სტრიქონები, მხოლოდ და მხოლოდ ხმოვნებით „ა“ და „ი“, საკმარისია იმისთვის, რომ მივხვდეთ მარტოსული პოეტის მწვავე წუხილის დიაპაზონს. მესამე ოთხტაეპოვანში თავს იჩენს ბოდლერისეული „შავი თოვლის“ ფანტელი, სრულიად შესაძლებელია ეს იყოს ამ ორი პოეტის შინაგანი დამთხვევა ან თუნდაც უნებლიე გამოძახილი.

„...ვეწვევი განდეგილ მამათა

„უმანკო ჩასახვის“ სავანეს:

იქ შავი თოვლივით დამათოვს

ჭვარტლი და ბურუსი თავანის...“ [ტაბიძე, 2011: გვ. 146]

კრებულის მომდევნო ლექსი „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“, ქრისტიანულ შთაგონებასთან ერთად ეხმიანება საეკლესიო კედლის ფერწერას, აღფრთოვანებული სულის სანუგეშო სიმს ააჟღერებს. ანგელოზის შემყურე მგოსანი ცივილიზაციის გამოძახილს თანაუგრძნობს:

„...გრაალის კოშკები, ზმანებათ სამრეკლო

შენს ფერხტქვეშ დაიმსხვრა და გლოვა მომესმა...“ [ტაბიძე, 2011: გვ. 150].

პოეტის სიტყვები მკითხველს იმედის მარცვალს უღვივებს, აოცნებებს და „თანაქმედიაზობისაკენ“ მოუწოდებს: „...ოცნება, ნახაზი საგანთა უარით,

ღრუბელი ფერადი და ალვა ტანადი“ [ტაბიძე, 011: გვ. 150].

გალაკტიონის კავშირს ფრანგულ პოეზიასთან შედეგად მოჰყვა ქართული ლექსის მოდერნიზაცია, ამის ნათელი მაგალითი იყო რითმის სრულყოფა, ახალი სალექსო ფორმების შექმნა, თავისუფალი ლექსის არსებობა. ეს არ გახლავთ პირველი შემთხვევა როდესაც ლიტერატურა და ხელოვნება ბიძგს უცხოეთიდან იღებს. ა. მ. ბოდლერის მიერ პოს აღმოჩენით,

დასაბამი მიეცა ფრანგული პოეზიის ახალ ეტაპს, ხოლო ბოდლერის და ვერლენის აღმოჩენით საქართველოში დაიწყო ახალი ეპოქა. გასაკვირი არაა, რომ ქარ-თული პოეზიის გამოცოცხლება, ხელახალი სულის შთაბერვა და სვლა განვითარებისაკენ პირდაპირ უკავშირდება ევროპულ სიმბოლიზმს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bertrand Marchal, Lire le Symbolisme 1998
2. Henri Lemaitre – La poésie depuis Baudelaire Armand Collain 1965 Paris
3. Ch. Beaudelare - Les Fleurs du Mal ; Gallimard 2019
4. P. Brunel , Qu'est-ce –que la littérature Comparée Armand Collain 1983
5. გალაკტიონ ტაბიძის ხუთტომეული, ტომი I. თბილისი : პალიტრა L , 2011.
6. ვახტანგ ჯავახიძე „უცნობი“, 2013
7. [https://www.youtube.com/watch?v=lEmFDA4uv48&ab\\_channel=IliaStateUniversity](https://www.youtube.com/watch?v=lEmFDA4uv48&ab_channel=IliaStateUniversity) - ლევან ბერძენიშვილის საჯარო ლექცია - „ერთი პოეტის ორი სახელი: გალაკტიონი და ბარათაშვილი“

**Nana Guntsadze, Ilia Gasviani**

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

#### **The reception of French symbolism in Georgian Literature**

##### **Abstract**

The comparative study of Georgian modernist poetry in the context of French poetry reveals that Georgian poetry of the early XXth century is not an epigenetic appendage or periphery of European poetry. It creates its original invariant, which in a way expands and expands the mythographic discourse and mythological character of French poetry, chronotopes, cultural and landscape spaces.

At the beginning of the XXth century the blueroks could not hide their admiration for the work of French Symbolists, which they considered to be evidence that the path of Georgian literature was directed towards Europe. They had adored poets: Edgar Allan Poe, Baudelaire, Rimbaud, Verlaine... However, I think the announcement of the Blue roks as Georgian symbolists is very controversial... Therefore, I consider it important to establish the basic principles of French symbolism and, consequently, to connect it with the Georgian poets of the XX century, in particular with the poetry of Galaktioni.

**Key words:** Georgian modernist poetry, comparatist research

რეცენზენტი: პროფესორი ხ. არსლანი

## ვის ესმის პერსონაჟების ძახილი - გივი მარგველაშვილის რამდენიმე მინიატურის ინტერპრეტაციისთვის

მარი სიმონიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: [marisimonishvili13@gmail.com](mailto:marisimonishvili13@gmail.com)

*რა ქმნის გივი მარგველაშვილის შემოქმედებას? „ესთეტიკის ენაზე ამას მხატვრული თამაში ჰქვია, გულის ენაზე სიკეთის ქმნის უსაზღვრო წყურვილი, რომელიც, თუ რეალურ ცხოვრებაში ვერ კმაყოფილდება, თუ აქ ვერ აუქმებს ძალადობას, ლაღად შლის ფრთებს წიგნის სამყაროში“ [მარგველაშვილი 2018:18]. განპირობებული სიუჟეტის შეცვლა ლიტერატურული თამაშით - ეს გახლავთ გერმანულენოვანი ქართველი ავტორის ამოსავალი კონცეპტი და „მისი პოეტიკის ბირთვის წარმოადგენს მცდელობა, დააბრუნოს ადამიანი მის თავდაპირველ, ძირეულ მდგომარეობაში - სამყაროს ღიაობის წინაშე, - წერს მარგველაშვილის წიგნის („ცხოვრება ონტოტექსტში“ „Das Leben im Ontotext“) გერმანელი რედაქტორი“ [მარგველაშვილი 2018:11].*

*გივი მარგველაშვილი ორი დიქტატურის, ნაციზმისა და კომუნიზმის, მსხვერპლია, იგი ორმაგი ემიგრანტია, მისი მრავალმხრივი შემოქმედება ზუსტად, რომ ორი ქვეყნის, გერმანიისა და საქართველოს, ორი კულტურის, ორი განსხვავებული მსოფლმხედველობისა და მსოფლალქმის მიჯნაზეა შექმნილი. მან წერა 30 წლის ასაკიდან დაიწყო, როცა საქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკის უკან მოტოვების შემდეგ თავი სრულიად უცხო გარემოში, ისტორიულ სამშობლოში ამოყო და მამიდის ოჯახს მიკედლებულს ძველ ყოფასთან მხოლოდ გერმანული ენაღა აკავშირებდა. მოგვიანებით მწერალი საკუთარ იდენტობაზე საუბრისას ხაზს ყოველთვის უსვამდა იმ გარემოებას, რომ გერმანული ენა მისი ლინგვისტური სამშობლოა (ხაზგასმა ლექსო დორეული). „წარსულიდან მას მხოლოდ ენაღა შერჩა, ენა იყო წართმეული ცხოვრების ცოცხალი ნაწილი, რისი წართმევეც არავის შეეძლო დროის გარდა. დროს კი მისმა მეხსიერებამ და*

ტლანტმა არნახული წინააღმდეგობა გაუწია. ასე იქცა იგი გერმანული ენის ცოცხალ კუნძულად ქართულ გარემოცვაში და უზარმაზარ საპრობილეში, ამ ორმაგად მართოსულ კუნძულზე ასკეტური მართობითა და ჯაფით ააგო ქართველმა გერმანელმა თავისუფლების უზარმაზარი ნავთსაყუდელი“ [მარგველაშვილი 2018:216].

მოგვეხსენება, მწერალი ადრე დაობლდა, გერმანელი მიძების მეთვალყურეობით აღზრდილ ბიჭს ქართული ენა არ ესმოდა და არსებითად მისი ცხოვრების ეს ასპექტიც ბედისწერის თავისებურებად უნდა ქცეულიყო - „იგი არ გაწვალეებულა ცენზურასთან უსიტყვო, შინაგანი გარიგებით. თავის პერსონაჟებთან ერთად სრულ მართობაში, უცნობობაში ჩაკეტილი, სამაგიეროდ იმ სიხარულს განიცდიდა, რასაც გამოხატვის სრული თავისუფლება იწვევს: ისე წერდა, როგორც უნდოდა“ [მარგველაშვილი 2018:218]. ერთი მხრივ, გერმანულენოვან ლიტერატურაზე მუშაობა, ხოლო, მეორე მხრივ, ის მწერლური შეურიგებლობა, რასაც მარგველაშვილი არსებული რეჟიმის წინააღმდეგ იჩენდა, სულ უფრო მეტად ქმნიდა იმის თქმის საფუძველს, რომ „ენა და თემა ირჩევენ მწერალს“ (ნაირა გელაშვილი) და არა პირიქით. ამიტომაც იყო, რომ მისი პერსონაჟები, მისი თვალუწვდენელი წიგნის სამყაროს მცხოვრებლები ახალ რეალობაში უნდა შეხვედროდნენ მკითხველს.

ეს სხვა რეალობა კი გივი მარგველაშვილის მიერ აღმოჩენილი „ახალი ამერიკა“ - წიგნი გახლდათ (ხაზგასმა ნაირა გელაშვილი). თავად ამ წიგნის გმირია და მოუთმენლად ელოდება ორ ყდას შორის ვინმე რეალური პირის (მკითხველის) სტუმრობას, ამბობს კიდევ: „ერთხელაც შენი სახლის კარი გაიღება... და დაწერ ლექსს საკუთარს“ [მარგველაშვილი 2018: 110]. და ამგვარად ერთოთახიან ბინაში მართოსული ავტორი ქმნის იმ ახალ სინამდვილეს, რომელშიც ამბები გროტესკულ სახეს იღებენ და მკითხველიც ფანტაზიის თავბრუდამხვევ ლაბირინთში იხლართება.

### საკვანძო სიტყვები: გივი მარგველაშვილი, მწერალი მინიატურების ავტორი

გივი მარგველაშვილი - მწერალი, რომლის ბედი განსაზღვრა ორმა ტირანულმა იდეოლოგიამ, ახერხებს და საოცარი ოსტატობით მორალური გზით მაინც (ფიზიკურად თუ ვერა) ხელიდან უსხლტება დიქტატურას. ის გარბის და ამ გაქცევით ამსხვრევს იდეაში სამუდამოდ მისჯილი ბედისწერის ბორკილებს. მისი თავშესაფარი წიგნებია, მისი ერთადერთი

რეალობა წიგნისმიერი სამყაროა და როგორც შემოქმედი სახელდებით იწყებს სამყაროს ქმნას, ის ემსგავსება უზენაესს და აშენებს ახალ რეალობას, ყველაფერს იწყებს თავიდან და ადამიანს აბრუნებს კიდევ მუნყოფიერებაში. მწერლის ფსიქიკა უმკლავდება ყოველგვარ გარეგნულ სიმწიფეებს, გაჭირვებას; ის ახერხებს და საოცარი ტალანტის ძალით სრულიად მარტოსული უშიშრად ეჭიდება სხვა, უცხო ყოფის ჯერ გაუცნობიერებელ სირთულეებს. მისი სამეტყველო ენა ამართლებს ჰაიდეგერისეულ ყოფიერების სახლის სიმბოლისტურ გადაწყვეტას და გერმანული ფრაზეოლოგიით მარგველაშვილის პროზა სრულ მწერლურ შეურიგებლობას უცხადებს მოქმედ, თანად-როულ რეალობას. ამიტომაცაა, რომ ის კლასიკური ლიტერატურული ტენდენციების მატარებელი ავტორი არ გახლავთ. ის წერს იმაზე, რაც სურს და წერს ისე, როგორც სურს. ეს იშვიათი შემთხვევაა. ცენზურის მკაცრი კანონებისგან თავისუფლდება ავტორი და მკითხველსაც ასეთს ელოდება - თავისუფალს ყოველგვარი კლიშეებისგან.

კრიტიკოსი ლექსო დორეული შენიშნავს, რომ მართალია გივი მარგველაშვილის ლინგვისტური სამშობლო გერმანიაა, მაგრამ ის მენტალური კედელი, რომელიც ბედისწერის ძალით მის ორ იდენტობას შორის აიგო, დასანგრევადაა განწირული იმთავითვე([http://arilimag.ge/%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%99%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%94/?fbclid=IwAR1\\_mtun809Ez8p4X0RF9SDrmTRQZUf5zeI3FCCqJS0tI3Wi1XjksBbH5iQ](http://arilimag.ge/%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%99%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%94/?fbclid=IwAR1_mtun809Ez8p4X0RF9SDrmTRQZUf5zeI3FCCqJS0tI3Wi1XjksBbH5iQ)).

ორმაგი ემიგრანტი, ავტორი, რომელიც წიგნებში გადასახლდა და პერსონაჟების მსხსნელად, მესიად იქცა (ნაირა გელაშვილი.), მეტაპროზის მამამთავრად იქცა. როგორ-ღაც მოახერხა და ამდენი აკრძალვის პირობებში შექნა იმგვარი ლიტერატურა, როცა გამოგონილი სიუჟეტი ახალ სინამდვილეს, ახალ რეალობას ქმნის.

მოგვეხსენება, მხატვრული ტექსტის გაგებისა და ინტერპრეტაციის უსასრულობის პრობლემა ესთეტიკის ისტორიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. „ხელოვნების ნებისმიერი ფორმით გამოვლინება მიეკუთვნება სინამდვილის იმ სფეროს, რომელიც გაგებას მოითხოვს“ [ყულიჯანიშვილი 2006:301].

ფილოსოფიური ჰერმნევტიკა სიცოცხლის ფილოსოფიას უკავშირდება და დღის წესრიგში დგება უკვე გაგების ინტუიტიური განცდა; გარემომცველი სინამდვილე ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ადამიანს, ეს უკანასკნელი კი თავად იქცევა გამოცანად, ხან

შემოქმედის, ხან რეციპიენტის, ხანაც თანაავტორის როლში [ყულიჯანიშვილი ა., ესთეტიკა, თბ., „მერიდიანი“, 2006].

ცხადია ისიც, რომ კონკრეტული, პრობლემური საკითხის გადაჭრა, ტექსტისმიერი სინამდვილის რომელიმე ასპექტის დეკოდირება არ გულისხმობს საბოლოო ატარაქსიულ განწყობას. იმისთვის, რომ სინამდვილის არსს ჩავწვდეთ, საჭიროა ჯერ ეს სინამდვილე გამოვააშკარაოთ. ამიტომ მკითხველი ერთდროულად ანგრევს და აშენებს სამყაროს, იმ სინამდვილეს, რომელიც თან მზამზარეულია და თან ახლიდან აღმოსაჩენი. ჰაიდეგერის აზრით, „პოეტიკა ნიშნავს გამოღებას, გამოაშ-კარავებას შექმნის, შემოქმედების თვალსაზრისით“ [ყულიჯანიშვილი 2006: 311].

გივი მარგველაშვილის პერსონაჟებისთვის მკითხველს, თავად წაკითხვის პროცესს მოაქვს სინამდვილის შემეცნების განცდა. მათი გაგებით ტექსტისმიერი რეალობა შორსაა იმ „რეალობისგან“, რომელიც წიგნის ყდებს მიღმაა, ამიტომ ებრძვიან მუდამ ამ ფატალურ მოცემულობას და სურთ, შეცვალონ ის დეტერმინირებული სიუჟეტი, დიქტატორმა ავტორმა რომ შექმნა მათთვის.

ჩაკეტილი, მოჯადოებული, თემების გამხსნელია გივი მარგველაშვილი და ამიტომაც მისი პროზა დაუმორჩილებლობის ნამდვილი მანიფესტი. მისი შემოქმედების - რომანების, მოთხრობების, მინიატურების, პიესების, ფილოსო-ფიური თუ ენათმეცნიერული თხზულებების მთავარი თემა ყოფიერებასა და მუნყოფიერებას შორის ორთაბრძოლა, მცდელობა, გადაწყვეტილება, შემართება, დაუცხრომლობა და მუდმივი მზაობაა - განწყობა იმისა, რომ ლიტერატურულად „ითამაშო.“ შილერი ხომ ადამიანის თანდაყოლილ ფიზიკურ და სულიერ მოთხოვნილებებს მესამესაც უმატებდა და მიიჩნევდა, რომ თამაში თვითონ კი არის არასერიოზული, თუმცა სერიოზულ როლს ასრულებს. „თამაშის დროს ადამიანი არის შინაგანად თავისუფალი და ამასთანავე თავისუფალი ბუნებრივად. „ადამიანი არის ის, რაც არის თამაშის დროს, ადამიანი როცა თავისუფალია, ის თამაშობს ამიტომ მას მუდმივად აქვს თამაშის მოთხოვნილება“ (ყულიჯანიშვილი 2006:46). შილერი თამაშის ერთ-ერთ სახედ ხელოვნებას განიხილავდა და მიიჩნევდა, რომ ხელოვნებით ტკბობის უნარი ადამიანს ნელ-ნელა ჩამოუყალიბდა. გივი მარგველაშვილის პროზის ფარულ რეზორმატორად (ხაზგასმა ნაირა გელაშვილი) მკითხველი წარმოგვიდგება.

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით, განვიხილოთ გივი მარგველშვილის ის მინიატურები, რომლებშიც ლირიკული გმირები ეძებენ მკითხველს, ეს უკანასკნელი კი პერსონაჟების სასურველად შესაძლებელი ახალი სინამდვილის შექმნას ცდილობს.

**„ოდესღაც“-ასა და „ახლა“-ს შორის:** როგორც კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე ლევან ბრეგამე სტატიაში „წიგნებში გადასახლება“ მიუთითებს, გივი მარგველა-შვილის მხატვრული შემოქმედება უკავშირდება ერთ ორიგინალურ, მხატვრულ იდეას, რომლის ძალითაც პერსონაჟების გამათავისუფლებელი, მხსნელი წიგნის სამყაროს სამმართველოს საშუალებით ტექსტებს ისე „გადმოაკეთებს,“ რომ ბოროტე-ბას თავისი ვერ გააქვს. ცხადია, ბიოგრაფიული მომენტები განაპირობებს იმ მთავრი მხატვრული კონცეპტის გაჩენას, რასაც სახლში დაბრუნება ჰქვია. უსათაურო ლექსში ამას ამბობს კიდევ: „დე, შენი საიდუმლო იყოს შენი სამშობლო/ დაე, იყოს სამშობლო მთა უკანასკნელი. უკანასკნელი კითხვა (<https://lit-studies.blogspot.com> /2020/03/blogpost13.html?fbclid=IwAR2yYcQrtXEOZJDYcBeYUWrcA9vRJ7GO8pf7rZGw02SyvboB4ycunz7jXsc).

აღნიშნული მინიატურის მიხედვით ვიგებთ, რომ ავტორისთვის საკუთარი ცხოვრება ერთი დიდი მახსიერებაა, რომ მისი ლაბირინთებიდან მეტაფორული სახეებით ( „ფანტაზია-მერსედესი“ -როგორ დროის მანქანა, სიცოცხლის ესენცია - წარმოსახვა) თავს აღწევენ ადამიანი მოგონებები, მოგონებები მშობლებზე ანუ თავად მშობლები და ხსოვნის მაგისტრალზე გამოსულ შვილს არა მხოლოდ ორი დროის გასაყარზე ტოვებენ ( ოდესღაცასა და ახლას, წარსულსა და აწმყოს შორის), არამედ მომავლისკენაც ამზერინებენ. შესაბამისად, მისი „აქ“ და „ახლა“ ტრადიციულ გაგებას კარგავს და ერთდროულად დასწრებულ და დაუსწრებელ დიქტომიურ წყვილს ქმნის - სინამდვილე, როგორც არსებული და სინამდვილე, როგორც ჯერარსი.

ამ მინიატურაში ავტორი ქმნის ფანტაზიის ისეთ მეტაფორულ სახეს, რომელიც ადამიანის ცნობიერებაში გვთავაზობს სინთეზს იმ რეალობისას, რომელიც თავისი არსით იდეალურია - დროის მანქანის სემანტიკა კიდევ უფრო ამძაფრებს ნიშნშესეული „მარადიული კვლავდაბრუნების“ თემას და ამ გაფართოებულ ჰერმენევტიკულ წრეზე მორიგი ნაბიჯის გადადგმა იმ უნივერსალურ ჰორიზონტს ქმნის, როცა ტექსტისმიერი



სინამდვილის მკითხველისეული აღქმა თვითგაგების მამიებელი ხდება ([რაჭული ი., ზაქარიამე ა., რამიშვილი ვ., ჯალაღონია დ., ფილოსოფიის შესავალი, თბ., „მერიდიანი,“ 2009].  
**„ მოგონებათა ყურე“:** „მოგონების გარეშე როგორ განვაგრძო საკუთარი თავის კითხვა ანუ ცხოვრება?“- სვამს კითხვას გივი მარგველაშვილი და მომლოდინე მზერა გადააქვს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ უჩვეულო, ძველებურაფრებიან ხომალდზე, რომელიც წარსულის მეტაფორად იქცევა.

ტენდენცია იმისა, რომ ხშირად ადამიანები ცდილობენ, მძიმე წარსულისგან გათავისუფლებას, მარგველაშვილის პროზაში ირონიულ-სარკასტულ ხასიათს იძენს; წიგნის სამმართველოს ერთგული თანამშრომლების მსგავსად მოგონებათა სამყაროს საიდუმლო ორგანიზაცია სასწრაფოდ ჩნდება ცნობიერების კარიბჭესთან და მისივე საკითხავ მარაგს, თუნდაც სხვათა წარსულს აწვდის ავტორს. მინიატურის მთავარ სათქმელს, რომ მოგონებები ქმნიან ადამიანს - ეს ფრაზა ცხადად უსვამს ხაზს - „სხვათა შორის, სხვისი მოგონებები უფრო ამაღელვებელიც კი მეჩვენება. ასე განსაჯეთ, კითხვა- ყოფნის ერთადერთი ჭეშმარიტი მასალაც კი მგონია“ [მარგველაშვილი:2018:42].

სიკვდილით დასჯის მოლოდინში სოკრატე მიმართავდა ფილოსოფიური მედიტაციის მეთოდს. ამ პრონციპზე დაყრდნობით, „სული გარედან კი არ იღებს ცნებებს, არამედ იხსენებს შობამდელ არსებობას მარადისობაში“ [ბრაჭული ი., ზაქარიამე ა., რამიშვილი ვ., ჯალაღონია დ. 2009:35]. ცოდნა არის იგივე მოგონება, ბერძნულად ანამნეზისი. ამიტომაც სტრუქტურალისტური მეთოდი, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება სემიოტიკას და ცდილობს სახეების, სიმბოლოების, ხატების... თავისებურ მანიპულაციას, გივი მარგველაშვილის შემოქმედების ერთ-ერთ ამხსნელ საშუალებად იქცევა. აღნიშნული მეთოდით მკითხველი ტექსტში ხედავს იმ ფარულ კანონზომიერებებს, რომლებსაც ადამიანი არაცნობიერად ემორჩილება. მარგველაშვილისეული ცნობიერების სტრუქტურა კი მთელი სისავსით წარმოადგენს მიჯნას, გარდამავალ სუბლიმაციურ ენერგიას ადამიანის ყოფიერების განმსაზღვრელ ცნობიერებასა და იმ პიროვნულ არაცნობიერს შორის, რომელიც მივიწყებული, განდევნილი, გამეფებული განცდებისა თუ ლტოლვების ერთობლიობაა. ამიტომაცაა, რომ ორმაგი დიქტატურის მომაკვდინებელ გავლენებს თან გაურბის და თან ერთგვარ არქეტიპად აქცევს საკუთარი ცხოვრების და შემოქმედების გასაგებად.

**„წინ ვედარ ვბრუნდები“:** დაკარგული და გაცდენილი დროის სემანტიკა მსჭვალავს ამ მინიატურას. მოგონებების მზე ათბობს ავტორს და ცნობისმოყვარედ ათვალისწინებს ამ (მოგონებათა) სამყაროს ყოველ-კუთხე-კუნჭულს. მოგონებული ცხოვრების ჰაერია სუფთა, გახსენებული პერსონაჟები კი თვითგამორკვევის პროცესს ამარტივებენ. მეტაფორული სახეები - ცხოვრება(როგორც წარმოდგენა) და დადგმა (როგორც ცხოვ-რება) ცნებებად იქცევა მწერლის ყოფიერებაში და საკუთარი არსებობის გათამაშებისას რეალურ მე-ში დაბრუნების მცირეოდენ შანსსაც არ უშვებს ხელიდან. ამბობს კიდეც „ამჯერად შორს, მეტისმეტად შორს წავედი ჩემში. წინ დაბრუნება ჩემს რელურ „ახლა“-ში ჩემი ასაკის კაცისთვის, ალბათ, ერთობ ძნელი იქნება“ [მარგველაშვილი 2018:39].

დეკონსტრუქციის მეთოდი მარგველაშვილისეული პროზის გაგების ამოსავალ ერთ-ერთ ფილოსოფიურ კონცეპტად ქცეულა. საკუთარი ცხოვრება-წიგნის კითხვა უწყვეტ და უსასრულო პროცესად ქცეულა. „მე ვერავინ შემომყვება ჩემი მოგონებების გაუვალ მხარეში“ [მარგველაშვილი 2018:39] - ამბობს პროტაგონისტი და გონებას უწყობს იმგვარ პროვოკაციას, რომ მკითხველიც იძულებულია, მეტაფიზიკური საზრისები, ქვეტექსტები დაძლიოს და ავანტიურაში გაჰყვას გმირს. ამ მეთოდით მარგველაშვილი ახერხებს „დასწრებულობის მეტაფიზიკის“ უკუგდებას და ჩვენც ტექსტს ვიგებთ, როგორც თვითიდენტიფიკაციურ ფენომენს ‘ბრაჭული ი., ზაქარიაძე ა., რამიშვილი ვ., ჯალალონია დ., ფილოსოფიის შესავალი, თბ., „მერიდიანი,“ 2009].

**„გაუგონარი რამ“:** ტექსტის სასოწარკვეთილი პერსონაჟი მკითხველს ებუტბუტება და მოსმენას სთხოვს; მისი ხმის რეგისტრი თანდათან იცვლება და ბოლოს ყვირილზე გადადის. რატომ იქცევა ის ასე? პასუხიც ტექსტშია - ლირიკულმა გმირმა უნდა „თავისი ხმით გადაფაროს ტექსტი, რომელმაც ასე დაატყვევა მკითხველი“ [მარგველაშვილი 2018:75].

როდის ვერ აწვდენს ხმას პერსონაჟი მკითხველს? ტექსტის სათაურით თამაშობს ავტორი - ერთი, რაც გაუგებარია ცნობიერებისთვის და მეორე - სმენისთვის. ორივე შემთხვევაში წაგებულია მკითხველი. იმისთვის, რომ პერსონაჟმა საწადელს მიაღწიოს, საჭიროა კონცეპტუალური სტრუქტურა დაირღვეს და გმირის ცხოვრებაში გაჩნდეს ახალი დრო, სხვა რეალობა - მომავალი. ესაა დეკონსტრუქტივიზმის თამაშის თეორია და ამისკენ გვიბიძგებს გივი მარგველაშვილი. მისი ლირიკული გმირები სხვა ნარატივის, სხვა ფილოსოფიური ენის საშუალებით ახერხებენ ფსიქონალიზის ურთულესი ეტაპების გავლას იქამდე, სანამ მათი ხმა

მკითხველებს არ მისწვდებათ. ჰერმენევტიკის პრინციპითაც ხელოვნების ნაწარმოები არ იფარგლება მხოლოდ წარსულის დრო-სივრცით, მას გააჩნია აწმყო და აქვს უნარი, გაფდალახოს დროითი საზღვრები. რადგან ის ისტორიული შემეცნების საგნად არ იქცევა, ამიტომ ერთ შემთხვევაში მკითხველი ძალმოსილია, მოახდინოს მხატვრული სინამდვილის თავისებური რესტავრაცია, ხოლო სხვა შემთხვევაში - ინტეგრაცია.

გივი მარგველაშვილი ამ მინიატურაში დასმული საკითხით ავითარებს იმგვარ კონცეფციას, რომ წიგნებში დავანებულმა სინამდვილემ, მისი გმირების ყოფამ „ესთეტიკური რელიგიის“ სიკვდილის განცდა არ უნდა გააჩინოს. აქ ვგულისხმობთ შემდეგს: ხელოვნების ნაწარმოები ჰგავს იმ ხის ნაყოფს, რომელსაც მხოლოდ კი არ იგემოვნებ და განიცდი სიამოვნებას, არამედ მიირთმევ იმისთვის, რომ შეგექმნას წარმოდგენა მთელ მის სიმშვენიერზე. ამგვარი მეტაფორული ქვეტექსტებით ავტორი ცდილობს, მოამზადოს იმგვარი მკითხველი, რომელსაც ტექსტის საზრისი ესმის არა მხოლოდ ტექსტში, არამედ ტექსტის ფილოსოფიაშიც.

ბედის ჩარხი წაღმა რომ დატრიალდეს, ყველა ჩაკეტილი სიუჟეტი რომ გაიხსნას, საჭიროა საგანგებოდ მომზადებული მკითხველის პოვნა, იმგვარი მკითხველისა, რომლისთვისაც ლირიკული გმირის „ონტოკონტექსტოლოგიური საყვედური“ (ხაზგასმა გივი მარგველაშვილი) სრულებით უცხო იქნება და მას არასდროს დაუსვამს კითხვას პერსონაჟი: „რატომ არ მკითხულობ, რატომ არ გიყვარვარ“ [მარგველაშვილი 2018:55].

რეზო ყარალაშვილის აზრით, „იმისთვის, რომ ტექსტმა მკითხველის წარმოსახვაში ადეკვატური დაკონკრეტება განიცადოს, მკითხველს უნდა გააჩნდეს შესაბამისი ცოდნის მარაგი, რომელიც კითხვის პროცესში რეაგირებას მოახდენს ტექსტის სიგნალებზე და ხორცს შეასხამს მხატვრულ სინამდვილეს. შესაბამისად, რაც უფრო განსწავლული და მდიდარი ერუდიციის პატრონია მკითხველი და დეკოდირების რაც უფრო მეტ ხერხს ფლობს იგი, მით უფრო დიდ ინფორმაციას მიიღებს ის მხატვრული სისტემიდან“ [ვასაძე 2009:36].

ცხადია, დეკოდირების პროცესი საკმაოდ მომზადებას მოითხოვს და ტექსტიც მხოლოდ მაშინ შეიძლება გავიგოთ, თუ კითხვის ტექნიკის პროცესში ჩართულია მთელი რიგი ლოგიკური მექანიზმები, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდი და მთელისა და ნაწილის ურთიერთქმედების მეტაფიზიკა.

ტექსტი საზრისული ფენომენია, ეს იმას ნიშნავს, რომ შინაგანი ტენდენციის ძალით, საჭიროებს საზრისის რეალიზაციას სხვაში - ანუ მის გაგებას. ჰერმენევტიკის ამოცანაა ერთმანეთისგან გაუცხოებული ეპოქების, პიროვნებების, ქმნილებების ერთმანეთთან დაკავშირება ანუ გაგება. ამდენად, ის ერთდროულად გაგების მეთოდიცაა და ფილოსოფიაც. ჰერმენევტიკოსებმა მრავალი ხერხი შეიმუშავეს, რომელთა საშუალებითაც ხდებოდა ტექსტების სპეციალური ენობრივი კოდების დაშიფვრა- ამოცნობა. თითოეული ესთეტიკური ტექსტი არის თავისებური ენა, მისი გაგება ამ ენის ხელახალი კონსტრუირებაა, ამიტომ გაგება არის წრეში მოძრაობა; გაგების წრე უსასრულოა, რასაც ფრიდრიხ ნიცშემ „მარადიული კვლავდაბრუნება“ უწოდა. ამ აზრით, ხელოვნების ქმნილების გაგება ნიშნავს მის შექმნას. მარგველაშვილის პროზაში გაგების მეთოდი ჰერმენევტიკული წრის საზრისს უკავშირდება - აქ მთელი მისი ნაწილების მეშვეობით გაიგება, ხოლო ნაწილების გასაგებად მთელის წინასწარი ცოდნაა საჭირო.

მწერალი ნაირა გელაშვილი ოთარ ჩეიძეზე წერდა, რომ მისი არტისტიკული სტილი მკითხველსაც მოთამაშედ აქცევს, რადგან საკმარისია კითხვის ტემპს ცოტა მოუმატო, აჩქარდე, რომ ტექსტი არაფრით დაგემორჩილება და გაგიჯიუტდება; თუ მას ნელა, გულსყურით მოუსმენ, მაშინ სამუდამოდ გაიგებ იმ ამბავს, რაც მოხდა“ (ვასაძე თ., მუზაშვილი ნ., ჩუბინიძე ნ., ქართული 12, თბ., დიოგენე, 2008).

გივი მარგველაშვილის მწერლურ სამყაროზეც იგივეს თქმა შეგვიძლია. მისი ლიტერატურული თამაში თან მსუბუქია, თან ღრმა, თან სარკასტულ-ირონიული; მისი შემოქმედების გამორჩეულობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ქმნის თვისობრივად ახალ რეალობას, სხვა განზომილებას, რაღაც მისტიკურ-ალეგორიულ სამყაროს, სადაც პერსონაჟები და მკითხველები ახალი ფურცლიდან იწყებენ ურთიერთობას; მათი შეხვედრა საოცარ თავგადასავლებს ქმნის და მხატვრული წარმოსახვის ძალით ფანტასმაგორიული ემოციების ფოიერვერკი ეწყობა.

### ციტირებულ ლიტერატურის სია

1. ბრაჭული ი., ზაქარიაძე ა., რამიშვილი ვ., ჯალაღონია დ., ფილოსოფიის შესავალი, თბ. მერიდიანი, 2009, გვ.35;
2. ვასაძე თ., მუზაშვილი ნ., ჩუბინიძე ნ., ქართული 12, თბ., დიოგენე, 2008, გვ.33-34

3. მარგველაშვილი გ., „მე წიგნის გმირი ვარ,“ თბ., კავკასიური სახლი, 2018, გვ.39,42,55,75

4. ყულიჯანიშვილი ა. „ესთეტიკა,“ თბ. 2006, გვ.46, 301, 311

#### ბიბლიოგრაფია:

1. ბარამიძე გ., *ფანტაზიადამსოფლმხედველობა*, თბ., გონი, 1993.
2. ბუხრიკიძე დ., *წერტილები დახაზებში: გივიმარგველაშვილი - დაბრუნება დროსა და სივრცეში ხეტიალის შემდეგ*, ცხელი შოკოლადი, თბილისი, 2012. - ISSN 1512-2220. - ივნისი. - N80. - გვ.118-119.
3. გასეტი ო.-ი., *ხელოვნებისდეკლუმანიზაცია*, თბ., ლომისი, 1992.
4. გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., *ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები*, თბ., „მერიდიანი“, 2014.
5. ლიოტარი, ჟ. ფ., *პასუხი კითხვაზე - რა არის პოსტმოდერნი?* - ჟურნალი „პოლილოგი“, თბილისი, 1994, N4, გვ. 195-207.
6. ტენი ი., *ხელოვნების ფილოსოფია*, თბ., საქართველო, 1990.
7. ფუკო მ., *სიტყვები და საგნები*, თბ., დიოგენე, 2004.
8. ცინცაძე გ., *გაგების მეთოდი ფილოსოფიაში და პიროვნების პრობლემა / ფილოსოფიის ინ-ტი*. - თბ., მეცნიერება, 1975
9. ყულიჯანიშვილი ა., *ესთეტიკა*, თბ., მერიდიანი, 2006.
10. ჰაიდეგერი მ., *დასაბამი ხელოვნების ქმნილებისა*, თბ., „გონი“, 1992.
11. ჰაიდეგერი მ., *ყოფიერება და დრო*, თბ., 1989.
12. Делез Жиль, *Фантазм и современная литература, Логика смысла*, Москва, 1998, Стр. 366-440.
13. Делез Жиль, Гваттари Феликс, *Анти-Эдип*, Екатеринбург: У-Фактория, 2007.
14. Eco Umberto, *Zeichen / Einführung in einen Begriff und seine Geschichte*, übers. Aus Ital. Von Günter Memmert, Suhrkamp Verlag, Frankfurt am Main, 1977
15. Gadamer H.-G., *Der Anfang der Philosophie*, uebers. Aus Italienisch von Joachim Schulte, - Stuttgart 1993 (= Reclam Universal-Bibliothek Nr. 9495)

Mari Simonishvili

Iv.Javakhishvili Tbilisi State University

**Who Understand to Cry of the Characters – for the Interpretation of Several Miniatures of****Givi Margvelashvili**

Abstract

What creates Givi Margvelashvili's work? "In the language of aesthetics, this is called an artistic game, in the language of the heart, it creates an boundless thirst for goodness, which, if it is not satisfied in real life, if it can not eliminate violence here, spreads its wings in the world of books" (Margvelashvili 2018: 18). Changing the conditioned story with a literary game - this is the starting concept of the German-speaking Georgian author and "at the core of his poetics is an attempt to return man to his original, fundamental state - the openness of the world," writes Margvelashvili's book "Life in Ontotext" Das Leben im ") German editor" (Margvelashvili 2018: 11).

Givi Margvelashvili is a victim of two dictatorships, Nazism and Communism. He started writing at the age of 30, when after leaving the Sachsenhausen concentration camp, he found himself in a completely foreign environment, in his historical homeland, and his aunt's family was connected to his old life with only German. Later, when writing about his own identity, the writer always emphasized the fact that the German language is his linguistic homeland (emphasis add lexo doreuli). "From the past, only language was selected for him, language was a living part of a deprived life, which no one could take away except time. At times, however, his memory and talent met with unprecedented resistance. This is how it became a living island of the German language in the Georgian environment and in a huge prison, on this doubly lonely island the Georgian-German built a huge oil rig of freedom with ascetic loneliness and hard work "(Margvelashvili 2018: 216).

As we know, the writer was sick earlier, the boy brought up under the supervision of German nannies did not understand the Georgian language and essentially this aspect of his life should have become a feature of fate - "he was not bothered by a wordless, internal deal with censorship. Locked in complete solitude with his characters, unknown, he experienced the joy that comes with complete freedom of expression: he wrote as he wanted "(Margvelashvili 2018: 218). On the one hand, working on German-language literature, and on the other hand, the literary disagreement that Margvelashvili showed against the current regime, increasingly formed the basis for saying that "language and theme choose the

writer" (emphasis added Naira Gelashvili) and not vice versa. That was why his characters, the inhabitants of his inaccessible book world, had to meet the reader in a new reality.

This other reality was the book "New America" discovered by Givi Margvelashvili (emphasis added by Naira Gelashvili). He is the hero of this book and he is looking forward to the visit of a real person (reader) between the two covers, he even says: "Once the door of your house is opened ... and write a poem of your own" (Margvelashvili 2018: 110). And thus in a one-room apartment the lone author creates a new reality in which the stories take on a grotesque look and the reader is also entangled in a dizzying labyrinth of fantasy.

**Key words:** Givi Margvelashvili, Writer, Author of miniatures

რეცენზენტი: პროფესორი ტ. სიმიანი

## მარიო ვარგას ლიოსას რომანის „ქალაქი და ძაღლები“ ცენზურა ფრანსისკო ფრანკოს ესპანეთში

ნინო ჯოხაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
E-mail: [niniko.jokhadze@yahoo.com](mailto:niniko.jokhadze@yahoo.com)

„ქალაქი და ძაღლები“ ცნობილი პერუელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, მარიო ვარგას ლიოსას პირველი რომანია, რომელიც ავტორის ახალგაზრდობაში გამოქვეყნდა. 1963 წელს, რომანის გამოქვეყნების დროს, ავტორი 27 წლის იყო. ცნობილია, რომ მარიო ვარგას ლიოსას მრავალი სირთულის გადალახვა მოუხდა ნაწარმოების გამოქვეყნების გზაზე. მას შემდეგ, რაც რომანის ხელნაწერი კატალონიელმა რედაქტორმა, გამომცემლობა „სეიმ ბარალის“ დამაარსებელმა, კარლოს ბარალმა წაიკითხა, მან მიზნად დაისახა ნაწარმოები სწორედ მის გამომცემლობას გამოეყენებინა. ბარალმა ხანგრძლივი მოლაპარაკებები აწარმოა ფრანკისტულ ცენზურასთან. მოლაპარაკებებში ასევე ჩართულები იყვნენ ცენზურის მხრიდან ინფორმაციის სააგენტოს გენერალური დირექტორი რობლეს პიკერი, ავტორის მხრიდან კი რობლეს პიკერის მეგობარი, ბარსელონას უნივერსიტეტის პროფესორი, ხოსე მარია ვალვერდე, რომელიც „ბიბლიოტეკა ბრევეს“ პრემიის ჟიურის წევრი გახლდათ და რომელსაც ეკუთვნის რომანის პირველ გამოცემებში არსებული წინასიტყვაობა.

ცნობილია მარიო ვარგას ლიოსას სიმპათიები კომუნისტური პარტიისა და კუბის რევოლუციის მიმართ 1950-60-იან წლებში. რომანში აშკარად იგრძნობა ავტორის მემარცხენე პოზიციები, მისი კრიტიკა და ცინიკური დამოკიდებულება პერუს სამხედრო სისტემისა და განათლების სისტემის მიმართ. დიქტატორული რეჟიმის პირობებში მცხოვრებ საზოგადოებაში არსებული ცრურწმენების, რასობრივი და კლასობრივი უთანასწორობის, კორუფციისა და უსამართლობის გამოსახატავად, ავტორი თავს არ არიდებს მოზარდების ვულგარული ენის გამოყენებას და სექსუალური სცენების აღწერას, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს რეალისტურად აღიქვას და წარმოიდგინოს რომანში მოთხრობილი ამბავი.

სწორედ რომანის ანტიმილიტარისტული ტონი, უხეში ენა და სექსუალური ეპიზოდები წარმოადგენდა ერთგვარ „უხერხულობას“ ფრანკისტული ცენზურისათვის, რომელსაც 1960-იან წლებში წინა წლებთან შედარებით მკვეთრად გამოხატული შემსუბუქებული ხასიათი ჰქონდა. შეიძლება ითქვას, რომ რომანი ცენზურის არც ერთ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებდა, იგი მოიცავდა, რელიგიის შეურაცხმყოფელ თემატიკას (სასულიერი პირის ერთ-ერთი ეპიზოდის გამო), სექსუალობასთან დაკავშირებულ თემატიკას, შეუსაბამო და პროვოკაციულ ენას და რეჟიმის შეუსაბამო აზრებს ანუ სამხედრო სისტემის კრიტიკას, რაც ესპანური ცენზურისთვის მიუღებელი იყო.



კარლოს ბარალის მიერ წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად, ცენზურამ საშუალებას მისცა ავტორს, მისი პირველი რომანი სწორედ მემარჯვენეების მიერ მართულ ფრანკოს ესპანეთში გამოქვეყნებინა. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ, რომანის გამოქვეყნებისათვის წარმოებულ მოლაპარაკებების პროცესს. მიუხედავად რომანის ანტიმილიტარისტული განწყობისა, ესპანური ცენზურის პირობებში იგი მინიმალური ცვლილებებით გამოქვეყნდა, რასაც ვერ ვიტყვით საბჭოთა კავშირზე, სადაც როგორც ვარგას ლიოსამ აღნიშნა, რომანის „ამპუტაციას“ ჰქონდა ადგილი. სტატიაში ასევე განვიხილავთ იქნება თუ რატომ დაუშვა ესპანურმა ცენზურამ იმ რომანის მცირე ცვლილებებით გამოქვეყნება, რომელიც ანტიფრანკიზმის ალევორიად იყო მიჩნეული.

**საკვანძო სიტყვები:** „ქალაქი და ძაღლები“, ცენზურა, ფრანკოს ესპანეთი, მარიო ვარგას ლიოსა, კარლოს ბარალი

მარიო ვარგას ლიოსამ თავის პირველ რომანზე „ქალაქი და ძაღლები“ მუშაობა 1958 წელს, მადრიდის კომპულტენსეს უნივერსიტეტში, დოქტორანტურაში სწავლის დროს დაიწყო და 1962 წლის დასაწყისში, პარიზში დაასრულა. ნაწარმოების სათაური „თაღლითები“ („Los impostores“) იყო. როგორც ავტორი, ასევე მისი მეგობრები, ცნობილი მწერლები და ლიტერატურული კრიტიკოსები (სებასტიან სალასარ ბონდი, ახელარდო ოკენდო კუეტო, ლუის ლოაისა, ხულიო კორტასარი და სხვები) ძალისხმევას არ იშურებდნენ რომანი რომელიმე პრესტიჟულ გამომცემლობაში მოხვედრილიყო, თუმცა მიუხედავად მრავალი მცდელობისა, გამომცემლებმა უარი თქვეს რომანის გამოქვეყნებაზე (Ruedo Ibérico (საფრანგეთი), Losada (არგენტინა), Era (მექსიკა)).

მ. ვ. ლიოსას წიგნის გამოქვეყნების იმედი თითქმის გადაწურული ჰქონდა და უკვე შემდეგ რომანზე „მწვანე სახლზე“ ჰქონდა დაწყებული მუშაობა, როდესაც კლოდ კუფონმა, ფრანგმა მთარგმნელმა და ესპანისტმა, მისი პირველი რომანის შესახებ შეიტყო და ჟურნალ Les Lettres Nouvelles-ის რედაქტორს მორის ნადოს ურჩია მისი გამოქვეყნება. გამომცემლობის რეცენზენტმა რომანი დაახასიათა, როგორც უხარისხო და უგემოვნო ნაწარმოები ყოველგვარი ლიტერატურული ღირებულების გარეშე, რის გამოც მისი გამოქვეყნება კვლავ შეუძლებელი გახდა. კლოდ კუფონმა ვარგას ლიოსას რომანის კარლოს ბარალთან გაგზავნა ურჩია, რომელიც კატალონიური გამომცემლობის „სეიმ ბარალის“ რედაქტორი იყო და რომელსაც განსხვავებული ლიტერატურული და კომერციული ხედვა ჰქონდა და იცოდა, თუ როგორ უნდა აეცილებინა თავიდან ფრანკისტული ცენზურა [Couffon, 2006: 339].

მ. ვ. ლიოსა და კარლოს ბარალი 12 სექტემბერს შეხვდნენ ერთმანეთს პარიზში. ბარალმა დაარწმუნა ავტორი, რომ ხელნაწერი „ბიბლიოტეკა ბრევს“ პრემიაზე გაეგზავნა, რომელიც თავად კარლოს ბარალის დაფუძნებული იყო და გამოუქვეყნებელი ნაწარმოებებს აფასებდა. ბარალს მიაჩნდა, რომ თუკი რომანი პრემიას მიიღებდა, მას ცენზურის სირთულეების გადალახვის დიდი შანსი ექნებოდა. ოქტომბრის შუა რიცხვებში ვარგას ლიოსამ ნაწარმოები სათაურით „გმირის საცხოვრებელი“ („La morada del héroe“) პრემიაზე გაგზავნა. ბარალმა ვარგას ლიოსას სთხოვა არ გაემჟღავნებინა ინფორმაცია მისი კანდიდატურის შესახებ. 1962 წლის 1 დეკემბერს „ქალაქი და ძაღლები“ „ბიბლიოტეკა ბრევს“ პრემიის მფლობელი გახდა. ავტორმა განაცხადა, რომ ლეონსიო პრადოს სასწავლებელში გატარებული დრო მისთვის უდიდესი

გამოცდილება იყო. აღნიშნული პერიოდი მის ცხოვრებაში ძალადობრივ ცვლილებას წარმოადგენდა. მწერალმა აღნიშნა, რომ სასწავლებელში სწავლის პერიოდში მას გაუჩნდა იდეა და დიდი სურვილი, აღწერა ის გამოცდილება, რომელმაც მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა. „ჩემი მიზანი იყო მაქსიმალური მიუკერძოებლობით აღმეწერა, საკუთარ თავში ჩაკეტილი სამყარო (სამხედრო კოლეჯი), რომელიც თავის მხრივ უფრო დიდი რეალობის სარკე და პროექცია იყო“ [Aguirre, 2015: 44].

ვარგას ლიოსას რომანის ხელნაწერი ცენზურის სამსახურში 1963 წლის 16 თებერვალს გაიგზავნა. პირველმა შემფასებელმა, ცენზორმა მანუელ პინესმა თავისი მოხსენება 1963 წლის 25 თებერვალს გამოაქვეყნა ნაწარმოების აკრძალვის რეკომენდაციით. მის მოხსენებაში რომანი მოკლედ იყო დახასიათებული, აღნიშნული იყო, რომ ის პერუს სამხედრო სასწავლებლის კადეტების ცხოვრებას აღწერდა და გამოკვეთილი იყო გვერდები სადაც ცენზორის მიხედვით აღწერილი იყო „მოზარდების ინცესტი“ - გვ. 344-345, „ბორდელში ვიზიტის სცენა“ - გვ. 297, „სოდომის აქტები“ - გვ. 120-121-122, „კმაყოფილების მომგვრელი გარყვნილება“ - გვ. 106-107, „ზედმეტად ლიტერატურული“ - გვ. 137, „დადასტურებული სისასტიკე“ - გვ. 25,28, „ციხისა და ბორდელისთვის დამახასიათებელი ბილწისტვაობა“ - გვ. 8, 11, 12, 13, 14, 16, 18, 21, 22, 26, 31, 32, 38, 39, 41, 50, 51, 60, 64, 73, 74, 75, 91, 104, 108, 109, 116, 117, 118, 126, 127, 129, 131, 135, 136, 141, 144, 149, 165, 166, 167, 175, 176, 184, 192, 193, 194, 195, 201, 210, 222, 225, 227, 250, 258, 274, 301, 303, 304, 306, 314, 386, „სამაგელი ჩამონათვალი“ - გვ. 140 და „სამხედრო სასწავლებლის მეთაურის დაცინვა“ - გვ. 113 (სწორედ აღნიშნულ გვერდზე ვხვდებით ასევე სასულიერო პირის ეპიზოდს). მთლიანობაში ცენზორის კრიტიკა 75 გვერდს მოიცავდა. როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, ცენზორი ფრანკისტული ცენზურის კრიტერიუმების მიხედვით აფასებდა რომანს და მიუთითებდა, როგორც მის უხეშ ენასა და ე. წ. „გარყვნილების ეპიზოდებზე“, ასევე კათოლიკური ეკლესიისა (სასულიერო პირის ბორდელში ვიზიტის ეპიზოდი) და სამხედრო სისტემის კრიტიკაზე. პირველმა ცენზორმა მის მიერ მითითებული 75 გვერდის გამო, რომანის გამოქვეყნება აკრძალა.<sup>1</sup>

აღნიშნული მოხსენების გამოქვეყნებიდან ორი დღის შემდეგ, 27 თებერვალს გამოიცა დადგენილება, რომელიც ადასტურებდა უარს რომანის დაბეჭდვის ნებართვაზე. კარლოს ბარალი არ დათანხმდა აღნიშნულ დადგენილებას და 25 მარტს მეორე შეფასება მოითხოვა. მეორე ცენზორი ავგუსტინელი მღვდელი მიგელ დე ლა პინტა ლორენტე იყო. მისი მოხსენება 2 მაისს გამოქვეყნდა, რომელიც პირველისგან განსხვავებით, რომანის სიუჟეტის დეტალურ აღწერას გვთავაზობდა. ცენზორი აღნიშნავდა, რომ რომანი სამხედრო სისტემის კრიტიკა და პერუს სამხედრო ძალების ცენზურა იყო. მისი აზრით თუ კრიტიკა ეპიზოდური იქნებოდა, შესაძლებელი იქნებოდა რომანის მიღება, მაგრამ თუ ის ძირითად თემად იქნებოდა აღქმული (და ასეც იყო), უსამართლობით გამოწვეული წინააღმდეგობა გარდაუვალი იქნებოდა. იგი აღნიშნავდა, რომ შესაძლო იყო რომანის გამოქვეყნება თუ ამოიჭრებოდა ან შეიცვლებოდა ამორალურობის შემცველი ეპიზოდები. ცენზორი ხაზს უსვამდა, რომ ყველაზე ხშირად გამოყენებული იყო შემდეგი სიტყვები „mierda“, „cojones“, „joder“. იგი აღნიშნავდა რომ უნდა

<sup>1</sup> Primer informe de censura sobre el manuscrito de Los impostores (AGA-MIT, Sección de Inspección de Libros, Caja 21/14413).

ამოღებულიყო შემდეგი მძიმე ეპიზოდები: 29, 30, 36, 38, 39, 64, 50, 106-107, 108-113, 118-122, 121, 127, 135-139, 140, 141, 176, 110, 258, 283, 297, 303, 356 - სულ 36 გვერდი, საიდანაც უმეტესობა პირველი ცენზორის მიერ აღნიშნულ გვერდებს ემთხვეოდა. მეორე ცენზორი პირველის მსგავსად ხაზს უსვამდა რომანის ანტიმილიტარისტულ და ანტიკათოლიკურ (გვ. 113) ტონს, უხეშ ენასა და „უზნეო“ ეპიზოდებს.<sup>1</sup>

მეორე მოხსენების მიღების შემდეგ, ბარალმა პირდაპირი მოლაპარაკებები წამოიწყო ინფორმაციის სააგენტოს გენერალურ დირექტორთან კარლოს რობლეს პიკერთან, რომელიც ცნობილი „ფრაგას კანონის“ ავტორის, 1962 წლიდან ინფორმაციისა და ტურიზმის მინისტრის მანუელ ფრაგა ირიბარნეს სიძე გახლდათ. ცნობილი კრიტიკოსისა და ბარსელონას უნივერსიტეტის პროფესორის, რობლეს პიკერის ჯგუფელისა და მეგობრის, „ბიბლიოტეკა ბრევეს“ პრემიის ჟიურის წევრის, კრიტიკოს ხოსე მარია ვალვერდეს მოლაპარაკებებში ჩართვა ბარალის ოსტატური ნაბიჯი იყო, რადგან ვალვერდე იმ პერიოდში რეჟიმისათვის პატივსაცემი პირი გახლდათ. მის მიერ გაგზავნილი წერილი (როგორც „ბიბლიოტეკა ბრევეს“ ჟიურის წევრის) რობლეს პიკერისადმი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო რომანის გამოქვეყნებისათვის მოლაპარაკებების დასაწყებად. 1963 წლის 13 მაისს გაგზავნილ წერილში ხოსე მარია ვალვერდე ინფორმაციის სააგენტოს დირექტორს წერდა, რომ საქმე ეხებოდა ესპანურ ენაზე დაწერილ საუკეთესო რომანს ბოლო ოცდახუთი ან ოცდაათი წლის მანძილზე და სთხოვდა თავად წაეკითხა ტექსტი. იგი წერდა, რომ დარწმუნებული იყო, რომ აღნიშნული რომანი სამუდამოდ დარჩებოდა ესპანურენოვან ლიტერატურაში და რომ მისი აკრძალვა შეცდომა იქნებოდა [Valverde, 1963]<sup>2</sup>.

აღნიშნულმა წერილმა რობლეს პიკერზე დიდი გავლენა მოახდინა, რასაც თან ერთვოდა რომანის წაკითხვის შემდეგ დარჩენილი შთაბეჭდილება. პიკერი პირადად დაინტერესდა რომანის გამოქვეყნების საკითხით. 17 გვერდზე მან თავისი შესწორებები შეიტანა ტექსტში, რაც უგულვებელყოფდა წინა ორი ცენზორის დასკვნას. მის მიერ მონიშნული ეპიზოდების შემსუბუქებაზე ავტორის თანხმობის შემთხვევაში, რობლეს პიკერი მზად იყო ვარგას ლიოსას შეხვედროდა.

ვარგას ლიოსა უარს ამბობდა ტექსტში ცვლილებების შეტანაზე, თუმცა კარლოს ბარალმა იგი დაარწმუნა დათმობაზე წასულიყო. 1963 წლის ზაფხულში, მარიო ვარგას ლიოსა და რობლეს პიკერი კარლოს ბარალს შეხვდნენ მადრიდში. შეხვედრაზე მოხდა შეთანხმება იმ საბოლოო ცვლილებებზე, რომლებიც ვარგას ლიოსამ ტექსტის გამოქვეყნებამდე გააკეთა. პიკერის მიერ აღნიშნული 17 გვერდიდან ავტორმა მხოლოდ 8 ფრაზა შეცვალა. გარდა შეცვლილი ეპიზოდებისა, რობლეს პიკერმა კიდევ ორი პირობა წამოაყენა: ხოსე მარია ვალვერდეს წერილი წინასიტყვაობის სახით უნდა გამოქვეყნებულიყო პირველ გამოცემაში და წიგნის უკანა გარეკანზე სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი მწერლების კომენტარები უნდა ყოფილიყო მითითებული, რაც გარკვეული კონსერვატორული ჯგუფების სკანდალური რეაქციის შესამცირებლად იყო გამიზნული.

ფაქტია, რომ აღნიშნული შეხვედრა ნაყოფიერი იყო. შეხვედრის შემდეგ, 1963 წლის 17 ივლისს გაგზავნილ წერილში მ. ვ. ლიოსა ინფორმაციის სააგენტოს დირექტორს უდასტურებდა,

<sup>1</sup> Segundo informe de censura sobre el manuscrito de Los impostores (AGA-MIT, Sección de Inspección de Libros, Caja 21/14413).

<sup>2</sup> Carta de José María Valverde a Carlos Robles Piquer, 13.05.1963 (2 AGA-MIT, Sección de Inspección de Libros, Caja 21/14413).

რომ მის მიერ შეთავაზებული შესწორებები გაითვალისწინა და არსებული 17 გვერდიდან შეცვალა 8 ფრაზა, რადგან ისინი არ ცვლიდნენ არც ნაწარმოების შინაარსს და არც მის ფორმას. ვარგას ლიოსა ასევე აცნობებდა პიკერს, რომ მან ეს შესწორებები თავაზიანობის გამო გააკეთა და არა „სიხარულით ან იმის გამო, რომ დაარწმუნეს ამ შესწორებების აუცილებლობაში“ [Llosa, 1963].<sup>1</sup> მწერალმა 1963 წლის 2 სექტემბერს მიიღო პასუხი, სადაც პიკერი მის ნაწარმოებს წარმატებას უსურვებდა და იმედოვნებდა, რომ განხორციელებული ცვლილებები არ დააზიანებდა მის ტექსტს [Robles Piquer, 1963].<sup>2</sup>

მოლაპარაკებების შედეგად განხორციელებული რვა ცვლილებიდან ტექსტის გაუმჯობესების მიზნით ორი თავად ავტორმა შეცვალა (აღნიშნული ცვლილებები უცნობია), დანარჩენი ექვსის შემთხვევაში კი სახეზე იყო ცვლილებები ცენზურის მითითებების მიხედვით, როგორც ამოჭრა, ასევე შემსუბუქება:

მანუსკრიპტი [Vargas Llosa 1961]	ცენზურის სახე	პირველი გამოცემა [Vargas Llosa 1963]
1. „Era mucho más bajo que todos los presentes y <i>por su gran vientre de cetáceo, que se estremecía cuando caminaba, daba la impresión de ser la encarnación de un rombo</i> ; tenía los cabellos casi blancos y usaba anteojos“. [გვ. 237]	<u>შემსუბუქება</u> : Por su gran vientre de cetáceo → Exageradamente gordo <u>ამოჭრა</u> : Que se estremecía cuando caminaba, daba la impresión de ser la encarnación de un rombo	„Era mucho más bajo que todos los presentes y <i>exageradamente gordo</i> ; tenía los cabellos casi blancos y usaba anteojos“. [გვ. 211]
2. „Los cadetes estiman al capellán porque <i>saben</i> que es un hombre de verdad“. [გვ. 113]	<u>შემსუბუქება</u> : Saben → Piensan	„Los cadetes estiman al capellán porque <i>piensan</i> que es un hombre de verdad“. [გვ. 103]
3. „Lo han visto, muchas veces, vestido de civil, merodeando por los <i>lupanares</i> del Callao, con aliento a alcohol y ojos viciosos“. [გვ. 113]	<u>შემსუბუქება</u> : Lupanares → Bajos fondos	„Lo han visto, muchas veces, vestido de civil, merodeando por los <i>bajos fondos</i> del Callao, con aliento a alcohol y ojos viciosos“. [გვ. 104]

<sup>1</sup> Carta de Mario Vargas Llosa a Carlos Robles Piquer, Calafell, 17.07.1963 (AGA-MIT, Sección de Inspección de Libros, Caja 21/14413).

<sup>2</sup> Carta de Carlos Robles Piquer a Mario Vargas Llosa, Madrid, 02.09.1963 (AGA-MIT, Sección de Inspección de Libros, Caja 21/14413).

4.,- Así espero - dijo el coronel, palmeándose el vientre <i>cilíndrico</i> y sonriendo, por primera vez”. [გვ. 244]	<u>ამოჭრა</u> : Cilíndrico	„- Así espero - dijo el coronel, palmeándose el vientre y sonriendo, por primera vez”. [გვ. 216]
5.,,„¿Es la primera vez?“, me dijo cuando <i>yo me quité el pantalón</i> . Yo le dije que no, pero se dio cuenta que le mentía”. [გვ. 297]	<u>ამოჭრა</u> : Yo me quité el pantalón	„¿Es la primera vez?“, me preguntó. Yo le dije que no, pero se dio cuenta que le mentía“. [გვ. 260]
6.,,„ <i>Se desnudó todita y me jaló a la cama diciendo</i> : “ojalá que me traigas suerte””. [გვ. 297]	<u>შემსუბუქება</u> : Se desnudó todita y me jaló a la cama diciendo → Mientras se me acercaba calatita me decía	„ <i>Mientras se me acercaba calatita me decía</i> : “ojalá que me traigas suerte””. [გვ. 260]

აღნიშნული ცვლილებების შედეგად, ცენზურას დიდი გავლენა არ მოუხდენია არც ნაწარმოების ხარისხის და არც შინაარსის ცვლილებაზე. თუმცა ცხადია, რომ ცენზურის ინსტიტუტმა ბოლომდე არ დათმო საკუთარი პოზიციები. პირველი (ფრაზა: „gran vientre de cetáceo“ – „დიდი ვეშაპისებული მუცელი“ ჩანაცვლებულია შემსუბუქებული ფრაზით: „Exageradamente gordo“ – „გვარიანად ჩასუქებული“ და ამოჭრილია შემდეგი ფრაზა: „Que se estremecía cuando caminaba, daba la impresión de ser la encarnación de un rombo“ – „რომელიც სიარულის დროს ირხეოდა, მოსიარულე რომბის შთაბეჭდილებას ტოვებდა“) და მეოთხე (ამოჭრილია სიტყვა „Cilíndrico“ – „ცილინდრისებრი“) ცვლილებების შედეგად, პოლკოვნიკისადმი ავტორის ცინიკური დამოკიდებულება იცვლება და აღნიშნულ ეპიზოდს აღწერთი ხასიათი ეძლევა (რეჟიმის საწინააღმდეგო აზრები (სამხედრო სისტემის კრიტიკა)), თუმცა რომანში მრავალი სხვა ეპიზოდი, სადაც კარგად ჩანს როგორც ავტორის ცინიზმი სამხედროების მიმართ, ასევე სამხედრო სისტემის დეგრადაცია. მეორე (ზმნა „Saber“ - ცოდნა შეცვლილია ზმნით „Pensar“ - ფიქრი) და მესამე (სიტყვა „Lupanar“ - ბორდელი ჩანაცვლებულია შედარებით მსუბუქი და ზოგადი მნიშვნელობის შესატყვისით „Bajos fondos“ - საექვო უბნები, იატაკქვეშეთი) ცვლილების მიხედვით, შემსუბუქებულია კრიტიკული დამოკიდებულება სასულიერო პირის მიმართ (რელიგიის შეურაცხყოფელი თემატიკა), რომელიც რომანში რელიგიის ერთადერთი წარმომადგენელია. როგორც ლიოსა იხსენებს, რობლეს პიკერთან შეხვედრის დროს, ინფორმაციის სააგენტოს უფროსმა, მას სთხოვა, შეემსუბუქებინა აღნიშნული ეპიზოდი, რადგან რომანში მხოლოდ ერთი მღვდელი იყო და არა რამოდენიმე და მისი ამ სახით აღწერა მიუღებელი იქნებოდა [Vargas Llosa, 2012]. მეხუთე (ამოჭრილია ფრაზა: „cuando yo me quité el pantalón“ – „როდესაც შარვალი გავიხადე“) და მეექვსე (ფრაზა „Se desnudó todita y me jaló a la cama diciendo“ – „სრულიად გაშიშვლდა, საწოლზე დამაგდო და მითხრა“ შეცვლილია შემდეგი

შემსუბუქებული ფრაზით: „Mientras se me acercaba calatita me decía“ – „ვიდრე ტიტლიკანა მიახლოვდებოდა, ჩურჩულებდა/მეუბნებოდა“) ცვლილებებს რაც შეეხება, აქ შემსუბუქებულია სექსუალური სცენა (სექსუალობასთან დაკავშირებული თემატიკა). თუმცა რომანში მრავლადაა მსგავსი სცენები, რომლებიც ცენზურამ ხელშეუხებელი დატოვა. განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, ყველა ცვლილება აღწერითი ხასიათისაა და არც ერთი არ ეხება პერსონაჟების ლექსიკას (შეუსაბამო და პროვოკაციული ენა). როგორც ვნახეთ, ცენზორების პირველი ორი მოხსენება, აღნიშნულ კრიტერიუმსაც მოიცავდა, თუმცა რობლეს პიკერთან მოლაპარაკებების შედეგად, წითელი კალმით მონიშნული ლექსიკური ცვლილებების განხორციელება აღარ გახდა საჭირო.

რომანის საბოლოო დამტკიცება ცენზურის მიერ 1963 წლის 28 სექტემბერს მოხდა. რომანის სათაური აღნიშნული დროისთვის „ქალაქი და ძაღლები“ („La ciudad y los perros“) იყო, რომელიც მეგობრის, ხ. მ. ოვიედოს მიერ შეთავაზებული სათაურებიდან აირჩია ვარგას ლიოსამ. სათაურის ცვლილება შესაძლოა ცენზურითაც ყოფილიყო განპირობებული, რადგან სათაური „თაღლითები“ და სამხედროების თაღლითებთან გაიგივება, ცენზურის ახალ წინააღმდეგობას გამოიწვევდა.

რაც შეეხება ცნობილი ავტორების კომენტარებს, კრიტიკოსებმა და მწერლებმა სხვადასხვა ქვეყნიდან, როგორებიც იყვნენ სებასტიან სალასარ ბონდი (პერუ), როჯერ კაილუა (საფრანგეთი), ალასტერ რეიდი (აშშ), ხოსე მარია ვალვერდე (ესპანეთი), უფე ჰარდერი (დანია) და ხულიო კორტასარი (არგენტინა) საკუთარი კომენტარები გააგზავნეს, რათა ისინი პირველი გამოცემისთვის დაერთოთ, სადაც მ. ვ. ლიოსას საერთაშორისო დონის მწერლად აღიარებდნენ. გამოქვეყნებული პუბლიკაცია ზემოთ ჩამოთვლილი ავტორებიდან, ხულიო კორტასარის გარდა, ყველას კომენტარს მოიცავდა. კორტასარის აშკარად პოლიტიკური ხასიათის კომენტარი, სადაც ის რომანის ანტიმილიტარისტულ ხასიათზე საუბრობდა, ცენზურამ წითელი კალმით გადაახა და მისი გამოქვეყნება აკრძალა.

რომანის ბეჭდვა 1963 წლის ოქტომბერში დასრულდა. მ. ვ. ლიოსამ თავისი პირველი რომანის გამოქვეყნებული ვარიანტი ნოემბრის შუა რიცხვებში ნახა. უნდა აღინიშნოს, რომ 1960-იან წლებში ფრანკისტული ცენზურის შემსუბუქებული ხასიათი ქვეყნის ღიაობის პოლიტიკისა და მისი ეკონომიკური მდგომარეობით იყო განპირობებული. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ღიად მემარცხენე ლათინოამერიკელ მწერალს, მარიო ვარგას ლიოსას საშუალება მიეცა მისი პირველი რომანი, სწორედ მემარჯვენე ფრანკოს ესპანეთში გამოექვეყნებინა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 1963 წელს ცნობილი გახდა, იმ ზარალის შესახებ, რომელსაც ესპანეთი განიცდიდა საზღვარგარეთის წიგნის ბაზარზე, განსაკუთრებით ლათინურ ამერიკაში. სწორედ ამ პერიოდში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები „ქალაქი და ძაღლების“ გამოქვეყნების შესახებ. კარლოს ბარალის სტრატეგია (ე. წ. „ბარალის ფორმულა“) და დაპირება, რომ წიგნი საერთაშორისო აღიარებას მოიპოვებდა, აშკარად პასუხობდა რეჟიმის მოლოდინებს.

მარიო ვარგას ლიოსა თავის მრავალ ინტერვიუში აღნიშნავდა წიგნის ცენზურის ბანალურ ხასიათს და ამბობდა, რომ კარლოს ბარალმა აღნიშნული 8 ცვლილება ისე დააბრუნა ტექსტში მეორე გამოცემიდან, რომ ცენზურას ეს არც გაუგია. თუმცა რომანის პირველი ორი გამოცემის შედარების შედეგად ნათელია, რომ ტექსტში არანაირი ცვლილება არ არის განხორციელებული. აღნიშნულ ფაქტს ასევე ადასტურებს კარლოს აგირე თავის წიგნში „ქალაქი და ძაღლები: რომანის ბიოგრაფია“.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ცენზურის პირობებისა (ხ. მ. ვალვერდეს პროლოგი, ცნობილი მწერლების კომენტარები, 8 ცვლილება და ხ. კორტასარის კომენტარის აკრძალვა), მარიო ვარგას ლიოსას პირველი რომანის „ქალაქი და ძაღლების“ გამოქვეყნება ფრანკისტული ცენზურით ცნობილ 1960-იანი წლების ესპანეთში შესაძლებელი გახდა. ცალსახაა, რომ აღნიშნული ფაქტი განპირობებული იყო ცენზურის შემსუბუქებული ხასიათით და კულტურის სფეროში ლიბერალური ხედვის მაღალჩინოსნების მოღვაწეობით (მათ შორის რობლეს პიკერისა). რომანის გამოქვეყნების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ასევე ნაწარმოების ხარისხს და მის საერთაშორისო აღიარებას, კარლოს ბარალის დიდი ძალისხმევას და მის სტრატეგიას გადაელახა ცენზურის სირთულეები. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ასევე მატერიალურმა ინტერესმა, რაც განპირობებული იყო ესპანეთის რთული მდგომარეობით წიგნის ბაზარზე, რასაც 1963 წელს, სწორედ რომანის გამოქვეყნების წელს ჰქონდა ადგილი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Aguirre C.**, - La ciudad y los perros: Biografía de una novela. Fondo editorial de la Pontificia Universidad Católica del Perú. Perú. 2015. p. 44
2. **Couffon C.**, - Pequeña historia de una gran novela. Nueva Imagen. México. 2006.p. 339
3. **Vargas Llosa M.**, - Biblioteca Nacional de España. Mario Vargas Llosa en "El libro como universo". 10.05.2012. <https://www.youtube.com/watch?v=qSBX-mpwU4w> (ბოლო წვდომა: 09.11.2021)
4. **Vargas Llosa M.**, - La ciudad y los Perros. Seix Barral. Barcelona. 1963.p.103, 104, 211, 216, 260
5. **Vargas Llosa M.**, - La morada del héroe. Paris (manuscrito). 1961.p.113, 237, 244, 297

**Nino Jokhadze**

Iv. Javakhishvili Tbilisi state University

### **Censorship in Franco's Spain about the novel of Mario Vargas Llosa "The City and the Dogs"**

#### **Abstract**

"The City and the Dogs" is the first novel by the famous Peruvian writer, Nobel Laureate Mario Vargas Llosa, which was published in the author's youth. In 1963, at the time of the novel's publication, the author was 27 years old. It is known that Mario Vargas Llosa had to overcome many difficulties on the way to publishing the work. After reading the manuscript of the novel, the Catalan editor and founder of the publisher "Seix Barral", Carlos Barral aimed to publish the work by his publishing house. Barral has been in lengthy negotiations with Spanish censorship. In these negotiations were also involved general director of information agency, Robles Piquer, representative of censorship and from the side of author, a friend of Robles Piquer, a professor at the University of Barcelona, Jose Maria Valverde, which was the jury member of "Biblioteca Breve" award. He wrote the preface for the first editions of the novel.

Mario Vargas Llosa's sympathies for the Communist Party and the Cuban Revolution in the 1950s and 1960s are well known. The novel clearly shows the author's leftist positions, his criticism and cynical attitude towards the Peruvian military system and education system. To express the prejudices, racial and

class inequalities, corruption and injustice in a society living under a dictatorial regime, the author does not shy away from using the vulgar language of adults and describing sexual scenes, that allow the reader to perceive and imagine the novel realistically.

It was the novel's anti-militaristic tone, rude language, and sexual episodes that presented a kind of "embarrassment" to Franco's censorship, which was much more lighted in the 1960s than in previous years. The novel did not satisfy censorship criterias, cause it included, offensive themes of religion (the episode of the priest), sexuality-related topics, inappropriate and provocative language, and thoughts against the regime (criticism of the military system) which was unacceptable to Spanish censors.

As a result of negotiations conducted by Carlos Barral, censorship allowed the author to publish his first novel, in Franco's Spain, led by the rightists. In this article, we will discuss the negotiation process for publishing a novel. Despite the novel's anti-militaristic attitude, under the Spanish censorship it was published with a minimal changes, unlike from the Soviet Union, where, as Vargas Llosa noted, the novel was "amputated." In the article we will discuss also why Spanish censorship allowed the publication of a novel and with minor modifications that was considered as an allegory of anti-Francoism.

**Keywords:** "The City and the Dogs", Censorship, Franco's Spain, Mario Vargas Llosa, Carlos Barral

რეცენზენტი: პროფესორი ტ. სიმიანი



ისტორია

History

## სოფელ ძეგლევის წარსული და დღევანდელი

დავით ახლოური

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
e-mail: [davitakhlouri@gmail.com](mailto:davitakhlouri@gmail.com)

ნაშრომში საუბარია ახალგორის მუნიციპალიტეტის ისტორიულ სოფელ ძეგლევის წარსულსა და დღევანდელი მდგომარეობაზე. მიმოხილულია სოფლის გეოგრაფიული გარემო: იგი მდებარეობს ქსნის ხეობაში, ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ახალგორთან ახლოს, 5 კილომეტრის დაშორებით, ალევის ქედის დასავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 1150 მეტრზე. ახსნილია სოფლის ეტიმოლოგია, რომელიც ისტორიული ძეგლების სიმრავლესთან უნდა იყოს კავშირში. აქედან გამომდინარე საუბარია ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე, იქ არსებულ უძველეს წარწერებზე, რომელიც შეისწავლა და გაშიფრა ცნობილმა პროფესორმა გიორგი ოთხმეზურმა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთ უძველეს დემოგრაფიულ ნუსხებს, როგორცაა XVIII საუკუნის ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობები, რომლებიც არქეოლოგიური მოგზაურობისას ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფელ იკოთში უნახავს ექვთიმე თაყაიშვილს. აღწერები გამოცემულია როგორც ექვთიმე თაყაიშვილის (ორი აღწერა), ისე ივანე ჯავახიშვილის (სამი აღწერა) მიერ. მათი ურთიერთშედარების საფუძველზე ახსნილია იმ დროს არსებული ისტორიული რეალობა, ნაჩვენებია თუ როგორი მძიმე შედეგები მოჰყვა ლეკთა თარეშს ქსნის ხეობაში და მათ შორის სოფელ ძეგლევშიც, სადაც გადიოდა ახალგორისკენ მიმავალი ე.წ. „ლეკთა გზა.“ გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი ძეგლევს ლეკებისაგან აოხრებულ და გაპარტახებულ სოფლებს შორის მოიხსენიებს, გავიარეთ „განადგურებული სოფელ ძეგლევის ნაშთებიო“-წერდა იგი. ყოველივე ეს კი ზრდიდა გლეხთა ბოგანო კატეგორიას. ნაშრომში, სათანადო ლიტერატურის დამოწმებით ახსნილია, თუ როდიდან ჩნდება საქართველოში

გლებთა ისეთი კატეგორია, როგორც იყო „ბოგანო“, რა მდგომარეობაში იყვნენ ისინი და რა ვალდებულება ჰქონდათ მეზატონეებთან.

გარდა მოსახლეობის აღწერებისა, ნაშრომში მიმოხილულია სოფელთან დაკავშირებული გვიანფეოდალური ხანის სიგელ-გუჯრები, სადაც საუბარია სოფლის სოციალურ თუ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, აქ მცხოვრები ყმებისა და მეზატონეების ერისთავებისა და ფიცხელაურების ურთიერთობაზე. მითითებულია თუ როგორ გადადიოდა სოფელი ერთი მეზატონიდან მეორეს ხელში, როგორ ეურჩებოდნენ ყმები ფიცხელაურებს და რა პოზიცია ეკავა ქართლ-კახეთის სამეფო კარს, პირადად კი ახალგორელი მოურავების ერთგულ გიორგი ბატონიშვილს.

ნაშრომის ბოლოს ნაჩვენებია სოფლის უახლესი წარსული, მოყოლებული მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დღეს არსებულ დემოგრაფიულ ვითარებას და იმ მიმღე შედეგებს, რაც 2008 წლის აგვისტოს ომსა და ახალგორის მხარის ოკუპაციას მოჰყვა. ერთ დროს ხალხმრავალ, ორმოცდა-ხუთკომლიან სოფელში დღეს მხოლოდ 6 ოჯახია დარჩენილი, სადაც ხშირ შემთხვევაში ერთი ან ორი ადამიანი ცხოვრობს.

**საკვანძო სიტყვები:** სოფელი ძეგლვეი, ოკუპირებული ტერიტორია, ისტორია, დღევანდელიობა

ქსნის ხეობის ისტორიული სოფელი ძეგლვეი მდებარეობს ახალგორის მუნიციპალიტეტში, ალევის ქედის დასავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 1150 მეტრზე. ახალგორიდან დაშორებულია 5 კილომეტრით. ცნობილი მკვლევარის ვ. ლუნაშვილის ვარაუდით „ძეგლვეი ეტიმოლოგიურად ძეგლებთან უნდა იყოს დაკავშირებული“ [11: 141]. სოფლის ღირსშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგ-ლი - საქორიის ციხე, რომელიც განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდს მიეკუთვნება [12:266]. 1384 წელს შესრულებული სამი ფრესკული წარწერაა შემორჩენილი ძეგლვეის წმინდა გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე. ესენი გახლავთ მოსახსენებლები ნიკოლოზის, სვიმონის და გრიგოლის. ხოლო ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში სამხრეთის შესასვლელის მარცხენა მხარეს ერთ მთლიან ქვაზე ამოტვიფრულია XIV საუ-კუნის ბოლო პერიოდით დათარიღებული ხუთ სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომელშიც მოხსენიებულნი არიან სვიმონი და მისი შვილები. პროფესორ გიორგი ოთხმეხურის მოსაზრებით, წმინდა გიორგის და მიძინების ეკლესიების წარწერებში ნახსენები სვიმონი ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს [7: 146-148]...

ძეგლვესა და მის სიახლოვეს მდებარეობს ასევე ღვთისმშობლის, წმინდა ბარბარეს, მთის ჯვრის (თიჯვარის) ეკლესიები, ლაშარისა და წითელი ხატის ნიშები... ვ. ქისიევის მონათხრობით,

„ქისიანები, რომ ჩამოვიდნენ (ყამურის ხევიდან - დ.ა.), მათ დაარსეს წითელი ხატი. აქ ერთი დიდი მუხა დგას. დღეობა თიბათვეში მოდის, კლავენ ცხვარს, დეკანოზი გინდა ოსი მოვიდეს, გინდა ქართველი, ილოცება ქართულად" [11:144]. ლაშა-რის ხატი კი არაგვის ხეობიდან გადმოსულ გიგაურებსა და მაწიაშვილებს აუგიათ... ძეგლვეი უშუალოდ ექვემდებარებოდა საქართველოს კათალიკოსის სამწყსოს.

ქსნის ხეობის ისტორიის უნიკალური წყაროა ქსნის საერისთავოს მოსახლეობის სტატისტიკური აღწერილობა. აღნიშნული ძეგლი არქეოლოგიური მოგზაურობისას სოფელ იკოთში უპოვია ექვთიმე თაყაიშვილს, სხვა 35 სიგელ-გუჯართან ერთად. დოკუმენტები ეკუთვნოდა ვახტანგ ივანეს ძე ფიცხელაურის დედას, რომელსაც ექვთიმეს თხოვნით ყველა მათგანი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისთვის შეუწირავს [2: 8-9].

ქსნის ხეობის პირველი აღწერა 1774 წელს უნდა იყოს შედგენილი, მეორე და მესამე - 1783 წელს. 1774 წლის ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერილობის მიხედვით ძეგლვეის ხეობა მეზობელი სოფლის - ოძისის მოსახლეობის გვერდითაა მოხსენიებული, ასე, მაგა-ლითად: „აქავ ბოგანო ძეგლვეელი კახის შვილი კომლი ა თავი ბ გვიანა და იანვარა

აქავ ბოგანო ძეგლვეელი გიგაური კომლი ა თავი ა ივანე" [5: 54; 14: 200].

ბოგანო გლეხთა კატეგორია იყო ფეოდალურ საქართველოში, რომლის წარმოქმნაც მონღოლთა ბატონობის ხანას უკავშირდება, როცა გლეხებს ხშირად უწევდათ აყრა-გაქცევა საკუთარი მიწიდან და სხვაგან დამკვიდრება. ბოგანოდ შეიძლება გადაქცე-ულიყო მკვიდრი ყმაც, გაღარიბების შემდეგ და პირიქით, ზოგჯერ ბოგანო მკვიდრ ყმათა სიაში ეწერებოდა, თუ მებატონე მიწას უწყალობებდა და საბატონო გადასა-ხადებს გადაახდევინებდა. ზოგადად, „ბოგანოდ ითვლებოდა უვენახო, მცირე-მიწიანი, ეკონომიკურად ხელმოკლე გლეხი. [3: 451]. XVIII საუკუნის II ნახევარში, ამა თუ იმ მებატონის მიწაზე დამკვიდრებული ბოგანო გლეხები მიწებს სალადედ და ქირით იღებენ [ვრცლად იხ., 6, 1967].

ჩნდება კითხვა, რატომ უნდა ყოფილიყო ბოგანოთა კატეგორიას მიკუთვნებული ოძისისა და ძეგლვეის მოსახლეობა? ქსნის ხეობას მძიმე დალი დაასვა ლეკიანობამ. გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი, რომელიც დავით ქსნის ერისთავის თხოვნით ახალგორს 1772 წლის აპრილის დასაწყისში ეწვია, საგანგებოდ მიგვანიშნებს, თუ რა მძიმე მდგომარეობა იყო დაღესტნელი აზრავების თავდასხმების შედეგად ზოგადად საქართველოში და მათ შორის ახალგორის მხარეშიც. „ამ ბატონმა (დავით ერისთავმა - დ.ა.) ამის შემდეგ ბევრჯერ მომცა მცველი რაზმი 50, 100 და მეტი კაცისაგან, ხშირად საკუთარი მეთაურობით; უამისოდ ზოგი ექსკურსიები შეიძლებოდა ჩაშლილიყო" [4: 47]. პირველ რიგში, სწორედ ლეკებისაგან თავდასაცავად

სჭირდებოდა უცხოელ მოგზაურს ამდენი ხალხის თანხლება." უფრო მეტიც, ერეკლე მეორეს ზოგჯერ 1000 კაცი-ანი მცველთა რაზმითაც კი უხდებოდა გადაადგილება საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში [1: 9]. კ. კახაძის მინიშნებით, XVII-XVIII საუკუნეებში ლეკთა რაზმების თარეშმა სოფელ ოძისს და მის სიახლოვეს მდებარე ტერიტორიას მძიმე დალი დაასვა, რადგან აქ გადიოდა სწორედ ე.წ. „ლეკთა გზა“ [8:288]...ახალგორი შანშე ერისთავთან დაახლოებულ-ლი ლეკებისთვის, ნაცნობი მხარე იყო, ქსნის საერისთავოს ეკონომიკური შესაძლებ-ლობები დღენიადაგ იზიდავდა აბრაგებს, რომლებსაც საერისთავოს ცენტრამდე, მის ჩრდილოეთით მდებარე სოფლები უნდა გაევიღოთ, რის შედეგადაც გაჩნდა არაერთი გაპარტახებული ადგილი, მათ შორის „განადგურებული სოფელ ძეგლევის ნაშთები“ და „ნაოხარი სოფელი ოძისი“ [42:49-51]. სამართლიანად უწოდებს ვ. ხოცუაშვილი ყოველივე ზემოთქმულს შანშესდროინდელ ნაიარევს [13:4]. აქედან გამომდინარე, აღარაა გასაკვირი ოძისისა და ძეგლევის მოსახლეობის გალატაკება, ზოგანოდ გადაქცევა, ან გადახვეწა საკუთარი მიწიდან. ეს მკვეთრად ცვლიდა დემოგრაფიულ ვითარებას, რაც შეინიშნება 1774 წლის აღწერაში, სადაც მითითებულია, საიდან უნდა ყოფილიყო ზოგიერთი კომლი აქ დამკვიდრებული...

1783 წლის აღწერებში ოძისისა და ძეგლევის მოსახლეობა ზოგანოდ აღარაა ნაჩვენები, 1774 წლის აღწერისგან განსხვავებით, 1783 წლის აღწერაში ცალკეა აღრიცხული ძეგ-ლევის მოსახლეობა, რომელიც 4 კომლისაგან შედგება, თითოეულ კომლში ერთი მამრობითი სქესის წარმომადგენელია:

- „ძეგლევიდან: ქ. კახის შვილი კომლი ა თავი ა ბერი
- აქავ დოდრიელას შვილი კომლი ა თავი ა ივანე
- აქავ გიგაურის შვილი კომლი ა თავი ა ფილიპე
- აქავ ზურაბ ფიცხელაურის ყმა. ჯავახის შვილი კომლი ა თავი ა ბერუა.
- იქნა ჯამი. მემკვიდრისა. კომლი დ თავი დ“ [5: 28-29].

ქსნის საერისთავოს მესამე სტატისტიკურ აღწერაში ძეგლევის მოსახლეობა ახალგორის მოსახლეობის რიგშია მითვლილი, სადაც კომლების მითითებისას, დაკონკრეტებულია ყმების წარმომავლობა, მებატონე ზურაბ ფიცხელაური კი თანამდებობითაა მოხსენიებული:

- ქ. ძეგლეველი კახის შვილი კომლი ა, თავი ა, ბერი
- ქ. დოდრიელას შვილი კომლი ერ ე დ ვ ე ლ ი ა, თავი ა, ივანე
- ქ. გიგაურას (sic) შვილი ერ ე დ ვ ე ლ ი კომლი ა, თავი ა, ფილიპე
- ქ. ბოქაულთ ხუცის ყმა ჯავახი „ თავი ა, ბერუა შე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი [14: 245].

ერედველები ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფელ ერედიდან უნდა ყოფილიყვნენ, სადაც გიგაურები ცხოვრობდნენ...

ქართლ-კახეთის სამეფო კარმა, რომელიც ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ უშუალოდ აკონტროლებდა ამ მხარეს, ძეგლვეი ახალგორისა და ჟამურის მოურავს სახლთუხუცესს არჯევან ფიცხელაურს გადასცა. რაც გიორგი ერეკლეს ძის 1792 წლის 19 ნოემბრის ბრძანებითაც დასტურდება: „ქ. არჯევან სალთუხუცესო! მერე ლამისყანას რაც ყმა და მამული გაქვს, - ჩვენი წყალობა, - და ძეგლვეი რომ გაქვს ჩვენგან ნაბოძარი, და ახალ-გორისა და ჟამურის მოურაობა, - ესეები ჩვენგან არ მოგშლია და არც მოგეშლება, დაჯერებული იყავ. ყმაცა და სახელოც ყველა ისევ ისე უნდა გეჭიროს, როგორც გჭერია. ასე იცოდეს ყველამ" [10:463]. აღნიშნულ დოკუმენტს განამტკიცებს უფლისწულის კიდევ ერთი ბრძანება არჯევანისადმი, რომელიც 1793 წლის 16 თებერვლითაა დათარიღებული: „ქ. მოურავო არჯევან! მერე რომელიც შენი ყმები არიან ლამის-ყანასა და ძეგლვესა, ამათთან საქმე არავისა აქვს, უშენოთა ვერცა ვინ სთხოვს ვინმე რასმე. რაც სათხოვარი გვინდა შენგანა, სახელდობით მოგწერთ და ისე უნდა გვემსახურო. სხვას კაცს შენს ყმასა და მამულთან საქმე არავისა აქვს" [10: 464]. გიორგი წყალობას არც არჯევანის შვილებს აკლებდა. 1793 წლის 9 ოქტომბერს იგი გარდაცვლილი მოურავის ძეს კიკოლას მიმარ-თავს, მამაშენი ჩვენი ნამსახური და ერთგული კაცი იყო, ის ამიერ სოფლიდან გავიდა და ამის შემდეგ შენც ჩვენს ერთგულ სამსახურსა და სიამოვნებას უნდა ეცადო და ჩვენც შენი მწყალობელნი ვიქნებითო... სიგელის ბოლოს ასევე საგანგებოდ მიუთითებია, „ნურც შენს ყმებს შეაწუხებ. რიგიანათა და კარგად მოიქეციო" [10: 463-464]. მებატონეებსა და ყმებს შორის რომ ყოველთვის არ იყო თბილი ურთიერთობა, ეს ცნობილია. ფიცხელა-ურებზეც ხშირად განაწყენებულან მათი ყმები, მაგრამ გიორგი ყველაფერს აკეთებდა, რომ სამართლიანად მოეგვარებინა ურთიერთობები... გიორგიმ ქსნის ხეობა იოანეს და ბაგრატს გადასცა, იოანეს წილად ხვდა ქსნის, საფერშეთის, ალევის, ცხრამძის, ჭურთის, ქარჩოხისა და ჟამურის ხეობები. მაგრამ ამის მიუხედავად, როცა საქმე ფიცხელაურებს შეეხო, იგი მაინც ჩაერია საქმეში და წერილი გაუგზავნა თავის ძეს იოანეს, საიდანაც ჩანს, რომ ქსნის ხეობის სტატისტიკურ აღწერილობებში მოხსენიებული ბერი კახიშვილი განაწყენებული ყოფილა არჯევანის ძეზე - ნიკოლოზ ფიცხელაურზე, გიორგი იოანეს სთხოვს შეარიგოს ისინი ან სხვა შემთხვევაში კახიშვილი ძეგლვეიდან აიყაროს და რომელიმე მათ სახასო მამულში დადგეს „თუ ჩემი სიყვარული გაქვსთ, ამას, რაც მომიწერია, ასე აღასრულებთ და გაარიგებთ, რომ არც მეტი იყოს და არც ნაკლებიო" [10: 464-465].

როდესაც საიმპერატორო კარმა ქსნის ხეობა ისევ ერისთავებს დაუბრუნა, რევაზ ქსნის ერისთავს ძეგლვეი ნიკოლოზ ფიცხელაურისთვის უბოძებია 1807 წლის 1 ივლისის წყალობის წიგნით: „ქ. კეთილ შობილო მოურაო ფიცხელაურო ნიკოლოზ! მერე მოხველ და ძეგლვეს დაგვეაჯენით. გიბოძეთ. რომელიც ჩვენი წილი არის შენთვის გვიბოძებია, და რომელიც ნახევარი

ჩვენი ბიძაშვილის წილი არის, ამ ცოტა ხანს იმის სამაგიეროში სხვას უზადლებთ რასმე და სრულებით თქვენ გიბოძებ. და როდესაც სრულებით გიბოძებ, მაშინ სიგლად გაგიახლებ და სიგელით გიბოძებ, რომ გქონდეს და არავისგან არ მოგეშალოს" [10: 467-468].

1822 წლით დათარიღებული ერთი საშემოსავლო დავთრის მიხედვით ჩანს, რომ ძეგლევი იმ დროისთვის ისევ ქსნის ერისთავთა სახლის წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ და მეზა-ტონე თორნიკე ერისთავს გადასახადს უხდიდნენ ძეგლევიში მცხოვრები ღვთისავერის-შვილები, მაწიაშვილები, ჯოხურები, იმერლიშვილები, ოსიშვილები და წიპტაურები... [11: 144].

რაც შეეხება სოფლის უახლოს წარსულს; ძეგლევის მკვიდრის ხათუნა ჩოხადარის ცნობით, XX საუკუნის 80-იან წლებში აქ 45 კომლი ცხოვრობდა, მათ შორის, ერთ დროს ქართლ-კახეთის სამეფო კარისთვის კარგად ცნობილი კახიშვილების შთამომავლები, ასევე: გიგაურები, მაჭარაშვილები, თათარაშვილები, ჭოხურები, მაწიაშვილები, რუსიტაშვილები, წიპტაურები, თამარაშვილები, მანჯიკაშვილები, იმერლიშვილები, საბიაშვილები, ბედოევები, ქისიევები და სხვები... 2002 წლის აღწერის მონაცემებით სალბიერის თემის საკრებულოში შემავალ სოფელში 53 მოსახლე ყოფილა, 27 მამაკაცი, 26 ქალი, მოსახლეობის 77 % ქართველები იყვნენ [9: 119]. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ოკუპირებულია. როგორც ქალბატონმა ზეინაბ წიპტაურმა გვითხრა: დღეს სოფელში 6 ოჯახია დარჩენილი. ზოგ სახლში თითო ადამიანი ცხოვრობს, მათ შორის მისი მშობლები ალექსი და ეთერ წიპტაურები, ბიძაშვილი მირიანი თავისი მეუღლით, ვანო ჭოხური მეუღლით, ზურაბ მაწიაშვილი, ჟანა ქისიევა, შალვა იმერლიშვილი მეუღლით...

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. **ახლოური, 2017** - იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტი ქსნის ხეობაში, თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2007
2. **ახლოური, 2021** - ქსნის ხეობის ისტორია, ტ. II, თბ., გამომცემლობა „საარი“, 2021
3. **ბოგანო (სე), 1997** - საქართველო, ენციკლოპედია, ტ. I, თბ., 1997
4. **გიულდენშტედტი, 1962** - გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ., I, თბ., სმა გამომცემლობა, 1962
5. **თაყაიშვილი, 1951** - ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა (ქსსა), სტალინის სახელობის თსუ შრომები, ტ. 45, თბ., 1951
6. **მეგრელიძე, ლორთქიფანიძე, აკოფაშვილი, სოსელია, 1967** - ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, თბ., 1967

7. **ოთხმეზური, 1996** - შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა, წიგნში „ოსთა საკითხი“, გამომცემლობა „პითაგორა“, გორი - თბილისი, 1996
8. **საქართველოს ისტორიის... 2008** - საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2, თბ., 2008
9. **საქართველოს მოსახლეობის... 2003** - საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა), ტ. II, თბ., 2003
10. **საქართველოს სიძველენი, 1909** - საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. II, ტფ., 1909
11. **ლუნაშვილი, 1997** - ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან, I, პუბლიკაციები, 1997
12. **ძეგლენი (ქსე), 1987** - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, თბ., 1987
13. **ხოცუაშვილი, 1988** - ახალგორი, „ლენინელი“, №13, 1988
14. **ჯავახიშვილი, 1967** - საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი 1, დემოგრაფიული ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII ს. ხალხის აღწერის დავთრები, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1967

**Davit Akhlouri**

Gori state teaching University

### **Past da Present of village Jeglev**

#### **Abstract**

The article is about Past and present of village Jeglevi. The geographical environment of the village is reviewed: it is located in Ksani gorge, in the occupied territory, near Akhlagori, at a distance of 5 km, on the western slope of the Alevi ridge, at 1150m. above sea level. The etymology of the village is explained, which must be connected with the abundance of historical monuments. Therefore, we are talking about architectural monuments, the ancient inscriptions there, which were studied and deciphered by the famous professor Giorgi Otkhmezuri. Particular attention is paid to such ancient demographic lists at the statistical descriptions of the 18<sup>th</sup> century Ksani Saeristavo, which Ekvtime Takaishvili saw during an archeological trip to the village of Ikoti in Akhlagori Municipality.

The descriptions are published by both Ekvtime Takaishvili (2 descriptions) and Ivane Javakhishvili (3 descriptions). Based on their comparison, the historical reality of that time is explained, it is shown how severe the consequences of the Leks raid in Ksani gorge and including the village of Jeglev, where the so-called road to Akhlagori was passing “the way of the Leks”. The German traveler Johann Anton

Guldenstedt mentions the monument among the villages looted and desolated by the Leks. “Bogano”, what was their condition and what was their obligation to the masters. In addition to the population descriptions, the paper reviews the documents of the late feudal period related to the village, which speaks about the social or economic situation of the village, relationship between the slaves and masters living here and Eristavi and Pitshelauri. It indicates how the village passed from one lord to another, how the serfs opposed the Pitshelauri and what position was held by the royal court of Kartli-Kakheti, and personally by Giorgi Batonishvili, a loyalist of the Mouravi of Akhlagori. At the end of the article shows the recent past of the village, from the 80-ies of the XXth century, paying special attention to the current demographic situation and the dire consequences of the August 2008 war and the occupation of the Akhlagori region. In a once crowded, 45 village today are only 6 families left, where often one or two people live.

**Key words:** village Jeglevi, Occupied territory, history, present

რეცენზენტი: პროფესორი ვ. განკევი



## მეთოდოლოგია Methodic of teaching

### წერიითი სტრატეგიები უცხო ენის სწავლების დროს

მანანა მიქაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: [manana-mikadze@rambler.ru](mailto:manana-mikadze@rambler.ru)

*თანამედროვე სწავლების მეთოდოლოგია მიიჩნევს, რომ უცხო ენაში წერის სწავლების მიზანი შემსწავლელთათვის იმ უნარ-ჩვევების გამომუშავება-დაუფლებაა, რაც საჭიროა იმისათვის, რომ შემსწავლელმა შეძლოს წერილობითი ტექსტების შესრულება იმ დონეზე, რასაც იგი (სტუდენტი) მშობლიურ ენაზე შეასრულებდა.*

*ნაშრომში განხილულია წერა, როგორც საშუალება, წერა, როგორც შედეგი და როგორც ორივე ფორმის გაერთიანება.*

***წერა, როგორც საშუალება.** წერა საუკეთესო საშუალებაა უცხო ენის (ამ ეტაპზე ინგლისური ენის) თითქმის ყველა ასპექტის დაუფლებისათვის. მაგალითად, სტუდენტი იწერს ახალ ლექსიკურ ერთეულს, გრამატიკულ წესებს, წერილობით პასუხობენ მოსმენილ შეკითხვებზე, გადმოსცემენ ინდივიდუალურ აზრებს თხზულების სახით. წერა ინგლისური ენის სწავლების ის ძირითადი რგოლია, რომელიც ერთნაირადაა საჭირო, როგორც ცოდნის მიღების, ასევე შემოწმებისას.*

***წერა როგორც შედეგი.** ინგლისურ ენაში ყველა აქტივობის მიზანი წერის სწავლებაა. „მიკრო“ დონეზე სტუდენტთა სპეციფიკურ წერით ფორმებზე მუშაობა შედეგად იძლევა სტუდენტის მიერ სიტყვების ან წინადადებების აწყობას (ხელწერა ან ბეჭდვა, ორთოგრაფია, პუნქტუაცია). „მაკრო“ დონეზე მუშაობა შინაარსსა და ორგანიზაციაზე აკეთებს აქცენტს. სხვადასხვა ტიპის დავალებები იზიდავენ ენის შემსწავლელთ გამოხატონ თავიანთი თავი საკუთარივე სიტყვებით, შედეგად კი ვლენულობთ მონათხრობს, წერილის ან რომელიმე საკითხის მისეულ განხილვას.*

**წერა როგორც საშუალება და შედეგი.** აქტივობის მესამე სახე აერთიანებს მიზნობრივ და ორიგინალურ წერას ზოგიერთი ჩვევის ჩამოყალიბებასა და შინაარსის გადმოცემაზე ვარჯიშს. მაგალითად წერილობითი პასუხი განსახილველი საგაზეთო სტატიის წაკითხვის შემდეგ აერთიანებს წერას კითხვასთან, ანეგდოტების წერა იდიომების მნიშვნელობის საილუსტრაციოდ აერთიანებს წერას სიტყვაზე მუშაობას.

**საკვანძო სიტყვები:** წერა, როგორც საშუალება, წერა, როგორც შედეგი, წერა-საშუალება და შედეგი.

თანამედროვე სწავლების მეთოდიკა მიიჩნევს, რომ უცხო ენაში წერის სწავლების მიზანი შემსწავლელთათვის იმ უნარ-ჩვევების გამომუშავება-დაუფლებაა, რაც საჭიროა იმისათვის, რომ შემსწავლელებმა შეძლონ წერილობითი ტექსტების შესრულება იმ დონეზე, რასაც იგი (სტუდენტი) მშობლიურ ენაზე შეასრულებდა.

მართლა ვასწავლით წერას, თუ წერას გამოვიყენებთ მხოლოდ როგორც საშუალებას ვასწავლოთ ენის სხვადასხვა ასპექტი (მაგალითად, გრამატიკა, სტილისტიკა...) მეორე - თუკი ამ შემთხვევაში ფოკუსი თავად წერაზე კეთდება, რა ბალანსი უნდა შევინარჩუნოთ „მიკრო“ ასპექტსა (ორთოგრაფია, პუნქტუაცია) და „მაკროს“ (შინაარსი, ორგანიზაცია) შორის.

**წერა, როგორც საშუალება.** წერა საუკეთესო საშუალებაა უცხო ენის (ამ ეტაპზე ინგლისური ენის) თითქმის ყველა ასპექტის დაუფლებისათვის. მაგალითად, სტუდენტი იწერს ახალ ლექსიკურ ერთეულს, გრამატიკულ წესებს, წერილობით პასუხობენ მოსმენილ შეკითხვებზე, გადმოსცემენ ინდივიდუალურ აზრებს თხზულების სახით. წერა ინგლისური ენის სწავლების ის ძირითადი რგოლია, რომელიც ერთნაირადაა საჭირო, როგორც ცოდნის მიღების, ასევე შემოწმებისას.

**წერა როგორც შედეგი.** ინგლისურ ენაში ყველა აქტივობის მიზანი წერის სწავლებაა. „მიკრო“ დონეზე სტუდენტთა სპეციფიკურ წერით ფორმებზე მუშაობა შედეგად იძლევა სტუდენტის მიერ სიტყვების ან წინადადებების აწყობას (ხელწერა ან ბეჭდვა, ორთოგრაფია, პუნქტუაცია). „მაკრო“ დონეზე მუშაობა შინაარსსა და ორგანიზაციაზე აკეთებს აქცენტს. სხვადასხვა ტიპის დავალებები იზიდავენ ენის შემსწავლელთ გამოხატონ თავიანთი თავი საკუთარივე სიტყვებით, შედეგად კი ვღებულობთ მონათხრობს, წერილის ან რომელიმე საკითხის მისეულ განხილვას.

**წერა როგორც საშუალება და შედეგი.** აქტივობის მესამე სახე აერთიანებს მიზნობრივ და ორიგინალურ წერას ზოგიერთი ჩვევის ჩამოყალიბებასა და შინაარსის გადმოცემაზე ვარჯიშს. მაგალითად წერილობითი პასუხი განსახილველი საგაზეთო სტატიის წაკითხვის შემდეგ

აერთიანებს წერას კითხვასთან, ანეგდოტების წერა იდიომების მნიშვნელობის საილუსტრაციოდ აერთიანებს წერას სიტყვაზე მუშაობას.

**წერითი დავალებანი.** წერითი დავალება წერითი აქტივობის სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვაა, თუკი I კურსზე სჭარბობს ფორმის განმამტკიცებელი სავარჯიშოები სიტყვისა და წინადადების დონეზე, II კურსზე შემოდის დავალებანი წერითი მეტყველების ჩვევის გამომუშავებისათვის პარაგრაფის დონეზე, III და IV კურსის დავალებები კი წერითი მეტყველების ჩამოყალიბებას უფრო ემსახურება, ძირითადად ეძლევათ დასაწერად ესსე, თხზულება, განსახილველი და სადისკუსიო თემატიკა. ვგულისხმობთ იმას, რომ სტუდენტები ამ დროისათვის დაუფლებულნი არიან პუნქტუაციას და პარაგრაფების სტრუქტურას, ან მიდის მათზე ვარჯიშობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად დავალებები სხვადასხვა საფეხურზე ერთმანეთის მსგავსია, განსხვავება მხოლოდ შესრულების დონეზეა. მაგალითად წერილის გაფორმებას ინგლისურად I კურსზე კი ვასწავლით (შესაბამისად ეძლევათ დასაწერად მოკლე წერილი ამხანაგისადმი), მაგრამ II კურსზე ფართოვდება წერილების სახეობათა არეალი და განიხილავენ წერილებს მოწვევის, საჩივრის, თანაგრძნობის შინაარსით, სამსახურის აპლიკაციას და სხვა.

I საფეხურზე სტუდენტებს შეიძლება დავავალოთ აღგვიწეროს ხედი, რომელსაც ფანჯრიდან ხედავს, ხოლო II საფეხურზე კი დაგვიწეროს რომელიმე ეპიზოდი ან ამბავი თავისი ცხოვრებიდან. ასევე შეიძლება ითქვას თხრობაზე. იგი შეიძლება გამოვიყენოთ წერითი აქტივობის ყველა საფეხურზე - გააჩნია როგორ საფუძველს შევუქმნით სტუდენტებს ამისათვის.

II საფეხურზე თხზულების დასაწერად სტუდენტებს ვეხმარებით იმით, რომ ვაძლევთ მონახაზს, მოდელს (outline) მითითებებს. ადამიანების გარეგნობით თუ ადგილების დახასიათებას წერილობით ისინი სურათების დახმარებით უკეთ ახერხებენ. სხვადასხვა თხზულებაზე მუშაობისას ვითვალისწინებთ ამა თუ იმ თემატიკის შესრულებისათვის საჭირო გრამატიკული და ლექსიკური მასალის განმტკიცებას. მაგალითად საინსტრუქციო ფურცლის შედგენა მოითხოვს ვნებითი გვარის სხვადასხვა ფორმის ზედმიწევნით ცოდნას, ხოლო ადგილის აღწერა - ადგილის წინდებულებისა და ზმნიზედებისას. წერითი აქტივობის სწავლების II საფეხურზე (რომელიც მიჩნეულია გარდამავალ საფეხურად) მაკავშირებელი სიტყვებისა და ფრაზების განმტკიცების გზით სტუდენტები მუშაობენ წინადადებების აგებაზე, რასაც მოჰყვება პარაგრაფის სტრუქტურის გაცნობა, პუნქტუაციის ელემენტები. ეს უფრო რთული ფორმით კი შემოდის III საფეხურზედაც.

**წერის პროცესი: სწავლების შინაარსი და მნიშვნელობა.** ა) სხვადასხვა მწერალს შეუძლია თანაბრად კარგ შედეგს მიაღწიოს სრულად სხვადასხვა პროცესის გავლით. ეს კი ნიშნავს, რომ არ


არსებობს წერის ერთი მართებული სწორი სისტემა, რომელსაც რეკომენდაციას გავუწევდით; მხოლოდ და მხოლოდ შეგვიძლია მწერალს შევთავაზოთ სხვადასხვა სტრატეგია, რითაც ინდივიდს სტიმულს მივცემდით ეძიოს ისეთი მეთოდი, რომელიც პირდაპირ თუ ვიტყვით, ეფექტურია.

ბ) წერა დიდი შრომის შედეგია. ბევრი ინდივიდი თხზულების საბოლოო ვერსიას ხანგრძლივი წერის შემდეგ აღწევს. უნდა ითქვას, რომ კარგი მწერლები ფიქრობენ ჯერ შინაარსზე და შემდეგ ფორმაზე, მაგრამ ეს რიგი ყოველთვის არ არის დაცული. ნაწერი ტექსტის არსებული შინაარსი შეიძლება შავი ნაწერის ( პირის) მოგვიანო საფეხურზეც კი შეიცვალოს, ხოლო პარაგრაფების ორგანიზაცია და წინადადებების ცვლილებები შედარებით უფრო ადრე. ასე რომ თუკი ზოგჯერ სასარგებლოა შემსწავლებლებს რჩევა მივცეთ დიდად არ იფიქრონ ორთოგრაფიასა და გრამატიკაზე, დასაწყისში პირველად იდეები და აზრები ჩაწერონ, არც ის შეიძლება ჩავთვალოთ გონივრულად, მოქმედების რიგი მკაცრ წესად მივიღოთ; უფრო სასარგებლოა სტუდენტებს მივცეთ სტიმული იმუშაონ გასწორების გზით და ნაწერის შავი პირი ჩათვალონ წერის როგორც დადებითი, მნიშვნელოვანი საფეხური.

გ) წერა შეძლებისამებრ დამაკმაყოფილებელი პროცესია. თუკი ისეთ თემაზე წერს, რომელიც ძალიან აინტერესებს, წერის პროცესი მეტად სასიამოვნოა და თუკი ეს სამუშაო მიდის საბოლოო შედეგამდე, ძალიან დიდი სურვილი გიჩნდება შენი ნაშრომი სხვამ წაიკითხოს. ამიტომაც თემისა და შესაბამისი დავალების არჩევა დიდ სიფრთხილესა და ყურადღებას მოითხოვს. იგი ერთგვარი მოტივია წერისათვის.

დ) ენის შემსწავლელი წერით სწავლობს, ასევე შეიძლება ითქვას სხვა უნარ-ჩვევებზედაც - თუმცა წერა მაინც უფრო დიდი მნიშვნელობისა უნდა იყოს.

წერითი დავალების სახეები საფეხურების მიხედვით ( სურათი 1)



**სტუდენტის წერითი ნაშრომის განხილვა.** რას უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ნაშრომის განხილვა-შეფასებისას, ენას, შინაარსსა თუ ორგანიზაციას?

პრობლემა: როდესაც სტუდენტი განსახილველად ორიგინალურ წერილობით ტექსტს წარმოადგენს, ყველაზე მნიშვნელოვანი მისი შინაარსია; არის თუ არა ეს იდეები და მოვლენები მნიშვნელოვანი და საინტერესო, რის შესახებაც არის ტექსტი. მხოლოდ ამის შემდეგ ვაქცევთ ყურადღებას ტექსტის ორგანიზაციასა და პრეზენტაციას: არის თუ არა ტექსტის იდეები ორგანიზებული იმგვარად, რომ ადვილი ხდება მისი გაგება და სასიამოვნოა მისი წაკითხვა; და ბოლოს, დგება საკითხი ენის ფორმაზე: არის თუ არა გრამატიკა, სიტყვარი, ორთოგრაფია და პუნქტუაცია სისწორისა და სიზუსტის მისაღები სტანდარტი.

ბევრ მასწავლებელს კარგად ესმის, რომ შინაარსი და ორგანიზაციაა მთავარი, მაგრამ როდესაც საქმე მიდგება წერითი ნაშრომის გასწორებაზე, ისინი პირველ რიგში მაინც თავისთავად ენის ფორმაზე აკეთებენ ორიენტაციას (სურათი 1). ეს კი გამოწვეულია


შემდეგი ფაქტორებით:

- ორთოგრაფიისა და გრამატიკის შეცდომები თვალშისაცემია და მოითხოვს გასწორებას, მათი უგულებელყოფა ძნელია;
- სტუდენტებსაც დიდი სურვილი აქვთ გასწორდეს მათი შეცდომები;
- ენობრივ შეცდომებს ბევრად უფრო ადვილად და სწრაფად შენიშნავ და გაასწორებ, ვიდრე ნაწერის შინაარსსა და ორგანიზაციას (სურათი 2).

სტუდენტთა წერითი ნაშრომის გასწორებისას ჩნდება პრობლემა: თუ მხოლოდ ენობრივ შეცდომებს აღვნიშნავთ, როგორ შევაფასოთ ნაწერის შინაარსი და გადმოცემის ორგანიზაცია? შეიძლება დავუშვათ, რომ შესწორებები გავუკეთიოთ მთელ ტექსტს, შემდეგ კი დავურთოთ კომენტარები შინაარსსა და ორგანიზაციის საკითხებზე. ამას კი მოჰყვება მისი სრული შეფასება.

აქვე უნდა აღინიშნოს II ვარიანტიც. შევასწოროთ შეცდომები, მივცეთ მითითებები შინაარსსა და ორგანიზაციაზე, მაგრამ არ შევაფასოთ. შევაფასოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც სტუდენტი გადაწერს ნაშრომს და მის დახვეწილ გასწორებულ ვერსიას გადმოგვცემს. ისმის კითხვა, ყველა ენობრივი შეცდომა უნდა გასწორდეს თუ არა? რა თქმა უნდა უნდა გასწორდეს.

შეფასება (სურათი 2)



ამდენად, წერითი სტრატეგიის შემუშავება კურსებისა და მასალის მიხედვით თუ სწორად გადანაწილება სტუდენტთა წერითი მეტყველება (რაც განუყოფელია ზეპირ მეტყველებასთან) სწორად და იოლად აღსაქმელად წარიმართება.

**Manana Mikadze**

### **Writing strategies while teaching a foreign language**

#### **Abstract**

Modern teaching methodology believes that the purpose of teaching writing in a foreign language is to develop the skills needed for learners to be able to complete written texts at the level that he (the student) would perform in his native language.

The paper discusses writing as a means, writing as a result, and as a combination of both forms.

**Writing as a means.** Writing is the best way to master almost every aspect of a foreign language (English at this point). For example, the student writes a new lexical item, grammar rules, answers written questions in writing, conveys individual thoughts in the form of essays. Writing as a key part of learning English, which is equally necessary for both knowledge acquisition and testing.

**Writing as a result.** The goal of all activities in English is to teach writing. Working on students' specific written forms at the "micro" level results in the student composing words or sentences.

**Writing as a means and an outcome.** The third type of activity combines purposeful and original writing with the practice of establishing some skills and conveying content.

**Key words:** Writing as a means, Writing as a result, Writing as a means and an outcome.

რეცენზენტი: პროფესორი ლ. დაცევიძი

## სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის როლი სასწავლო პროცესში

ეკატერინე ქურდაძე, ნინო დემეტრაძე, სოფიო ყიფიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail:sofikokipiani@yahoo.com

სტატიაში განხილულია სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის განსაკუთრებული როლი უცხოური ენის სწავლის პროცესში, რამდენადაც იგი ავითარებს იმ საჭირო კომპეტენციას, რომელიც განსაზღვრავს განათლების ხარისხს. ხსენებულ პროცესში ლექტორ-მასწავლებლის როლი მრავალმხრივია, იგი არის კონსულტანტი, ინფორმაციის წყარო და მრჩეველი, რომელიც მზად არის გაუწიოს დახმარება სტუდენტს საჭიროების შემთხვევაში. მიგვაჩნია, რომ დამოუკიდებელი მუშაობის ფარგლებში კონკრეტული დისციპლინის მოდერნიზაცია მუდმივ განახლებასა და გადრმავებას მოითხოვს. უნივერსიტეტში უნდა არსებობდეს გარკვეული დისციპლინა - „სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების ფორმირება“, რომლის ფარგლებშიც ყველა სპეციალობისა და მიმართულების პირველი კურსის სტუდენტები აღნიშნული მუშაობის მეთოდისთვის აუცილებელ საფეხურებს ეუფლებიან. შედეგად, სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ ეფექტურად მოახდინონ უმაღლესი სკოლის პირობებთან ადაპტირება. სწორედ დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში სათანადო მეთოდების გამოყენებით სტუდენტი თანდათან ეუფლება ანალიზისა და შეფასების უნარს, რაც მოგვიანებით ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მის თვითორგანიზებულ მუშაობას.

**საკვანძო სიტყვები:** უცხო ენის სწავლება, დამოუკიდებელი მუშაობა, ცოდნის მოდერნიზაცია

უცხო ენის შესწავლა მრავალმხრივი პროცესია და დიდ ძალისხმევას მოითხოვს როგორც ენის შემსწავლელის, ისე ლექტორ-მასწავლებლის მხრიდან. ენის ათვისებისას უამრავი ფაქტორი არის გასათვალისწინებელი. სასურველი შედეგის მიღებას კი სასწავლო პროცესში ყველა ელემენტის ჩართვა განაპირობებს.

სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობას განსაკუთრებული როლი ენიჭება უცხოური ენის სწავლის პროცესში იმდენად, რამდენადაც იგი ავითარებს იმ საჭირო კომპეტენციას, რომელიც განსაზღვრავს განათლების ხარისხს. არავინ დაობს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მნიშვნელობაზე სასწავლო პროცესში. „დამოუკიდებელი მუშაობის“ ცნება მრავალმხრივია და შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს ერთი კონკრეტული განმარტება. ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევარები აღნიშნული ტერმინის სხვადასხვა განსაზღვრებას გვთავაზობენ - საჭირო ინფორმაციის დამოუკიდებელი მოძიება, ცოდნის შექმნა და მისი გამოყენება საგანმანათლებლო, სამეცნიერო და პროფესიული ამოცანების გადასაჭრელად; ინდივიდუალური ან ჯგუფური მუშაობის ნაირსახეობა სტუდენტთა შემეცნებით პროცესში როგორც სალექციო ასევე არააუდიტორიულ სივრცეში ხელმძღვანელის დაკვირვებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სტუდენტები გარკვეული სირთულეების წინაშე დგებიან დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში. აღნიშნული პრობლემა დამახასიათებელია არა მხოლოდ გამოუცდელი პირველი კურსის სტუდენტებისათვის, არამედ მაღალი კურსის სტუდენტებისთვისაც რომლებიც არ ფლობენ საჭირო უნარ-ჩვევებს დამოუკიდებელი მუშაობის შესასრულებლად. პრობლემა სათავეს იღებს ჯერ კიდევ სასკოლო პერიოდიდან, როცა მოსწავლე ძირითადად ორიენტირებულია სხვადასხვა ტიპის ტესტური დავალებების შესრულებაზე და შორს არის იმ „აკადემიური თავისუფლებისგან“, რომელსაც უმაღლეს სასწავლებელში სთხოვენ.

უნივერსიტეტში უნდა არსებობდეს გარკვეული დისციპლინა - „სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების ფორმირება“, რომლის ფარგლებშიც ყველა სპეციალობისა და მიმართულების პირველი კურსის სტუდენტები აღნიშნული მუშაობის მეთოდისთვის აუცილებელ საფეხურებს ეუფლებიან. შედეგად, სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ ეფექტურად მოახდინონ უმაღლესი სკოლის პირობებთან ადაპტირება. რადგან აღნიშნული დისციპლინა ჯერ კიდევ არ არსებობს ჩვენს სასწავლებელში, ლექტორებს დამოუკიდებლად უწევთ აღნიშნულ პრობლემაზე მუშაობა. ცხადია დამოუკიდებელი მუშაობის



მნიშვნელობა განსაკუთრებით აქტუალურია უცხოური ენის სწავლების პროცესში და ამ საკითხის გადაჭრით დაინტერესებული არა ერთი მკვლევარი ამუშავებს მეთოდური საშუალებების მთელ არსენალს.

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის არსი მდგომარეობს სასწავლო-შემეცნებითი ამოცანების სისტემაში, რაც გულისხმობს არა სტუდენტის დამოუკიდებელ მოღვაწეობას სასწავლო მასალის ათვისების პროცესში, არამედ ლექტორ-მასწავლებლების მიერ სასწავლო კურსში დასახული ამოცანების მისაღწევად შემუშავებულ სათანადო პირობებს. დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზება მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

- სასწავლო დისციპლინის მიხედვით სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის გეგმის შედგენა;
- დამოუკიდებელი მუშაობისთვის საჭირო დავალება შედგენა-გაგზავნა;
- კონკრეტულ დავალებებთან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევა როგორც ზეპირი, ისე წერიტი ინსტრუქტაჟის გამოყენებით;
- დამოუკიდებელი მუშაობის მსვლელობის მონიტორინგი.

მონიტორინგის განხორციელებისთვის აუცილებელია მთელი სასწავლო

წლის მანძილზე სტუდენტთან ინდივიდუალური გასაუბრების გრაფიკის უზრუნველყოფა, ასევე როგორც პრაქტიკული, ისე დამოუკიდებელი მეცადინეობების გეგმისა და სპეციალური ლიტერატურის სიის მიწოდება. მიგვაჩნია, რომ მონიტორინგი წარმოადგენს დამოუკიდებელი მუშაობის ეფექტურობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფეხურს, რადგან იგი გულისხმობს სასწავლო-მეთოდური კომპლექსის შემუშავებას. ჩვენს შემთხვევაში აღნიშნული საფეხური ითვალისწინებს სასწავლო კურსის სამუშაო პროგრამას, სასწავლო-მეთოდურ სახელმძღვანელოს სხვადასხვა მოდულების გათვალისწინებით და შეფასების სისტემას.

ამჟამად ინგლისური ენის მიმართულების სტუდენტებისთვის დამოუკიდებელ აქტივობად შეიძლება ჩაითალოს ე. წ. 'Home Reading' რომელიც წარმოადგენს სასწავლო კურსის ერთ-ერთ კომპონენტს და ავითარებს სტუდენტის კითხვის უნარ-ჩვევას. რა საკვირველია მხოლოდ კითხვის მოდულში წარმოდგენილი ეს აქტივობა არ არის საკმარისი დამოუკიდებელი მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გასავითარებლად. სასურველია გამოიყოს ან ცალკეული დისციპლინა რომელიც მიზნად დაისახავს სტუდენტის ჩართულობას დამოუკიდებელ მუშაობაში, ან სხვადასხვა სასწავლო კურსში სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა იქნას

გათვალისწინებული როგორც აქტივობის კომპონენტი. მაგალითად, აუდირების მოდულში თემატურად საინტერესო პოდკასტების გაგზავნა შესაბამისი ლექსიკური თუ გრამატიკული სავარჯიშოებით. შესრულებული დავალებების შემოწმება კი შესაძლებელია მოხდეს აუდიტორიული/სალექციო საათების დროს. დღესდღეობით აღნიშნული მეთოდი ძალზედ აქტუალურია სასწავლო პროცესში. განსაკუთრებით კი უცხო ენის შესწავლისას. აუცილებელია აღნიშნული დისციპლინის გეგმიური გაწერა რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს წინასწარ განსაზღვროს დამოუკიდებელი მუშაობის პროცესი და მისი შესრულების ვადები. კურსი შესრულებულად ითვლება გეგმით გათვალისწინებული ყველა პუნქტის დაკმაყოფილების შემთხვევაში. სასურველია აღნიშნული დისციპლინა შეტანილ იქნას უკვე პირველი კურსის შემოდგომის სემესტრში, რაც თავიდანვე ხელს შეუწყობს სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, საქმისადმი პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას და ხარისხზე ორიენტირებულ დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებას.

დამოუკიდებელი მუშაობის ეფექტურად წარმართვისთვის ლექტორ-მასწავლებელთა მხრიდან აუცილებელია:

1. დამოუკიდელი სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები, წარსადგენი დავალების კონკრეტული ფორმატი და მოცულობა;
2. თითოეული დავალების მიზნის ზუსტი ფორმულირება და საბოლოო შედეგი;
3. სტუდენტთა მხრიდან სხვადასხვა წყაროების გამოყენება (სახელმძღვანელოები, ლექსიკონი და სხვა ვიდეო თუ აუდიო ავთენტური მასალა ქსელური ტექნოლოგიების ჩათვლით);
4. სისტემატიური მონიტორინგის განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს შესასწავლი მასალის ხარისხისა და მომზადების დონის დადგენას;
5. მიღებული ცოდნის და უნარ-ჩვევების დონის შეფასება;
6. დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში სტუდენტთა მოტივაცია.

შესაბამისად, ხსენებულ პროცესში ლექტორ-მასწავლებლის როლი

მრავალმხრივია, იგი არის კონსულტანტი, ინფორმაციის წყარო და მრჩეველი, რომელიც მზად არის გაუწიოს დახმარება სტუდენტს საჭიროების შემთხვევაში. დამოუკიდებელი მუშაობის ფარგლებში კონკრეტული დისციპლინის მოდერნიზაცია მუდმივ განახლებასა და გაღრმავებას მოითხოვს. ლექტორ-მასწავლებელმა ისე უნდა წარმართოს სასწავლო პროცესი, რომ სასწავლო

კურსის შესწავლისას სტუდენტს არა მხოლოდ გაუღვიძოს ინტერესი კონკრეტული დისციპლინის მიმართ, არამედ უზრუნველყოს იგი სათანადო უნარ-ჩვევებით, რაც შედეგად გააღვივებს სტუდენტის შემეცნებით აქტივობას. მივიჩნევთ, რომ დამოუკიდებელი მუშაობა არის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება ზემოთ აღნიშნული უნარ-ჩვევების გასააქტიურებლად. სწორედ დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში სათანადო მეთოდების გამოყენებით სტუდენტი თანდათან ეუფლება ანალიზისა და შეფასების უნარს, რაც მოგვიანებით ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მის თვითორგანიზებულ მუშაობას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Broad, J.** (2006). Interpretations of independent learning in further education. *Journal of Further and Higher Education*, 30(2).
2. **Hartley, P., Woods, A. and Pill, M.** (eds). (2005). *Enhancing Teaching in Higher Education. New Approaches for Improving Student Learning.* Oxford: Routledge.
3. **Henderson, E.. S. and Nathenson, M. B.** (1984). *Independent learning in higher education.* Englewood Cliffs. New Jersey: Educational Technology Publications.
4. **Song, L. and Hill, J. R.** (2007). A Conceptual Model for Understanding Self-Directed Learning in Online Environments. *Journal of Interactive Online Learning*, 6(1).
5. **Thomas, L., Hockings, C., Ottaway, J. and Jones, R.** (2015) *Independent learning: Student perspectives and experiences Final report to the Higher Education Academy, York: Higher Education Academy.* Date View November 15, 2017  
[https://www.heacademy.ac.uk/sites/default/files/independent\\_learning\\_final.pdf](https://www.heacademy.ac.uk/sites/default/files/independent_learning_final.pdf)

**Ekaterine Kurdadze, Nino Demetradze, Sopia Kipiani**

Akaki Tsereteli State University

### **The Role of the Students' Independent Work in the Learning Process**

#### **Abstract**

The paper discusses the importance of students' independent work in the field of higher education and gives the reasons of the need to form a new model for its organization. The role of the teacher in the mentioned process is multi-functional, he/she is an advisor, a source of information and a consultant who is ready to help the students in the case of necessity. We believe that the modernization of a particular discipline within the framework of an independent work requires constant updating and development. With the use of the appropriate methods, student gradually acquires the skill of analysis and evaluation, which later encourages student's self-organized work in the learning process. As a result, students will be able to adapt effectively to higher education conditions. Lots of experimental studies test the efficiency of the model. Thus, claiming that diverse independent activities have a positive impact on the development of students' creative independence. The paper emphasizes the necessity of certain discipline or the need of certain component in the learning course that enables students to independently work on certain modules in reading and listening.

**Key words:** Teaching foreign languages, Independent work, Knowledge modernization

რეცენზენტი: პროფესორი ი. გუსევა

## პარალელები უცხოურ და ქართულ ნაწარმოებებს შორის სწავლების დაწყებით ეტაპზე

ნინო ჭოლაძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
e-mail: nino\_choladze@mail.ru

*ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი, რასაც მოზარდები სკოლაში სწავლისას იძენენ, კითხვის უნარია. სწორედ ამიტომ, სასწავლო განათლების ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს დასაწყის ეტაპზე წიგნიერების ხელშეწყობა.*

*ჯერ კიდევ ადამიანური შესაძლებლობების ფორმირების პროცესში უნდა შეძლოს მოზარდმა წაკითხულის ღრმა წვდომა, გააზრება, განწყობის წერილობით და ზეპირად გადმოცემა.*

*საზოგადოებაში მუდმივმა ცვლილებებმა, რაც ადამიანების წინაშე აყენებს ახალ გამოწვევებს, მოითხოვა ახლებური ცოდნის მიღების აუცილებლობა, ამიტომ მუდმივად იცვლება ის მეთოდები და ტექნოლოგიები, რომლებიც ამ მოთხოვნაზე იქნება მორგებული.*

**საკვანძო სიტყვები:** საგაკვეთილო აქტივობა, ღქმა, გააზრება

*ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი, რასაც მოზარდები სკოლაში სწავლისას იძენენ, კითხვის უნარია. სწორედ ამიტომ, სასწავლო განათლების ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს დასაწყის ეტაპზე წიგნიერების ხელშეწყობა.*

*ჯერ კიდევ ადამიანური შესაძლებლობების ფორმირების პროცესში უნდა შეძლოს მოზარდმა წაკითხულის ღრმა წვდომა, გააზრება, განწყობის წერილობით და ზეპირად გადმოცემა.*

*საზოგადოებაში მუდმივმა ცვლილებებმა, რაც ადამიანების წინაშე აყენებს ახალ გამოწვევებს, მოითხოვა ახლებური ცოდნის მიღების აუცილებლობა, ამიტომ მუდმივად იცვლება ის მეთოდები და ტექნოლოგიები, რომლებიც ამ მოთხოვნაზე იქნება მორგებული.*

*მინდა წარმოგიდგინოთ ერთი გაკვეთილი, რომელიც 10 – 12 წლის მოსწავლეებთან ჩატარდა. შეირჩა ორი ტექსტი ამერიკელი მწერლის რიჩარდ ბახის „თოლია, სახელად ჯონათან ლივინგსტონი“ და გოდერძი ჩოხელის „ცასწავალა.“*

*ამ გაკვეთილის ჩატარება არა მარტო წიგნიერების ხელშეწყობა, არამედ მხატვრული ლიტერატურის საშუალებით მომავალი თაობის აღზრდის და ზნეობრივი მხარის ფორმირებაში დიდი წვლილის შეტანაა. ეს გაკვეთილი, პირველ რიგში, ეროვნული სასწავლო გეგმით*

განსაზღვრული მიზნის მიღწევას ითვალისწინებს და ამასთანავე, იმ იდეებს გამოკვეთს, რაც თანამედროვე მოქალაქეს უნდა ჰქონდეს, რომ ღირსეულ მოქალაქედ და კარგ მკითხველად ჩამოყალიბდეს. წარმოდგენილ მოდელში უმნიშვნელოვანესია მოსწავლეების მიერ იმ იდეების ერთგულება და გათავისება, როგორცაა ტოლერანტობა, მიზნისკენ სწრაფვა, სიძნელების დაძლევის, მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის უნარის უნარის ჩამოყალიბება .

გაკვეთილზე მუშაობისას, როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის აკადემიური და ემოციური განვითარების ხელშეწყობის მოტივატორი იყო ის ფაქტორი, რომ ლიტერატურასთან ახლოს ყოფნა, ბავშვობიდან, ბევრ სიკეთესთანაა დაკავშირებული და იმ ბედნიერებასთან, რასაც წასაკითხი ტექსტით გამოწვეული ბედნიერება ჰქვი .

აღსანიშნავია, რომ სიფრთხილით უნდა შეირჩეს ის თემები, რომელთა განხილვა კლასში, ამ ასაკის ბავშვებში აზრთა აქტიურ გაცვლა - გამოცვლას, მსჯელობას, და მოზარდების მხრიდან საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულად ჩამოყალიბებას გამოიწვევს; თან მოახდენს საკუთარი, სისხლხორცეული ქართული ლიტერატურის ნიმუშისა და უცხოური, მსგავსი შინაარსის ნაწარმოების ერთმანეთთან შერწყმას, რომ თანამედროვე ინდივიდმა მოახერხოს პარალელების გავლება და იმ ფასეულობების და მორალური პრინციპების დანახვა, რაც ყველგან ერთია.

თავდაპირველად, მოსწავლეებს ურიგდებათ ტექსტი, რიჩარდ ბახის ცნობილი მხატვრული ტექსტისა „თოლია, სახელად ჯონათან ლივინგსტონი“, რომელიც წინა დღეს აქვთ წაკითხული. ტექსტის დარიგებამდე ხდება გამოწვევა, საუბრები თემებზე, როგორცაა სხვათა მიუღებლობა, განსხვავებული აზრის უპატივცემულობა, კამათის კულტურის უქონლობა, ადამიანის განვითარებისთვის ხელისშემშლელი პირობების გამოკვეთა. შემდეგ, ეს თემები ჩვენს ყოფიერებას და ადამიანურ ისტორიებს უკავშირდება, რომ მოსწავლემ შეძლოს უფრო უკეთ გაითვისოს პრობლემა. აქვე ხდება პარალელების გავლება სხვა ფილმებთან, სიუჟეტებთან.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ავტორი ამ ნაწარმოებს უძღვნის პატარა უფლისწულს და რადგან ამ ასაკის მოზარდისთვის ნაცნობია ეს ნაწარმოები, უკვე სამი ნაწარმოების დაკავშირება ხდება ერთმანეთთან .

ეს თქმა იმდენად აქტუალურია, რამდენადაც, მიზნის მიხედვით, მოსწავლეები გაეცნობიან მსოფლიო და ქართული ლიტერატურის ნიმუშებს, ტოლერანტობის პრინციპებზე , დაკავშირებენ ამერიკელი მწერლის, რიჩარდ ბახის ნაწარმოებს ქართულ ლიტერატურასთან, მოახდენენ სხვადასხვა ქვეყნის მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის ანალიზსა და შეფასებას.

აკვეთილზე გამოყენებული სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსები, როგორცაა მოთხრობა, სტატია, სქემა, საინფორმაციო ტექსტი, აგრეთვე ამ ნაწარმოების მიხედვით შექმნილი ფილმის ნახვა, უშუალოდ, გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესში ახდენს მოსწავლეებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას , უფრო მრავალმხრივს და საინტერესოს ხდის მოსწავლეთათვის მუშაობის პროცესს, აადვილებს და ხელს უწყობს ფანტაზიის განვითარებას, წარმოსახვით უნარებს.

გაკვეთილის მიმდინარეობისას იგეგმება რამდენიმე აქტივობა:

1. აქტივობა. მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს გაკვეთილის თემას, და მოსწავლეებს სთხოვს, გაიხსენონ თემასთან დაკავშირებით თავიანთ მეხსიერებაში აღბეჭდილი რეალური ისტორიები, ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვით, ფილმის ნახვით მიღებული

შთაბეჭდილებები და უპასუხონ კითხვებს: გიფიქრიათ იმაზე, რომ ადამიანმა უნდა შეიმეცნოს სამყარო და ამ გზაზე შეიძლება მას ბევრი წინააღმდეგობა შეხვდეს? საჭიროა თუ არა, იმაზე მეტი წაიკითხო, ნახო და შეიმეცნო, ვიდრე სკოლაში გთხოვენ? მოგწონთ ამხანაგები, რომლებიც თქვენზე კარგად სწავლობენ, გამოხატავენ საკუთარ აზრს? გაულიზიანებიხართ თუ არა განსხვავებულაზრს? გამოთქვამთ საკუთარ აზრს, თუ ერიდებით მას? ფიქრობთ თუ არა, რომ ადამიანმა შეიძლება დატოვოს სამშობლო, დროებით მოწყდეს ოჯახს, საყვარელ ხალხს, რომ უფრო მეტი ნახოს, განვითარდეს, ისწავლოს? სწავლის დასრულების შემდეგ გაგიჩნდებათ თუ არა სურვილი სამშობლოში დაბრუნების? გქონიათ შემთხვევა, როცა თქვენი უფლება იზღუდებოდა? რა არის განვითარება? რა მოაქვს მას? რა დაბრკოლება შეიძლება შეგხვდეს ამ გზაზე? საჭიროა თუ არა მეტი შეიმეცნო, ვიდრე სკოლაში გთხოვენ? რაგანიჭებთ თავისუფლებას?

2. აქტივობა. მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს მწერალ რეი რედბერის სიტყვებს ამ ნაწარმოების შესახებ: „ამ წიგნით რიჩარდ ბახმა ორი რამ მომანიჭა: ფრენა შემადლებინა და გამაახალგაზრდავა. ორივესთვის უღრმესი მადლობელი ვარ.“

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: თქვენ რისთვის გინდათ გადაუხადოთ მადლობა ნაწარმოების ავტორს?

3. აქტივობა. მოსწავლეთა განტვირთვის მიზნით, რაც ამ ასაკში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდება ფილმის ესთეტიურ მხარეზე. მოსწავლეები უსმენენ ფილმის მუსიკას და ერთი მოსწავლე განასახიერებს თოლიას.

4. აქტივობა. მოსწავლეები გატაცებით წარმოთქვამენ ფრაზებს ტექსტიდან ქართულად და ინგლისურად, რაც ამ ორი საგნის ინტეგრირებას უწყობს ხელს და ბავშვი მეტად ითავისებს უცხოური ლიტერატურის და უცხო ენის შესწავლის აუცილებლობას.

5. აქტივობა. მასწავლებელი მოსწავლეთა ჯგუფებს სთხოვს პირველი, მეორე, ან მესამე თავიდან წარმოადგინონ 3 – 4 მნიშვნელოვანი ფრაზა და მოახდინონ მათი არგუმენტირება. მნიშვნელოვანი ფრაზა, არგუმენტი: რატომ არის ეს ფრაზა მნიშვნელოვანი? „ზეცაში არაფრის ზღვარი არ უნდა არსებობდეს“. ზეცა არის ადგილი, სადაც საზღვრები არ არის და ზეცა უსასრულობის სიმბოლოა. „ვინც შეიმეცნებისთვის იღწვის, წინ ვერაფერი დაუდგება.“ ცხოვრება შეცნობაა, აღმოჩენაა, თავისუფლებაა. თუ ეს გახსოვს, წინ ვერაფერი დაგიდგება.

6. აქტივობა. მოსწავლეებს ურიგდებათ ფურცლები წარწერით: „ვუძღვნი ჭეშმარიტ თოლიას, რომელიც ყველა ჩვენგანშია“.

მოსწავლეები შეძლებენ ჩანაწერების გაკეთებას ინდივიდუალური, თუ ჯგუფური მუშაობისას, საკუთარ განწყობას გადმოსცემენ ფურცელზე, ნანახთან და წაკითხულთან დაკავშირებით. მოსწავლეები გამოთვამენ მოსაზრებებს, აკეთებენ ჩანახატებს, რომლებსაც ჩაწერენ სპეციალურად დარიგებულ ფურცლებზე. მოსწავლეებს უფლება აქვთ შეცვალონ ადრე გამოთქმული მოსაზრება, ან დაამატონ მოსაზრებები.

7. აქტივობა. მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ ჩვენს ლიტერატურაშიც არის მსგავს სიუჟეტზე შექმნილი ნაწარმოებები. ამისათვის ურიგებს გოდერძი ჩოხელის მოთხრობის „ცასწავალა“ - ს ტექსტს და სთხოვს ნაწარმოების უკეთ გააზრებისა და შედარებისათვის, უპასუხონ მნიშვნელოვან შეკითხვებს.

8. აქტივობა. დასასრულს, მოსწავლეებს ეძლევათ საშინაო დავალება. შეცვალეთ გ. ჩოხელის მოთხრობის „ცასწავალა“ - ს დასასრული. დაწერეთ იმ განწყობით, რაც გაკვეთილის დასრულების შემდეგ გაგყვებათ.

9. აქტივობა. შეფასება. მასწავლებელი განმავითარებელი კომენტარებით აფასებს მოსწავლეებს, აძლევს მათ სტიმულს მომავალი ერთობლივი მუშაობისათვის. მასწავლებელი იყენებს დამხმარე რუბრიკას განმავითარებელი შეფასებისათვის.

გაკვეთილის ეს მოდელი დაეხმარება მოსწავლეებს, შეადარონ ეს ორი ნაწარმოები და იმსჯელონ მსგავსება - განსხვავებაზე და საზოგადოების დამოკიდებულებაზე მსგავსი მოვლენის მიმართ. მთავარი დასკვნა იქნება ის, რომ ორივე ნაწარმოები დაწერილია მსგავს მოტივებზე. ესაა საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობა .

ეს თემა ცნობილია ბევრი ქვეყნის ლიტერატურისთვის. ქართულ ლიტერატურაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ამ თემას. ყველა ერი თავის ლიტერატურაში თავისებურად გამოხატავს თავისუფლებისკენ ადამიანის ბუნებრივ სწრაფვას. ეს ნაწარმოები მოზარდებს დაეხმარება თავისუფლების არსის შეცნობაში, სიცოცხლის ხალისის გაღვივებაში, ახლის შემეცნებისკენ სწრაფვაში.

ამ მოდელის გაკვეთილის ჩატარების მიზანია, მასწავლებელმა შეაყვაროს მოსწავლეებს, როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურის ნიმუშები, დააფიქროს ზოგადსაკაცობრიო თემებზე, რაც ყველა იდენტობისათვის დამახასიათებელი და გასათავისებელია. აქედან გამომდინარე, დააკვირდეს მიღწეულ შედეგებს, წარმოაჩინოს იგი, მოსწავლეები აზიაროს სიახლეს, უჩვენოს მათ შემდგომი განვითარების პერსპექტივა, მისცეს დასკვნების გამოტანის, ანალიზის გაკეთების უნარი, საშუალება, ჩაუსახოს მომავლის რწმენა განვითარებისკენ მიმავალ გზაზე და დაარწმუნოს რიჩარდ ბახის გენიალური სიტყვების სისწორეში: „ არ არსებობს ქვეყანა, რომელიც შორია!“

#### გამოყენებული ლიტერატურა:

ეროვნული სასწავლო გეგმა დაწყებითი საფეხური - I-IV კლასები მედია წიგნიერება . სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი . 2014 წელი . ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

რიჩარდ ბახი „თოლია, სახელად ჯონათან ლივინგსტონი“

<http://medialiteracy.ge/uploads/resources/8056c7024ac4c2b.pdf>

გოდერძი ჩოხელი „ ცასწავალა “

ფილმის სრული ვერსია

<https://www.youtube.com/watch?v=a627UIXiT-4>

ფილმში გამოყენებული კომპოზიტორ ნილს დაიმონდის სიმღერა

<https://www.youtube.com/watch?v=nW3SSOT8iYc>

გიო არაბულის ცისიქითელი თოლია ჯონათანის ვერ ( ლექს) ლიბრი

<https://burusi.wordpress.com/2010/05/14/giorgi-arabuli-6/>

მედიაწიგნიერების რესურსი

[http://medialiteracy.ge/ge/resources/id/61/tolia-jonatan-livingstoni-da-](http://medialiteracy.ge/ge/resources/id/61/tolia-jonatan-livingstoni-da-caswavala?fbclid=IwAR1yVz-zdEsTk2k8zLlXfBh2mQaQqti8zaagZ3wK09H2-FonyMpY8uaDixA)

[caswavala?fbclid=IwAR1yVz-zdEsTk2k8zLlXfBh2mQaQqti8zaagZ3wK09H2-FonyMpY8uaDixA](http://medialiteracy.ge/ge/resources/id/61/tolia-jonatan-livingstoni-da-caswavala?fbclid=IwAR1yVz-zdEsTk2k8zLlXfBh2mQaQqti8zaagZ3wK09H2-FonyMpY8uaDixA)

გაკვეთილის მოდელი

[https://www.youtube.com/watch?v=nOTK0lG3Cac&feature=share&fbclid=IwAR2B4oey3V7evPM](https://www.youtube.com/watch?v=nOTK0lG3Cac&feature=share&fbclid=IwAR2B4oey3V7evPM8VxNYc-cXzbdVx9MttapVwBNs-4Xd0ZV5Ca66AeyXJuI)

[8VxNYc-cXzbdVx9MttapVwBNs-4Xd0ZV5Ca66AeyXJuI](https://www.youtube.com/watch?v=nOTK0lG3Cac&feature=share&fbclid=IwAR2B4oey3V7evPM8VxNYc-cXzbdVx9MttapVwBNs-4Xd0ZV5Ca66AeyXJuI)



Nino Choladze

Iakob Gogebashvili State University

**Parallels between foreign and Georgian works at school**

## Abstract

The most important skill that adults acquire while attending school is that ability to read. That is why one of the priorities of education should be to promote literacy at the beginning stage.

Still in the process of forming human capabilities, the adolescent should be able to gain deep access to reading, comprehension, writing of mood and orally.

Constant changes in society, which pose a new challenge to people, have necessitated the acquisition of new knowledge, so the methods and technologies that will be tailored to this demand are constantly changing.

For the lesson, we have selected American writer Richard Bach's "Seagull named Jonathan Livingstone" and Goderdzi Chokheli's "Castsavala".

Conducting this lesson is not only about promoting literacy, but also about making a great contribution to the upbringing of the next generation and the formation of the moral side through fiction.

We used 9 activities in the lesson and enjoyed the positive results mentioned in the article

**Key words:** Lesson activity, fasting, comprehension

რეცენზენტი: პროფესორი ო. გუსევა

## პედაგოგია Pedagogic

### ბავშვზე ემოციური ძალადობა არასათანადო ლექსიკის გამოყენებით

მაია ახვლედიანი, სოფიო მორალიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: [maia.akhvlediani@atsu.edu.ge](mailto:maia.akhvlediani@atsu.edu.ge), [sopio.moralishvili@atsu.edu.ge](mailto:sopio.moralishvili@atsu.edu.ge)

ბავშვთა მიმართ ძალადობა მრავალი ფორმით ხორციელდება და ბავშვებზე ძალადობით გამოწვეული პოტენციური დაავადებების ჩამონათვალიც არის საკმაოდ ფართო. ბავშვისათვის მიუღებელი მკაცრი ლექსიკის გამოყენებას შეუძლია პირდაპირი მნიშვნელობით შეცვალოს ბავშვის ტვინის განვითარების გზა. კვლევების თანახმად, ბავშვებზე ფსიქიკური ძალადობით გამოწვეული ჯანმრთელობის პოტენციური პრობლემები შეიძლება იყოს დეპრესია, შფოთვა, პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა, თვითმკვლელობაც კი.

21-ე საუკუნეში ბავშვთა მიმართ ძალადობის მასშტაბები წარმოუდგენლად მაღალია, რაც კიდევ უფრო გამძაფრდა Covid-19 პანდემიის პირობებში. კორონავირუსის აფეთქებამ უდიდესი ზეგავლენა იქონია ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების რიტმზე, რაც, თავის მხრივ, ბავშვების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზეც აისახა.

არასწორად შერჩეული ლექსიკა, ყვირილი ცვლის ბავშვის განვითარების მიმართულებას და იწვევს გამოუსწორებელ შედეგებს, როგორც შეიძლება იყოს ღრმა ფსიქოლოგიური პრობლემები, რომლებიც მოზარდობის ასაკში კიდევ უფრო გამწვავდება. ბავშვთან ვერბალური ურთიერთობის მიუღებელი ფორმებია - მუდმივი კრიტიკა, დამცირება, დადანაშაულება, გინება, ყვირილით საუბარი. სამწუხაროდ, ძალადობის ამგვარი ფორმები ხშირია არამხოლოდ ოჯახში, არამედ საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც, რაც თავის მხრივ აფერხებს ბავშვის გონებრივ განვითარებას, განათლებას, ლაზავს ღირსებას, იწვევს ჩაკეტილობას და სწავლის მოტივაციის გაქრობას. წარმოუდგენელია, თანამედროვე სკოლის მასწავლებელი, რომელიც არ ფლობს სათანადო ცოდნას ბავშვის უფლებების შესახებ და ახდენს ბავშვზე ფსიქოლოგიურ ძალადობას არასათანადო ლექსიკის გამოყენებით.

უფროსის და ბავშვის ურთიერთობა ორმხრივი პროცესია - როგორც ბავშვი სწავლობს უფროსისგან, ასევე სწავლობს უფროსიც ბავშვისგან; შესაბამისად, აუცილებელია, რომ უფროსი მუდმივად აკვირდებოდეს, ანალიზებდეს ბავშვის ქცევას, მის ემოციებს და, ზოგადად, ბავშვთან, როგორც პიროვნებასთან, ურთიერთობის პროცესს. ეს ყველაფერი მას დასკვნების გამოტანაში და ბავშვთან ურთიერთობის უფრო საინტერესოდ წარმართვაში დაეხმარება.

საკვანძო სიტყვები: ჩავგრა, არასათანადო ლექსიკა, ემოციური ძალადობა.

სიტყვებს შეუძლიათ ზიანის მიყენება - ემოციური შეურაცხყოფა შეიძლება ისეთივე მავნე იყოს, როგორც ფიზიკური შეურაცხყოფა და მან შეიძლება მთელი ცხოვრება გასტანოს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის 2016 წლის გამოცემაში „შვიდი სტრატეგია ბავშვთა მიმართ ძალადობის დასაცავად“ ვკითხულობთ, რომ „ჩვენი საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი წევრების - ბავშვების და მოზარდების, მიმართ ძალადობას დამანგრეველი გავლენა აქვს მათზე, რაც იწვევს ჯანმრთელობის დაზიანებისა და სოციალური პრობლემების ფართო სპექტრს“ [Inspire, 2016:10]. მოცემული კვლევის მიზანი ოჯახში და საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სიტყვიერი ძალადობის ფორმებით, არასათანადო ლექსიკით, ყვირილით, გამოწვეული პრობლემების გაანალიზებაა.

კვლევების თანახმად, ბავშვებზე ფსიქიკური ძალადობით გამოწვეული, ჯანმრთელობის პოტენციური პრობლემები შეიძლება იყოს:<sup>1</sup> დეპრესია და შფოთვა, თავდასხმა, პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა, თვითმკვლელობაც კი. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიწერ 2020 წელს გამოცემულ გლობალურ ანგარიშში ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის შესახებ 2020, აღნიშნულია, რომ 4 დან 3 ბავშვი განიცდის სხვადასხვა ფორმით ფიზიკურ ან ფსიქიკურ ძალადობას მათი მშობლების ან მზრუნველების მხრიდან.<sup>2</sup>

ბავშვისათვის მიუღებელი მკაცრი ლექსიკის გამოყენებას შეუძლია პირდაპირი მნიშვნელობით შეცვალოს ბავშვის ტვინის განვითარების გზა, რადგან ადამიანები უარყოფით ინფორმაციასა და მოვლენებს უფრო სწრაფად და საფუძვლიანად ამუშავებენ, ვიდრე დადებითსა და სასიამოვნოს. ტვინის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის კვლევებმა, ჩატარებულმა იმ ადამიანებზე, რომლებიც ბავშვობაში განიცდიდნენ მშობლების მხრიდან სიტყვიერ შეურაცხყოფას ან პირიქით, არ იყვნენ სიტყვიერი შეურაცხყოფის მსხვერპლნი, გამოავლინა შესამჩნევი ფიზიკური სხვაობა ტვინის იმ ნაწილებში, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ბგერებისა და ენის დამუშავებაზე.<sup>3</sup>

ამრიგად, ადრეულ ასაკში ძალადობის გამოცდილებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ტვინის განვითარებას და ნერვული სისტემის სხვა ნაწილებს, ასევე, ენდოკრინულ, სისხლის მიმოქცევის, ძვალ-კუნთოვან და რეპროდუქციულ, რესპირატორულ და იმუნური სისტემებს. ჯანმრთელობის ეს პრობლემები, შესაძლოა, მთელი ცხოვრების მანძილზე გაგრძელდეს. მყარი მტკიცებულებების მიხედვით, ბავშვებზე ძალადობა იწვევს კოგნიტური განვითარების შეფერხებას, დაბალ აკადემიურ მოსწრებას, სკოლიდან გარიცხვას, ადრეულ ორსულობას... [WHO 2014].

21-ე საუკუნეში ბავშვთა მიმართ ძალადობის მასშტაბები წარმოუდგენლად მაღალია, რაც კიდევ უფრო გამძაფრდა Covid-19 პანდემიის პირობებში. კორონავირუსის აფეთქებამ უდიდესი ზეგავლენა იქონია ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების რიტმზე, რაც, თავის მხრივ, ბავშვების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზეც აისახა. მიუხედავად იმისა, რომ 1989 წლის კონვენცია დაფუძნებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპზე და აღნიშნული პრინციპის დაცვა ნიშნავს, რომ ყველა ქმედება, რომელიც ეხება ბავშვს ან მოქმედებს მასზე, მოტივირებული უნდა იყოს "ბავშვის საუკეთესო ინტერესებით".

დოქტორი ღაზან ხალილი, თავის სახლემძღვანელოში „ბავშვის უფლებები, ისტორიული ევოლუცია“ მიიჩნევს, რომ უკეთესი იქნებოდა, გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტს მიეღო

<sup>1</sup>WHO Global Status Report on Violence Prevention 2014, Geneva  
<https://www.who.int/publications/i/item/WHO-NMH-NVI-14.2>

<sup>2</sup> <https://www.who.int/teams/social-determinants-of-health/violence-prevention/global-status-report-on-violence-against-children-2020>

<sup>3</sup> <https://doi.org/10.1111/cdev.12143>

"ბავშვის საუკეთესო ინტერესების" პრინციპი, როგორც კონვენციის ფუნდამენტური ფილოსოფია და მაღალი მიზანი, რომელიც მიღწეულ უნდა იქნას ნებისმიერ ვითარებაში. ჯერ კიდევ არსებობს იმპერატიული მოთხოვნები უფრო ღრმად შესწავლილი და განვითარებული იქნას "ბავშვის საუკეთესო ინტერესების" პრინციპი, მისი განხორციელების და რეალიზების გზები [ხალილი, 2021:136].

აკადემიკოსი შალვა ამონაშვილი ბავშვის მომავალზე მშობლის ლექსიკის ზეგავლენის შესახებ აღნიშნავს, რომ წარმოთქმული სიტყვა ადამიანისთვის ან სიკეთის მომტანია, ან უბედურების: „მშობლის ლექსიკა წყვეტს ბავშვის მომავალს ... თუ სიტყვაში ჩავდე ჩემი ალერსი, სიყვარული, პატივისცემა, თანაგრძნობა, იმედი, რწმენა, ეს გამოიწვევს იმას, რომ ბავშვი უფრო გაბედულად გადადგამს ნაბიჯს.<sup>1</sup>

რა თქმა უნდა მშობელს სურს, რომ მისი შვილი იყოს ჯანმრთელი, წარმატებული, იპოვოს თავისი ადგილი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში, მაგრამ ისინი ხშირად არ ითვალისწინებენ შვილების ინტერესებსა და განწყობებს. ხოლო, როდესაც საუბრობენ ჯანმრთელობაზე - საუბარია ძირითადად ბავშვების **ფიზიკურ ჯანმრთელობაზე**, რაც რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ნაკლები ყურადღება ექცევა ამ დროს ბავშვის **ემოციურ კეთილდღეობას**, მის თვითშეფასებას, გარმოსთან ადაპტაციის უნარებს, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ ადამიანის ცხოვრების სტილზე, ბევრად განაპირობებენ ცხოვრების ხარისხს [ყარაულაშვილი, 2017].

ბავშვის ემოციებზე, ფსიქიკაზე არასწორი რეაგირების შემთხვევებია: დადანაშაულება და გაკიცხვა, ჩხუბი, დაშინება, ბრძანება, ნოტაციები და მორალის კითხვა, გაფრთხილება, შედარება სხვასთან, სარკაზმი.... როგორ მივაღწიოთ ბავშვთან თანამშრომლობას? სასურველია ბავშვთან ურთიერთობის და სწავლების დროს გამოვიყენოთ პოზიტიური ინტერაქციის ძირითადი სტრატეგიები. აუცილებელია ბავშვთან საუბრისას გამოვიყენოთ სახელი, აღწერითი შეფასება, შექების ობიექტური და არა სუბიექტური ფორმები, ნაკლებად ვახსენოთ სიტყვა „არა“, ნეგატიური და უხეში ლექსიკა, მივაწოდოთ ინფორმაცია რომ შეცდომა ლეგიტიმურია და ყველამ შეიძლება ის დაუშვას.

ბავშვს, რომელიც განცდის ვერბალური ძალადობის ფორმებს შეიძლება ახასიათებდეს დაბალი თვითშეფასება, თვითკრიტიკა, ნაკლები თავდაჯერებულობა, სწავლაში ჩამორჩენა და აგრესიულობაც კი [ბიკი და ნელსონი, 2016]. სამწუხაროდ, ძალადობის ამგვარი ფორმები ხშირია არამხოლოდ ოჯახში, არამედ საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც, რაც თავის მხრივ აფერხებს ბავშვის გონებრივ განვითარებას, განათლებას, ლაზავს ღირსებას, იწვევს ჩაკეტილობას და სწავლის მოტივაციის გაქრობას. საქართველოს „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მუხლი 60, რომელიც ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციას ეხება, ვკითხულობთ, რომ: „სახელმწიფო იღებს ბავშვის

მოპყრობის ან სასჯელის გამოყენების პრაქტიკის აღმოფხვრისთვის საჭირო ყველა ფიზიკური დასჯის, მისდამი სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომას“.<sup>2</sup>

ამგვარად, აუცილებელია, რომ საზოგადოებამ დაგმოს ბავშვის მიმართ არასათანადო და შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენება და აღიაროს ის მიუღებელ ნორმად. წარმოუდგენელია, თანამედროვე სკოლის მასწავლებელი, რომელიც არ ფლობს სათანადო ცოდნას ბავშვის უფლებების შესახებ და ახდენს ბავშვზე ფსიქოლოგიურ ძალადობას არასათანადო ლექსიკის

<sup>1</sup> <https://momsedu.ge/>

<sup>2</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2>

გამოყენებით. სწორედ ამ პრობლემის აღფხვრას ემსახურება ის საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამები, რომლებშიც ფართოდ არის წარმოდგენილი ბავშვის უფლებების კურსები, ტრენინგ მოდულები, სემინარები რაც ხელს შეუწყობს ბავშვთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და ახალი ღირებულებების დამკვიდრებას.

განვითარების შესაბამისი სწავლების მეთოდების მცოდნე უფროსი ბავშვს ხელს უწყობს, თავისი განვითარების შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურ შედეგს მიაღწიოს. ის პირადი მაგალითითაც ახდენს დიდ გავლენას ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე. ბავშვისთვის იგი მთავარი მისაბამი პირია. ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზეც, თუ რა ღირებულებები, კომპეტენციები და კვალიფიკაცია აქვთ პირებს, რომლებიც ურთიერთობენ ბავშვებთან.

### **როგორ დავიცვათ ბავშვები ვერბალური ძალადობისაგან?**

პირველ რიგში უნდა შევქმნათ კულტურა, რომელიც ბავშვს იცავს ძალადობისაგან და რომელიც მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როცა საზოგადოების ყველა სეგმენტი გაითავისებს ბავშვის უფლებებს და იმ ფაქტს, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის შედეგად მიღებული უშუალო და გრძელვადიანი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შედეგები და ეკონომიკური დანახარჯები საფრთხეს უქმნის განათლებაში, ჯანმრთელობასა და ბავშვთა კეთილდღეობაში ჩადებულ ინვესტიციას და აქვეითებს მომავალი თაობების პროდუქტიულობას. ამრიგად საზოგადოებაში გავრცელებული დამოკიდებულებებისა და ნორმების შეცვლა ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ხშირად საჭიროებს მყარად ფესვგადგმული სოციალური და კულტურული ნორმებისა და ქცევების შეცვლას. განსაკუთრებით კი ისეთებისა, რომელთა მიხედვითაც ძალადობის ზოგიერთი ფორმა არა მხოლოდ ნორმალურია, არამედ ხანდახან მათი გამართლებაც შეიძლება. უნდა ჩამოყალიბდეს უფრო კეთილგანწყობილი დამოკიდებულება აღზრდის არამძალადობრივი მეთოდების მიმართ და რაც მთავარია, უნდა გაიზარდოს ცნობიერება იმაზე, თუ რა ითვლება ძალადობრივ ქმედებად.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ყარაულაშვილი ა.,- ასაკისა და განვითარების შესაბამისი პოზიტიური ინტერაქცია (6-10 წლის ასაკობრივი ჯგუფი), World Vision Georgia 2017
2. ხალილი დ., - ბავშვის უფლებები ისტორიული ევოლუცია, აწსუ გამომცემლობა, 2021. გვ. 136
3. Bick, J., & Nelson, C. A.- Early adverse experiences and the developing brain. *Neuropsychopharmacology*, 41, 2016. p.177–196. Retrieved from <https://www.nature.com/articles/npp2015252>. doi: 10.1038/npp.2015.252
4. Ending violence against children: six stages for action, UNICEF, New York 2014
5. INSPIRE: seven strategies for ending violence against children, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, გვ.10, 2016
6. UNICEF strategic plan 2014-2017, New York, UNICEF 2014, p.6
7. <https://www.coe.int/en/web/commissioner/-/no-violence-against-children-is-acceptable-all-violence-is-preventable>

8. [https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/26130Child\\_Rights\\_2030\\_Agenda\\_HLPF\\_2020.pdf](https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/26130Child_Rights_2030_Agenda_HLPF_2020.pdf)
9. <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168046d3a0>
10. <https://www.reuters.com/article/us-positive-parenting-idUSBRE9B10VU20131202>

**Maia Akhvlediani, Sophio Moralishvili**

### **Verbal Abuse of Children**

The 2030 Agenda for Sustainable Development states that considerable progress has been made towards the SDGs since 2015, though it is still slow. Conflicts, environmental, financial, health and humanitarian crises place children at risk of multiple rights violations, violence, marginalization, and discrimination. The scale of violence against children in the 21st century is incredibly high, which has been exacerbated by the Covid-19 pandemic.

Verbal or emotional abuse is a form of behavior that can harm a child's emotional development or sense of self-esteem. This form of abuse may include threats, constant criticism, rejection, as well as lack of love, guidance, support. In many cases it is rather difficult to prove an emotional abuse and accordingly, child protective services may not be able to take measures and somehow intervene without evidence of harm or mental injury to the child.

Verbal abuse may have a number of different patterns, including blaming, criticism, judging, threats, insults. Accordingly, abuses like these can impact every element of life, including academic performance, relationships, success at work and later in life. Verbal abuse like any other form of bullying and insult may have both short-term and long-term consequences, including the following mental health problems: chronic stress decreased self-esteem, anxiety, depression and etc.

Verbal abuse during childhood can have lifelong implications for victims, effecting their well-being and progress. Although the physical wounds may heal, there are many long-term consequences of experiencing the trauma of abuse. Maltreated and insulted children may be at risk of experiencing cognitive delays and emotional difficulties, among other issues, which can affect many aspects of their lives, including their academic outcomes and social skills development. Experiencing verbal abuse during childhood also is a risk factor for depression, anxiety, and other psychiatric disorders.

Changing societal attitudes and norms is an important part of preventing violence against children, which often requires changing well-established social and cultural norms and behaviors. Especially those according to which some forms of violence are not only normal, but sometimes can be justified. A more benevolent attitude towards non-violent methods of upbringing should be developed and, most importantly, an awareness of what constitutes a violent act should be raised.

**Key words:** bullying, child abuse, verbal and emotional maltreatment.

რეცენზენტი: პროფესორი ლ. ჩერნოვატი

## კრიტიკული აზროვნების უნარების კონსტრუქციულად გამოყენების საკითხი უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში

**ხატია შევარდნაძე, სოფიო მორალიშვილი, რუსუდან ტყეშელაშვილი**

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

khshevardnadze@gmail.com, sopio.moralishvili@atsu.edu.ge, rusaruska@yahoo.com

კრიტიკული აზროვნება, თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულად მნიშვნელოვანი უნარია, რომლის გარეშეც წარმატება დღევანდელ და „მომავალ“ სამყაროში უბრალოდ წარმოუდგენელია.

მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკული აზროვნების განვითარება გადამწყვეტი საკითხია განათლებისთვის და ეროვნული სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილიც არის მოაზროვნე, მამიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, მაინც ბევრი გაურკვეველობა რჩება საგანმანათლებლო სტრატეგიების განსახორციელებლად.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის მიზანი იყო გამოგვევლინა თუ რამდენად სწორად იყენებენ ჩვენი სტუდენტები ნასწავლი კრიტიკული აზროვნების უნარებს, სტრატეგიებს საგანმანათლებლო სივრცეში და მის მიღმა კომპლექსური ამოცანების გადასაჭრელად. მოცემული კვლევა ჩავატარეთ საქართველოს ერთ-ერთ უმაღლეს, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კერძოდ, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში. კვლევაში ჩართული იყო ჟურნალისტიკის, ინგლისური ფილოლოგიის, ბიზნესის და საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრიატის პროგრამის 150-მდე სტუდენტი. კვლევა განხორციელდა თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით.

**საკვანძო სიტყვები:** კრიტიკული აზროვნება, ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობა.

კრიტიკული აზროვნების უნარის დახმარებით ვაცნობიერებთ, რომ ნებისმიერ ამბავს თუ ინფორმაციას შესაძლოა, სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს. ამიტომაც, აუცილებელია მათი მრავალმხრივი პერსპექტივიდან დანახვა და, რაც მთავარია, თითოეულ საკითხზე საჭიროა არგუმენტირებული მსჯელობა.

კრიტიკული აზროვნების ორი ცნება და კონცეფცია არსებობს: „ერთი მათგანი, რომელიც უფრო მეტად ცნობილია, გულისხმობს ტექსტის შინაარსის ადეკვატურდ გაგებას. ეს უნარი სასკოლო ტესტებიდანაც მოწმდება, თუმცა, თანამედროვე სამყაროში ეს უნარი არ არის საკმარისი. „არსებული ვითარება მოითხოვს, არა მარტო გაიგო, რას გეუბნება მასმედია თუ რაიმე სხვა წყარო, არამედ შეაფასო კიდევ მიღებული ინფორმაცია-ყალბი/ნამდვილიას თვალსაზრისით“ (თევზაძე 2020).

რეალური ცხოვრებისეული გამოწვევებისთვის მზაობა, სხვისი მოსმენისა და გაგების უნარი, ფაქტების, მოსაზრებების კრიტიკულად განხილვა, გაანალიზება, შეკითხვების ჩამოყალიბება და მათზე პასუხის პოვნა, არგუმენტირებულად მსჯელობა, გონივრული არჩევანის გაკეთება, კრიტიკული აზროვნების უმთავრესი ამოცანაა. ამგვარი აზროვნების უნარი ეხმარება ადამიანს, დამოუკიდებლად გაიკვლიოს გზა თანამედროვე საინფორმაციო ნაკადებში და არ გახდეს მანიპულაციის მსხვერპლი. იცოდეს, როგორ მოიპოვოს, გადაამოწმოს, შექმნას, გაავრცელოს ინფორმაცია, აიღოს პასუხისმგებლობა მის გასაჯაროებაზე და ამასთანავე, შეძლოს ინფორმაციის „ახალ ცოდნად“ გადაქცევა.

**შესაძლებელია თუ არა კრიტიკული აზროვნების სწავლება?** - რასაკვირველია. სწავლის პროცესში და სწავლის დასრულების შემდეგაც თქვენგან მოელიან, რომ კრიტიკულად იაზროვნებთ, წაიკითხავთ და დაწერთ, საკუთარ აზრს და ნაფიქრალს გამოთქვამთ. ამტომ, არაფრის სწავლება არ არის იმდენად სასარგებლო, როგორც ამ კომპეტენციის. სწავლების ეფექტური წარმართვისთვის გამოყოფენ სამ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს:

✓ თავისუფალი სასწავლო გარემო, რომელშიც მოსწავლეები თავისუფლად გამოხატავენ ნებისმიერ მოსაზრებას და, რაც მთავარია, ამ განსხვავებულ მოსაზრებებს მშვიდად იღებენ. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იღებენ უაპელაციოდ, განხილვის გარეშე. პირიქით: აკრიტიკებენ, მისაღებს იღებენ, ხოლო დასაკორექტირებელს აკორექტირებენ.

✓ შეკითხვების დასმა ის უმნიშვნელოვანესი კაუჭია, რომელზეც ორიგინალურად შეიძლება აიგოს მთელი სასწავლო პროცესი. შეკითხვის მოფიქრება არ არის ადვილი. ამაზე მასწავლებელს საკმაო ფიქრი და გამოცდილება სჭირდება. ამასთან, შეკითხვების დასმა შემოქმედებითი პროცესია, რაც გულისხმობს, სპონტანურად დაბადებული შეკითხვებისთვის ასპარეზის მიცემას, მათზე მსჯელობას...

✓ არაფორმალური განათლების მიმართულება, თანამედროვე ეპოქაში, დღითი დღე პოპულარული ხდება, მას რამდენიმე უპირატესობა გააჩნია: არ ითვალისწინებს სხვადასხვა შემზღვევადი წესის არსებობას, ასეთ გარემოში აქვს მეტი თავისუფლება (სუყაშვილი თ. 2019).

**როგორი იქნება განათლება მომავალში?** მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკული აზროვნების განვითარება გადაწყვეტი საკითხია განათლებისთვის და ეროვნული სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილიც არის მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად, მაინც ბევრი გაურკვევლობა რჩება საგანმანათლებლო სტრატეგიების განსახორციელებლად. აღსანიშნავია ისიც, რომ შეფასების მცირე ინსტრუმენტია შემუშავებული უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში. ამიტომ, ჩვენი მიზანი უნდა იყოს, კრიტიკული აზროვნების მეთოდებისა და შეფასების იმ ინსტრუმენტების შემუშავების ეფექტური სტრატეგიების



დადგენა, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტებში კრიტიკული, შემოქმედებითი და რეფლექსიური აზროვნების განვითარებას. პედაგოგიური პრინციპი, კი, ემყარება იმ აზრს, რომ კრიტიკული აზროვნების განათლება არ უნდა მოხდეს დისციპლინური კურსების მიღმა, არამედ უნდა განვითარდეს მათზე დაყრდნობით.

საყურადღებოა ის მთავარი ტენდენციებიც, რომლებიც თანდათანობით ჩნდება მსოფლიოს გარშემო. ყველაზე თვალშისაცემი ხდება ის ფაქტი, რომ განათლებას აღარ გეგმავს ადამიანთა ვიწრო ჯგუფი, არამედ ქვეყნების განათლების სისტემები ერთ მთლიან ეკოსისტემაში არიან ჩართულნი; სტუდენტები აღარ არიან განათლების პასიურად მიმღებნი, არამედ, აქტიურად გეგმავენ სასწავლო პროცესს და თავად განსაზღვრავენ სწავლის ფორმებს, ტემპს, გარემოს. ბოლოს, შეფასებაც აღარ არის სტანდარტიზებული, მხოლოდ ერთ კრიტერიუმზე დაფუძნებული პროცესი, არამედ მრავალკომპონენტური, კონკრეტულ კურსს (საკითხს, საგანს, აქტივობას და ა.შ.) მორგებული, რომელიც განაპირობებს მუდმივი განვითარების ხელშეწყობას.

**რა უნარებით უნდა აღჭურვოთ სტუდენტები, რომ მათ შეძლონ თანამედროვე, კონკურენტუნარიან გარემოსთან ეფექტურად ადაპტირება?**

OECD-ს პროექტში ჩართული დაინტერესებული მხარეების საერთაშორისო ჯგუფის განსაზღვრების მიხედვით, არსებობს უნარ-ჩვევები, რომლებიც ხელს უწყობს ადამიანებს დამოუკიდებელ და წარმატებულ პიროვნებებად ჩამოყალიბებაში.

OECD სასწავლო კომპასი 2030 განასხვავებს სამ სხვადასხვა სახის უნარს (OECD Future of Education and skills 2030):

- კოგნიტური და მეტაკოგნიტური უნარები, რომელიც მოიცავს კრიტიკულ აზროვნებას, კრეატიულ აზროვნებას, შემეცნების პროცესების გაცნობიერებას, სწავლის სწავლასა და თვითრეგულირებას (საკუთარი აზროვნების პროცესების მართვის უნარი და სასწავლო გამოცდილების რეგულაცია).

- სოციალური და ემოციური უნარები, რომელიც მოიცავს თანაგრძნობას, თვითეფექტურობას, პასუხისმგებლობას და თანამშრომლობას;

- პრაქტიკული და ფიზიკური უნარ-ჩვევები, რომელიც მოიცავს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას.

მეტაკოგნიცია არის აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ, რაც მნიშვნელოვანია სწავლის სწავლისთვის. ისევე როგორც კრიტიკული აზროვნება, ასევე მეტაკოგნიცია ადამიანისაგან მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებას, სირთულის დადგენასა და შემდეგ დამღევის სტრატეგიების შემუშავებას. ითვლება, რომ მოსწავლეს, რომელსაც კარგად აქვთ განვითარებული მეტაკოგნიტური უნარები, შეუძლია დაგეგმოს, აწარმოოს მონიტორინგი და შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი, საჭიროების შემთხვევაში კი, მუშაობის დროს გამოყენებული სტრატეგიები შეცვალოს ან მათი მოდიფიცირება მოახდინოს. „რაც უფრო მაღალია მოსწავლეებში მეტაკოგნიტური აზროვნება, მით უფრო ეფექტურად სწავლობენ ისინი“ (დ. პერკინსი)


საინტერესოა ავსტრალიის საგანმანათლებლო კვლევითი საბჭოს ACER-ის (Critical Thinking *Skill development framework*. Australian Council for Educational Research) მიერ შემუშავებული კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარების ჩარჩო, რომელიც შეიქმნა კრიტიკული აზროვნების სწავლებასთან და შეფასებასთან დაკავშირებული გამოწვევების დასაძლევად. ის აღწერს კრიტიკულ აზროვნებას სამი ძირითადი ელემენტის სახით,

რომელთაგან თითოეული შეიცავს სამ ასპექტს: ცოდნის, უნარებისა და გაგების ერთობლიობას (ცხრილში 1 აღწერილია დეტალურად)

ACER- ის ჩარჩოს ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ თეორიულად შესაძლებელია კრიტიკული აზროვნების განმარტებებში განვასხვავოთ ძირითადი აბსტრაქტული უნარები (ფასიონი 1990), თუმცა პრაქტიკაში, ავთენტური კრიტიკული აზროვნების ამოცანების გადაჭრისას, ეს უნარ-ჩვევები მოქმედებს ერთდროულად (ან თითქმის ერთდროულად). მკვლევარები თანხმდებიან, რომ კრიტიკული აზროვნება მოიცავს სულ მცირე დასკვნის და შეფასების უნარებს, ასევე ანალიზს, ინტერპრეტაციას, ახსნას და თვითრეგულირებას (ტომასი და ლოკი, 2015)

**ცხრილი 1**

**კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარების ჩარჩო**



ძირითადი ელემენტი 1 - ცოდნის კონსტრუირების - პირველი ასპექტია *ვარაუდის* (ღირებულებების, იდეების, პოზიციების, ნორმების...) *იდენტიფიცირება*. ეს პროცესი შინაგანი დისკომფორტის გრძნობას უქმნის სტუდენტს. ის აცნობიერებს, რომ მანამდე ჩამოყალიბებული ღირებულება და პოზიცია შესაძლოა, არ იყოს ადეკვატური. ეს ყველაზე ხშირად თავს იჩენს მაშინ, როდესაც რომელიმე კონკრეტულ ვითარებაში არსებულ ვარაუდზე დაფუძნებული ქცევა, რეაქცია არ აღმოჩნდება ეფექტური შედეგის მიღწევის თვალსაზრისით, შესაბამისად, იქმნება პრობლემური სიტუაცია (გაბაშვილი მ. 2010). საკუთარ ცოდნაში შესაძლო ხარვეზების აღიარებამ შეიძლება მიიღოს კითხვების დასმის ფორმა გამოძიების დასაჩქარებლად, რაც ბიძგს აძლევს აზროვნების პროცესის დაწყებას (ენისი, 2018).

მეორე ასპექტი არის - *ინფორმაციის დიფერენციაცია*. მას შემდეგ, რაც სტუდენტი მოიპოვებს ინფორმაციას, იწყებს ანალიზს/გამორკვევას. მისი მიზანია გამოიკვლიოს, შეაფასოს, თუ რატომ გახდა კონკრეტული ვარაუდი არაადეკვატური, შეუსაბამო, როგორ ეწინააღმდეგება

იგი არსებულ რეალობას და ამას აკეთებს კრიტერიუმების გამოყენებით (გრაფშტეინი, 2017; პოლი და ელდერი, 2007). ინფორმაციისა და მტკიცებულებების დიფერენციაცია მოიცავს ისეთი ფაქტორების გამოვლენას და შეფასებას, როგორცაა აქტუალობა, საიმედოობა, რელევანტურობა, ავტორიტეტულობა, სისრულე ან ჭეშმარიტება.... სტუდენტი იწყებს ფაქტის განსხვავებას მოსაზრებისაგან, არსებული ვარაუდის ან ვარაუდების გადახედვას, გადააზრებას, კორექტირებას და ეფექტური სტრატეგიების შემუშავებას.

მესამე ასპექტი - *ამოიცნობს და აკავშირებს ვარაუდებს* - მოძიებული ინფორმაციის ორგანიზების შემდეგ, სტუდენტი იწყებს კონცეპტუალური კავშირის დადგენას არსებულ და ახალ ვარაუდებს შორის. კარგია, თუ სტუდენტი შეძლებს „წესების“ ან თეორიების მეშვეობით არსებული ვარაუდების (განზოგადებების საფუძველზე) ახლებურად ფორმულირებას, ძველი და ახალი ინფორმაციის ინტეგრირებას, კორექტირებას (ენისი, 2018).

### **კვლევის ანგარიში - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი**

მოცემული კვლევა ჩავატარეთ საქართველოს ერთ-ერთ უმაღლეს, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კერძოდ, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში. კვლევაში ჩართული იყო ჟურნალისტიკის, ინგლისური ფილოლოგიის, ბიზნესის და საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრიატის პროგრამის 150-მდე სტუდენტი. კვლევა ჩატარდა 2021 წლის აპრილის ბოლოს, როცა უნივერსიტეტის სტუდენტთა ნაწილი, კოვიდ-19 პანდემიის გამო ონლაინ სწავლებაზე იყო გადასული (უნივერსიტეტში მოქმედებდა სწავლების ჰიბრიდული ფორმა). აღნიშნულ უნივერსიტეტში 2011 წლიდან ვმუშაობთ. ჩვენი პედაგოგიური მიდგომების და შეხედულებების გარდა გადაფასდა ბევრი რამ სტუდენტთა ცხოვრებაშიც. ბევრ მათგანში გაჩნდა სურვილი და პრეტენზია იმისა, რომ დაგროვილი ცოდნა, რასაც წლების მანძილზე აძლევს უნივერსიტეტი, საკუთარი ფასეულობების, პერსონალური ფილოსოფიის გათვალისწინებით შეამოწმონ და შეაფასონ. კრიტიკული აზროვნების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაც ხომ ეს არის...


აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ კვლევას, წინ უძღოდა კვლევათა ციკლი, რომელთა მიზანიც იყო გამოველინა კრიტიკული აზროვნების უნარების შემეცნება, აღქმა/გაგება, მათი საჭიროებების გამოვლენა და სწავლებაში ინტეგრირების აუცილებლობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

### **კვლევის მეთოდოლოგია**

კვლევა განხორციელდა თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით. უნდა აღინიშნოს რომ, რაოდენობრივი მეთოდები უფრო დამხმარე ხასიათის იყო. კვლევაში წარმოდგენილი შეხედულებები ძირითადად თვისებრივი მეთოდებით მოპოვებულ ინფორმაციას ეყრდნობა.

კვლევას ანონიმური ხასიათი ჰქონდა. „კრიტიკული აზროვნების“ კურსის სემინარებზე სტუდენტებს დაურიგდათ კითხვარი დახურული კითხვებით და ასევე, მიეცათ მითითება, რომ საკუთარი მოსაზრება წერილობით გამოეხატათ თითოეულ კითხვაზე. კითხვები შემუშავდა კრიტიკული აზროვნების ძირითად ელემენტებზე დაყრდნობით, მოხდა მიღებული შედეგების გაანალიზება და რეკომენდაციების შემუშავება. კვლევის მიზანი იყო გამოგველინა თუ რამდენად სწორად იყენებენ ჩვენი სტუდენტები ნასწავლი კრიტიკული აზროვნების უნარებს, სტრატეგიებს საგანმანათლებლო სივრცეში და მის მიღმა კომპლექსური ამოცანების გადასაჭრელად.

1. მოძიებულ მასალაზე (წყაროებზე, ლიტერატურაზე და ა.შ.) მუშაობის დროს რამდენად ახდენთ ვარაუდების (ღირებულებების, იდეების, პოზიციების, ნორმების...) იდენტიფიცირებას, მათ გადამოწმებას, ალტერნატივების შესწავლას და შეფასებას?  
ცხრილი 2




გამოკითხულ სტუდენტთა 17% ყოველთვის კრიტიკულად განიხილავს მისთვის თუნდაც ნაცნობ მოვლეებსა და ფაქტებს, 34% - ხანდახან, 26% იშვიათად, ხოლო 23% საერთოდ არ ახდენს ინფორმაციის გადამოწმებას.

**რეკომენდაცია 1**

იმისათვის, რომ სტუდენტი აქტიურად ჩავრთოთ აზროვნების პროცესში, საჭიროა, გამოვუმუშაოთ მას უნარი, რომ აღმოაჩინოს დაუსაბუთებელი ვარაუდი. რადგან კრიტიკული აზროვნების პროცესი მთლიანად მიმართულია ამგვარი ვარაუდების აღმოფხვრაზე, ბუნებრივია, რომ ამ ვარაუდების იდენტიფიცირების გარეშე პროცესი დაკარგავს მიმართულებას. ვარაუდების იდენტიფიცირების მეშვეობით სტუდენტი დაფიქრდება მისთვის ჩვეულ მოვლენებსა და ფაქტებზე; მის გონებაში ამ ვარაუდებთან დაკავშირებით აღმოცენდება კრიტიკული კითხვები.

2. ინფორმაციის ანალიზის დროს (კონკრეტული ინფორმაცია არაადეკვატურია, შეუსაბამო, ეწინააღმდეგება არსებულ რეალობას...) იყენებთ თუ არა ინფორმაციის შეფასების ნასწავლ კრიტერიუმებს?  
ცხრილი 3




სტუდენტთა 41% ყოველთვის იყენებს ნასწავლ სტრატეგიებს/კრიტერიუმებს, იშვიათად - 22%, სტუდენტთა 29% ცდილობს გამოიყენოს, თუმცა არ არის დარწმუნებული რამდენად წარმატებით ახერხებს, და 8% საერთოდ არ იყენებს ნასწავლ კრიტერიუმებს.

**რეკომენდაცია 2**

სტუდენტებისათვის კრიტიკული აზროვნების უნარების და კრიტერიუმების სწავლება გულისხმობს, იმას რომ პედაგოგის მიერ მიწოდებული ეფექტური სტრატეგიების შესწავლით და გამოყენებით სტუდენტები უკეთ ახდენენ არსებითი ინფორმაციის ამოცნობას, გამოუმუშავებენ მნიშვნელოვანის გამორჩევას და დახარისხების უნარს. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები აღნიშნულ სტრატეგიებს წარმატებით იყენებენ აუდიტორიის მიღმა (სოციალური, პირადი ურთიერთობების დროს).

**3. მოძიებულ მასალაზე (წყაროებზე, ლიტერატურაზე და ა.შ.) მუშაობის დროს რამდენად ახდენთ არსებული ვარაუდების შესაძლო ალტერნატივების მოძიებას, ამ ალტერნატივების შეფასება/შედარებას.**

**ცხრილი 4**



სტუდენტთა 14% ყოველთვის ეძებს ალტერნატივებს და ახდენს შეფასებას, შედარებას, 22% - თითქმის ყოველთვის, 52 % -არც თუ ისე ხშირად, 12%- არასდროს.

**რეკომენდაცია 3**

ეს კითხვა მნიშვნელოვანი იყო, რადგან კრიტიკული აზროვნების ძირითადი კომპონენტი არის ვარაუდების შესაძლო ალტერნატივების მოძიება და ამ ალტერნატივების შეპირისპირება ტრადიციულ ვარაუდებთან, მათი შეფასება და შედარება. ის ფაქტი, რომ ესა თუ ის ვარაუდი გაზიარებულია ბევრი ადამიანის მიერ, არის ღირებულება, ან მიღებული პოზიცია, ან დამკვიდრებულია წლების მანძილზე, არ არის იმის გარანტი, რომ ეს არის ფიქრის ერთადერთი სწორი, ჭეშმარიტი გზა. სწორედ ამიტომ კრიტიკული აზროვნების ეს კომპონენტი ემსახურება იმას, რომ მოაზროვნე, გონებამახვილმა სტუდენტმა შესაძლოს ალტერნატივების მოძებნა, იმის გაცნობიერება, რომ ჩვენს მუდმივად განვითარებად, ცვალებად და კომპლექსურ სამყაროში არ არსებობს აბსოლუტური ჭეშმარიტებები. ნებისმიერი, ყველაზე მტკიცე ვარაუდიც კი, შესაძლოა არაადეკვატური გახდეს კონტექსტის ცვლილებების გამო.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ზემოთ მოცემული რეკომენდაციებისა, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია პედაგოგთა მხრიდან მოსწავლეთა ემოციური მხადაჭერა და გამხნევება, რაც გულისხმობს მათი პიროვნების აღიარებას, მოსაზრებების პატივისცემას, ინდივიდუალური ძალისხმევის დაფასებას, ნდობის ატმოსფეროს შექმნას, თვითრწმენის განმტკიცებას და ა.შ.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. თევზაძე გ., (2020) კრიტიკული აზროვნების მეგზური, თბილისი.
2. გაბაშვილი მ., (2010) ეფექტიანი სწავლება თეორია და პრაქტიკა  
[https://naec.ge/uploads/postData/PED-2017/efeqtiani\\_swavleba.pdf](https://naec.ge/uploads/postData/PED-2017/efeqtiani_swavleba.pdf)
3. სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი  
[http://old.tpdg.ge/uploads/pdf\\_documents/saazrovn%20unarebi.pdf](http://old.tpdg.ge/uploads/pdf_documents/saazrovn%20unarebi.pdf)
4. სუყაშვილი თ., (2019) გზამკვლევი, მასწავლებლები კრიტიკული აზროვნებისთვის.
5. ჭყობიძე თ., (2013) აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ, (ინტ. გაზეთი)  
<http://mastsavlebeli.ge/?p=2237>
6. Ennis, R. H. (2018). Critical thinking across the curriculum: A vision. *Topoi*, 37.
7. Facione, P. (2015). 2015 Update on the critical thinking mindset from Delphi Report principle investigator, Dr. Peter Facione.  
<https://insightassessment.com/wpcontent/uploads/ia/pdf/Delphi-Research-Table-1-Ideal-Critical-Thinker.pdf>
8. Grafstein, A. (2017). Information literacy and critical thinking. In D. Sales & M. Pinto (Eds.), *Pathways into information literacy and communities of practice*.  
<https://doi.org/10.1016/B978-0-08-100673-3.00001-0>
9. Heard J., Scoular, C., Duckworth, D., Ramalingam, D., & Teo, I. (2020). *Critical thinking: Skill development framework*. Australian Council for Educational Research.  
[https://research.acer.edu.au/ar\\_misc/41](https://research.acer.edu.au/ar_misc/41)
10. Jones, A. (2015). A disciplined approach to critical thinking. In M. Davies & R. M. Barnett (Eds.), *The Palgrave handbook of critical thinking in higher education*. Palgrave Macmillan US.
11. Lai, E. R. (2011). *Critical thinking: A literature review*. Pearson Publishing.
12. Paul, R. W. & Elder, L. (2007). Critical thinking competency standards: Standards, principles, performance indicators, and outcomes with a critical thinking master rubric.  
[http://www.criticalthinking.org/files/SAM\\_Comp%20Stand\\_07opt.pdf](http://www.criticalthinking.org/files/SAM_Comp%20Stand_07opt.pdf)
13. Thomas, K., & Lok, B. (2015). Teaching critical thinking: An operational framework. In M. Davies & R. Barnett (Eds.), *The Palgrave handbook of critical thinking in higher education*. Palgrave Macmillan US.  
([http://old.tpdg.ge/uploads/pdf\\_documents/saazrovn%20unarebi.pdf](http://old.tpdg.ge/uploads/pdf_documents/saazrovn%20unarebi.pdf))
14. <https://www.oecd.org/education/2030-project/>

**Khatia Shevardnadze, Sophio Moralishvili, Rusudan Tkeshelashvili**  
**Constructive Application of Critical Thinking Skills in Higher Education**

**Tbilisi Open Teaching University**

**Abstract**

Almost everyone agrees that critical thinking is an essential skill in 21st-century, without which success in the modern world and in the future is simply unimaginable. Is it possible to teach critical thinking? -yes, it is possible. In the process of learning and even after graduation, you are expected to think critically, read and write, express your own thoughts and ideas. Therefore, teaching this competence is most beneficial. Therefore, our goal is to establish effective strategies for developing critical thinking methods and assessment tools that will enable students to develop critical, creative, and reflective thinking.

The research presented in the article is based on critical thinking skill development framework, which describes critical thinking with core elements: knowledge construction, evaluating reasoning and decision making. The survey was conducted at Tbilisi Open University in April 2021 among bachelor students. Its aim was to identify how well our students identify the knowledge requirements necessary to solve a problem, understand an issue or answer a question; if they can selectively apply the most pertinent criteria to evaluate sources of information depending on the information needed; how well they manage to identify logical patterns and subtle connections within and across data and information from a range of sources.

**Key words: critical thinking, analyze, argumentative reasoning**

რეცენზენტი: ლ. კიროვა

## ფსიქოლოგია Psychology

### მოსწავლის სოციალურ-ემოციური განვითარების მნიშვნელობა

იაგორ ბალანჩივაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სალომე ბზიკაძე

ქართულ-ამერიკული სკოლის “პროგრესი“ მასწავლებელი

e-mail:iagor.balanchivadze@atsu.edu.ge

სტატიაში საუბარია მოსწავლის სოციალურ-ემოციური განვითარების მნიშვნელობაზე, რომელიც ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას მოიცავს. მასწავლებელსა და ბავშვებს შორის დადებითი ურთიერთობები სწავლისა და განვითარების მყარ საფუძველს ქმნის. შესაბამისად, მასწავლებელი ზრუნავს მოსწავლეებს ჩამოყალიბდეს მათთან დადებითი მიჯაჭვულობა, შექმნას ემოციურად უსაფრთხო, შეფასებებისგან თავისუფალი გარემო, რაც სწავლისა და კვლევის მნიშვნელოვანი პირობაა და დაეხმარება ბავშვებს საკუთარ თავზე, შესაძლებლობებზე და კომპეტენციებზე სწორი, დადებითი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში. რაზეც მასწავლებელი, პირველ რიგში, ბავშვებთან ურთიერთობისას უნდა ზრუნავდეს. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა ემოციური კეთილდღეობა, შემდგომ უკვე სწავლა და განვითარება, ძირითადად უფროსებთან ურთიერთობით არის განპირობებული.

ბავშვების უმეტესობას, სოციალური და ემოციური კომპეტენციის გასაზრდელად, მხარდამჭერი და მიზანმიმართული სასწავლო გარემო სჭირდება. ბავშვები დიდ დროს ატარებენ სკოლებში, რაც მასწავლებლებს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს, დაეხმარონ მათ, გახდნენ ემოციურად და სოციალურად კომპეტენტურები.



ჯგუფში დადებით ემოციურ ატმოსფეროს ქმნის პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობა, თითოეული ბავშვის მიმღებლობა. უფროსის მხრიდან ბავშვის მიმართ ყურადღებასა და გულისყურით მოსმენაში ვლინდება. სოციალურ-ემოციური უნარები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პიროვნების სწორად განვითარებისთვის და მათ გარემოსთან ურთიერთობისთვის. ბავშვებს ყველაზე მეტად სჭირდებათ აღიარება და მიკუთვნებულობის განცდა. უგულვებელყოფილი ბავშვი თავს ისე გრძნობს, თითქოს ვერ ამჩნევენ. ხშირად ცუდი ქცევა იმის მცდელობაა, რომ როგორღაც შეამჩნიონ. ბავშვი, რომელსაც უფროსთან მიჯაჭვულობა არა აქვს, თანდათან გაუცხოებული, დაუმორჩილებელი ან გარიყული შეიძლება გახდეს.

ემოციური უნარების სასწავლო პროგრამების შემუშავება შესაძლებელია სტრუქტურირებული ან ნახევრად სტრუქტურირებული გზით. ამ უკანასკნელში უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს გზა დაუთმოს იმპროვიზაციას, რომ შეძლონ მუშაობა თითოეული სიტუაციისა და კონკრეტულად ადამიანისთვის.

დადებით სოციალურ-ემოციურ გარემოში ყველა თავს გრძნობს ჯგუფის წევრად. განსხვავებული აზრი, მრავალგვარობა პატივცემულია. არსებობს ემოციური კავშირი (მიჯაჭვულობა) უფროსებთან. ბავშვებს ყავთ მეგობრები ჯგუფში. თამაშობენ ჯგუფში, კონფლიქტებს წყვეტენ მოლაპარაკებების გზით. ასეთ გარემოში თითოეული ბავშვი თავს ემოციურად უსაფრთხოდ გრძნობს, რაც ხელს უწყობს მისი პოტენციის მაქსიმალურ გამოვლენას.

სოციალურ-ემოციური სწავლება გულისხმობს ისეთი უნარების განვითარებას, რაც გადამწყვეტია ემოციების გაცნობიერებასა და მართვაში, ურთიერთობებში, ინტერპერსონალური პრობლემების გადაჭრასა და სოციალურად ეფექტური და ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. ასე რომ, რაც უფრო მეტად იმუშავებენ მასწავლებლები სოციალურ-ემოციურ უნარებზე, მით უფრო მალე განვითარდებიან მოსწავლეები და გამოიყენებენ ცხოვრებაში, მოსწავლეები შეძლებენ ემოციების მართვას და ეფექტურად პრობლემების მოგვარებას.

**საკვანძო სიტყვები:** მოსწავლის პიროვნული თვისებები, პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობა

საჯარო სკოლის მასწავლებლებისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეების სოციალურ-ემოციური უნარების განვითარება, რომელიც მოსწავლის შემეცნების (აზროვნების,

კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ეტაპობრივად მიიმდინარეობს. სოციალურ-ემოციური განვითარება უზრუნველყოფს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. ემოციური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, შეძლოს საკუთარი გრძნობების გაგება და გამოხატვა, სხვათა გრძნობების გაგება (თანაგრძნობა) და სათანადოდ რეაგირება. სოციალურ-ემოციური განვითარებისათვის, მასწავლებლების ერთ-ერთი უმთავრესი პასუხისმგებლობა არის დადებითი სოციალური და ემოციური გარემოს შექმნა, რომელიც გულისხმობს ემოციური კომპეტენციების მიზანმიმართულ განვითარებას.

მასწავლებელსა და ბავშვებს შორის დადებითი ურთიერთობები სწავლისა და განვითარების მყარ საფუძველს ქმნის. შესაბამისად, მასწავლებელი ზრუნავს მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეს მასთან დადებითი მიჯაჭვულობა, შექმნას ემოციურად უსაფრთხო, შეფასებებისგან თავისუფალი გარემო, რაც სწავლისა და კვლევის მნიშვნელოვანი პირობაა და დაეხმარება ბავშვებს საკუთარ თავზე, შესაძლებლობებზე და კომპეტენციებზე სწორი, დადებითი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში. რაზეც მასწავლებელი, პირველ რიგში, ბავშვებთან ურთიერთობისას უნდა ზრუნავდეს. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა ემოციური კეთილდღეობა, შემდგომ უკვე სწავლა და განვითარება, ძირითადად უფროსებთან ურთიერთობით არის განპირობებული.

ბავშვების უმეტესობას, სოციალური და ემოციური კომპეტენციის გასაზრდელად, მხარდამჭერი და მიზანმიმართული სასწავლო გარემო სჭირდება. ბავშვები დიდ დროს ატარებენ სკოლებში, რაც მასწავლებლებს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს, დაეხმარონ მათ, გახდნენ ემოციურად და სოციალურად კომპეტენტურები. ბავშვების სოციალური ურთიერთობების მართვა და ემოციური განვითარება უფროსის ქცევით, დამოკიდებულებებით, ქმედებებითა და სიტყვებით არის შესაძლებელი. თუმცა, დაწყებით საფეხურზე ბავშვები თანატოლებთან ურთიერთობით კიდევ უფრო მეტს სწავლობენ.

ბავშვი, როგორც სოციალური არსება, ადრეული ასაკიდანვე ამჟღავნებს ადამიანებთან ურთიერთობის სურვილს. ის აკვირდება უფროსს, რომელიც უვლის, ყურს უგდებს, ცდილობს შეეხოს, უღიმის. გამოხატავს სიხარულს, როცა ახლობელ ადამიანს ხედავს და იწყენს, როცა ის მიდის. წინასასკოლო ასაკში ბავშვებს უკვე მრავალფეროვანი ურთიერთობები

აქვთ ერთმანეთთან. ისინი მეგობრობენ, ჩხუბობენ, რიგდებიან, სწყინთ, ეჭვიანობენ და ასევე ეხმარებიან ერთმანეთს. ბავშვები ამ ურთიერთობებს ძალიან მძაფრად განიცდიან და განსხვავებული გრძნობები ეუფლებათ. ამ ასაკში მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ბავშვის შემდგომ ურთიერთობებზე და დამოკიდებულებებზე სამყაროს მიმართ. ამიტომ, ამ სფეროს განვითარებას კრიტიკული როლი ენიჭება ბავშვის პიროვნული ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობა, თითოეული ბავშვის მიმღებლობა, დადებით ემოციურ ატმოსფეროს ქმნის ჯგუფში. ბავშვებს ყველაზე მეტად სჭირდებათ ყურადღება, აღიარება და მიკუთვნებულობის განცდა. უგულვებელყოფილი ბავშვი თავს ისე გრძნობს, თითქოს ვერ ამჩნევენ. ხშირად ცუდი ქცევა იმის მცდელობაა, რომ როგორღაც შეამჩნიონ. ბავშვი, რომელსაც უფროსთან მიჯაჭვულობა არა აქვს, თანდათან გაუცხოებული, დაუმორჩილებელი ან გარიყული შეიძლება გახდეს. რაც უფრო დარწმუნებულია ბავშვი, რომ ჯგუფის წევრად აღიარებენ, მით უფრო თავდაჯერებული და კომუნიკაბელურია. ბავშვის მიღწევების, ინტერესების, შესაძლებლობების და ძლიერი მხარეების ცოდნა მნიშვნელოვანია, ხოლო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი - თითოეულ ბავშვთან ამაზე საუბარი, ხშირი აღნიშვნა და უკუკავშირია. ბავშვებთან ყოველდღიური ურთიერთობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს საერთო ინსტრუქციებით და მითითებებით. თუნდაც ძალიან მცირეხნიანი, ყოველდღიური ინდივიდუალური ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია. უფროსის მხრიდან ბავშვის მიმართ ყურადღება და აღიარება, გულისყურით მოსმენაში ვლინდება.

უფროსი ბავშვს ყურადღებით უსმენს, თუ:

- ამყარებს თვალთ კონტაქტს;
- საუბრისას იყენებს არავერბალურ შესტებს: შესაბამის დროს თავს უქნევს, უღიმის, ეხება;
- სათანადო რეაგირებით სტიმულს აძლევს ბავშვს, განაგრძოს საუბარი;
- მოთმინებით ელოდება ბავშვს, დაასრულოს სათქმელი; არ ერევა საუბარში და მის ნაცვლად არ ასრულებს წინადადებას.

როცა უფროსები ბავშვებს აქტიურად, გულისყურით უსმენენ, ბავშვებს თავდაჯერებულობა ემატებათ - ისინი იმდენად მნიშვნელოვანი ადამიანები არიან, რომ უფროსები მათ უსმენენ. ასეთი მაგალითები ბავშვებს სხვების მოსმენას ასწავლის. უფროსს კი

ეხმარება, გაიგონოს, გაიგოს და ადეკვატური რეაგირება მოახდინოს ბავშვების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე. პოზიტიური კომუნიკაცია არ გამორიცხავს უფროსის მხრიდან სიმტკიცეს და სწორ რეაგირებას არასასურველი ქცევის მიმართ.

სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი გარემოა განათლება, რადგან ეს გულისხმობს სოციალიზაციის გზით საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის განვითარებას, რომლის საშუალებითაც თითოეული სუბიექტი, სხვებთან ურთიერთობის საშუალებით, ავითარებს განცდის, აზროვნების და მოქმედების სხვადასხვა გზებს, რაც აუცილებელია საზოგადოებაში სწორი მონაწილეობისთვის.

ამჟამად, განვითარებულ საზოგადოებებში ხდება უწყვეტი ცვლილებები, რაც მოითხოვს პიროვნების მუდმივ კორექტირებას. ამ მიზეზით, ძალზე მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ადაპტაციის განვითარება და სუბიექტების მოქნილობა, რათა შეძლონ საკუთარი თავის ჩამოსხმა წარმოშობილი მოთხოვნილებების შესაბამისად.

ამასთან, სკოლაში სოციალურ-ემოციური უნარ-ჩვევებისა და ემოციური ინტელექტის განვითარების ჩართვასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია, რომ შეზღუდულია რესურსები, რომლებიც სკოლაში გვაქვს, ასევე დრო, რომელსაც ბავშვები ატარებენ მასში.

უნარებზე მუშაობის ორი გზა არსებობს:

- მოერგეთ ადამიანის ან კონკრეტული ჯგუფის საჭიროებებს, პრობლემებს, რომლებიც მათ სკოლაში, სამუშაო ადგილზე, სახლში ან / და ქუჩაში აქვთ.
- ფოკუსირება მოახდინე უნარებზე, რომლებიც, სავარაუდოდ, განზოგადდება სხვა დომენებზე და, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია სხვა უნარების განვითარებისათვის.

ემოციური უნარების სასწავლო პროგრამების შემუშავება შესაძლებელია სტრუქტურირებული ან ნახევრად სტრუქტურირებული გზით. ამ უკანასკნელში უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს გზა დაუთმოს იმპროვიზაციას, რომ შეძლონ მუშაობა თითოეული სიტუაციისა და კონკრეტულად ადამიანისთვის.

რა სარგებელი მოაქვს დადებით სოციალურ და ემოციურ გარემოს? ბავშვები დაინტერესებულნი არიან გარემოთი, ურთიერთობებით, სწავლით. თავისუფლად გამოხატავენ ინტერესებს, საჭიროებებს. შეუძლიათ მოსინჯონ ახალი საქმიანობები, რადგან არ ეშინიათ შეცდომების, კრიტიკის. თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ აზრებს, დამოკიდებულებებს.

უარყოფით ემოციებს ისეთი ფორმით გამოხატავენ, რაც საფრთხეს არ უქმნის სხვის როგორც ფიზიკურ, ისე ემოციურ კეთილდღეობას.

ყველა თავს გრძნობს ჯგუფის წევრად. განსხვავებული აზრი, მრავალგვარობა პატივცემულია. არსებობს ემოციური კავშირი (მიჯაჭვულობა) უფროსებთან. ბავშვებს ყავთ მეგობრები ჯგუფში. თამაშობენ ჯგუფში, კონფლიქტებს წყვეტენ მოლაპარაკებების გზით. ასეთ გარემოში თითოეული ბავშვი თავს ემოციურად უსაფრთხოდ გრძნობს, რაც ხელს უწყობს მისი პოტენციის მაქსიმალურ გამოვლენას. სოციალურ-ემოციური უნარები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პიროვნების სწორად განვითარებისთვის და მათ გარემოსთან ურთიერთობისთვის. ამ ინსტრუმენტების წყალობით:

- ემოციების უკეთესი კონტროლი შესაძლებელია. ეს მიიჩნევა, რომ ემოციური რეაქციები არ არის გამოწვეული (მაგ. შფოთვა) ან დეაქტივირებული (დეპრესია).
- ემოციების კარგი კონტროლით, გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება პასუხისმგებლობით, რისკის შემცველი ქცევის თავიდან ასაცილებლად. გარდა ამისა, ეს ხელს უწყობს მიზნების ყურადღების კონცენტრირებას.
- ეს ხელს უწყობს სოციალური გარემოს გამდიდრებას, უფრო მდიდარი და ჯანმრთელი. ამას აქვს ძალიან პოზიტიური შედეგები, როგორცაა უკეთესი აკადემიური და პროფესიული წარმატება, აგრეთვე მანკიერების (ნარკოტიკების) შემცირების ან ნეგატიური ქცევის (ძალადობის) შანსების შემცირება.
- აუმჯობესებს თვითშეფასებას და ნდობას, რაც იწვევს ნაკლებ ემოციურ სტრესს.
- იწვევს კეთილდღეობას.

**დაგეხმარებათ ხელი შეუწყობს ბავშვის სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას:**

**იყავით მგრძნობიარე და თბილი** - სთხოვეთ ბავშვს ისაუბროს თავის გრძნობებზე.

მოუსმინეთ ყურადღებით და გამოხატეთ თანაგრძნობა.

**იყავით ზომიერად მკაცრი** - წაახალისეთ, დააჯილდოვეთ მისი კარგი ქცევა, არასასურველი ქცევის დროს კი მიუთითეთ ცუდ ქცევაზე.

**იზრუნეთ მის თვითშეფასებაზე** - დაეხმარეთ ბავშვს დაინახოს თავისი ძლიერი მხარეები.

**მიეცით სხვა ბავშვებთან თამაშის შესაძლებლობა** - თანატოლებთან თამაშისას ბავშვი სწავლობს მნიშვნელოვან სოციალურ უნარებს, გაზიარებას, რიგის დაცვას, თანამშრომლობას, თამაშის წესების დაცვას.

**გაკეთებინეთ არჩევანი** - პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ბავშვს ჰქონდეს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მისი ასაკის გათვალისწინებით.

**დაეხმარეთ ბავშვს მართოს თავისი გრძნობები** - აჩვენეთ დადებითი მაგალითი ემოციების მართვისას. საკუთარ მაგალითზე აჩვენეთ როგორ მართოს გრძნობები.

სოციალურ-ემოციური სწავლება გულისხმობს ისეთი უნარების განვითარებას, რაც გადამწყვეტია ემოციების გაცნობიერებასა და მართვაში, ურთიერთობებში, ინტერპერსონალური პრობლემების გადაჭრასა და სოციალურად ეფექტური და ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. ასე რომ, რაც უფრო მეტად იმუშავებენ მასწავლებლები სოციალურ-ემოციურ უნარებზე, მით უფრო მალე განვითარდებიან მოსწავლეები და გამოიყენებენ ცხოვრებაში, მოსწავლეები შეძლებენ ჩვენი ემოციების მართვას და ეფექტურად პრობლემების მოგვარებას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. მილერი, დ. ფ. (2004) ბავშვის პოზიტიური გაძღოლა. (Miller, D.F., (2004). *Positive Child Guidance*. 4<sup>th</sup> edition, *Thomson Delmar Learning*).
2. Riley, D., San Juan, R., Klinker, S., & Ramminger A., (2008). *Social and Emotional Development – Connecting Science and Practice in Early Childhood Settings*, Redleaf Press
3. Kaiser, B., (2007). *Challenging Behavior in young children – understanding, preventing and responding effectively*. 3<sup>rd</sup> edition, Pearson.

**Iagor Balanchivadze, Salome Bzikadze**

Akaki Tsereteli State University

#### **The Importance of pupils social-emotional development**

##### Abstract

The article discusses the importance of the pupil's social-emotional development, which includes the formation of the child's personal qualities and relationships with people. Positive relationships between teacher and pupil form a solid foundation for learning and development.

The teacher takes care of the pupils to form a positive attitude with him, to create an emotionally safe, evaluation-free environment, which is an important condition for learning and research, and to help them form correct, positive perceptions of themselves, their abilities and competencies.

The emotional well-being of pupils at the elementary level, then further learning and development, is mainly conditioned by the relationship with the adults.

A positive emotional atmosphere in the group is created by a relationship based on respect, the acceptance of each pupil. It is manifested in the attention and attention of the adult towards the pupil. Social-emotional skills are vital for the proper development of a person and their relationship to the environment. Children need recognition and a sense of belonging the most. The neglected pupil feels as if they are not being noticed. Often bad behavior is an attempt to somehow notice. A pupil who has no attachment to an adult may gradually become alienated, disobedient, or excluded.

Emotional skills training programs can be developed in a structured or semi-structured way. In a positive social-emotional environment, everyone feels like a member of the group. Contrary to popular belief, diversity is respected. There is an emotional connection with the elders. Pupils have friends in the group. Play in a group, resolve conflicts through negotiation.

The more teachers work on social-emotional skills, the sooner pupils develop and apply it in life, pupils will be able to manage emotions and solve problems effectively.

**Key words:** pupils personality traits, relationship based on respect

რეცენზენტი: პროფესორი ტ. ხოლუმენკო

კულტუროლოგია Cultural Studies

## კულტურისა და კულტურის პოლიტიკის დეფინიციათა დინამიკა

ვაჟა შატბერაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: vshatberashvili@yahoo.com

სტატიის მიზანია, კულტურის პოლიტიკის დეფინიციის არამდგრადობის წარმოჩენა მისი დინამიკური, პოზიტიური განვითარების თვალსაზრისით. ამისათვის, უპირველესად, მიმოხილულ იქნა კულტურის პოლიტიკასთან დაკავშირებული კულტურის ცნების შინაარსის, მისი დეფინიციის ცვლილებათა ისტორიული გზა დღევანდლამდე, რათა ამით გვეჩვენებინა კულტურის პოლიასპექტურობა როგორც ერთ-ერთი განმაპირობებელი კულტურის პოლიტიკის სირთულისა. სტატიაში მიმოხილულია თავად კულტურის მართვის ისტორიული, ჩანასახოვანი ფორმებიც, ვიდრე, კაცობრიობის განვითარებისთვის კულტურის მნიშვნელობიდან გამომდინარე, XX საუკუნის II ნახევრიდან კულტურის პოლიტიკა საერთაშორისოდ არ იქნა აღიარებული სახელმწიფოთა მიერ კულტურის მართვის აუცილებელ მექანიზმად. ზემოთ აღნიშნულის დემონსტრირებისათვის კი სტატიაში მოხმობილია კულტურისა და კულტურის პოლიტიკისადმი მიძღვნილი როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე ნაშრომები.

**საკვანძო სიტყვები:** კულტურა, პოლიტიკა, კულტურის პოლიტიკა, დეფინიცია, დეფინიციათა დინამიკა.

კულტურის შინაარსმა და, შესაბამისად, მისმა დეფინიციამ განვითარების რთული გზა განვლო. დღევანდელი მნიშვნელობის მიღებამდე ეტიმოლოგიურ ცვლილებასთან ერთად იცვლებოდა სიტყვა კულტურის თეორიული რეფლექსიაც. ეს კი, უწინარესად, განპირობებულია



კულტურის პოლიასპექტურობით, ასევე მისი კონსერვატორული და ერთდროულად არამდგრადი, ანუ განვითარებადი, დინამიკური ბუნებით, რაც კულტურის ბევრი დეფინიციის არსებობის ერთ-ერთ პირობად იქცა. სიტყვა კულტურა (cultura) ლათინურია და მომდინარეობს სიტყვიდან-colere, რაც სხვადასხვა დროს ნიშნავდა კულტივირებას, დამუშავებას, მოვლას, პატივისცემას, მფარველობასა და ა.შ. პირველად სიტყვა კულტურა გაჩნდა ძველრომაელი მწერლის, მარკუს კატონ უფროსის (ძვ.წ. 234-149 წწ.), ტრაქტატში „სოფლის მეურნეობის შესახებ“ („De Agri Cultura“). მასში იგულისხმებოდა მიწის დამუშავება, ანუ მისადმი კულტურული, ადამიანური, სულიერი დამოკიდებულება, ადამიანის ზემოქმედების შედეგად მისი გაუკეთესება. კულტურის კატონისეულ ამ თავდაპირველ დეფინიციამ ადამიანი უკვე მოიაზრება ბიოსოციალურ, მაღალსულიერ და ინტელექტუალურ არსებად, რადგან მხოლოდ მას ძალუმს მიწის დამუშავება, ანუ მხოლოდ მისი ხვედრია იყოს კულტურული, სხვანაირად, შემომქმედი. რომაელმა ფილოსოფოსმა მარკუს ტულიუს ციცერონმა (ძვ.წ.106-43 წწ.) თავის ტრაქტატში-„ტუსკულანური საუბრები“ (“Tusculanae Disputationes”) გამოიყენა სიტყვა კულტურა სიტყვაშეთანხმებაში-cultura animi-სულის დამუშავება, აღზრდა. სწორედ მას უკავშირდება ამ სიტყვის ამგვარი მნიშვნელობით შემოტანა სამეცნიერო მიმოქცევაში. ციცერონმა კულტურა დაუკავშირა ადამიანის გონებრივ-სულიერ განვითარებას, ანუ მას ახალი ეტიმოლოგიური დატვირთვა შესძინა და მიიჩნია ის ადამიანის სულიერი უნარ-ჩვევების გაუკეთესებად, აღზრდად, ე.ი. ჯერ კიდევ ციცერონთან ადამიანის კულტურულ ქმედებას უკვე ახლდა ადამიანისავე თვითგანვითარების გაგება. თუმცა, კულტურა კატონ/ციცერონისა და შემდგომ მთელი ანტიკური სამყაროს მიერ არსებითად მაინც განიმართებოდა როგორც ქმედება სხვა ობიექტის გარდასაქმნელად და ჯერ არ მოიაზრებოდა დამოუკიდებელ ფენომენად, რაც თითქმის შეუცვლელად იმემკვიდრა შუა საუკუნეებმა. აღორძინების ეპოქის მოაზროვნენი კი სიტყვა კულტურაში გულისხმობდნენ ადამიანის ჰარმონიულ განვითარებასა და მხოლოდ მისთვის სახასიათო შემოქმედებით საწყისს. ინგლისელ ფილოსოფოსსა და პოლიტიკოს ფრ. ბეკონისთვისაც (1573-1626) ადამიანია კულტურის შემოქმედი; კულტურა ადამიანისა და ბუნების ურთიერთმოქმედების, უფრო სწორად, ადამიანის მიერ ბუნებაზე „გაბატონების“ შედეგია, მისი ძირითადი ელემენტები- ხელოვნება და მეცნიერება კი საშუალებებია ბუნების ძალთა დასამორჩილებლად; ინგლისელმა ფილოსოფოსმა თ. ჰობსმა (1588-1679) განავითარა აზრი, რომ სახელმწიფოა კულტურის ძირითადი ელემენტი, ამიტომ მისი ისტორია შეიძლება განვიხილოთ კულტურის ისტორიად. ამასთან, კულტურად მას მიაჩნდა ის, რაც შექმნილია ადამიანის მიერ, ე.ი. ხელოვნურია და განსხვავებულია ბუნებით მოცემულისაგან. სიტყვა კულტურა თავისთავადი მნიშვნელობით პირველად გაჩნდა გერმანელი იურისტისა და ისტორიკოსის, ს. პუფენდორფის (1632-1694), შრომებში. მან ეს ტერმინი გამოიყენა არა

თავად პროცესის, არამედ ადამიანურ ქმედებათა შედეგის აღსანიშნავად. ის თვლიდა, რომ ადამიანს ხელეწიფება მყოფობდეს ორ მდგომარეობაში: ბუნებრივსა (ადამიანის ევოლუციის უდაბლესი საფეხური) და ხელოვნურში, ანუ კულტურული განვითარების მაღალ [12:123-125] საფეხურზე. ასე რომ, ს. პუფენდორფი გაცდა კულტურის მნიშვნელობასთან დაკავშირებით მანამდე არსებულ ტრადიციულ შეხედულებათა ჩარჩოებს და კულტურა მოიაზრა როგორც თავისთავად არსებული ფენომენი [9:76]. XVIII საუკუნეში ევროპაში აზროვნების ახალი პარადიგმა იმკვიდრებს ფეხს, რომელიც ემყარება სუბიექტის აქტივობის პრინციპს. უკვე ადამიანი მიიჩნევა საკუთარი ყოფიერების დამდგენად. ამ დროს რაციონალიზმი, გონება და მეცნიერება უპირველესად იქნა აღიარებული. ამიტომაც გაიზარდა ყოველივე ამის შემომქმედი ადამიანისა და მისი შესაძლებლობების რწმენაც. ეს არ იყო შეხედულებათა რევიზია, ეს იყო ახალი იდეოლოგია, აზროვნებითი სისტემა, რომელმაც აქტუალური გახადა ადამიანის ცხოვრების სპეციფიკისა და ყოფის თავისებურების ახსნის პრობლემა. ამ მიზნით განმანათლებლები გაცილებით აქტიურად შეუდგნენ ტერმინ culture-კულტურის გამოყენებას საპირისპიროდ natural-ისა, ანუ ბუნებრივისა. გონების კულტი ხდება კულტურის სინონიმი. ადამიანთან დაკავშირებით სიტყვა კულტურის ფილოსოფიური და სამეცნიერო მნიშვნელობით პირველი გამოყენება უკავშირდება გერმანელ მეცნიერს, ი.კ. ადელუნგს (1732-1806). განმანათლებელთა შეხედულებების კვალად, მან კულტურად განსაზღვრა ადამიანის ქმედება, მიმართული თავისი და ერის უნარ-ჩვევებისა და ნიჭის გაკეთილშობილებისაკენ, თვითგანვითარებისაკენ. კულტურა მის მიერ მიჩნეულ იქნა ერთ მთლიან მოვლენად, რომელიც აერთიანებდა სხვადასხვა შემადგენელს [18], რაც, ჩვენი აზრით, ფაქტობრივად, ტოლფასია კულტურის პოლიასპექტური ბუნების აღიარებისა, რასაც განსაკუთრებით გაესვა ხაზი კულტურის თანამედროვე მკვლევრების შრომებში. კულტურის ისტორიკოსი გერმანელი ი.გ. ჰერდერი (1744-1803) თვლიდა, რომ კულტურაა ის, რასაც ადამიანი აკეთებს ჰუმანურობის გზაზე, ის ევოლუციის ბოლო რგოლია, რითაც ადამიანი განსხვავდება ცხოველისგან, ანუ მის მიერ კულტურად მიიჩნეოდა: ენა, სახელმწიფო, ოჯახური ურთიერთობანი, რელიგია, ხელოვნება და მეცნიერება [4:76]. დიდ გერმანელ ფილოსოფოს ემ. კანტს (1724-1804) კულტურის ცნებაში აუცილებელ ელემენტად შემოაქვს ზნეობა: მისთვის კულტურული ადამიანი ზნეობრივი ადამიანია, ადამიანს ზნეობრივი იმპერატივისა და კულტურის მეშვეობით შეუძლია იყოს თავისუფალი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანური სამყარო არის ჭეშმარიტად თავისუფალი, ანუ კულტურული სამყაროა. კანტი, ფართო გაგებით, კულტურად მიიჩნევს ყველაფერს, ადამიანის მიერ შექმნილს; თუ შეიძლება ითქვას, ვიწრო გაგებით კი მისთვის კულტურა ადამიანის მორალური განვითარების პროცესია. მორალური,

თავისუფალი ადამიანისა და საზოგადოების იდეა მას მიაჩნია კულტურის უმაღლეს გამოვლინებად [19].

XVIII საუკუნის II ნახევრიდან და შემდგომ, როგორც აღინიშნა, სიტყვა კულტურა უკვე გულისხმობდა, ადამიანის მიერ შექმნილ ხელოვნურ სამყაროს, ანუ მისი მატერიალური და სულიერი განვითარებით შექმნილ კულტურულ ღირებულებას, მისი გამოვლინების სხვადასხვა ფორმას - ყოფითობას, რელიგიას, სამართალს, ფილოსოფიას, ხელოვნებასა და ა.შ. [1:97]. კულტურის განსხვავებული დეფინირება განსაკუთრებით თანამედროვე მეცნიერთა კვლევის საგნად იქცა. მათი ნაწილის მიერ ხაზგასმულია კულტურის ზუსტი განსაზღვრის შეუძლებლობა, რისი დემონსტრირებაც, მაგალითად, ასეთი ფრაზაც: „ო, კულტურა, სად ხარ შენ?“ [10:11]. ამ ფრაზის ავტორებთან დაფიქსირებული, კულტურის „ძებნა“ მის მრავალფეროვნებასთან ერთად მის არამდგრად, დინამიკურ შინაარსაც გულისხმობს. ჯ.ს. კრეიკი ერთი შეხედვით, მიუღებელ აზრსაც ავითარებს, რომ კულტურა არსებითად სადავო კონცეფციაა, რის გამოც ის შეიძლება მრავალნაირად განიმარტოს [7:33], ჩვენი მხრიდან კი დავამატებდით, უმთავრესად მაინც, მისი პოლიასპექტური და განვითარებადი ბუნების გამო. ვ. სიმიანოვსკასეული დეფინიციაც, უპირველესად, სწორედ კულტურის პოლიასპექტურობის ხაზგასმას, რადგან მას მიჩნია, რომ კულტურა მოიცავს ადამიანის შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნილ საშემსრულებლო და ვიზუალურ ხელოვნებას, არქიტექტურას, ბიბლიოთეკებს, მუზეუმებს, სპორტს, ფესტივალებს, კინოს, ბეჭდვითსა და სამაუწყებლო მედიას, ახალგაზრდების განათლებას, კულტურულ აქტივობებს, პარკებსა და ბაღებს, ტრადიციულსა და უმცირესობათა კულტურას, ციფრულ მედიას, მოდას, კომერციულ დიზაინს, ისტორიული შენობებსა და ლანდშაფტებს, საკვებს, ფოლკლორულ ცეკვას, მუსიკასა და სხვას [11:11]. ამერიკელ მკვლევრებს, ჰ.ჰ. ჩარტენდსა და ვ. მაკკოისაც, კულტურად, უფრო სწორად, კულტურის ნაწილად მიაჩნიათ ხელოვნება, მათ შორის, არქიტექტურა, რეწვა, მოდა, მემკვიდრეობა, მულტიკულტურიზმი და ოფიციალური ენები... [13:47]. ეს შეხედულებები გარკვეულად ემთხვევა კულტურის თანამედროვე დეფინიციას, რომელიც დაფიქსირებულია UNESCO-ს მიერ 1982 წელს მეხიკოში მიღებულ კულტურის პოლიტიკის საერთაშორისო დეკლარაციაში: *„კულტურა წარმოადგენს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სულიერი, მატერიალური, ინტელექტუალური და ემოციური თვისებების სრულ კომპლექსს, რომელიც ახასიათებს საზოგადოებას ან სოციალურ ჯგუფს და ხელოვნებასა და ლიტერატურასთან ერთად მოიცავს ადამიანთა ცხოვრების წესს, ფუნდამენტურ უფლებებს, ღირებულებათა სისტემას, ტრადიციებსა და მსოფლმხედველობას...“* [14:15]. 2016 წლის ევროკომისიისა და ევროკავშირის ერთობლივ კომუნიკეში ასევე ვკითხულობთ: *„...კულტურა არ არის მხოლოდ ხელოვნება ან ლიტერატურა. ის მოიცავს პოლიტიკისა და საქმიანობის ფართო სპექტრს,*

*კულტურათაშორისი დიალოგიდან ტურიზმამდე, განათლება და მეცნიერებიდან შემოქმედებით ინდუსტრიამდე, მემკვიდრეობის დაცვიდან შემოქმედებითი ინდუსტრიებისა და ახალი ტექნოლოგიების ხელშეწყობამდე და ტრადიციული რეწვიდან თანამშრომლობის განვითარებამდე...“ [15:4].*

ამ მცირე ეტიმოლოგიური ექსკურსიდანაც ჩანს, რომ მარკუს კატონ უფროსის (ძვ.წ. 234-149 წწ.) დროიდან თანდათან გაფართოვდა კულტურის ცნების შინაარსი, მისდა კვალად შეიცვალა მისი დეფინიციებიც. მიუხედავად ამისა, სანიმუშოდ აქ მოხმობილ კულტურის უმრავლეს დეფინიციასში ის მიჩნეულია შედეგად ადამიანის მრავალდარგოვანი შემოქმედებითი შრომისა, ადამიანურ ღირებულებათა სისტემად, ერთგვარ რთულ კონსტრუქციად. ეს, ცხადია, ართულებს კულტურის კვლევასა და კულტურის სფეროს სისტემურ მართვას. ეს უკანასკნელი ფუნქცია კი ეკისრება კულტურის პოლიტიკას, რომლის აუცილებლობა და საჭიროება განსაკუთრებით აქტუალური XX საუკუნიდან გახდა. კერძოდ, კულტურის პოლიტიკის პირველი დეფინიცია საერთაშორისო სივრცეში უკავშირდება UNESCO-ს დოკუმენტს-„კულტურის პოლიტიკა-წინასწარი კვლევა“ (1969 წ.), სადაც ჩაიწერა: „*კულტურის პოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული საოპერაციო საქმიანობის პრინციპების, ადმინისტრაციული და საბიუჯეტო ინსტრუქციებისა და პროცედურების ერთობლიობას, რომელიც ქმნის კულტურის სფეროში მოღვაწეობის საფუძველს. არ არსებობს კულტურის პოლიტიკის ერთი მოდელი, რომელიც შეესაბამება ყველა ქვეყანას. კულტურული ღირებულებების მიხედვით, თითოეული წევრი-სახელმწიფო განსაზღვრავს კულტურის პოლიტიკას, აყალიბებს მიზნებს და აკეთებს არჩევანს“* [16:7]. ამ დოკუმენტში, ფაქტობრივად, კულტურის პოლიტიკა სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად პირველად იქნა გამოცხადებული, ანუ ითქვა, რომ კულტურის სფეროს მართვისთვის სახელმწიფოებმა უნდა განახორციელოს სხვადასხვა (ფინანსური, ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული და სხვ.) ხელშემწყობი ქმედებანი. თუმცა, XX საუკუნეში კულტურის პოლიტიკის სავალდებულოდ აღიარებამდე კაცობრიობას უკვე ჰქონდა კულტურული პროცესების მართვის გარკვეული გამოცდილება, ანუ შეიძლება ითქვას, რომ კულტურის პოლიტიკის ერთგვარი ჩასახოვანი ფორმა ადრეც არსებობდა. მართალია, იგი დეკლარირებულ-დოკუმენტირებული არ იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ წარსულში კულტურის სფეროში გარკვეული სახელმწიფოებრივი ხედვა საერთოდ არ არსებობდა. ამასთან დაკავშირებით, კულტურის პოლიტიკის მკვლევრების, მ. სამინგსისა და რ. კატცის, მართებული შენიშვნით, „ათენიდან მოყოლებული“ სახელმწიფოთა მმართველები პირადი სიამოვნებისა და განდიდებისთვის ხელოვანთ უკვეთავდნენ სხვადასხვა სახის ხელოვნების ნიმუშებს, ასევე, იგებოდა სახელმწიფო შენობები, იქმნებოდა კულტურული საგანძური... [6:5]. ინსტიტუციურ

დონეზე მფარველთა არსებობა სახასიათოა შემდეგდროინდელი მსოფლიოსთვისაც. გამორჩეულია ქრისტიანულ სამყაროში კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში მეცენატ-ქტიტორთა ინსტიტუტის უდიდესი როლი. უფრო მეტიც, რენესანსის პერიოდიდან XX საუკუნის დასაწყისამდე კულტურის მფარველობა მონარქების, საეკლესიო პირებისა თუ ვაჭრების გემოვნებისა და ცნობიერების ერგვარ მანიფესტაციად იქცა. რომ არა მათი მორალურ-ფინანსური შემწეობა, კაცობრიობა გაცილებით ღარიბი იქნებოდა კულტურის განვითარების თვალსაზრისით. მკვლევარ კ.ვ. მულკაისაც ეჭვგარეშედ მიაჩნია, რომ თვითგანდიდების ან ეროვნულის განდიდების სურვილმა აქ დიდი როლი შეასრულა. მაგალითად მოჰყავს ლუი XIV-ის (1638-1715) მეფობა, როცა ვერსალი ასახავდა თავად მეფე მზის პირად სიდიადეს, ასევე სახელმწიფოს სიძლიერეს, თუმცა XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის დიდი მერკანტილური მთავრებისათვისაც კულტურის პატრონაჟი ასევე წარმოადგენდა განდიდების ფორმას, რადგან ამ დროს აგებული შენობები ვიზუალურად ახდენენ „დონორთა“ პირადი სიდიადის დემონსტრირებას [8:16,17]. წარსულში ქართულ სახელმწიფოშიც მსგავსი ვითარება იყო, მაგრამ, ადგილობრივი პოლიტიკური კლიმატის ხშირი კატაკლიზმური ცვლილების გამო, სხვათაგან განსხვავებით, კულტურაზე ზრუნვა გაუტოლდა ერისა და მისი სულიერების გადარჩენაზე ზრუნვას და, შეიძლება ითქვას, სახელმწიფო იდეოლოგიის რანგშიც კი იქნა აყვანილი. ამიტომ მეფეები, დიდგვაროვანი ქტიტორები და საეკლესიო მოღვაწეები კულტურას მიიჩნევდნენ რა ერის სულიერ ხსნის გზად, ამ მიზნით საერო და სასულიერო პირების მორალურ-მატერიალურ მხარდაჭერასა და, რაც მთავარია, თანამოღვაწეობას სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამის ერთი ნათელი ილუსტრაციაა გიორგი მერჩულის თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ (951 წ.), მოცემული დიდგვაროვანი საერო პირის, გაბრიელ დაფანჩულის, შეხედულება: „აწ ჩვენ თანა არს ხორციელი კეთილი და თქვენ თანა არს სულიერი კეთილი და ესე შევზავნეთ ურთიერთას“. მისი თანამედროვე თარგმანება ასე შეიძლება: არაბთა ბატონობის ურთულეს ხანაში აუცილებელია საერო პირების მხრიდან ფინანსური შემწეობა (მეცენატობა-ქტიტორობა) სასულიერო პირების მიერ ტაო-კლარჯეთის კულტურული აღმშენებლობის სახელმწიფოებრივ საქმეში. უფრო მეტიც, ჩვენი აზრით, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების ავტორმა დაფანჩულის სიტყვების „ციტირებითა“ და მთლიანად ამ ძეგლში მეფე-დიდებულთა ანალოგიური პოზიციის წარმოჩენით, ფაქტობრივად, ტევადად მოახდინა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის დემონსტრირება კულტურის სფეროში.

კულტურის პოლიტიკის ჩანასახოვანი ფორმით არსებობის მიუხედავად, მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა მისი პირველი დეფინიცია და, რაც მთავარია, მისი მნიშვნელობის აღიარება. სწორედ ეს ქრონოლოგიური მონაკვეთი ითვლება საერთაშორისო

დონეზე სახელმწიფოთა ცხოვრებაში კულტურის პოლიტიკის დამკვიდრების დროდ. მას შემდეგ უამრავ სამეცნიერო ნაშრომში ინტენსიურად გაჩნდა კულტურის პოლიტიკის დეფინიციათა ვარიაციები, პარალელურად დაიწყო მისი ურთულესი სისტემის ასევე სისტემური კვლევა, მორფოლოგიური მდგენელების: სუბიექტის, ობიექტის, მიზნების, ამოცანების, მექანიზმების, ანალიტიკური საშუალებების, რესურსებისა და ა.შ. განსაზღვრა; კულტურის პოლიტიკის საერთაშორისო კონცეფცია-მოდელების შემუშავება და მათი გათვალისწინებით ცალკეული ქვეყნების მიერ, თავიანთი ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით, კულტურის პოლიტიკის ადგილობრივი ჩარჩო-მოდელების შემუშავება. კულტურის პოლიტიკის კვლევის ასეთი ფართო დიაპაზონის გამო, სამეცნიერო წრეებში წარმოიქმნა აზრი, რომ მისი შესწავლის დასრულება-ამოწურვა შეუძლებელია. ცხადია, ეს იწვევს მისი დეფინიცირების ცვლილებებსაც. კ.ვ. მულკაი უფრო შორს მიდის და თვლის, რომ კულტურა ილუზორული ხასიათისაა, კულტურის პოლიტიკას ცვალებადობის გამო აკლია სიცხადე [8:47]. ჩვენც მიგვაჩნია, რომ კულტურის ნებისმიერი პოლიტიკის არსის განცალკევებით, განყენებულად და, იმავდროულად, სრულყოფილად და საბოლოოდ განსაზღვრა შეუძლებელია, რამეთუ ის რთული სისტემაა, მექანიზმია, ანუ მიზეზ-შედეგობრივად დაკავშირებული სხვადასხვა მორფოლოგიური მდგენელისა და მათი განმაპირობებელი კულტურულ, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების ერთობლიობაა. ამ მხრივ ნიშანდობლივია კ. გრეის სტატიის ერთი თავის სახელდება: „რა არის კულტურის პოლიტიკა?“. მისივე პასუხის მიხედვით, კულტურის პოლიტიკა განისაზღვრება როგორც ქმედებები, რომლებსაც სახელმწიფო ახორციელებს და რომლებიც გავლენას ახდენს თავისი მოქალაქეების კულტურულ ცხოვრებაზე [3:135]. მ. დრაგიჩევიჩ შემიჩისა და ბრ. სტოიკოვიჩის შეხედულებით, კულტურის პოლიტიკა შეგნებული რეაგირებაა კულტურის სფეროში ყველა იმ საკითხზე, რომლებიც ეხება საზოგადოების კულტურულ განვითარებას [5:6]. ქართველი მკვლევრის, ქ. ახოზაძის მიერ კულტურის პოლიტიკის ფორმულირება კი ასეთია: „*კულტურის პოლიტიკა არის სახელმწიფოს ქმედება, მიმართული კულტურის, ხელოვნების სფეროსაკენ; შეგნებული ქმედება, მიღებულ იქნას მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი ყველა იმ საკითხზე, რაც საჭიროა სოციუმში კულტურის განვითარების რეგულირებისთვის... განსაზღვრავს კულტურის სფეროში არსებულ პრიორიტეტებს, გეთავაზობს მექანიზმებს მისი შესრულებისათვის*“ [2:18]. „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონში ასევე მოცემულია კულტურის პოლიტიკის დეფინიცია: „*კულტურის პოლიტიკა იმ პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობაა, რომლითაც ხელმძღვანელობს სახელმწიფო კულტურის დაცვის, განვითარებისა და გავრცელების საქმეში*“ [17]. აშკარად ჩანს, რომ კულტურის პოლიტიკის მოხმობილი (და არა მარტო ისინი) დეფინიციები მიუხედავად სხვადასხვაობისა, ერთმანეთს ემსგავსება მათში

ზოგადი ვექტორების ხაზგასმით. კულტურის პოლიტიკის რაობისა თუ როგორობის, ანუ მისი მოდელების კვლევა დღემდე გრძელდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენც მოვახდინეთ კულტურის პოლიტიკის თეორიულ-სამეცნიერო განმარტება: „*კულტურის პოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ მიღებული ნორმებისა და გადაწყვეტილებების ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრავს სფეროს ფუნქციონირების ძირითად მიმართულებებსა და ტენდენციებს/ორიენტირებს. მისი მიზანი უნდა იყოს კულტურის სფეროს საკანონმდებლო-ინსტიტუციური მოწესრიგება, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტული საზოგადოების მდგრადი განვითარებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნას*“. კულტურის პოლიტიკის ჩვენეულ დეფინიციაშიც გამოიკვეთა მისი მიზანი, რაც გამოიხატა კონკრეტული საზოგადოების, ქვეყნის სპეციფიკის შესატყვისი კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის ჩარჩო-მოდელის შემუშავების აუცილებლობაში. კულტურის პოლიტიკამ კულტურის თავისუფალი ბუნების გათვალისწინებით მხოლოდ შესაბამისი პირობები უნდა შექმნას მისი დაცვისა და განვითარებისთვის და, ასე რომ ვთქვათ, არ ჩაერიოს მის შინაარსში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კულტურის პოლიტიკის საყოველთაოდ დამკვიდრებული და აღიარებული ერთი დეფინიცია არც არსებობს და ალბათ ვერც მოხერხდება მისი ცალსახა ფორმულირება. ამას თავისი არაერთი ობიექტური მიზეზი აქვს, რომელთაგან უპირველესია პოლიასპექტური კულტურისა და მისდა შესატყვისად კულტურის პოლიტიკის განვითარებადი, დინამიკური ბუნება. მიუხედავად ამისა, აუცილებელია, რომ ნებისმიერ ქვეყანას გააჩნდეს კულტურის პოლიტიკის დოკუმენტირებული სტრატეგია, სადაც მოცემული იქნება კულტურის სფეროს განვითარების სახელმწიფო ხედვა, რომლის შემუშავება-განხორციელებაში მისი მუდმივი განახლების პერსპექტივით საერთო კონსესუსის საფუძველზე ჩართული იქნება ყველა დაინტერესებული მხარე. ამასთან, კულტურის სწორი პოლიტიკის შემუშავებისა და მისი წარმატებული იმპლემენტაციისათვის აუცილებელია კულტურის პოლიტიკის ყველა მორფოლოგიური მდგენელის გათვალისწინება. ყოველივე ეს კი საბოლოოდ იქნება გარანტი, რომ კულტურის ამგვარი პოლიტიკით შესაძლებელი გახდება კულტურული მემკვიდრეობის სათანადო დაცვა და კულტურის განვითარება, ანუ სვლა ქვეყნის უკეთესი მომავლისკენ.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახოზაძე ქ., - სახელმწიფო და კულტურის პოლიტიკა. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2018;
2. ახოზაძე ქ., - სახელმწიფო და კულტურის პოლიტიკა. მსჯელობანი და მოსაზრებანი სახელმწიფოსა და კულტურის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. გამომცემლობა „Clobeedit“. თბილისი. 2019;
3. Gray C., - Analysing Cultural Policy: incorrigibly plural or ontologically incompatible? International Journal of Cultural Policy. Vol.16, No.2. 215-230. 2010. Retrieved 15 July, 2021 from [www.researchgate.net/publication/233164964](http://www.researchgate.net/publication/233164964);
4. Гердер И.Г., - Идеи к философии истории человечества. издательство „Наука“. Москва. 1977;
5. დრაგიჩევიჩ-შეშიჩი მ., სტოიკოვიჩი ბრ., - კულტურა, მენეჯმენტი, ანიმაცია, მარკეტინგი. გამომცემლობა „კენტავრი“. თბილისი. 2007;
6. Cummings M., Katz R., - The Patron State: Government and the Arts in Europe, North America and Japan. Oxford University Press. New York. 1987;
7. Craik J.S., - Re-Visioning Arts and Cultural Policy. Current Impasses and Future Directions. ANU E Press. Canberra. 2007;
8. Mulcahy K.V., - Public Culture, Cultural Identity, Cultural Policy. Comparative Perspectives. Palgrave Macmillan. Louisiana. 2017;
9. Морозова С.В., Оржековская Л.В., Якушкина Н.В. и др., - Культурология. ч. 1. издательство „Московский государственный университет печати“. Москва. 2010;
10. Pyykkönen M., Simanainen N., Sokka S., - What about Cultural Policy? Interdisciplinary Perspectives on Culture and Politics. SoPhi 114, Minerva Kustannus Oy. Helsinki. 2009;
11. Simjanovska V., - Concepts and Models of Cultural Policy: State versus City. 2011. Retrieved 15 July, 2021 from <https://www.researchgate.net/publication/333080514>;
12. ყულიჯანიშვილი აკ., - კულტურის თეორია. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2009;
13. Chartrand H.H., McCaughey C., - The Arm's Length Principle and the Arts: An International Perspective - Past, Present and Future. Cummings Jr, M.C., Mark Davidson Schuster, J. (Eds.).Who's to pay for the Arts: The International Search for Models of Support. ACA Books. New York. 1989;



14. **Mexico City Declaration on Cultural Policies**, - World Conference on Cultural Policies (CLT/MD/1). United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO). Soregraph. Paris. 1982;
15. **Joint Communication to the European Parliament and the Council: towards an EU Strategy for International Cultural Relations**, - European Commission, High Representative of the Union for Foreign Affairs and Security Policy. 2016. Retrieved 15 July, 2021 from <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52016JC0029&from=EN>;
16. **Cultural Policy a Preliminary Study**, - United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO). Imprimerie Blanchard. Paris. 1969;
17. საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“, - 1997 წლის 12 ივნისი. მოდიფიკულია: 15 ივლისი, 2021. წყარო: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31402?publication=12>;
18. <https://dic.academic.ru/dic.nsf/bse/61722/Аделуни> - Дата доступа: 15.07.2021;
19. <https://studme.org/150701/kulturologiya/kant> - Дата доступа: 15.07.2021.

Vazha Shatberashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

### Dynamics of the Definitions of Culture and Cultural Policy

#### Abstract

The primary purpose of the article is to demonstrate non-sustainability of the definition of cultural policy in terms of its dynamic and positive development. For this very reason, within the initial phase, the historical change of the concept of culture related to the cultural policy and its essence were reconsidered. This is derived from the fact, that clarifies multidimensional understanding of culture as one of the underlying reasons for the complexity of cultural policy. The article covers historic and primitive forms of cultural management, until the time when, due to the importance of culture for the development of humanity, in the second half of the twentieth century, cultural policy has been internationally recognized by the states as an essential cultural management mechanism. Illustrating the abovementioned, the article envisages both historical as well as contemporary works dedicated to culture and cultural policy.

**Keywords:** *Culture, Policy, Cultural Policy, Definition, Dynamics of Definitions.*

რეცენზენტი: პროფესორი რ. ლორთქიფანიძე

**ევროკავშირის, ევროპული ფასეულობებისა და საქართველოს  
ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ ცნობიერების  
ამაღლების საკითხი ეთნიკურ უმცირესობებითა და დევნილებით  
დასახლებულ რეგიონებში - კავკასიის უნივერსიტეტის ჟან მონეს  
პროექტის „ევროპული სწავლების სამკუთხედის“ მაგალითზე**

**გურანდა ჭელიძე, ეკატერინე ქარდავა, ზურაბ ბრაგვაძე**

კავკასიის უნივერსიტეტი

e-mail: gchelidze@cu.edu.ge; ekardava@cu.edu.ge; zbragvadze@cu.edu.ge

საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციისა და ასოცირების პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების, ცოდნასა და მოლოდინებს ევროკავშირის, ევროინტეგრაციისა და ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცესისადმი. სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დღემდე ჩატარებული გამოკითხვების შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა სტაბილურად დადებითადაა განწყობილი ევროინტეგრაციისადმი. ინტერესი ასოცირების პროცესებისადმი დიდია, თუმცა ის არ ეფუძნება საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების სპეციფიკასა და დინამიკას. მოსახლეობა ცოდნას ძირითადად ზედაპირული ხასიათის ინფორმაციას ტელევიზიებიდან იღებს.

მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ერთ-ერთ ხერხად მიჩნეულ იქნა კავკასიის უნივერსიტეტის Erasmus+ ჟან მონეს პროექტის „ევროპული სწავლების სამკუთხედის“ (TEESS) განხორციელება და ევროპული სწავლების საუნივერსიტეტო ცოდნის გატანა საჯარო სკოლებში. პროექტის მიზანია დევნილებითა და ეთნიკური უმცირესობებითა დასახლებული რეგიონების სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებელთათვის, მათი ოჯახებისათვის ცნობიერების ამაღლება ევროპული ინტეგრაციის, ასოცირების შეთანხმებისა და DCFTA შესახებ.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული ვორქშოპები ახალციხის, მარნეულისა და თბილისის დევნილთა, ასევე ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ საჯარო სკოლებში ცხადყოფს,

რომ ინფორმაცია ევროპული ასოციირების პროცესის შესახებ საქართველოში მსმენელთა დიდი ნაწილისათვის ახალია. ინტერესი გამოიხატა როგორც მოსწავლეების, ისე მშობლებისა და მასწავლებლების მხრიდანაც. შეკითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმის პროცესში შეინიშნებოდა, რომ მათ სწორად გაიაზრეს რას ნიშნავს ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოსათვის. თუმცა მცირე ნაწილი მაინც რჩება სკეპტიკური განწყობით. სამწუხარო რეალობაა, რომლის საპასუხოდ საჭიროა შესაბამისი ღონისძიებების გატარება არა მარტო ევროპული ფასეულობებისა და საქართველო-ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვის, არამედ ეთნიკურ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერების თვალსაზრისით. პროექტის შედეგებმა ცხადჰყო, რომ სასკოლო დონეზე ევროკავშირის შესახებ მოზარდთა ცნობიერების ამაღლებისათვის საჭიროა ისტორიისა და სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე ევროპული სწავლების გააქტიურება, რასაც ხელს შეუწყობს კავკასიის უნივერსიტეტის Erasmus+ ჟან მონეს პროექტის ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანადგომით ოთხ ენაზე გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელო ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისათვის „ევროპული ასოციირების პროცესი საქართველოში“. სასურველია საპროექტო მუშაობის გააქტიურება და არაფორმალური განათლების ელემენტების შემოტანა. რაც მთავარია, სახელმწიფოს მხარდაჭერისა და სხვა ინსტიტუციების აქტიური ჩართულობა უნივერსიტეტებთან ერთად ჟან მონეს პროექტების განხორციელების პროცესში.

**საკვანძო სიტყვები:** ევროკავშირი, „ევროპული სწავლების სამკუთხედი“, ეთნიკური უმცირესებები, საჯარო სკოლები, დამხმარე სახელმძღვანელო სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისათვის.

**შესავალი.** ევროპული ინტეგრაცია საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტ-ტად 1996 წლიდან იქცა. სხვადასხვა დონეზე მიღწეული წარმატების შედეგად, საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წელს ხელი მოეწერა ასოციირების შეთანხმებასა და შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (AA/DCFTA). აღნიშნული შეთანხმებებით გათვალისწინებული ვალდებულებების იმპლემენტაცია ფუნდამენტურ ცვლილებებს მოითხოვს თითქმის ყველა სფეროში, რისთვისაც საქართველოს ფართო საზოგადოების მხრიდან სჭირდება ევროპეიზაციის მხარდაჭერა, ევროპული ფასეულობებისა და ღირებულებების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება. აუცილებელია ყველა მოქალაქემ იცოდეს ევროინტეგრაციისა და ევროპასთან ასოციირების მნიშვნელობის, პერსპექტივებისა და შესაძლებლობების შესახებ.

ევროპეიზაციის პროცესს პერმანენტულად ეწინააღმდეგება საპირისპირო იდეოლოგია, დაფუძნებული რუსული საინფორმაციო საშუალებების დეზინფორმაციულ საქმიანობაზე, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოს ევროპულ გზას. ამ კუთხით პრობლემები ექმნება ეთნიკურ უმცირესობებს, სადაც ამგვარი ინფორმაციული პოლიტიკა სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონის გამო გარკვეულ შედეგებს აღწევს. ეთნიკური უმცირესობების გარდა, რუსული ნარატივის გავლენას ასევე განიცდიან იძულებით გადაადგილებული პირები აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან.

საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციისა და ასოცირების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების, ცოდნასა და მოლოდინებს ევროკავშირის, ევროინტეგრაციისა და ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცესის მიმართ. სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ აქამდე ჩატარებული გამოკითხვების შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა სტაბილურად დადებითადაა განწყობილი ევროინტეგრაციისადმი.<sup>1</sup> ინტერესი ასოცირების პროცესებისადმი დიდია, თუმცა არსებული ცოდნა არ ეფუძნება საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების სპეციფიკასა და დინამიკას. მოსახლეობა ცოდნას ძირითადად ტელევიზიებიდან იღებს და ზედაპირული ხასიათისაა.

მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ერთ-ერთ საშუალებად მივიჩნიეთ ევროპული სწავლების საუნივერსიტეტო ცოდნის გატანა საჯარო სკოლებში კავკასიის უნივერსიტეტის Erasmus+ ჟან მონეს პროექტის „ევროპული სწავლების სამკუთხედი“ (TEESS) ფარგლებში, რომლის მიზანია, დეველოპება და ეთნიკური უმცირესობებითა დასახლებული რეგიონების სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის, მათი ოჯახებისათვის ცნობიერების ამაღლება ევროპული ინტეგრაციის, ასოცირების შეთანხმებისა და DCFTA შესახებ კავკასიის უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობით.

კავკასიის უნივერსიტეტის Erasmus+ ჟან მონეს პროექტის „ევროპული სწავლების სამკუთხედი“ (TEESS) შესახებ<sup>2</sup>. კავკასიის უნივერსიტეტის Erasmus+ Jean Monnet პროექტი „ევროპული სწავლების სამკუთხედი“ (TEESS) კონკურსში მონაწილეობისათვის ევროკომისიის გვერდზე აიტვირთა 2019 წლის თებერვალში. ინფორმაცია შერჩევისა და დაფინანსების შესახებ

<sup>1</sup> [www.epfound.ge](http://www.epfound.ge)

<sup>2</sup> 611026-EPP-1-2019-1-GEEPPJMO-PROJECT „ევროპული სწავლების სამკუთხედი“ - “Triangle Effect of European Studies at schools” (TEESS)

მიღებულ იქნა იმავე წლის ივლისის ბოლოს, თუმცა მხარეთა შორის ოფიციალური პროცედურების მოგვარების შედეგად პროექტი განხორციელება დაიწყო 2019 წლის ნოემბრიდან.

TEESS სხვა ღონისძიებებთან ერთად ითვალისწინებს ტრენინგებს სკოლებში, სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ეთნიკური უმცირესობებისა და დევნილთა საჯარო სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ტრენინგი გათვალისწინებულია ისტორიის, სამოქალაქო განათლების, გეოგრაფიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენების მასწავლებელთათვის, თუმცა ეს არ გამოირიცხავს სხვა სასწავლო დისციპლინების პედაგოგების მონაწილეობას მათი ინტერესიდან გამომდინარე. ტრენინგის განხორციელების პროცესში თითოეულ სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდა 60-მდე მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი. საერთო ჯამში, ტრენინგებში ჯერჯერობით მონაწილეობა მიიღო 500-ზე მეტმა ბენეფიციარმა.

TEESS შემუშავებულია კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბაზაზე, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ, პროფესორების - სამართლის დოქტორის, სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორის, ეკატერინე ქარდავასა<sup>1</sup> და ისტორიის დოქტორის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორის, ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის გურანდა ჭელიძის<sup>2</sup> მიერ, პროექტით გათვალისწინებული ტრენინგ-მოდული კი მომზადდა როგორც პროექტის თანაავტორების მიერ, რომელებიც ამავდროულად პროექტის განმახორციელებელი ექსპერტებიც არიან, ასევე პროექტში ჩართული კიდევ ერთი ექსპერტის, ისტორიის დოქტორის, ჰუმანიტარულ და სოციალურ

<sup>1</sup> სამართლის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი (აფილირებული); გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი; ჟან მონეს მოდულის „აღმოაჩინე ევროკავშირი ასოცირების შეთანხმებაში“ (EUEAA) ავტორი და კოორდინატორი, ჟან მონეს პროფესორი; ჟან მონეს პროექტის „ევროკავშირის სამართლებრივი სახე“ (LFEU) ავტორი და თანაკოორდინატორი; ჟან მონეს პროექტის „ევროპული სწავლების სამკუთხედი“ (TEESS) თანაავტორი და ექსპერტი; ტელე-გადაცემის „ევროპის დროით“ თანაავტორი და შინაარსის შემქმნელი (კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით); პროექტის „ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკა და ქართული შრომის სამართალი“ ავტორი და ხელმძღვანელი (ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით); ასოციაციის „ევროპის დროით“ თავმჯდომარე.

<sup>2</sup> ისტორიის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი, ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ჟან მონეს პროექტის „ევროპული სწავლების სამკუთხედი“ (TEESS) თანაავტორი, ექსპერტი და კოორდინატორი, ევროკავშირის სხვადასხვა პროექტის მონაწილე, 40-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი, მათ შორის ევროპის ისტორიისა და ევროკავშირის საკითხებზე, ტრენინგი ევროინტეგრაციის საკითხებში.

მეცნიერებათა სკოლის პროფესორის ზურაბ ბრაგვაძის<sup>1</sup> მიერ მათი მრავალწლიანი გამოცდილების გათვალისწინებით.

ტრენინგები ჩატარდა ქართულ ენაზე. ევროპული ასოცირების პროცესების შესახებ ცოდნის მიღებასთან და აღნიშნული საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებასთან ერთად, ტრენინგები მიზნად ისახავდა ეთნიკურ უმცირესობაში ქართული ენის ცოდნის გაღრმავებასა და გაძლიერებას, მოსწავლეთა მოტივირებას გააუმჯობესონ საკომუნიკაციო უნარები სახელმწიფო ენაზე. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად მივიჩნით ერთის მხრივ, ზემოთ დასახელებული მიზეზის გამო. მეორეს მხრივ, კი პროექტის ფარგლებში, ტრენინგების ჩატარების შემდგომ ბენეფიციარის მოსწავლეებისათვის დაგეგმილი ესეების კონკურსის - „მე დავინახე ევროპა საქართველოში“ თვალსაზრისით. კონკურსში მათ ქართულ ენაზე, წერილობითი ფორმით წარმოადგინეს საკუთარი ნააზრევი AA/DCFTA-ს მნიშვნელობის შესახებ საქართველოს განვითარებაში და მათ პირად ცხოვრებაში, აღწერეს თუ როგორ ხედავენ საკუთარ თავს ისინი ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში. რამდენადაც ეს კონკურსი პროექტის გეგმის მიხედვით ჩატარდა ტრენინგების შემდგომ, ტრენინგებიდან კონკურსამდე პერიოდში არაქართულენოვანმა მოსწავლეებმა შეძლეს გაეღრმავებინათ წერისა და მეტყველების უნარები ქართულ ენაზე.

საკონკურსო ესეების მომზადების პროცესში მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, ჩვენი აზრით, ძალიან დიდი დახმარება გაუწია ტრენინგის მასალებმა, რომელიც ბეჭდური სახით დაურთვდა ტრენინგის ყველა მონაწილეს. ასევე პროექტის ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით მომზადებულმა დამხმარე სახელმძღვანელომ ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისათვის „ევროპული ასოცირების პროცესი საქართველოში“. სახელმძღვანელო ქართული<sup>2</sup> და ინგლისური<sup>3</sup> ენების გარდა, ეთნიკური უმცირესობებისათვის ხელმისაწვდომობის მიზნით, ითარგმნა სომხურ<sup>4</sup> და აზერბაიჯანულ<sup>5</sup> ენებზე.<sup>6</sup> სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსიები განთავსებულია კავკასიის უნივერსიტე-

<sup>1</sup> კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის პროფესორი; ჟან მონეს პროექტის „ევროპული საკვების სამკუთხედი“ (TEESS) ექსპერტი. ასამდე სამეცნიერო ნაშრომისა და 5 მონოგრაფიის ავტორი საქართველოს ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხებზე; ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს სხვადასხვა პროექტის მონაწილე და ხელმძღვანელი; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქეოლოგიური საბჭოს წევრი.

<sup>2</sup> <https://cu.edu.ge/files/gallery/Grant%20Projects/2020/broshura-geo-Bolo.pdf>

<sup>3</sup> [https://cu.edu.ge/files/gallery/Grant%20Projects/2020/broshura-Eng-bolo%20\(1\).pdf](https://cu.edu.ge/files/gallery/Grant%20Projects/2020/broshura-Eng-bolo%20(1).pdf)

<sup>4</sup> <https://cu.edu.ge/files/gallery/Grant%20Projects/2020/broshura-arm-bolo.pdf>

<sup>5</sup> <https://cu.edu.ge/files/gallery/Grant%20Projects/2020/broshura-azer-bolo.pdf>

<sup>6</sup> სახელმძღვანელოს მთარგმნელები: ინგლისურ ენაზე - ხათუნა ბასილაშვილი, სომხურ ენაზე - ზოია მხითარაიანი, აზერბაიჯანულ ენაზე - გიზანუმ ახმედოვა.

ტისა და პროექტის ვებ-გვერდზე, ფეისბუქ-გვერდზე. სახელმძღვანელოს ელ-ვერსია სოციალური მედიის საშუალებით გააზიარა სხვა ორგანიზაციებმაც, რომლებიც ასევე მუშაობენ საქართველოში ევროინტეგრაციისა და ევროპული ასოციაციების პროცესებზე. აღნიშნული სახელმძღვანელოს მიმართ დაინტერესება გამოხატა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, შეისწავლა იგი, დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გაუწია მასწავლებელთა მიერ სახელმძღვანელოს იმპლემენტაციას სასწავლო პროცესში. ამას გარდა, ინფორმაცია სახელმძღვანელოების შესახებ ქართულ<sup>1</sup> და ინგლისურ<sup>2</sup> ენებზე, ასევე სახელმძღვანელოს ელ-ვერსიები განათავსა ცენტრის ელექტრონული რესურსების პორტალზე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დამხმარე სახელმძღვანელოში ერთადაა თავმოყრილი ტრენინგებზე განხილული მასალები, რომელიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული „მოქალაქეობის“ სტანდარტს, კერძოდ: უზრუნველყოფს მოსწავლის გაცნობას საზოგადოებასთან, რომელშიც ცხოვრობს; შეასწავლის ლოკალურ, სახელმწიფოებრივ და გლობალურ დონეზე მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს. უზრუნველყოფს მოსწავლის გაცნობას საზოგადოებასთან, რომელშიც ცხოვრობს; შეასწავლის ლოკალურ, სახელმწიფოებრივ და გლობალურ დონეზე მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს. მოსწავლეს ექნება შესაძლებლობა შეძენილი ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკაში. ტრენინგი დაეხმარება მას საკუთარი თავის საზოგადოების სრულფუნქციონირებად აღქმაში; ჩამოუყალიბებს საკუთარი ქვეყნის მიმართ მზრუნველ დამოკიდებულებას; ასწავლის სამოქალაქო მონაწილეობის ფორმებს; გააცნობიერებინებს, რომ მას შეუძლია და მართებს საკუთარ ქვეყანაში (თემში/-მუნიციპალიტეტში/სახელმწიფოში) პოზიტიური ცვლილებების განხორციელება; გამოუმუშავებს მოქალაქისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს (თანამშრომლობის, კონფლიქტის მართვის, სამეწარმეო და ფინანსური) და ღირებულებებს/დამოკიდებულებებს (ადამიანის უფლებების, განსხვავებული აზრის პატივისცემა, ტოლერანტობა); დაეხმარება კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის პრინციპების გათავისებაში; ჩამოუყალიბებს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კულტურას.<sup>3</sup>

სახელმძღვანელო შედგება სამი ნაწილისაგან. პედაგოგებისათვის ხელმისაწვდომია მასალები ევროპის კავშირის შექმნის, მიზნებისა და ამოცანების, ევროპული ფასეულობების, ევროპის კავშირის გაფართოების, საქართველო-ევროპის კავშირის ურთიერთობის უმთავრესი

<sup>1</sup> <http://tpdc.ge/geo/news/706>

<sup>2</sup> <http://www.tpdc.ge/geo/news/707>

<sup>3</sup> მოქალაქეობა - საბაზო საფეხურის სტანდარტი. <http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/sabazo-safekhuri-vi-ix-klasebi-proeqti-sadjaro-gankhilvistvis>

მიღწევების შესახებ, ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური სივრცის შესახებ შეთანხმების კონკრეტულ შედეგებზე საქართველოში - მართლმსაჯულების, შრომითი ურთიერთობების, ევროპული კავშირის ბაზარზე არსებული სტანდარტების დანერგვისა და სრულყოფის, სურსათის უვნებლობისა და სხვა მიმართულებებით; განხილულია კულტურული მემკვიდრეობის საკითხები ასოცირების შეთანხმების კონტექსტში.<sup>1</sup>

ტრენინგების ჩატარებამ ცხადჰყო, რომ მიღწეულია პროექტით დაგეგმილი ტრენინგის ბოლოს მისაღწევი შედეგებიც: ეთნიკური უმცირესობების რეგიონებისა და დევნილთა სკოლების მასწავლებლებისა და მოსწავლეების უმცირესობას აქვთ ახალი ხედვა ევროკავშირთან ასოცირების პროცესისა და AA/DCFTA-ს მნიშვნელობის შესახებ საქართველოს განვითარებაში და მათ პირად ცხოვრებაში; გაცნობიერებული აქვთ AA/DCFTA-ს და ევროპული ასოცირების პროცესის გაგება. მოსწავლეებმა იციან, როგორ მიიღონ მონაწილეობა იმ საზოგადოების მშენებლობაში, რომელშიც ისინი ცხოვრობენ; შესაბამისად, გაზრდილია საქართველოს ევროინტეგრაციის ოფიციალურ პოლიტიკის მომხრეთა რაოდენობა. ეთნიკურმა უმცირესობების რეგიონების სკოლის მოსწავლეები ცდილობენ გაიუმჯობესონ სახელმწიფო ენის ცოდნა.

ამათთან ერთად, იკვეთება მთელი რიგი პრობლემებიც, რომელთა შესახებ ვისაუბრებთ საჯარო სკოლებში ჩატარებული ტრენინგების მაგალითზე. პროექტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის პოპულარიზებას და ევროპული ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის დონის ამაღლებას, სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრები უაღრესად და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რამეთუ წინასწარ ტაქტიკურად გააზრებულია, რომ ასეთ შეხვედრებს ესწრებიან პედაგოგები და მოსწავლეთა მშობლებიც. ამდენად, სემინარების მონაწილე ხდება საზოგადოების სამი სპეციფიკური წარმომადგენელი - რომლებიც ერთად და ერთობლივად ერთვებიან ევროკავშირის შემეცნების პროცესში არამხოლოდ ტრენინგითა მიმართ სმენითა და სატრენინგო სავარჯიშოების შესრულებით, არამედ ერთმანეთის ხმამაღლა დეკლარირებული განწყობების გაგების, დიალოგისა და ზოგჯერ კრიტიკული ბუნების ურთიერთშეწინააღმდეგების პროცესში ჩაბმით. ასეთი ურთიერთობა გარემოს შეფასების კარგი მექანიზმია.

**„ევროპული სწავლების სამკუთხედი“ (TEESS) ახალციხის საჯარო სკოლებში.** უპირველეს ყოვლისა, დავიწყებთ იმით, რომ საკმაოდ რთული აღმოჩნდა პროექტის განხორციელება სხვა ინსტიტუციებთან თანამშრომლობით. მიუხედავად იმისა, რომ პროექტმა ევროკომისიაში დაიმსახურა მაღალი საკონკურსო შეფასება, აღმოჩნდა, რომ პროექტში ნათლად გაწერილი

<sup>1</sup> დამხმარე სახელმძღვანელოს ელ-ვერსიები განთავსებულია ბმულზე <https://cu.edu.ge/grant-projects/cu-grant-projects-news/european-association>



მიზნები და ამოცანები, დაგეგმილი ტრენინგების შინაარსი არ იყო საკმარისი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პრაქტიკული საქმიანობის დაწყებისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნებართვის გარეშე. თანადგომისათვის მადლობას ვუხდით ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტს, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სასწავლო რესურსების შეფასების სამმართველოს ხელმძღვანელობასა და ექსპერტებს, რომლებიც გულისყურით მოეკიდნენ ჩვენს პროექტს, მაშინვე დაუჭირეს მხარი ევროპის კავშირის, მასთან ასოცირების შეთანხმების, ასევე ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ სწავლება/ინფორმაციის გავრცელების აქტუალობასა და მნიშვნელობას, თუმცა სკოლებში დაშვებისათვის ხელახლა მოგვიხდა ტრენინგ-მოდულის შემუშავება საქართველოში არსებული წესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. სავსებით ლოგიკურია, რომ მოდულის შესწავლა, განხილვა, ანალიზი და მისი შეფასება საჭიროებდა დროს. აღნიშნულის გამო დაშვება სკოლებში მივიღეთ მხოლოდ 2020 წლის 18 თებერვალს. დაწყებული იქნა მოლაპარაკების პროცესი ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურს ცენტრებთან და სკოლების ხელმძღვანელობასთან პროექტის განხორციელების თარიღების შესათანხმებლად, თუმცა 2020 წლის 2 მარტიდან, Covid-19 პანდემიიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, შეწყდა სასწავლო პროცესი საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ეს პაუზა გაგრძელდა ოქტომბრის თვემდე. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროცესი განახლდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, საგანმანათლებლო რესურს ცენტრები, იზიარებდნენ რა ტრენინგების ჩატარების მნიშვნელობას, ქვეყანაში დაწესებული რეგულაციებიდან გამომდინარე, მაინც ერიდებოდნენ სკოლებში გარეშე პირთა დაშვებასა და მსგავსი ტიპის ღონისძიებების განხორციელებას. ბუნებრივია, ჩვენი მხრიდან, ამას ვეკიდებოდით გაგებით, თუმცა პროექტის ვადებიდან და გეგმიდან გამომდინარე, გვქონდა დიდი სურვილი დაგვეწყობა პროექტის პრაქტიკაში დანერგვის პროცესი. 2020 წლის 19-22 ოქტომბერს ახალციხის რაიონის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის მხარდაჭერით, მოგვეცა შესაძლებლობა არსებული რეგულაციების დაცვით ჩაგვეტარებინა ოთხი შეხვედრა ახალციხის N1 ქართულ, N6 ქართულ, N3 სომხურ და N2 ქართულ-რუსულ საჯარო სკოლებში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ინტერესი იყო დიდი. ზოგიერთ სკოლაში მსმენელთა რაოდენობამ გადააჭარბა გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას, რაც მისასალმებელია.

აღსანიშნავია, რომ ახალციხის საგანმანათლებლო რესურს ცენტრთან შეთანხმებით საჯარო სკოლების პარალელურად, ერთი შეხვედრა ჩატარდა კერძო სკოლაში და აქ აუცილებლად უნდა

ითქვას, რომ კერძო სკოლის პედაგოგთა ჩართულობა ტრენინგში მონაწილეობის თვალსაზრისით იყო უფრო მაღალი ხარისხი, რასაც მოწმობს კიდევ პროექტის ფარგლებში გამოცხადებული მოსწავლეთა ესეების კონკურსში მიღებული საკონკურსო ნაშრომების რაოდენობა-ხარისხი.

ტრენინგები იყო ინტერაქტიური ხასიათის, თუმცა ცალკე იყო გამოყოფილი დრო კითხვა-პასუხის სესიისათვის. პასუხი გაეცა მსმენელების მიერ დასმულ ყველა შეკითხვას. აქვე აღვნიშნავთ, რომ ტრენინგ-მოდული გაიწერა სხვადასხვა აქტივობების გათვალისწინებით, თუმცა პანდემიის პირობებში სკოლებში დაწესებული რეგულაციებიდან გამომდინარე (დისტანცია მოსწავლეთა შორის, საერთო მოხმარების ნივთების გამოყენების აკრძალვა) გამოირიცხა ჯგუფური აქტივობების ჩატარება.

ტრენინგების დასრულებისას მსმენელებმა შეავსეს ტრენინგის შეფასების კითხვარი:

1. რა იყო ამ ტრენინგზე თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?
2. რომელი საკითხის ირგვლივ გასურთ ცოდნის გაღრმავება?
3. შეძლებთ თუ არა ტრენინგზე მიღებული ცოდნა გამოიყენოთ პრაქტიკაში?
4. გთხოვთ ჩაწეროთ თქვენი ნებისმიერი მოსაზრება ტრენინგისა და ტრენერების შესახებ.

კითხვარის შევსება იყო ნებაყოფლობითი. ახალციხის შემთხვევაში ტრენინგის მონაწილეებს კითხვარის შევსებასთან დაკავშირებით, სხვა რეგიონისაგან განსხვავებით, არ გასჩენიათ რაიმე დამატებითი მოსაზრებები. კითხვარებში დასმულ შეკითხვებზე პასუხების გაცემაში ყველაზე აქტიურები იყვნენ სომხური სკოლის მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები. თუმცა იყო შემთხვევებიც, როცა სხვა სკოლებში მსმენელთა ნაწილმა მისი შევსება არ მოისურვა. დარჩენილი ნაწილის შემთხვევაში, კითხვარზე მუშაობისას დავინახეთ მსმენელთა სკურპული-ოზური დამოკიდებულება. ტრენინგების შემდგომ კითხვარების დამუშავებამ ცხადჰყო, რომ დასმულ კითხვებს მსმენელები პასუხობენ გულწრფელად და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ინფორმაცია ევროპული ასოციაციის პროცესის შესახებ საქართველოში მათთვის ახალია, რასაც ტრენინგების მსვლელობაც აჩვენებდა ნათლად და ცხადად, როგორც მოსწავლეების, ისე მშობლებისა და მასწავლებლების დიდ ინტერესიდან გამომდინარე. ბენეფიციარები გამოხატავენ სურვილს მიღებული ცოდნა გამოიყენონ მაგალითად, თავიანთი საოჯახო მეურნეობების ევროპული სტანდარტების შესაბამისი მიკრო საწარმოების შესაქმნელად, საგანმანათლებლო მომავალს ასევე უკავშირებენ გაცვლითი პროგრამებით სარგებლობას. აღნიშნულიდან თუ ვიმსჯელებთ, აშკარაა, რომ მსმენელთა უმრავლესობამ სწორად გაიაზრა რას ნიშნავს ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოსათვის, მაგრამ საერთო ჯამში, აღსანიშნავია მცირე ნაწილის

სკეპტიკური დამოკიდებულებაც, რომ ევროკავშირი მხოლოდ საკუთარი ინტერესებით მოქმედებს. სამწუხარო რეალობაა, რომლის საპასუხოდ მოქმედებები საჭიროა არა მარტო სასკოლო დონეზე. მიუხედავად, ჩვენი პროექტისა, ასევე რეგიონში ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის აქტიური საქმიანობისა, მეტი საინფორმაციო კამპანიაა საჭირო, რაშიც აქტიურად უნდა მონაწილეობდეს მედიაც. აქვე ვიტყვით, რომ ჩვენი მუშაობა ახალციხეში გააშუქა როგორც ადგილობრივმა პრესამ<sup>1</sup>, ისე ადგილობრივმა ტელევიზიებმა.<sup>2</sup> ზემოთაღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაზე პროექტის „ევროპული სწავლების სამკუთხედის“ მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასკოლო დონეზე ევროკავშირის შესახებ მოზარდთა ცნობიერების ამაღლებისათვის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე ევროპული სწავლების გააქტიურება, რასაც ხელს შეუწყობს პროექტის „ევროპული სწავლების სამკუთხედი“ ფარგლებში მომზადებული ზემოთხსენებული დამხმარე სახელმძღვანელო „ევროპული ასოცირების პროცესი საქართველოში“. ტრენინგების დასრულებისთანავე გამოითქვა სურვილი ასეთი შეხვედრების მეტი სიხშირით გამართვის თაობაზე. მასწავლებლებთან ერთად მოსწავლეებიც გამოხატავენ მზაობას სამომავლოდ მსგავსი ტიპის ვორქშოპებში მონაწილეობისათვის, თუმცა, ჩვენი აზრით, ყველაფერ ამასთან ერთად სასურველი იქნება თავად სკოლაში საპროექტო მუშაობის გააქტიურება და არაფორმალური განათლების ელემენტების შემოტანა ევროკავშირის მხარდაჭერით შექმნილი ადგილობრივი საწარმოების დათვალეერების, მათი მუშაობის სპეციფიკისა და არსებული ბენეფიტების შესწავლის თვალსაზრისით მათსავე რეგიონში. ეს ყველაფერი გაზრდის მოსწავლეთა ცოდნას და პასუხისმგებლობას თავადაც მიიღოს მონაწილეობა საქართველოში ევროკავშირთან ასოცირების პროცესების განხორციელებასა და დანერგვაში.

მაგრამ აქვე ვიტყვით, რომ კონკრეტული მიზნების მიღწევას, არ კმარა მხოლოდ სხვადასხვა დონორი ორგანიზაციისაგან მიღებული დაფინანსებით მომზადებული პროექტების განხორციელება. მიუხედავად იმისა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გვიდგას მხარში, მეტი უნდა იყოს რეგიონების სკოლებში მათი ჩართულობა არა მარტო ევროინტეგრაციის სწავლების, არამედ ისეთი საკითხების მოგვარებისათვისაც, როგორცაა შესაბამისი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით, ინტერნეტით უზრუნველყოფა, საინფორმაციო ტექნოლოგიებში მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, რისი დეფიციტიც ნაწილობრივ ნამდვილად შეინიშნებოდა. კიდევ ერთი ძალიან საინტერესო და ყურადსაღები საკითხის შესახებ გვსურს აღვნიშნოთ: საკონკურსო

<sup>1</sup> <http://sknews.ge/ka/old/29872>

<sup>2</sup> <https://tv9news.ge/ka/akhali-ambebi/ganathleba/article/22358-akhalcikhesi-evrokavshirthan-asocirebis-themazetreningebi-tardeba?fbclid=IwAR15x-quWJP3vj1LH-wbHg1QozGAfP-JA91PeBkpCWxhgk7FDMkaxejOZAs>

ესეების გამოგზავნისას, შედარებით გაიწელა დროში მასალების მიღება არაქართულენოვანი სკოლებიდან. აღნიშნულის მიზეზს, როგორც გაირკვა, წარმოადგენს არ ის, რომ მოსწავლეებს არ აქვთ ასეთ კონკურსებში მონაწილეობის სურვილი (პირიქით სურვილი ძალიან დიდია). მიზეზად დასახელდა, რომ ფლობენ სასაუბრო ქართულ ენას, თუმცა უჭირთ კომუნიკაცია წერილობით და ამის გამო, როგორც წესი, სხვადასხვა კონკურსებში ხვდებიან აუტსაიდერთა რიგებში. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლების საჭიროებასა და აუცილებლობას ერთის მხრივ, და მეორე - უნდა დავამხსვრიოთ სტერეოტიპი, რომ წერითი უნარების სათანადო კომპეტენციის არქონის გამო, მოსწავლეს არ შეუძლია საკუთარი ნააზრებისა და ნაფიქრალის ფართო აუდიტორიის სამსჯავროზე გამოტანა. ჩვენმა ასეთმა დამოკიდებულებამ ერთგვარი სტიმული გაუჩინა მათ და უკვე არა ერთმა, არამედ რამდენიმე მოსწავლემ მოამზადა ესეე მოსწავლეთა კონკურსისათვის. ეს უკანასკნელი კი, უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს მათ აიმაღლონ ცოდნა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებზე.

და ბოლოს ერთი კონკრეტული საკითხის შესახებ, რომელიც არ იყო გათვალისწინებული ტრენინგის შინაარსის შესავალ ნაწილში. ჩვენ მიერ მომზადებულ სახელმძღვანელოსა და ტრენინგ-მოდულში ერთი ნაწილი შეეხებოდა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ქრონოლოგიას, თუმცა აქ ყურადღება გამახვილებულდა უმთავრეს მოვლენებზე ასოცირების ხელშეკრულების მომზადების გზაზე. მსმენელთა ნაწილმა გამოყო მათთვის საინტერესო საკითხი, რომელიც სამომავლოდ ტრენინგ-მოდულის მოდიფიცირებისას იქნება აუცილებლად გასათვალისწინებელი. საკითხი ეხება ევროკავშირის როლს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომში, რაზეც, სამწუხაროდ, მსმენელებს სწორი წარმოდგენა არ აქვთ. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მასალის გამდიდრება აღნიშნული თემის გარეშემო.

**„ევროპული სწავლების სამკუთხედი“ (TEESS) აფხაზეთის N3 დევნილთა სკოლაში.** როგორც უკვე აღინიშნა, რომ საქართველოში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს აქვთ ინფორმაციული სიმწირე სახელმწიფო ენის სათანადოდ არ ცოდნის გამო. ამიტომაც, ისინი, ძირითადად, მიმართავენ რუსულ საინფორმაციო არხებს.<sup>1</sup> ეს დასკვნა არაერთი გამოკითხვითა და კვლევით არის დადასტურებული საქართველოში. ასეთი ვითარება, ბუნებრივად, კომპლექსურს ხდის, ერთი მხრივ, ევროპული ასოცირების პროცესის ზუსტ აღქმას ეთნიკურ უმცირესობებში და, მეორე მხრივ, მათი მხრიდან გააზრებული მხარდამჭერი მოქმედებების განხორციელებას ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკის კონტექსტში. აქ გამოკვეთილია ზუსტი საჭიროე-

<sup>1</sup> მაია მიქაშავიძე, ეთნიკური უმცირესობები საქართველოში: მედიის მეშვეობით ჩართულობიდან გაძლიერებისკენ, პოლიტიკის დოკუმენტი, 2016, <[https://www.osgf.ge/files/2016/EU%20publication/Angarishi\\_A4\\_Media\\_GEO.pdf](https://www.osgf.ge/files/2016/EU%20publication/Angarishi_A4_Media_GEO.pdf)>

ბები სტრატეგიული კომუნიკაციისა და შედეგების ამაღლების ღონისძიებების მიმართ. შედეგად, ეთნიკური უმცირესობები ექცევიან ევროკავშირის შესახებ სხვადასხვა შედეგების გაზრდის პროექტების სამიზნე ჯგუფებში. ამის საპირისპიროდ, არ არის შესაბამისად მოკვლეული და შესწავლილი აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან (საქართველოს ტერიტორიებიდან) რუსეთის ფედერაციის მხრიდან ოკუპაციისა და შეირაღებული კონფლიქტების შედეგად დევნილი საზოგადოების (IDPs) სივრცეში როგორია ევროპული ინტეგრაციის თაობაზე ინფორმაციის მიმდებლობა და განწყობა. დევნილი საზოგადოება მეტყველებს ქართულ ენაზე და მათ არ აქვთ პრობლემა ინფორმაციაზე წვდომის თვალსაზრისით. თუმცა დევნილები ცხოვრობენ კომპაქტურად დასახლების ადგილას და უმეტესწილად მიჩნეულნი არიან მარგინალურ სოციალურად. ამიტომაც, ისინი ძირითადად წარმოადგენენ სოციალური და ჰუმანიტარული დახმარების მიმღებ სუბიექტებს ან ინტეგრაციის პროექტების სამიზნე ჯგუფებს.<sup>1</sup>

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ერასმუს+ პროგრამის ჟან მონე პროექტში „ევროპული სწავლების სამკუთხედი“, ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა დევნილთა სკოლა ქ. თბილისში - საქართველოს დედაქალაქში, კერძოდ, მე-3 საჯარო სკოლა. სკოლის შენობა ერთდროულად წარმოადგენს როგორც დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილს, ამავედროულად, საგანმანათლებლო დაწესებულებას. ეს ფაქტი აღნიშნა სკოლის დირექტორმა. სკოლა მცირეკონტიგენტიანია (100 მოსწავლე) და ძირითადად მის მოსწავლეებს წარმოადგენენ აფხაზეთიდან დევნილი ეთნიკურად ქართველები.

აფხაზეთის დევნილ სკოლაში სემინარებს დაესწრო 44 მოსწავლე, 9 მასწავლებელი და 6 მშობელი. შეხვედრა კომპლექსური იყო და არცთუ იოლი. დევნილები მიჩნეული არიან ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად საზოგადოებად საქართველოში: ომის მეხსიერება და ომის შედეგები, დაკარგული ადამიანები და საცხოვრებელი ადგილები, სახელმწიფო კმაყოფაზე ყოფნა და მძიმე ყოფითი პირობები. ამიტომაც ამ საზოგადოებას შესაძლოა ჰქონდეს ნებისმიერი ნოსტალგიური ნარატივის მიმდებლობა, როგორცაა *სჯობს ვცხოვრობდეთ საბჭოთა კავშირში და ასე არ გვიჭირდეს და არ ვგრძნობდეთ თავს უღირსად*. გაჟღერდა კიდევ მსგავსი შეხედულებები პედაგოგების მხრიდან სემინარის პროცესში. თუმცა, ასეთი აზრი გამოიკვეთა სკოლის მოსწავლეების მხრიდანაც, რომლებსაც არ უცხოვრიათ საბჭოთა პერიოდში. ეს მოწმობს, რომ მათზე დიდ ზეგავლენას ახდენს ოჯახურ ან სასკოლო ცხოვრობაში მოყოლილი წარსული ისტორიები.

<sup>1</sup> <<https://womenfundgeorgia.org/en/News/AllNews/2133>>

მსმენელები უპირობოდ აღიარებენ, რომ ევროკავშირი ნამდვილად არის საქართველოს თანადგომისა და გაძლიერების ფუნქციის მქონე პარტნიორი, თუმცა გაუგებარია რატომ სჭირდება 20 წელზე მეტი იმას, რომ მათ საკუთარ ცხოვრებაში იგრძნონ ევროპა და მისი ფასეულობები.

ხაზი უნდა გაესვას სასემინარო ფორმატის მეთოდს ტრენერის მხრიდან - არ მოხდეს დამსწრე საზოგადოების ტკივილის დემონსტრირებისა და ანტი-ევროპული მოსაზრებების უარყოფა, არამედ, - გამაბათილებელი ბუნების კონკრეტული ფაქტების, წყაროების, სტატისტიკის მიწოდება. მაგალითად, როცა მსმენელი დარწმუნებულია, რომ ევროკავშირი აიძულებს საქართველოს მიიღოს ერთსქესიანთა ქორწინება და ამის მიმართ გამოხატავს აგრესიანარეგ აზრს, საპასუხოდ, მყისიერად არ არის შედეგიანი მტკიცება ნებისმიერი ადამიანის თავისუფლებასა და თანასწორობაზე, არამედ ჯერ აქცენტი უნდა გაკეთდეს ევროკავშირზე ცრუ ინფორმაციის განეიტრალებაზე, როგორცაა ევროკავშირის რამდენიმე წევრი სახელმწიფოს კონსტიტუციის წყაროდ მოხმობა, სადაც აღიარებულია, რომ ოჯახი ეს არის ქალისა და კაცის რეგისტრირებული კავშირი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მსმენელი გაიაზრებს, რომ ის თურმე არის დეზინფორმაციის სუბიექტი, აღიარებს ამას და ირწმუნებს ტრენერის ინფორმაციას, უკვე ეფექტური ხდება თანმიმდევრული გადასვლა სხვა პრობლემური სტერეოტიპების „მსხვერვაზე“ ორიენტირებულ ქმედებაზე.

განსაკუთრებით მწირია ევროკავშირის მხრიდან დახმარებების პოლიტიკის თაობაზე ინფორმაცია, მეორე მხრივ, აქვთ ლეგიტიმური შეკითხვა - რატომ არ არსებობს დახმარების პოლიტიკის ხელჩასაჭიდი შედეგები მათ ცხოვრებაში? აქვე, ხაზგასამელია, რომ ასეთ მოწყვლადი და რთული საზოგადოების სკოლას აქვს ტექნოლოგიური ინვენტარის მკვეთრი სიმწირე. ეს ინფორმაციული საზოგადოებისა და თანამედროვე უნარ-ჩვევების მქონე ახალგაზრდობის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორია.

დავასკვნით, რომ წინააღმდეგობრივი მოსაზრებებისა და ჯანსაღი კამათის მიუხედავად, შეხვედრის დასრულებისას ყველაზე რადიკალური განწყობების მქონე პედაგოგებიც და მოსწავლეებიც აღიარებენ, რომ მათ არ ცოდნიათ სიმართლე ევროკავშირზე. ეს კარგი მაჩვენებელია ასეთი სემინარების აუცილებლობისა და შედეგიანობისათვის, მაგრამ მათ აქვთ ერთჯერადი ხასიათი. ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობათა პოპულარიზება და ევროკავშირისადმი ნდობის ხარისხის ამაღლება აშკარად საჭიროებს განგრძობად და უწყვეტ ახალ ინფორმაციულ წყაროებს, ამავდროულად, პედაგოგთა კორპუსის სერიოზულ გადამზადებას. აგრეთვე, განსაკუთრებით დევნილი საზოგადოება და დევნილი სკოლები უნდა გახდეს მნიშვნელოვნად მეგობრული თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართ. ეს კი პირდაპირი ვალდებულებაა საქართველო-

ველოს ხელისუფლებისა და დე-იურე დევნილი მთავრობისა, რომელსაც უწყვეტად უგრძელდება უფლებამოსილება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის დღიდან.

**„ევროპული სწავლების სამკუთხედი“ (TEESS) მარნეულის აზერბაიჯანულ და ქართულ-რუსულ საჯარო სკოლებში.** პროექტის ფარგლებში უდაოდ ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მუშაობა ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ მარნეულის რაიონში. საგანმანათლებლო რესურს ცენტრის თანადგომით ვორქშოპები ჩატარდა მარნეულის N2 ქართულ-რუსულ და N3 აზერბაიჯანულ სკოლაში.

მარნეულის N3 აზერბაიჯანულ სკოლაში ტრენინგს ესწრებოდა მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანული სკოლის მოსწავლეთა მშობლები ყველაზე აქტიურები იყვნენ დასწრების თვალსაზრისით, მშობლები წარმოდგენილი იყო ძირითადად დედებით, თუმცა მამებმაც გამოხატეს საკუთარი ინტერესი საკოლაში დაგეგმილი ღონისძიების მიმართ.

სკოლაში შექმნილი სათანადო პირობები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას სათანადო დონეზე, დაცულია რეგულაციები, სკოლა აღჭურვილია ტექნიკური საშუალებებით, მაგრამ როგორც ჩანს, პროექტორის გამოყენება აქ თუ ისე ინტენსიურად ხდება. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ისწავლება ქართული ენა და ლიტერატურა და მასწავლებლებიც გამართულადაც საუბრობენ სახელმწიფო ენაზე, მოსწავლეთა ნაწილმა, სამწუხაროდ, ქართული ენა არ იცის. სახელმწიფო ენის ფლობით არ გამოირჩეოდა მშობელთა დიდი ნაწილი, საჭირო გახდა ტრენინგის ჩატარება რუსულ ენაზე, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქტუალურია მათთვის, ან საკუთარ შვილებს, რომელთა ნაწილი კარგად მეტყველებდა ქართულ ენაზე, სთხოვდნენ საუბრის შინაარსის თარგმნას. გვექონდა საპირისპირო სურათიც, როცა თავად მოსწავლეებისათვის გახდა საჭირო, რუსულიდან თარგმნა მათ მშობლიურ ენაზე.

ცოდნა ევროკავშირის შესახებ, მარნეულის N3 აზერბაიჯანულ საჯარო სკოლაში საკმაოდ მწირია. აბსოლუტურ უმრავლესობას საერთოდ არ ჰქონდა წარმოდგენა რა არის ევროკავშირი, რომელი ქვეყნები არიან გაერთიანებული მასში. მათთვის თითქმის ერთი და იგივეა ევროკავშირი, ნატო, აშშ და მიიჩნევენ, რომ სამივე მათგანი მათთვის საფრთხეს წარმოადგენს და საქართველოს მომავალი დაკავშირებული უნდა იყოს აზერბაიჯანთან, რუსეთთან და თურქეთთან. კითხვაზე, თუ ნატო და ზოგადად, დასავლეთი საფრთხეა, როგორ წარმოედგინათ თურქეთთან ურთიერთობა, ის ხომ ნატოს წევრი და ევროკავშირის წევრობის კანდიდატი სახელმწიფოა, მივიღეთ პასუხი, რომ თურქეთი არ არის და არც იქნება ევროკავშირის წევრი და ეს სწორედ

დასავლური პროპაგანდის ნაწილია! მათი აზრით, ვინც ეწინააღმდეგება აზერბაიჯანის და თურქეთის განვითარებას, ყველა მათგანი დასავლეთის ქვეყანაა, ხოლო მთავარი მოკავშირე არის რუსეთი და თურქეთი, რომლებიც დაეხმარნენ აზერბაიჯანს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში.

ბუნებრივია, მათ ასევე არავითარი ან რიგ შემთხვევებში, საკმაოდ ზედაპირული და მწირი ცოდნა აქვთ იმ პროექტებთან დაკავშირებით, რასაც ევროკავშირი ახორციელებს ქვემო ქართლში და კონკრეტულად მარნეულის მუნიციპალიტეტში. ბევრმა მშობელმა, მოსწავლემ და პედაგოგ-მაც კი არაფერი იცოდა Erasmus+ პროგრამების შესახებ და როდესაც გაიგეს, რომ იგი დიდ შესაძლებლობებს აძლევს საქართველოს ახალგაზრდობას მიიღოს ევროპული განათლება, რამდენიმე მოსწავლემ გამოთქვა ამ პროგრამაში სამომავლოდ მონაწილეობის სურვილი. მოსწავლეთა ნაწილში მეორეს მხრივ, არსებობს განწყობა, რომ ევროპული განათლება კარგი შესაძლებლობაა მომავალში დასაქმებისა და ფინანსურად კარგად უზრუნველყოფის მიზნით. მსმენელებმა ასევე პირველად შეიტყვეს, AA/DCFTA შესახებ, რომელიც მათთვის ასევე კარგ შესაძლებლობას იძლევა სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით განვითარებული მარნეულის რაიონიდან პროდუქციის ექსპორტი მოახდინონ ევროკავშირის ბაზარზე. მსმენელებმა აღნიშნეს კიდევ, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო დაინტერესდებიან აღნიშნული მიმართულებით და პრაქტიკაში გამოიყენებენ ამ არაჩვეულებრივ შესაძლებლობას.

მთავარი პრობლემა, რაც თვალშისაცემი გახდა აღნიშნულ სკოლაში და სავარაუდოდ, იგივე ვითარება იქნება ეთნიკური უმცირესობების სხვა სკოლებშიც, არის სახელმწიფო ენის თითქმის არცოდნა, ინფორმაციის არ არსებობა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკურ-კულტურული პროცესების შესახებ და სრული საინფორმაციო ვაკუუმი საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებისა და ქვეყნის დასავლური ინტეგრაციის შესახებ. ზემოაღნიშნულ საკითხებთან ერთად, მაგალითად დავასახელებთ, რომ ბევრმა ისიც კი არ იცის, რა არის ვიზალიბერალიზაცია და რა სიკეთე მოაქვს მას საქართველოს მოქალაქეებისთვის. როდესაც უხსნი, რომ ქართული პასპორტით საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ უპრობლემოდ გადაადგილდნენ შენგენის ზონაში, გამოხატავენ გაკვირვებას. რამდენიმე მსმენელმა დამაზუსტებელი შეკითხვაც კი დასვა შეესაბამებოდა თუ არა ეს სიმართლეს. მათ არ დაუმალიათ, რომ საერთოდ არ უყურებენ ქართულ ტელევიზიებს და ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით დამოკიდებული არიან ძირითადად აზერბაიჯანულ და რუსულ ტელეარხებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ღია და გახსნილები ვიყავით მათთან ურთიერთობებში და ყველა-ნაირად ვცდილობდით მაქსიმალური ინფორმაცია მიგვეწოდებინა ევროკავშირისა და მასთან



ურთიერთობის შედეგად საქართველოს მიერ მიღებული ბენეფიტების თაობაზე, აშკარად იგრძნობოდა სკეპტიკური დამოკიდებულება. რამდენიმე მსმენელმა შეხვედრის დასწრების ფურცელში საკუთარი ხელმოწერაც კი არ დააფიქსირა და საერთოდ უარი განაცხადა ტრენინგის შემდეგ უკუკავშირის ძალიან მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემაზე. როდესაც დავინტერესდით, თუ რა იყო ამის მიზეზი, მათ განაცხადეს, რომ ხელმოწერა შესაძლებელია გამოყენებულიყო კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრისათვის. პროექტის გუნდს არ დაუკლია მცდელობა მსმენელთა ასეთი ნაწილი დაერწმუნებინა, რომ აღნიშნული მოსაზრება არის მცდარი.

მიუხედავად ჩამოთვლილი სირთულეებისა, ტრენინგები მაინც ნაყოფიერი გამოდგა, რადგან რამდენიმე ათეულმა ბავშვმა მიიღო ინფორმაცია ევროკავშირისა და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებზე. გვითხრეს კიდევ, რომ ინტერნეტში მოიძიებინან უფრო მეტი ინფორმაციას ამასთან დაკავშირებით. მასწავლებლები დარწმუნდნენ, რომ უფრო მეტი აქვთ სამუშაო აღნიშნული მიმართულებით, ხოლო მშობლების ნაწილი მიხვდა, რომ მათი შვილების კეთილდღეობისთვის ამ ქვეყნის ევროპული მომავალი აუცილებელია; ჩვენ, ტრენინგები კი დავრწმუნდით, რომ ეთნიკური უმცირესობების სკოლებში სამომავლოდაც ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი, რათა მათ თავი იგრძნონ საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად და გაითავისონ ის პრობლემები და გამოწვევები, რის წინაშეც დგას ქართული სახელმწიფო. ისიც ცხადია, რომ მხოლოდ ასეთი ტრენინგებით სასურველი შედეგი ვერ მიიღწევა და ამ პრობლემების გადაჭრის გზები სამოქალაქო სექტორთან ერთად უნდა ეძებოს პირველ რიგში, სახელმწიფომ. აუცილებელია განათლების და მეცნიერების სამინისტროს უფრო მეტი აქტიურობა, ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურების (მერია, საკრებულო, განთლების რესურს ცენტრი) მიზანმიმართული მუშაობა და საქართველოში ევროკავშირის მისიისა თუ ევროპის ცალკეული სახელმწიფოების საელჩოების მხრიდან უფრო ხშირი კონტაქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან.

საინტერესოა, რომ განსხვავებული სურათი მივიღეთ მარნეულის N2 ქართულ რუსულ-საჯარო სკოლაში, სადაც აშკარად იგრძნობოდა ევროკავშირისა და ევროპული ფასეულობების შესახებ მოსწავლეთა ინფორმირების მაღალი ხარისხი. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის“ მარნეულის რეგიონალურ ოფისთან, უფრო მეტიც ოფისის ხელმძღვანელი უძღვება სამოქალაქო განათლების კურსს ამ სკოლაში. TEESS პროექტის ფარგლებში ჩატარებულ ვორქშოპებს დაესწრო 100-ზე მეტი მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი. სხვა შეხვედრების მსგავსად, საუბარი წარმართა შეხვედრის დღის წესრიგის მიხედვით - ჩატარდა რამდენიმე სესია ევროკავშირის ისტორიის, საქართველოს ევროპასთან ასოცირების პროცესების შესახებ სხვადასხვა სფეროში. აშკარად იგრძნობოდა, რომ

მსმენელთა ეს ნაწილი შედარებით კარგად იცნობს აღნიშნულ თემატიკას, დასმული შეკითხვები მიუთითებდა უფრო მეტ ინტერესს და მზაობას, მეტი ევროპა დაინახონ საქართველოში. ინტერესი ევროპული საკითხების სწავლების მიმართ გამოხატეს არა მარტო ისტორიისა და სამოქალაქო საზოგადოების მასწავლებლებმა, არამედ გეოგრაფიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენების მასწავლებლებმა. ტრენინგზე განხილული საკითხების აქტუალობიდან გამომდინარე, მათ გამოხატეს მზაობა, რომ სამომავლოდ კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობით განახორციელებენ პროექტებს ევროპული ფასეულობების უკეთ შესასწავლად, ამასთანავე დაიწყებენ პროექტის ფარგლებში გამოცემული სახელმძღვანელოს იმპლემენტაციას სასწავლო პროცესში. დამსწრე მოსწავლეთა შესახებ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მათი დიდი ნაწილი იყო ეთნიკურად აზერბაიჯანელი, კარგად ფლობენ ქართულ ენას და საქართველოს მომავალს სწორედაც რომ დასავლურ და ევროპულ ვექტორს უკავშირებენ. თუმცა, როგორც თავად განაცხადეს, უფრო მეტი სურთ იცოდნენ. უკანასკნელი არ ყოფილა ლიტონი სიტყვები, რადგან მოსწავლეთა დიდ ნაწილი აქტიურად ჩაება პროექტის ფარგლებში გამოცხადებულ მოსწავლეთა ესეების კონკურსში „მე დავინახე ევროპა საქართველოში“. ამ დამოკიდებულებას მოწმობს მათ მიერ ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე შევსებული ტრენინგის შეფასების კითხვარიც. რასაკვირველია, ეს კიდევ უფრო მეტად გვაფიქრებინებს, რომ მარნეულის რაიონში ევროპასთან ასოცირების პროცესების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი. ჩვენის მხრივ, მზაობა აღნიშნული თაობაზე არის, მით უმეტეს, რომ ვფიქრობთ, მარნეულში პროექტის მუშაობის ადგილობრივი ტელევიზიისა<sup>1</sup> და პრესის<sup>2</sup> მიერ ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე გაშუქების შემდეგ, საზოგადოების ინტერესი საქართველოს ევროპასთან ასოცირების პროცესების შესახებ გასცდება სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების სეგმენტს და საზოგადოების ფართო ფენების აქტიურ დაინტერესებას გამოიწვევს.

მარნეულში ჩატარებული შეხვედრების შემდგომ, კავკასიის უნივერსიტეტის Erasmus+ ჟან მონეს პროექტით „ევროპული სწავლების სამკუთხედი“ (TEESS) დაინტერესდა საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საქართველოში“, რომელმაც „ევროპის დღეები - 2021“ ფარგლებში ონლაინ ZOOM პლატფორმის მეშვეობით, პროექტის გუნდთან ერთად რეგიონის მასწავლებლებისათვის მოაწყო „ევროპული ასოცირების პროცესი“ - დამხმარე სახელმძღვანელოს პრეზენტაცია. პრეზენტაციას ესწრებოდა

<sup>1</sup> <https://www.facebook.com/watch/?v=4438599982822825>

<sup>2</sup> [https://24news.ge/read/id/47642?fbclid=IwAR01-8xiPnqA8fFeZ-BKa8gbHEibfh7aV7I7zlx7H\\_PI-OT3nR8iQ4j1nLg](https://24news.ge/read/id/47642?fbclid=IwAR01-8xiPnqA8fFeZ-BKa8gbHEibfh7aV7I7zlx7H_PI-OT3nR8iQ4j1nLg)

80-მდე მასწავლებელი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. პრეზენტაციაზე პროექტის გუნდმა ისაუბრა სახელმძღვანელოს სტრუქტურის, შინაარსობრივი ნაწილის, მისი გამოყენების ინსტრუმენტებისა და მნიშვნელობის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ TEESS გასცდა სკოლისა და უნივერსიტეტის ფარგლებს შედგა არაჩვეულებრივი თანამშრომლობა “საინფორმაციო ცენტრთან ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საქართველოში“, ასევე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან, რომელმაც თავის მხრივ, საქართველოს მასშტაბით ორგანიზება გაუკეთა სახელმძღვანელოს ონლაინ პრეზენტაციას მასწავლებლებისათვის, ასევე კავკასიის უნივერსიტეტის დარბაზში ცალკე შეხვედრა ჩატარდა სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა ფორუმისა და ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციის წევრებთან. ვფიქრობთ, სამომავლოდ ასეთი თანამშრომლობა, კიდევ უფრო მეტად გაზრდის ევროკავშირის შესახებ პროექტების განხორციელების შესაძლებლობას. ასეთი კომუნიკაციის პარალელურად, აუცილებლად უნდა აღინიშნოს სომხურენოვან სკოლებში მუშაობის პროცესში ქართველ-სომეხთა კავშირის მხარდაჭერა და თანადგომა.

პროექტის განხორციელებისას სამიზნე ჯგუფებთან მუშაობისას საინტერესო აღმოჩნდა ევროპელი ექსპერტის ჩართულობა. სამწუხაროდ, პანდემიიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა პროექტის ბენეფიციარ მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრა, თუმცა პროექტით გათვალისწინებული „მრგვალი მაგიდის“ მუშაობაში ბრიუსელიდან დისტანციურად ჩაერთო პროექტის ექსპერტი, ბრიუსელის ვრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, სოციოლოგიის დეპარტამენტისა და TESA-ს შრომითი ბაზრის კვლევითი ჯგუფის დირექტორი, და კავკასიის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ჟაკ ვილროქსი. მან ისაუბრა სახელმძღვანელოს შესახებ, ხაზი გაუსვა სახელმძღვანელოში გაშუქებული საკითხების ცოდნის მნიშვნელობას ევროპული ასოციაციების პროცესების შემდგომ განვითარებაში, ასევე ვრცლად შეეხო დღეს არსებულ პრობლემებს სოციალურ სფეროში, მისი გადაჭრის გზების ევროპულ გამოცდილებას. შეხვედრის დასრულებისას გამართულმა დისკუსიამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა განხილული საკითხების შესახებ ინფორმაციის ზრდის აუცილებლობასა და საჭიროებაში. გამოიკვეთა სამომავლო მუშაობის გეგმები.

**ესეების კონკურსი „მე დავინახე ევროპა საქართველოში“.** მოსწავლეთა ესეების კონკურსს - „მე დავინახე ევროპა საქართველოში“ - მოსწავლეთა მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ვერ ვიტყვით, რომ ყველას გაუჩნდა აღნიშნულის სურვილი, თუმცა სასიამოვნოა, რომ ბევრმა მოსწავლემ საქართველოში მიმდინარე ევროინტეგრაციული პროცესების შესახებ ცოდნის მიღებასთან ერთად, ამ საკითხებზე საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვაც მოისურვა. ეს პროექტის ფარგლებში გაწეული სამუშაოს ერთ-ერთი შედეგია. კონკურსში მონაწილეობა მიიღო

რამდენიმე ათეულმა მოსწავლემ ყველა რაიონიდან, როგორც ქართული, ისე რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სკოლებიდან. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებს ჰქონდათ გარკვეული შიში ქართულ ენაზე შეესრულებინათ საკუთარი საკონკურსო ნაშრომი, თუმცა შედეგმა ცხადჰყო, რომ აბსოლუტურად სწორი იყოს პროექტის ავტორების გადაწყვეტილება ვორქშოპები ჩატარებულიყო ქართულ ენაზე, რაც გააღრმავებდა სახელმწიფო ენის ცოდნას სამიზნე ჯგუფებში. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს ჩვენთან საუბარში, მოსწავლეები კონსულტაციას გადიოდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებთან და შედეგამც არ დააყოვნა. აკადემიურად და სტილისტურად გამართულ ნაშრომებთან ერთად ახალციხის N3 სომხური სკოლისა და ქ. თბილისის 104 სომხური საჯარო სკოლის მოსწავლეები გამოირჩეოდნენ ლამაზი კალიგრაფიითა და ევროინტეგრაციული მომავლის სწორი ხედვით.

მოსწავლეთა საკონკურსო ნაშრომების შეფასებაში აქტიურად იყო ჩართული კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი კურსების სტუდენტთა ჯგუფი. ნაშრომების შეფასების პროცესში, დავინახეთ სტუდენტთა არაჩვეულებრივი შესაძლებლობა პრაქტიკაში გამოიყენონ უნივერსიტეტში შეძენილი ცოდნა. მათ კონკრეტულ არგუმენტებზე დაყრდნობით სავსებით სამართლიანად გამოყვეს მაღალი ხარისხით შესრულებული ნაშრომები. მოსწავლეთა ნაშრომებში აშკარად იკვეთებოდა, რომ ევროპა ჩვენი კულტურული და ისტორიული არჩევანია, ევროპა ადამიანის აზროვნებისა და ცხოვრების წესია. თუმცა, ზოგიერთი ნაშრომის სიმწირე კიდევ ერთხელ მიგვითითებს, რომ პროექტის მიზნებიდან გამოდინარე სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. ძალიან სასიხარულოა, რომ კონკურსში მონაწილე 6 სკოლას ჰყავს გამარჯვებული, რომლებიც დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებით, წიგნებითა და სხვა სამახსოვრო საჩუქრებით. პროექტის ფარგლებში დამსახურებულად აღინიშნა პედაგოგების შრომაც, რომლებმაც აქტიურად დაიწყეს სახელმძღვანელოს გამოყენება სასწავლო პროცესში, ამასთანავე წარმოადგინეს სამომავლო წინადადებები პროექტის დასრულების შემდგომ როგორ გეგმავენ ევროპული ფასეულობებისა და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების სწავლებას. პროექტის მუშაობა - ექსპერტების, პროექტში ჩართული მოსწავლეებისა და მასწავლებლების მუშაობა დადებითად შეაფასა ასევე პროექტის იმპლემენტაციში ჩართულმა სამოქალაქო განათლების ექსპერტმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან.

პროექტის შეფასების თვალსაზრისით საინტერესო იყო შეფასების ეტაპზე ჩატარებული გამოკითხვები და ინტერვიუები პროექტის ბენეფიციარი სკოლების დირექტორებთან და

მასწავლებლებთან, ასევე პროექტში მონაწილე კავკასიის უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან. კითხვარებისა და ინტერვიუების დამუშავების პროცესმა ცხადჰყო, რომ პროექტმა მიაღწია შედეგს როგორც მოკლევადიან, ისე საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში. ორივე მხარეს გამოიკვეთა, რომ მონაწილეებს აქვთ უფრო მეტი უნარი და ცოდნა ევროინტეგრაციისა და ევროპასთან ასოცირების შესახებ გამოიყენონ მიმდინარე პროცესების გასაანალიზებლად; აქვთ გეგმა, რომელსაც გამოიყენებენ საკუთარ საქმიანობაში; მიღებული ცოდნა და გამოცდილება ინერგება საგანმანათლებლო საქმიანობაში, გაუმჯობესებულია მათი უნარები ევროინტეგრაციისა და ევროპასთან ასოცირების პროცესებთან დაკავშირებული პრობლემების თუ საქმიანობის შესაფასებლად, აქვთ სტიმული თანაბარი მონაწილეობა მიიღონ მათ ცხოვრებაზე გავლენის მქონე გადაწყვეტილებების მიღებაში.

**დასკვნა:** მზარდი ანტი-დასავლური პროპაგანდის ფონზე, აუცილებელია საქართველოს ევროპულ-ლი ინტეგრაციის პროცესის მნიშვნელობაზე საზოგადოებასთან ინტენსიური დიალოგი და აღნიშნულ პროცესში მოქალაქეების აქტიური ჩართვის ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მიმართ საზოგადოების მხარდაჭერის წინაპირობაა. აღსანიშნავია, რომ Covid-19 პანდემიის შედეგად მსოფლიოში არსებული გამოწვევებისა და ქვეყანაში შექმნილი ვითარების მიუხედავად, ურთულეს პირობებში განხორციელდა პროექტით დაგეგმილი ღონისძიებები. პროექტით დასახული მიზნები მიღწეულია. თუმცა სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. დღის წესრიგში კვლავ რჩება ეთნიკურ უმცირესობებში ევროპული ფასეულობების შესახებ ცნობიერების ამაღლების საკითხი სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერებასთან ერთად. აღსანიშნავია, რომ პროექტის მსვლელობამ დაგვანახა არა მარტო პროექტის ბენეფიციარი სკოლების, არამედ სხვა სკოლების დაინტერესებაც საქართველოს ევროპასთან ასოცირების პროცესების შესწავლით. მათი, პროექტისაგან დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, დანერგონ სახელმძღვანელო სამოქალაქო განათლების სწავლების პროცესში, მაგალითად „ქართულ-იტალიურ სკოლა „ცისკარში“, ნიშნავს, რომ ყინული დაიდრა და პროექტის ფარგლებში შექმნილმა სახელმძღვანელომ ნახა დღის სინათლე არა მხოლოდ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, არამედ საქართველოს ზოგადსაგან-მანათლებლო სისტემაში მთლიანად. მიღწეული შედეგი სერიოზული საფუძველია იმისათვის, რომ ამ ტიპის პროექტების განხორციელება დაიწყოს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ამისათვის კი კიდევ უფრო აქტუალურად მიგვაჩნია სკოლებისა და უნივერსიტეტების თანამშრომ-ლობაში განათლებისა და მეცნიერების

სამინისტროს მხარდაჭერა, ზოგადად იმ ევროპული გამოცდილების გაზიარება, რასაც ევროპარლამენტი განათლებაში ევროკავშირის სწავლების გან-ზომილების დამკვიდრების მხარდაჭერით გამოხატავს. საქართველოშიც სახელმწიფოებრივ დონეზე მხარდაჭერის არსებობა, უფრო მეტად შეუწყობს ხელს TEES პროექტის ფარგლებში დაგროვილი გამოცდილების გამოყენებას სამომავ-ლოდ სხვა ახალგაზრდული პროგრამების რეალიზებაში, ევროკავშირის სახელმწიფოების გამოცდილების Erasmus in Schools დანერგვას, სასკოლო კონკურსების საერთო ეროვნულ დონეზე ჩატარებას, სამიზნე ჯგუფებში არა მხოლოდ უფროსკლასელებთან მუშაობის ორგანიზებას, არამედ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის გათვალისწინებასაც, რაც უფრო მეტად წახალისებს და საინტერესოს გახდის მოსწავლეთა ინტერესს ევროპის მიმართ, პასუხისმგებლობას თავადაც მიიღოს მონაწილეობა საქართველოში ასოცირების პროცესების განხორციელებასა და დანერგვაში.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

მიქაშავიძე მ., - ეთნიკური უმცირესობები საქართველოში: მედიის მეშვეობით ჩართულობიდან გაძლიერებისკენ, პოლიტიკის დოკუმენტი, 2016 - [https://www.osgf.ge/files/2016/EU%20publication/Angarishi\\_A4\\_\\_Media\\_GEO.pdf](https://www.osgf.ge/files/2016/EU%20publication/Angarishi_A4__Media_GEO.pdf) (უკანასკნელად გადამოწმებულია 23.08.2021)

მოქალაქეობა - საბაზო საფეხურის სტანდარტი, <http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/sabazo-safekhuri-vi-ix-klasebi-proeqti-sadjaro-gankhilvistvis> (უკანასკნელად გადამოწმებულია 27.09.2021)

ჭელიძე გ., - ევროპული ასოცირების პროცესი საქართველოში, დამხმარე სახელმძღვანელო ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისათვის. გამომცემლობა „კავკასიის უნივერსიტეტი“. თბილისი. 2020. 66 გვ.

Chelidze G., Kardava E., Bragvadze Z. - European Association Process in Georgia, Handbook for History and Civic Education Teachers. Caucasus University Publishing House. Tbilisi. 2020. 56 pp.

Fassoulas P., Learning EU at School' on the ground: the work of the European Movement network [Electronic resource]. - Access mode: <https://europeanmovement.eu/learning-eu-at-school-on-the-ground-the-work-of-the-european-movement-network-2/> - Access date: 20.09.2021.

<https://cu.edu.ge/grant-projects/cu-grant-projects-news/european-association> - Access date: 20.09.2021.

[www.epfound.ge](http://www.epfound.ge) - Access date: 25.09.2021.

<https://womenfundgeorgia.org/en/News/AllNews/2133> - Access date: 25.09.2021.

<http://sknews.ge/ka/old/29872> - Access date: 25.09.2021.

<https://tv9news.ge/ka/akhali-ambebi/ganathleba/article/22358-akhalcikheshi-evrokavshirthan-asocirebis-themaze-treningebi-tardeba?fbclid=IwAR15x-quWJP3vjLLH-wbHg1QozGAfP-JA91PeBkpCWhxgk7FDMkaxejOZAs> - Access date: 27.09.2021.

**Guranda Chelidze Ekaterine kardava Zurab Bragvadze**

Caucasus University

e-mail: [gchelidze@cu.edu.ge](mailto:gchelidze@cu.edu.ge); [ekardava@cu.edu.ge](mailto:ekardava@cu.edu.ge); [zbragvadze@cu.edu.ge](mailto:zbragvadze@cu.edu.ge)

**Raising Awareness of the EU, European Values and Georgia's Association Agreement with the EU in Ethnic Minority Areas and IDP settlement -- on the Example of Jean Monnet's "European Learning Triangle" project at Caucasus University**

**Abstract**

In the context of European Integration of Georgia, great importance is attached to the knowledge and expectations of the population, including the ethnic minorities, regarding Georgia's integration in the EU and implementation of the EU-Georgia Association Agreement. According to the surveys taken by various organizations, the popular mood in Georgia is positive where the EU-integration is concerned. Although the interest towards the association is substantial it does not rely on the specifics and dynamics of the bilateral relations. Mostly, the information the people get from the TV is superficial.

One option to raise the popular awareness is to implement the Caucasus University Erasmus + Jean Monnet **"Triangle Effect of European Studies at Schools"** (TEESS) project and share the university knowledge of European Studies with public schools. **The project aims at** raising awareness of the European integration, the Association Agreement and DCFTA in the regions densely populated by the IDPs, namely, the school children, teachers and their families.

The workshops staged in the Georgian, Russian, Armenian and Azeri public schools in the capital Tbilisi and the towns of Akhaltsikhe and Marneuli partly attended by the IDPs made the scarcity of the information and the interest evident. The discussions showed that most of them realized the importance of the EU support to Georgia. We suggest a different planning of the information campaign targeted at

sharing the European values and generally the EU-Georgia relations, on the one hand and better instruction in the Georgian language in the regions populated with the ethnic minorities. That is what “The European Association Process in Georgia”, a quadri-lingual textbook published within the frameworks of the Caucasus University “Erasmus +” Jean Monnet project funded by the Ministry of Education and Science of Georgia is targeted at. We suppose stepping up the project activities by adding elements of informal education and last but not the least, closer involvement of public agencies and institutions.

**Key words:** EU, TEES, ethnic minority, public schools, handbook for history and civic education teachers.

რეცენზენტი: პროფესორი ალ. კოვტუნი



პოლიტიკური მეცნიერებები  
Political Science and International Relations

უფლებრივი თანასწორობის პრობლემა 1918-1921 წლების  
ქართულ პრესაში

ნანული ტალახაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ელ.ფოსტა: nanuli.talakhadze@tsu.ge / nanatalakhadze@yahoo.com

კვლევის საგანია 1918-1921 წლებში, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პერიოდის მედიის ფუნქციონირების პარამეტრები და ის პროცესები, რომელმაც ხელი შეუწყო ქვეყანაში პლურალისტური მედიაკლიმატის შექმნასა და ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა ადამიანის უფლებების დაცვისა და სოციალური თანასწორობის პრობლემატიკა, რომელსაც კონკრეტული მიმართულებით-გენდერულ ჭრილში განვიხილავთ.

პლურალისტური მედიაგარემოდან გამომდინარე, სათანადო წყაროების, საარქივო და საგაზეთო პუბლიკაციების კონტექსტური ანალიზის საფუძველზე, გამოვარჩიეთ და შევისწავლეთ 1918-1921 წლების წარმართველი, იდეოლოგიურად განსხვავებული პოლიტიკური პარტიების მთავარი ბეჭდვითი ორგანოები: სოციალ - დემოკრატიული მუშათა პარტიის გაზეთი „ერთობა“ (1917-1921წწ.), სოციალ-ფედერალისტთა პარტიის „სახალხო საქმე“ (1917-1921წწ.) და ეროვნულ-დემოკრატების-„საქართველო“ (1915-1921 წწ.). გავანალიზეთ რამდენად ადექვატურად, როგორი ხედვებითა და ჟურნალისტური ხერხებით ამუქებდნენ აღნიშნული მედიასაშუალებები ფემინისტურ ნარატივს.

გავითვალისწინეთ ისტორიული კონტექსტიც და ის დინამიკა, რომელიც მე-19 საუკუნის სამოციანი წლებიდან იკვეთება და მედია ინტერესდება ქალთა პრობლემებით. თუმცა მთავარი აქცენტი კეთდება განათლების აუცილებლობაზე და იმ სტერეოტიპებზე, რომელიც ქალს მხოლოდ ოჯახურ გარემოში, ქმრისა და შვილების მსახურად წარმოაჩენს. ეს მიდგომები გრძელდება მეოცე საუკუნის მეორე ათწლეულშიც, თუმცა ეპოქისა და სოციალური გარემოს გათვალისწინებით უფრო აქტუალური ხდება უფლებრივი თანასწორობის იდეა ქალთა მიმართებით, როგორც სოციალურ, ისე პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებების ჭრილში.

ყურადღება გავამახვილეთ როგორც ქალთა ემანსიპაციის პრობლემების ამსახველ პუბლიკაციებზე, ასევე ქალ ავტორებზეც, რომელთა რიცხვი, მართალია, მცირეა, მაგრამ ისინი საკმაოდ მაღალპროფესიულად ახერხებენ გენდერული პრობლემების სწორ აქცენტირებას და ქალთა სოციალური თუ პოლიტიკური საკითხების სიღრმისეულ გააზრებას (ნ. ნაკაშიძე, მ. ტოროშელიძე, ვ. ჯაფარიძე და სხვ.). კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ 1918-1921 წლების პარტიულ პრესაში, ერთი მხრივ, მკაფიოდ აისახა ის სასიკეთო ნაბიჯები, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელისუფლებამ გადადგა საკანონმდებლო დონეზე ადამიანის უფლებების დაცვისა და კონკრეტულად, ფემინისტური მიმართულებით. ხოლო, მეორე მხრივ, ნეგატიურ ჭრილში წარმოჩნდა ხელისუფლების არასათანადო დაინტერესება ქალთა სოციალური თუ უფლებრივი თანასწორობის პრობლემებით. ფაქტობრივად, მოლოდინი, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ჩამოყალიბდებოდა ადამიანის უფლებების პატივისცემის, თანასწორობის, ტოლერანტობის კულტურა, რომელიც მყარ საფუძველს შეუქმნიდა სამართლიანი და დასავლური ტიპის სახელმწიფოს მშენებლობას, პრაქტიკულად ვერ განხორციელდა. ამ მიმართულებით ქვეყნის წინსვლა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ოკუპაციამ 70 წლით შეაჩერა.

**საკვანძო სიტყვები:** პლურალისტური მედიაკლიმატი, ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები

1918-1921 წლები საქართველოს ისტორიის გამორჩეული პერიოდია-ქვეყანამ თავი დააღწია რუსეთის კოლონიურ რეჟიმს და დამოუკიდებელ რესპუბლიკად ჩამოყალიბდა. დაიწყო ახალი ერა და იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა რეფორმებმა, რომლებიც თავისუფლებასთან, ადამიანის უფლებებთან და დემოკრატიულ ღირებულებებთან ასოცირდებოდა, ხელი შეუწყო პლურალისტური მედიაგარემოს შექმნას, რაც უპრეცედენტო მოვლენა იყო ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში-მრავალი პროფილისა და მიმართულების ბეჭდვითი ორგანო, განსხვავებული მსოფლმხედველობისა და იდეოლოგიის პარტიული პრესა, სატირულ-იუმორისტული, დარგობრივი, სახელოვნებო და ა.შ. ხასიათის ჟურნალ-გაზეთები ხელს უწყობდნენ თავისუფალი მედიასივრცის არსებობას და ამავე დროს, ნათლად წარმოაჩენდნენ იმ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ პრობლემებს, რომლის წინაშეც აღმოჩნდა ახალფეხადგმული სუვერენული სახელმწიფო.

1918-1921 წლების მედია გამორჩევა თემატური თუ ჟანრობრივი მრავალფეროვნებით, სიღრმისეული პუბლიცისტიკით ქვეყნის საგარეო კურსის, პოლიტიკური ორიენტაციის, სახელმწიფოს მართვისა და აღმშენებლობითი ამოცანების შესახებ. ამავე დროს სერიოზულ ყურადღებას უთმობს დასავლური ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების პროპაგანდას და მოცულობით მასალას გვაწვდის პირველი რესპუბლიკის პერიოდში ადამიანის უფლებრივ მდგომარეობაზე, იმ პოლიტიკაზე, რომელსაც ატარებდა ხელისუფლება თავისი მოქალაქეებისადმი, მათი სოციალური, პოლიტიკური თუ სამოქალაქო უფლებების რეალიზაციისა და დაცვის მიზნით.

საკვლევ მასალას - უფლებრივი თანასწორობის პრობლემატიკას - ჩვენ კონკრეტული მიმართულებით - გენდერულ ჭრილში განვიხილავთ, რამდენადაც სწორედ მეოცე საუკუნის დასაწყისში აქტიურდება მსოფლიო მედიაში და მათ შორის, საქართველოშიც, ქალისა და მამაკაცის ტრადიციული როლების გადახედვის პროცესი და თავად ქალები ერთიანდებიან საკუთარი უფლებების დასაცავად. ამ მიზნით, შევისწავლეთ 1918-1921 წლების წარმართველი, იდეოლოგიურად განსხვავებული მთავარი პოლიტიკური პარტიების მთავარი ბეჭდვითი ორგანოები: სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გაზეთი „ერთობა“ (1917-1921 წწ, რედ. ვ. ბობოხიძე, 1920 წ.- ლ. ნათაძე), სოციალ-ფედერალისტთა პარტიის - „სახალხო საქმე“ (1917-1921 წწ. რედ. ს. ფირცხალავა), ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის- „საქართველო“ (1915-1921 წწ. რედ. გრ. ვეშაპელი) და გავანალიზებთ, როგორი ადექვატურობით და ჟურნალისტური ხერხებით ამუქებდნენ აღნიშნული გაზეთები ქალთა უფლებების დაცვისა და უფლებრივი თანასწორობის საკითხებს და რამდენად ქმედითი იყო ფემინისტური ნარატივი.

1918-1921წლების პერიოდის პრესაში არ გვხვდება ისეთი ტერმინები, როგორიცაა „დისკრიმინაცია“, „გენდერული პოლიტიკა“, „ფემინიზმი“ და აშ. მაგრამ თვალში საცემია ფოკუსირება ქალების როგორც პოლიტიკური და სამოქალაქო, ისე სოციალური თანასწორუფლებიანობის პრობლემებზე - „დისკრიმინაციის აკრძალვა ქალების მიმართ, სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება, უსაფრთხო და ჯანმრთელი სამუშაო პირობები, შესაბამისი ცხოვრების სტანდარტები, ჯანმრთელობის დაცვა და განათლება“ (ადამიანის უფლებები, 2005:11). საკვლევ პერიოდის თითქმის ყველა მედიასაშუალება ამ საკითხებს მეტ-ნაკლები ინტენსივობით ამუქებს. ამავე დროს ერთგვარ მონიტორინგს უწევს ხელისუფლებას, რომელიც აცხადებს, რომ მათი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა ორიენტირებულია დასავლურ ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე და მისი მთავარი პრიორიტეტია „მოქალაქენი, კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან“, „ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია, როგორც პოლიტიკურ ისე სამოქალაქო, ეკონომიურ და საოჯახო უფლებით“ (საქართველოს კონსტიტუცია 1918:11 ). მოლოდინი გაჩნდა, რომ სწორედ ამ მიმართულებებით განვითარდებოდა სახელმწიფო და იღვაწებდა ლიბერალური იდეებისა და ფასეულობების ფუნდამენტური პოლიტიკური და სოციალური საკითხების გადასაჭრელად, რაც მყარ საფუძველს შექმნიდა სამართლიანი და დასავლური ტიპის სახელმწიფოს მშენებლობისთვის. გასათვალისწინებელია ისტორიული კონტექსტიც, როდესაც საქართველოში მე-19 საუკუნის სამოციანი წლებიდან იკვეთება პრესის დაინტერესება ქალთა მდგომარეობით. მაგრამ მთავარი აქცენტი კეთდება ქალთა განათლების აუცილებლობაზე და იმ სტერეოტიპებზე, რომელიც მას მხოლოდ ოჯახურ გარემოში, ქმრისა და შვილების მსახურად წარმოაჩენს. ამ საკითხებს ხშირად ამუქებდნენ ცნობილი პუბლიცისტები და მათ შორის მწერალი ქალები (ბ. ჯორჯაძე, ევ. გაბაშვილი, დ. ერისთავი, ან. თუმანიშვილი და სხვ.). ეს დინამიკა გაგრძელდა მეოცე საუკუნის 10-20-იან წლებშიც, თუმცა ეპოქისა და სოციალური გარემოს გათვალისწინებით გაფართოვდა თემატიკა და წინა პლანზე წამოიწია ფემინისტურმა ნარატივმა.

ჩვენ მიერ განხილული ყველა გაზეთი მეტ-ნაკლებად ინტერესდება სოციალური თანასწორობის საკითხებით, აღიარებს ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობას, მოუწოდებს ქალებს, მსგავსად მამაკაცებისა, აქტიურად ჩაერთონ სახელმწიფო ცხოვრებაში. მაგრამ, როგორც საგაზეთო მასალებიდან ირკვევა, ქვეყნის წარმართველ პარტიებს, მათი პოლიტიკური თუ იდეოლოგიური პოზიციებიდან გამომდინარე, განსხვავებული მიდგომები აქვთ აღნიშნული პრობლემებისადმი და ეს პარტიული პრესის ფურცლებზეც აისახება.

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანო „ერთობა“, სოციალური თანასწორობის საკითხებს რევოლუციის ჭრილში განიხილავს. ხშირად იბეჭდება მასალები, სადაც ქალებს შეახსენებენ, რომ სწორედ რევოლუციამ გაათავისუფლა ისინი შრომის უღლისგან: „ძველი რეჟიმის დროს ყველაზე უფრო დამონავებულნი და დაჩაგრულნი ქალები იყვნენ. ქალები რაღაც სათამაშო ნივთს წარმოადგენდნენ და იმდენად ჰქონდათ ფასი, რამდენადაც ეს საჭირო იყო ამა თუ იმ მიზნებისთვის, მაგრამ ეს დრო გაჰქრა. მას ისტორია ვერ დააბრუნებს. რევოლუციამ ქალებს სრული უფლება მიანიჭა და გახადა სრულუფლებიან წევრებათ ერთი დიდი ოჯახისა“ (ერთობა, 1918:38). სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია თავისთავად მოიაზრებს ქალებს, როგორც სისტემის ნაწილს და აღიარებს მამაკაცების თანასწორად და არაერთგზის აღნიშნავს, რომ „რევოლუციაში და მის სასურველად დაგვირგვინებაში ყველამ ერთნაირად უნდა მიიღოს მონაწილეობა, როგორც მამაკაცებმა, ისე დედა-კაცებმაც, წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლუციას არ ექნება მკვიდრი საფუძველი“ (ერთობა, 1918 : 38). ზოგადად, „ერთობა“ ხშირად უსვამს ხაზს მთავრობის ზრუნვას ადამიანის სოციალური უფლებების გასაუმჯობესებლად, ყურადღებას ამახვილებს გენდერულ საკითხებზეც, კერძოდ, ქალის როლზე სოციუმში, მის ჩართულობაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ეს პროპაგანდისტული ქვეტექსტები ერთგვარი პიარია იმ სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეოლოგიისა, რომელიც სრული უმრავლესობით მოვიდა ხელისუფლებაში და ფაქტობრივად, წარმართავდა ქვეყნის საკანონმდებლო თუ სააღმსრულებლო პოლიტიკას. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მხოლოდ სოციალ-დემოკრატებს ჰყავდათ საარჩევნო სიაში ქალები და საქართველოს დამფუძნებელი კრების 130 წევრიდან 5 ქალი სწორედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. ამდენად, „ერთობა“ მწვავედ არც აღიქვამს სოციალური უთანასწორობის საკითხებს და მიაჩნია, რომ თუ ქალები მაინც ჩრდილში დგანან და ასპარეზზე არ გამოდიან, ეს ისევ მათი ბრალია: „აქ ჩვენ ძლიერ ცოტას ან სულ არა ვხედავთ მომუშავე ქალებს, ვითომ ამ რევოლუციას ქალებისთვის არა მოეტანოს-რა, ისინი სდუმან, ჩამი-ჩუმიც არ ისმის, ისევ კერძოთ თავიანთ ოჯახებში, კერძო ოჯახურ საქმეებზე ფუსფუსებენ. სურსათის სიმკვრივე და ნაკლებობაზე წუწუნებენ. ამაში ახალ მთავრობას, რევოლუციას ბრალსა სდებენ. იმის მაგიერ, რომ რევოლუციას გვერდში ამოუდგნენ, თავისუფლების საქმეს ემსახურონ“ (ერთობა,1918:35). გაზეთი მოუწოდებს ქალებს გააქტიურდნენ და გაერთიანდნენ, როგორც სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში, ისე პროფესიულ კავშირებში, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ღონისძიებაში და ქვეყნის პრობლემებით დაინტერესდნენ. სისტემატურად იბეჭდება ინფორმაციები „ამხანაგი ქალების“ სხდომების, შეკრებების, მიტინგების შესახებ, ქალთა პროფესიული ორგანიზაციებში, ქალთა შრომის რაზმებში, სანიტარულ რაზმებში,

საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობის შესახებ. მაგ. „მკერავთა პროფკავშირთა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველად მათ ე.წ. „ნემსის პროლეტარს“ დღეს 450 წევრი ჰყავს“ (ერთობა, 1919 : 86). „ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი იღებს ყოველგვარ საკერავს, ასევე აქ მიიღებენ მოწაფეებს - ქალებს ჭრა-კერვის, ქარგვის, და სხვადასხვა ხელსაქმის შესასწავლად“ (ერთობა, 1920:205). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული თემატიკის წარმოჩენის ინტენსივობა პერიოდულად იცვლება ქვეყნის რთული საშინაო და საგარეო პოლიტიკური რეალობების მიხედვით. ხშირ შემთხვევაში სოციალური და უფლებრივი კონტექსტების გადაფარვა გამოწვეულია ქვეყნის დამოუკიდებლობაზე და თავდაცვისუნარიანობაზე ზრუნვის მოტივაციით და ომის ვითარებაში მყოფი ქვეყნის მძიმე მდგომარეობით. ამდენად, მედიისთვის დამახასიათებელია ერთგვარი საომარი რიტორიკაც, პათეტიკური ტონი, მოწოდებები პატრიოტული მოვალეობების შესახებ და ა. შ. ხშირად იბეჭდება მასალები-თუ როგორ უდგანან მხარში მუშა ქალები ჯარისკაცებს, სწავლობენ დაჭრილების მოვლას, მათთვის აგროვებენ ან კერავენ ტანსაცმელს, დიდი ენთუზიაზმით მუშაობენ სათნოების დებად დასხვ. გაზეთი ქალებს მოუწოდებს, პირადი პრობლემები გვერდზე გადადონ და საბრძოლველად წასულ მამებს, შვილებსა და ქმრებს გვერდში ამოუდგინენ: „უნდა შევსძლოთ განვითარების უფლოთ ყოველი მამაკაცი თავდაცვისათვის და მათი ადგილები ჯარის ზურგში უნდა შევავსოთ კარგად მომზადებული ქალებით (ერთობა, 1918:62), ამ ტიპის მასალები რამდენიმეწინადადებიან ქრონიკებშია გაბნეული. ასევე, ვრცელი ადგილი ეთმობა ქალთა პოლიტ-პარტიულ საქმიანობას და ხშირად აანონსებს „ერთობა“ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის აქტივისტი ქალების მიერ ორგანიზებულ ლექციებს (მ. ტოროშელიძე, ო. სოლოდაშვილი, ი. ჟორდანიას და სხვ.), რომელთა მიზანია „ლექცია-რეფერატების კითხვით დახმარება აღმოუჩინონ თვით-განვითარების მსურველ ამხანაგ ქალებს, რათა მათ შეეძლოთ შეგნებულათ მონაწილეობის მიღება საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ (ერთობა, 1918 :40).

„ერთობამ“ ფართოდ გააშუქა 1920 წლის სექტემბრის თვეში ევროპის სოციალისტური დელეგაციის სტუმრობა საქართველოში. დაბეჭდა ცნობილი მოღვაწის სნოუდენის გამოსვლა, რომელმაც ხაზი გაუსვა ქართველი ქალების აქტიურობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში: „ჩვენ გვახარებს ის როლი, რომელსაც თამაშობენ ქალები საქართველოში. სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ ასე არ არის. ინგლისელ ქალებს მხოლოდ სხვისი არჩევის უფლება აქვთ, თავად კი არ შეუძლია არჩეული იყოს“ (ერთობა, 1920:215). უცხოელის თვალთ დანახული ქართველ ქალთა მდგომარეობის შეფასება გადაჭარბებულდაც მოგვეჩვენება, როცა ვეცნობით მონიშნული პერიოდის პრესაში ქართველი ქალი ავტორების ანალიტიკურ სტატიებს სქესთა თანასწორუფლებიანობის შესახებ, მათი უფლებების დარღვევებზე და ა. შ.

ამ მხრივ გამოირჩევა სოციალ-ფედერალისტების ბეჭდვითი ორგანო „სახალხო საქმე“, რომელმაც თავისი ფურცლები ქართველი ფემინისტი ქალების მაღალპროფესიულად მომზადებულ კრიტიკულ მასალებს დაუთმო. ეს ავტორები პოლიტიკურად აქტიური ქალბატონები არიან (ნ. ნაკაშიძე, ფ.ჯაფარიძე და სხვ.), საკმაოდ განათლებულები და ინფორმირებულები მსოფლიოში მიმდინარე ქალთა მოძრაობების შესახებ და კარგად ხედავენ ახალი რესპუბლიკის კანონმდებლობის იმ დადებით მხარეს, რომელიც ყველა ადამიანის

თანასწორობას ქადაგებს, თუმცა იმის აღნიშვნასაც არ ერიდება, რომ ხშირ შემთხვევაში ეს ლიტონი სიტყვებია და ხელისუფლება სათანადო ძალისხმევას არ მიმართავს პრობლემების მოსაგვარებლად. ქართული პუბლიციტიკის შესანიშნავი ნიმუშია ცნობილი მწერლისა და მოღვაწის ნინო ნაკაშიძის ორნაწილიანი სტატია - „სახელმწიფოს შენება და ქართველი ქალი“, სადაც მთავარი აქცენტები გადატანილია ქალთა როგორც სამოქალაქო-პოლიტიკურ უფლებების რეალიზაციის აუცილებლობასა და სოციალური პირობების მოუგვარებლობის - მარტოხელა დედობის, პროსტიტუციის, ორსულების, ქალთა შრომის დაცვის საკითხებზე. „ქართველ ქალებს ისტორიამ ისეთი უფლებები მიანიჭა, რომლის მოპოვებისთვის ჯერაც იბრძვიან საფრანგეთსა და ინგლისში ქალები, მაგრამ ისტორიაში არ ყოფილა ისეთი მაგალითი, რომ ხალხს, კლასს, ხალხის ჯგუფს არ ესარგებლოს იმ უფლებით, რომელიც მას წილად ხვდა. თუ ჩვენ, ქალები არ ვისარგებლებთ ამ უფლებებით, არ მივიღებთ აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოს შემოქმედებით მუშაობაში, დავკარგავთ მოპოვებულ უფლებებს და დიდი უბედურება იქნება ქვეყნისთვის (სახალხო საქმე, 1918:358.). ავტორის აზრით, საკითხი, რომელიც ყველას ეხება, ის ყველას ჩართულობით უნდა გადაწყდეს. ამიტომ აუცილებელია საკანონმდებლო მუშაობაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების აქტიური მონაწილეობა.

რაც შეეხება ეროვნულ-დემოკრატიების პრესას, „საქართველო“ ქართველი მშვენიერი ქალბატონების ტრადიციული სტერეოტიპების ტყვეობაშია, მათ სილამაზესა და კდემამოსილებას ასხამს ხოტბას. ქალი უფრო პოეტური მეტაფორების მუზაა, აღტაცებისა და ვნებათა ღელვის გამომწვევი. „ამხანაგების“ ნაცვლად აქ ქალები „კნეინობით“ არიან მოხსენიებული. მაგ. ერთ-ერთ მასალაში „მწერლობის დღეობა“ (საქართველო, 1918 : 60). საუბარია საზეიმო ღონისძიებაზე, რომლის „პატრონესები“ კნეინები არიან და სადამოს მწერლები აირჩევენ ყველაზე ლამაზ ქალს. „საქართველო“ ერთადერთი გაზეთია, სადაც სარედაქციო წევრებს შორის ნინო ყიფიანიცაა მოხსენიებული. აქ იბეჭდებოდა ცნობილი მწერლის ეკატერინე გაბაშვილის ფელეტონებიც.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ 1918-1921 წლების პარტიულ პრესაში, ერთი მხრივ, მკაფიოდ აისახა ის სასიკეთო ნაბიჯები, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელისუფლებამ გადადგა საკანონმდებლო დონეზე ადამიანის უფლებების დაცვისა და კონკრეტულად, ფემინისტური მიმართულებით. ხოლო, მეორე მხრივ, ნეგატიურ ჭრილში წარმოჩნდა ხელისუფლების არასათანადო დაინტერესება ქალთა სოციალური თუ უფლებრივი თანასწორობის პრობლემებით.

შეიძლება ითქვას, რომ მოლოდინი, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ჩამოყალიბდებოდა ადამიანის უფლებების პატივისცემის, თანასწორობის, ტოლერანტობის კულტურა, რომელიც მყარ საფუძველს შეუქმნიდა სამართლიანი და დასავლური ტიპის სახელმწიფოს მშენებლობას, პრაქტიკულად ვერ განხორციელდა. ამ მიმართულებით ქვეყნის წინსვლა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ოკუპაციამ 70 წლით შეაჩერა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადამიანის უფლებები - თავისუფლების ინსტიტუტი, 2005. გვ. 11.
2. საქართველოს კონსტიტუცია, 1918 წელი, სამშობლო, (1990 წლის 26 მაისი, თბილისი)

გაზეთები:

3. ერთობა, 1918, # 358
4. საქართველო, 1918 წ. # 60
5. სახალხო საქმე, 1918 წ.## 35, 38, 40 62; 1919 წ. #86; 1920 ## 205, 215

**Nanuli Talakhadze**

Iv. Javakhishvili Tbilis State University

**The Problem of Legal Equality in the Georgian Press of 1918-1921**

**Abstract**

The subject of research in 1918-1921 is the parameters of the functioning of the media during the period of the Independent republic of Georgia and processes that contributed to the creation of a pluralistic media climate in the country and the establishment of liberal-democratic values. One of the manifestations of this is the issue of human rights and social equality, which we will discuss in a specific direction – in terms of gender.

Based on the plurastic media environment, based on the contextual analysis of relevant sources, archival and newspaper publications, we gave selected and studied the main print media of the leqding, ideologically different political parties of 1918-1921: Socia;-Democratic Worker’s Party newapaper “Unity” (1917-1921). The Federalist Party “People’s Affairs” (1917-1921) and the National Democrats – “Georgia” (1915-1921). We analyzed how adequately, with what visions and journalistic means these media outlets covered the feminist narrative.

We focused on publications on the problems of women’s emancipation, as well as women authors, the number of which, although small, they are quite professionally able to properly focus on gender issues and in-depth understanding of women’s social or political issues (N.Nakashidze, M.Toroshelidze, F.Josh and others).

The resuklts of the research showed that the party press of 1918-1921, on the one hand, clearly reflected the positive steps taken by the government of the Independent Republic of Georgia at the legislative level to protect human rights and, in particular, the feminist direction. On the other hand, the government’s lack of interest in the problems of woman’s social or legal equality appeared in a negative light.

Key words: pluralistic media climate, liberal-democratic values

რეცენზენტი: პროფესორი პ. ჟოლნეროვიჩი

## გამოსათხოვარი



საქართველოს სამეცნიერო ინტელიგენციამ დიდი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე, ჟურნალ „ენა და კულტურას“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, პროფესორი მადონა მეგრელიშვილი.

ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის ოქროს მედალზე და უმაღლესის წარჩინებით დასრულების შემდეგ მან სწავლა გააგრძელა მოსკოვის მორის ტორეზის სახელობის უცხოურ ენათა ინსტიტუტის ასპირანტურაში და შრომითი საქმიანობა 1962 წელს დაიწყო ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უცხოური ენების კათედრაზე. 1975 წლიდან მადონა მეგრელიშვილი მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1978 წელს პროფესიული მომზადების კურსი გაიარა ოქსფორდის უნივერსიტეტში. 1984 წელს მან წარმატებით დაასრულა დოქტორანტურა მოსკოვის მორის ტორეზის სახელობის უცხოურ ენათა სახელმწიფო ინსტიტუტში და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის წოდება. ამავე წლიდან იგი არის პროფესორი.



1975-1979 წლებში ეკავა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა. 1988-1989 წლებში არჩეული იყო ქუთაისის სახალხო განათლების საქალაქო საბჭოს თავჯდომარედ. 1994-1995 წლებში ხელმძღვანელობდა დასავლეთ ევროპული ენების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) კათედრას.

1995-2006 და 2011-2014 წლებში პროფესორი მადონა მეგრელიშვილი დიდი ენთუზიაზმით უძღვებოდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრას. მისი უდიდესი ძალისხმევით კათედრამ დიდ წარმატებას მიაღწია. მის მიერ საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან დამყარებული კავშირების წყალობით, ინგლისური ენის სპეციალობის სტუდენტებს ინგლისურენოვან ქვეყნებში სწავლის გაგრძელების საშუალება მიეცათ.

მ. მეგრელიშვილის ხელმძღვანელობით მომზადებულმა პროგრამამ „ინგლი-სური ენის კათედრის ტექნიკური აღჭურვილობა“, მიიღო ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“ დაფინანსება. მისი ინიციატივით ეწყობოდა საერთაშორისო სემინარები უნივერსიტეტისა და სკოლის სპეციალისტებისთვის. კათედრაზე დაინერგა ინგლისური ენის სწავლების მოდულური სისტემა.

პროფესორ მადონა მეგრელიშვილს ქვეყნის წამყვან ლინგვისტთა შორის საპატიო ადგილი ეჭირა, როგორც სერიოზულ მკვლევარს. საქართველოსა და უცხოეთში ქართულ და უცხოურ ენებზე (რუსულად და ინგლისურად) გამოქვეყნებული აქვს 110-ზე მეტი შრომა, მათ შორის მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები და ლექსიკონი. სხვადასხვა დროს გავლილი აქვს პროფესიული გადამზადება საქართველოს, რუსეთის, ბრიტანეთისა და აშშ-ს მრავალ უნივერსიტეტში. სისტემატურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო სემინარებსა და სამეცნიერო კონფერენციებში. იგი იყო 27 წარმატებით დაცული სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი (მათ შორის 3 საერთაშორისო); 37 სადოქტორო დისერტაციის ოფიციალური შემფასებელი (მათ შორის 7 საერთაშორისო); 27 სახელმძღვანელოსა და მონოგრაფიის რედაქტორი, რეცენზენტი.

პროფესორი მადონა მეგრელიშვილი ხელმძღვანელობდა 4 აკადემიურ პროგრამას და იყო 9 საერთაშორისო საგანმანათლებლო და სოციალური პროექტის კოორდინატორი, 2001 წლიდან იგი იყო საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, კემბრიჯის საერთაშორისო მონოგრაფიის ცენტრის კვლევითი აკადემიის წევრი და მსოფლიოს პროფესიონალ და საქმიან ქალთა (ქალები, რომლებიც სტანდარტებს ქმნიან) საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი (აშშ). ამასთანავე, ბრიტანელებთან ერთად ის იყო „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო“-ს დამფუძნებელი და ინგლისური ჟურნალის „კოლხთა ქვეყანა“ (ელ. ვერსია) იდეის ავტორი და პასუხისმგებელი რედაქტორი.

1991 წლიდან 2020 წლამდე ქუთაისი (საქართველო)-ნიუპორტის (დიდი ბრიტანეთი) საერთაშორისო ასოციაციის უცვლელი თავმჯდომარე იყო. სწორედ მისი უშუალო ხელშეწყობით დამყარდა და გაძლიერდა როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო, ისე ეკონომიკური კავშირები ამ ორ ქალაქს შორის, რამაც ეს ურთიერთობა მსოფლიოს ყველა სხვა მეგობარი ქალაქებისათვის მოდელად აქცია. 2010 წლის 8 სექტემბერს მოხდა უპრეცედენტო მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში - ასოციაციის დაარსების 20 წლის თავზე ნიუპორტში ქუთაისის ქუჩა გაიხსნა. ქუთაისის სანაპირო - ასე ჰქვია ქუჩას, რომელიც ნიუპორტის ცენტრალურ ნაწილს ამშვენებს. მისი თაოსნობით შეიქმნა წიგნი „პატივს მივაგებთ წარსულს, ვქმნით მომავალს“, რომელშიც

აღწერილია ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტში წარმატებული სწავლების სტრუქტურა და მუშაობის ევროპული მოდელი, რომელიც ამტკიცებს, რომ ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის წარმატების საიდუმლო არა მხოლოდ მაღალი აკადემიური სტანდარტია, არამედ ის ცოდნა, უნარები და შესაძლებლობებია, რასაც ისინი სთავაზობენ თავიანთ სტუდენტებს.

პროფესორი მადონა მეგრელიშვილის ღვაწლის ერთ-ერთი ბოლო აღიარება იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელი, რომელიც მას ფილოლოგიის დარგში განსაკუთრებული დამსახურებისთვის მიენიჭა. ეს საპატიო ჯილდო კიდევ ერთი დადასტურებაა იმ უდიდესი წვლილისა, რაც ამ გამორჩეულ მეცნიერს, პედაგოგს, ლიდერსა და უანგარო ადამიანს მიუძღვის ქართული მეცნიერების განვითარებასა და თაობათა აღზრდაში.

ჟურნალ „ენა და კულტურას“ სარედაქციო კოლეგია უდიდეს მწუხარებას გამოთქვამს პროფესორ მადონა მეგრელიშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

ჟურნალ „ენა და კულტურას“ სარედაქციო საბჭო

შინაარსი

ენათმეცნიერება

**თამარ ალფაიძე, ლიანა ძოწენიძე**

თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული სიტუაცია და კიპლინგის ნოველათა ციკლის კვლევის თეორიულ –მეთოდოლოგიური საფუძვლები.....10

**ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე, ქეთევან გაბუნია**

გენდერულ-ნეიტრალური ენა ინგლისურ და ფრანგულ სამეტყველო კულტურებში.....18

**ნინო კვირიკაძე**

ანთროპონიმთა სემანტიკური თეორიების საკითხისათვის.....23

**თამარ მარდალავიძე**

ინტერსუბიექტურობის პრინციპი მხატვრულ თარგმანში.....31

**თამარ მახარობლიძე**

დერივანტების შესახებ.....38

**დალი ნიქაბაძე**

კომპოზიტი როგორც გენიტივური სტრუქტურის ალტერნატიული ფორმა და მისი ენობრივ-სტილისტური თავისებურებანი.....44

**ნატალია რევიშვილი**

ენობრივი კულტურა და პოლიტიკა საფრანგეთში.....50

**Ramaz Svanidze**

Zur Analyse von zwei Konzepten .....59

**ელისო ქორიძე**

წინდებულების პრობლემატიკის ზოგიერთი საკითხი

(თანამედროვე გერმანული ენის მასალაზე) .....64

**სალომე შავგულიძე**

ფუნქციურზომიანი შესიტყვებები გერმანული ენის განვითარების

ისტორიულ კონტექსტში .....70

**მაია ჩიქოვანი**

ნაწილაკის როგორც დამხმარე სიტყვის პრობლემატიკა

თანამედროვე გერმანულ ენაში .....75

**ნინო ძამუკაშვილი**

მიღმიერი სამყაროს ენობრივი სურათი ჯონ ფაულზის

„ებანოზის კოშკის“ მიხედვით.....80

**ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია****ნონა ამბოკაძე**

1956 წლის 9 მარტის მოვლენების „ჟამთააღმწერელი“ ლენტო

(ოთარ ჩხეიძის „გამოცხადებაის“ მიხედვით) .....87

**ნანა გაგუა**

ლიტერატურული პროცესები 50-იანი წლების ამერიკაში..... 93

**ნანა გუნცაძე, ილია გასვიანი**

ფრანგული სიმბოლიზმის რეცეფცია ქართულ ლიტერატურაში.....97

**მარი სიმონიშვილი**

ვის ესმის პერსონაჟების ძახილი - გივი მარგველაშვილის რამდენიმე მინიატურის

ინტერპრეტაციისთვის.....108

**ნინო ჯოხაძე**

მარიო ვარგას ლიოსას რომანის „ქალაქი და ძაღლები“

ცენზურა ფრანსისკო ფრანკოს ესპანეთში.....120

**ისტორია**

**დავით ახლოური**

სოფელ ძეგლევის წარსული და დღევანდელი.....129

**სწავლების მეთოდика**

**მანანა მიქაძე**

წერიტი სტრატეგიები უცხო ენის სწავლების დროს.....137

**ეკატერინე ქურდაძე, ნინო დემეტრაძე, სოფიო ყიფიანი**

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის როლი სასწავლო პროცესში.....143

**ნინო ჭოლაძე**

პარალელები უცხოურ და ქართულ ნაწარმოებებს შორის

სწავლების დაწყებით ეტაპზე.....149

**პედაგოგика**

**მაია ახვლედიანი, სოფიო მორალიშვილი**

ბავშვზე ემოციური ძალადობა არასათანადო ლექსიკის გამოყენებით.....154

**ხატია შევარდნაძე, სოფიო მორალიშვილი, რუსუდან ტყემელაშვილი**

კრიტიკული აზროვნების უნარების კონსტრუქციულად

გამოყენების საკითხი უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში .....159

### ფსიქოლოგია

იაგორ ბალანჩივაძე, სალომე ბზიკაძე

მოსწავლის სოციალურ-ემოციური განვითარების მნიშვნელობა.....168

### კულტუროლოგია

ვაჟა შატბერაშვილი

კულტურისა და კულტურის პოლიტიკის დეფინიციათა დინამიკა.....176

გურანდა ჭელიძე, ეკატერინე ქარდავა, ზურაბ ბრაგვაძე

ევროკავშირის, ევროპული ფასეულობებისა და საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ ცნობიერების ამაღლების საკითხი ეთნიკურ უმცირესობებითა და დევნილებით დასახლებულ რეგიონებში - კავკასიის უნივერსიტეტის ჟან მონეს პროექტის „ევროპული სწავლების სამკუთხედის“ მაგალითზე .....186

### პოლიტიკური მეცნიერებები

ნანული ტალახაძე

უფლებრივი თანასწორობის პრობლემა 1918-1921 წლების ქართულ პრესაში.....209

გამოსათხოვარი.....216

---

**Contents**
**Linguistic****Tamar Alpaidze, Liana Dzotsenidze**

Short story poetics and theoretical and methodological bases of research into

Kipling's short story cycle.....17

**Tsiuri Akhvlediani, Giorgi Kuparadze, Ketevan Gabunia**

Gender-Neutral Language in English and French Linguo-Cultures.....22

**Nino Kvirikadze**

For the Question of the Semantic Theories of Antroponyms .....30

**Tamar Mardaleishvili**

Intersubjectivity in Artistic Translation .....37

**Tamar Makharoblidze**

On derivatives.....42

**Dali Nikabadze**

Composite as an Alternative Form of Genitive Structure and its

Linguistic-Stylistic Features .....49

**Natalia Revishvili**

Linguistic culture and politics in France .....58

**Ramaz Svanidze**

About the issue of analyzing two concepts .....63

**Eliso Koridze**

Some issues of prepositional problems (on modern German language material).....69

**Salome Shavgulidze**

Lexical Units with Functionalverbs for German Language  
Development in a Historical Context.....74

**Maia Chikovani**

Problems of Particle as an Unchangable part of speech in German Language.....79

**Nino Dzamukashvili**

Linguistic Portrait of Transcendental World Based on *The Ebony Tower* by John Fowles.....86

## Literature and Literary Theory

**Nona Ambokadze**

Lento, a “chronicler” of the events of March 9, 1956  
(According to Otar Chkheidze’s novel “Revelation” .....91

**Nana Gagua**

Literary Processes In America in the 50s of the XXth Century.....96

**Nana Guntsadze, Ilia Gasviani**

The reception of French symbolism in Georgian Literature .....106

**Mari Simonishvili**

Who Understand to Cry of the Characters – for the Interpretation of Several  
Miniatures of Givi Margvelashvili ..... 118

**Nino Jokhadze**

Censorship in Franco’s Spain about the novel of Mario Vargas Llosa  
"The City and the Dogs" .....127



## History

**Davit Akhlouri**

Past da Present of village Jeglev.....139

## Methodic of Teaching

**Manana Mikadze**

Writing strategies while teaching a foreign language .....142

**Ekaterine Kurdadze, Nino Demetradze, Sopio Kipiani**

The Role of the Students' Independent Work in the Learning Process .....148

**Nino Choladze**

Parallels between foreign and Georgian works at shool .....153

## Pedagogical Sciencies

**Maia Akhvlediani, Sophio Moralishvili**

Verbal Abuse of Children .....158

**Khatia Shevardnadze, Sophio Moralishvili, Rusudan Tkeshelashvili**

Constructive Application of Critical Thinking Skills in Higher Education

Tbilisi Open Teaching University.....167

## Psicology

**Iagor Balanchivadze, Salome Bzikadze**

The Importance of pupils social-emotional development.....174

---

## Cultural Studies

**Vazha Shatberashvili**

Dynamics of the Definitions of Culture and Cultural Policy.....185

**Guranda Chelidze Ekaterine kardava Zurab Bragvadze**

Raising Awareness of the EU, European Values and Georgia's Association

Agreement with the EU in Ethnic Minority Areas and IDP settlement –

on the Example of Jean Monnet's "European Learning Triangle"

project at Caucasus University.....207

## Political Science and International Relations

**Nanuli Talakhadze**

The Problem of Legal Equality in the Georgian Press of 1918-1921 .....215

### ავტორთა საყურადღებოდ:

ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდის საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“ გამოდის წელიწადში ორჯერ.

მასალა გროვდება ნოემბერსა და მაისში (აღნიშნული თვეების 10 რიცხვამდე) კრებულში დასაბეჭდი ტექსტი უნდა წარმოდგეს შრიფტით "Sylfaen", ზომა 12, სათაური, ავტორის გვარი, სახელი, სამუშაო ადგილი, ე-მაილის მისამართი ზომა - 14.

სტატიის გვერდის ღირებულება კრებულში 30 ლარია, თავად ჟურნალისა - 10 ლარი.

ნაშრომს უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე (აუცილებლად 250 - 300 სიტყვა).

რეზიუმეთა თარგმნა, ავტორის სურვილით, შესაძლებელია განახორციელოს სარედაქციო კოლეგიის მთარგმნელთა ბიურომ (ღირებულება 10 ლარი).

ნაშრომს თან უნდა ახლდეს გამოყენებული ლიტერატურის სია ალფავიტზე, ნაშრომში ციტირებას მოახდენთ ნიმუშის მიხედვით: [შანიძე, 1953:234].

ავტორმა უნდა გადმოაგზავნოს ნაშრომის ელექტრონული ვერსია, რომელიც დაიბეჭდება ექსპერტის რეცენზირების შემდგომ.

### ამასთან გაცნობებთ, ჟურნალი განთავსებულია:

3. Google scholar-ის მონაცემთა ბაზებში;  
<https://scholar.google.com/citations?user=8DJ8jYAAAAJ&hl=en&authuser=1>
4. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკის „ივერიელის“ კოლექციაში;
5. ქართულ რეფერატულ ჟურნალში (ქრჟ) [www.techinformi.ge](http://www.techinformi.ge).
6. ასევე ჟურნალს აქვს იმფაქტ ფაქტორის ინდექსიკაცია, რაც საშუალებას გაძლევთ გაიკვლიოთ გზა საერთაშორისო ასპარეზზე, გაიზარდოთ ციტირების ინდექსი.: Impact Factor 2017 – 6.336  
2018 – 6.096  
2019 – 6.496  
2020 – 6.029  
2021 – 6.505
7. გააჩნია დოის ინდექსი; <https://doi.org/10.52340/lac>

გთავაზობთ ჟურნალში ნაშრომის გაფორმების ნიმუშს:

**ადამიანის მოვალეობანი ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში**

**პეტრე პეტრიაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

e-mail: [p.p.-064@yahoo.com](mailto:p.p.-064@yahoo.com)

სტატიის ტექსტი

### ლიტერატურა:

1. მიქაძე მ., – ქართული ანდაზა (ინგლისური, რუსული, გერმანული და ფრანგული შესატყვისებით). გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი. 2013. 300 გვ.
2. მღვდლიაშვილი ნ., – კულტურული კომუნიკაცია-კომუნიკაციური აქტი. სამეცნიერო ჟურნალი „ღია დიპლომატიის ასოციაცია“, #7, გვ 34-67. თბილისი. 2010

3. რამიშვილი გ., – ენის რაობისათვის. თსუ შრომები. ტ.69. გვ. 34-78. თბილისი, თსუ-გამომცემლობა.2016.
4. **English Oxford Living Dictionaries** [Электронный ресурс]. – Режим доступа: <https://en.oxforddictionaries.com>. –Дата доступа: 17.03.2019.
5. **Даль Д.В .,** – Пословицы русского народа [Электронный ресурс]. – Режим доступа: <https://vdahl.ru>. –Дата доступа: 18.03.2019.
6. **Гнездилова В. А.,** – Французско-русский словарь пословиц и поговорок. Москва, 2010.

რეზიუმე ქართულ ენაზე  
რეზიუმე ინგლისურ ენაზე

სტატიას გადმოაგზავნით მისამართებზე: e-mail: [manana-mikadze@rambler.ru](mailto:manana-mikadze@rambler.ru); ან [mananamikadze@yahoo.com](mailto:mananamikadze@yahoo.com); და [tamrikolomtadze@yahoo.com](mailto:tamrikolomtadze@yahoo.com)

ჟურნალის მოთხოვნების დაცვა ავტორისათვის აუცილებელია.

(იხ. ჟურნალის მეცნიერული მიმართულებები):

1. ენათმეცნიერება
2. ლიტერატურისმცოდნეობა
3. ენისა და კულტურის ფილოსოფია
4. ენისა და კულტურის ფსიქოლოგია
5. თანამედროვე ხელოვნების ენა
6. ტექსტის ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი
7. კულტურათაშორისი კომუნიკაციები
8. ეროვნული ენა და კულტურა
9. ენა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი
10. მხატვრული ლიტერატურა კულტურის კონტექსტში
11. თარგმანის თეორია და პრაქტიკა
12. სწავლების მეთოდიკა
13. ისტორია
14. რელიგია
15. პედაგოგიკა
16. ფსიქოლოგია
17. ხელოვნებათმცოდნეობა
18. ფილოსოფია
19. ენა და მედიცინა
20. ენის სოციალური და პროფესიული დიფერენციაცია
21. ბილინგვიზმისა და პოლილინგვიზმის საკითხები
22. ეროვნული, სალიტერატურო და საერთაშორისო ენები
23. ურბანიზაცია და ენა
24. მეცნიერებათა ტექნიკური რევოლუცია და ენა
26. ლინგვისტური სოციოლოგია
27. ენა და იურისპრუდენცია

სარედაქციო საბჭო